ქუქუნა ფეიქრიშვილი

სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში

გამომცემლობა „ჯანსულ ღვინჯილია“

თბილისი - 2008

წიგნში განხილულია სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში. უხვ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით გაანალიზებულია სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებანი, აფიქსთა გენეზისი და ფუნქციები; ამ ასპექტით ნაჩვენებია ენის განვითარების საერთო ტენდენცია.

რედაქტორი პროფ. რ. საღინაძე

რეცენზენტი ფილოლ. მეცნ. დოქტორი
ლ. კვანტალიანი

ISBN 9789941-0-0727-9

ავტორის წინათქმა

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის მერიდეკ (1973წ.) კიდევ რამდენიმე წელი ვმუშაობდი მესამე სერიასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების შესწავლაზე, რაც ვერ მოხვდა საკვალიფიკაციო ნაშრომში, მაგრამ თავისთავად საყურადღებო იყო მეცნიერული თვალსაზრისით. გარდა ამისა, ამ პერიოდის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებელთათვის სავალდებულო წლიური საკელევი თემების სახით ვწერდი სხვადასხვა ხასიათის (თემატიკის) სტატიებსაც, თუმცა იმავდროულად პროფ. ი. ქავთარაძე (მეცნიერხელმძღვანელი) ხშირად შემახსენებდა სადოქტორო დისერტაციასაც: „ყოველწლიურად ხომ მაინც უნდა დაწეროთ საკელევი თემა. თქვენს პირობებში ერთ მონოგრაფიაზე მუშაობა უფრო. ადვილი იქნება და თან ამასობაში კარგი საქმე გაკეთდება“. იმ ხანებში არ ვჩქარობდი ამგვარი საპასუხისმგებლო საქმის დაწყებას, რადგან მაშინ ფიზიკურად არ შემეძლო ოჯახის დატოვება, ქალაქიდან გასვლა სამეცნიერო ბიბლიოთეკებში სამუშაოდ, რაც აუცილებელი იქნებოდა დოქტორანტისათვის.

...1980-იანი წლების დამდეგიდან ჩვენს საქმიანობაში გამოიკვეთა ინტერესი XX საუკუნის სამწერლობო ქართულსა და დიალექტებში თავჩენილი და მრავალფეროვნებით გამოვლენილი სიტყვაწარმოების თავისებურებებისადმი. აქედან გამომდინარე, 1983 წელს სამეცნიერო წრეებთან (კოლეგებთან) შეთანხმებით სადოქტორო დისერტაციის თემად შევარჩიეთ „სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ (რაც ოფიციალურადაც გაფორმდა ცოტა მოგვიანებით ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ოქმი № 10, 1985წ., 18 მარტი).

იმავე წელს შევადგინე მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითადი გეგმა, რომელიც პირველ ეტაპზე ითვალისწინებდა სახელთა დერივაციული ჯგუფების ფორმობრივ-სემანტიკურ ანალიზს თანამედროვე სამწერლობო ენის ცალკეული ქანრების მიხედვით, მეორე ეტაპზე კი ამ მასალის საფუძველზე მოხდებოდა პრობლემის ზოგადი თეორიული მიმოსილვა. იმთავითვე ისიც ცხადი გახდა, რომ საანალიზო პერიოდის ჩვენთვის საინტერესო ენობრივი მოვლენის ნიშანდობლიობათა დადგენა-გამოსაყოფად გარკვეულწილად აუცილებელი იქნებოდა ძველი ქართული ენის, XIX საუკუნის მწერლობისა და თანამედროვე დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებაც. ამიტომ კონკრეტულად საკითხზე მუშაობა დავიწყე 1984 წლიდან ქართველი რომანტიკოსების ენის შესწავლით და შემდგომ გავაგრძელე სახელთა დერივაციული ჯგუფების ანალიზი ქვემოთ ჩამოთვლილი ქანრების მიხედ-

ციი ასეთის თანამიმდევრობით: საბაყშყო პოეზია (1985წ.), ქართული პოეზია (1986წ.), საბაყშვო პროზა (1987წ.), ქართული პროზა (1988წ.), სამეცნიერო ლიტერატურის ენა (1989წ.), პრესის ენა (1990წ.) (ეს 6 ცალკეული ნაშრომი ამჯერად წიგნში წარმოდგენილია 3 ნაწილად: ქართული პოეზია, ქართული პროზა, სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენა).

გარდა ამისა, ამავე ფორმით შევისწავლე დიალექტური ტექსტები, სადაც ხელშესახებად დადასტურდა წარმოების მრავალფეროვანი ყალიბები, ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი თავისებურებანი...

როგორც წესი, ყოველწლიურ საკვლევ თემაში შესაბამისი ქანრის საანალიზო მასალაზე დაყრდნობითა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით ვრცლად იყო საუბარი თითოეული აფიქსის გენეზისის, ფუნქციისა და გავრცელების შესახებ, მაგრამ წიგნში ასეთი ფორმით შეტანილია მხოლოდ პირველი საკითხი „სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულ პოეზიაში“, სხვა ნაწილებში კი ზოგჯერ, განმეორების თავიდან აცილების მიზნით, თეორიული მსჯელობა შეკუმშულია სათანადო მითითებით (საილუსტრაციო მაგალითებიც ყველგან დამოწმებულია მცირე რაოდენობით), თუმცა აქა-იქ მაინც ვერ ავცდით ამგვარ გამეორებას.

მომდევნო წლებში უკვე დავიწყე ცალკეული შინაარსობრივი ჯგუფის მთლიანი ან ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა— ანალიზი თანამედროვე ქართულის დონეზე.

სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, ერთხანს ვეღარ შევძელი დიდი ინტერესითა და პასუხისმგებლობით დაწყებული საქმის გაგრძელება და შემდგომ მონოგრაფიად გამთლიანება, 1996 წლიდან კი საბოლოოდ ვთქვი უარი მის საჯარო დაცვაზე... თუმცა წლების შემდეგ მეტ-ნაკლები ინტენსივობით კვლავ ვუბრუნდებოდი ამ მასალებს და ზოგიერთ საკითხს სტატიის სახით ვკითხულობდი სამეცნიერო კონფერენციებზე, ნაწილი კიდეც იბეჭდებოდა სპეციალურ გამოცემებში. ამათ გარდა შემოგვრჩა კიდევ ბევრი ხელნაწერი სტატია თუ საილუსტრაციო ნიმუში, რაც, ალბათ, კვლავაც დააინტერესებს ამ პრობლემის მკვლევარ სპეციალისტებს და, როგორც ზუსტი, სანდო წყარო, გარკვეულ სამსახურსაც გაუწევს...

სწორედ ამ გარემოებამ და, აგრეთვე, ძვირფასი ადამიანების ხსოვნისადმი პატივისცემამ გვიკარნახა, სახელთა დერივაციასთან დაკავშირებით მთელი 25 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები წარმოგვედგინა ერთ წიგნად (ყველა მასალა იბეჭდება უცვლელად, თავდაპირველი სახით).

2008 წელი.

შესავალი

სიტყვაწარმოება — იგივე სიტყვათქმნადობა ლინგვისტიკის ერთ-ერთი რთული და მრავალმხრივი უბანია (ფართო გაგებით გულისხმობს როგორც სახელურ და ზმნურ ფორმათა დერივაციას, ისე კომპოზიციას). ამიტომ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გარკვეული მისი ადგილი ენათმეცნიერების დარგთა შორის.

ქართულში წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივი კლასიფიკაციის ცდები მოცემულია ძველი გრამატიკოსების ნაშრომებში, მაგრამ მოგვადად სიტყვაწარმოების მეცნიერული შესწავლა უფრო გვიან (XX საუკუნიდან) დაიწყო და თანდათან იქცა საინტერესო კვლევის ობიექტად.

სიტყვაწარმოების ადგილის შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სამი განსხვავებული მოსაზრება:

1) სიტყვაწარმოება მორფოლოგიის შესასწავლი ობიექტია (ა. შანიძე);

2) სიტყვაწარმოება უნდა იქნეს განხილული ლექსიკოლოგიაში (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ალ. ღლონტი, მ. ანდრონიკაშვილი, ლ. კვაჭაძე...);

3) სიტყვაწარმოება ენათმეცნიერების ცალკე დარგია (ბ. ფოჩხუა).

სიტყვაწარმოება, კერძოდ, სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში (ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში) მრავალფეროვნებით გვეძლევა, რასაც განაპირობებს მდიდარი ფორმობრივ-სემანტიკური საძერივაციო საშუალებები. შესაბამისად, სხვადასხვაგვარია წარმოების ყალიბიც. სხვაობა საგრძნობია როგორც სალიტერატურო ქართულის განვითარების საფეხურების, ისე სამწერლობო ჟანრებისა და დიალექტების მიხედვითაც. სწორედ ამან განსაზღვრა ჩვენი საგანგებო ინტერესი აღნიშნული პრობლემისადმი.

მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში სახელთა დერივაციას მეტ-ნაკლებად ეხებოდნენ ცალკეული მწერლის კვლევისას, აგრეთვე ამა თუ იმ დიალექტის ენობრივ ანალიზთან დაკავშირებით, მაგრამ საკითხი თანამედროვე ქართულის დონეზე მონოგრაფიულად ჯერ კიდევ არაა შესწავლილი.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა: დადგინდეს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სახელთა დერივაციის ძირითადი სახე (მოდელი, მექანიზმი), გაირკვეს სადერივაციო საშუალებათა გან-

ვითარების ზოგადი შიმართულება და კონკრეტულად დაზუსტდეს მაწარმოებელ მორფემათა გენეზისი, ფორმობრივი ვარიანტულობა და ფუნქციები დიაქრონიულ ასპექტში მოხმარების სიხშირის გათვალისწინებითაც; გამოიყოს დღევანდელ ქართულში სახელთა დერივაციის ძირითადი თავისებურებანი და გამოიკვეთოს სიტყვაწარმოების, როგორც ენობრივი მოვლენის, განვითარების საერთო ტენდენცია.

1984 წელი.

სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე ქართული პოეზიის მიხედვით

შესრულებულია წლიურ საკვლევ თემად ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე 1986 წელს. წაკითხულია მოხსენებად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1987 წლის 12 მაისს (იხ. მუშაობის გეგმა, 1987წ. 12-13 მაისი).

წარმოდგენილი ნაშრომი ერთი ნაწილია თემისა „სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

გასულ წელს შევისწავლეთ სიტყვაწარმოება ქართულ საბავშვო პოეზიაში: გავაანალიზეთ წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები ფორმისა და შინაარსის მიხედვით, გამოვყავით ამ თვალსაზრისით არსებული მთავარი თაისებურებანი.

ამჯერად საკვლევ მასალად გამოვიყენეთ თანამედროვე ქართული პოეზია, უფრო ზუსტად, XX საუკუნის პოეზია. აქ შესაძლებელი გახდა, ერთმანეთისათვის შეგვედარებინა ჩვენი საუკუნის I ნახევრისა და თანამედროვე (60-70-იანი წლების) პოეზიის ჩვენება; მიღებული შედეგები შევუჯერეთ საბავშვო პოეზიის მონაცემებს და ორივე ნაწილიდან სათანადო საილუსტრაციო მაგალითების დამოწმებით წარმოვადგინეთ საერთო ვითარება თანამედროვე ქართული პოეზიის მიხედვით, მაგრამ, რამდენადაც თემა გარდამავალია, ამიტომ აქაც ძირითადად საკითხის აღწერითი ანალიზით დავკმაყოფილდით.

ცნობილია, რომ სიტყვაწარმოება არის მრავალფეროვანი და მდიდარი სადერივაციო საშუალებებით. შესაბამისად, სხვადასხვანაირია წარმოების ყალიბიც; სხვაობა საგრძნობია სალიტერატურო ქართულის განვითარების საფეხურების მიხედვითაც.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები ფორმის მიხედვით

ქართულში სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებაა სალერივაციო აფიქსები.

მაწარმოებელი აფიქსების აღგილმდებარეობის მიხედვით, წარმოქმნილ სახელებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: სუფიქსიანებად და პრეფიქსიანებად. იქვე მიუთითებენ, რომ ქართულისათვის ოდენ-პრეფიქსული წარმოება არაა დამახასიათებელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გამონაკლისებს, როგორებიცაა: **უ-რიცხვ-ი** და **არა-თი** ნაწარმოები სახელები [1(119)]. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარი წარმოება ქართულისათვის, განსაკუთრებით ძველი ქართულისათვის, ბუნებრივი ჩანს [2(137)]. საკვლევ ტექსტებშიც საკმარისად დაიძებნა შესაბამისი ნიმუშები, რომლებიც სიტყვაწარმოების საერთო და ოდინდელ ყალიბში თავსდებიან და არ გამოირჩევიან რაიმე სიახლით.

დღეს ქართულისათვის ძირითადია სუფიქსიანი წარმოება, თუმცა საკმაოდ ხშირადაა იგი რეალიზებული პრეფიქს-სუფიქსებითაც.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით

§1. კნინობითი სახელები

„კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული“ (ა. შანიძე). სახელწოდება „კნინობითი“ სწორედ ამის მიხედვითაა დარქმეული („კნინი“ — ცოტა, მცირე).

მართლაც, ძველი ქართულის დონეზე საანალიზო ჯგუფის სახელები მხოლოდ შემცირებული (მცირე) ზომით წარმოგვიდგენენ საგანს, შესაბამისად, მათი ერთადერთი მაწარმოებელი იყო აკ სუფიქსი [3(51].

ამგვარ სახელებს აღრევე (ძველ ქართულში) დასწყებიათ კ-ს

მოკვეცა ბოლოში ღა დარჩა ა, რომელიც შემდგომში იქცა კნინობითობის ძირითად მაწარმოებლად აკ სუფიქსის გვერდით.

ახალ ქართულში კნინობით სახელთა წარმოება ეფრო გართულდა როგორც ფუნქციის თვალსაზრისით, ისე ფორმობრივად. ისინი ძირეული ფორმით აღნიშნულ საგანს შემცირებული ზომით წარმოგვიდგენენ და გამოიყენებიან აგრეთვე მოფერება-ალერსისა და დაცინვის (დამცირების) მიზნით.

მიუთითებენ, რომ დღეს სალიტერატურო ქართულმა კნინობითი ფორმები არსებითად დაკარგა, თუმცა შეიძლება ისინი ნაშთის სახით კიდევაა ბლომად შემორჩენილი, მაგრამ მათი კნინობითობის დადგენა ჭირს საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო. გარდა ამისა, კნინობითობის ოდინდელი ფუნქცია (საგანი შემცირებული ზომით წარმოგვიდგინოს) შეიძლება აღწერითადაც იქნეს რეალიზებული: პატარა წიგნი (ა. შანიძე).

ჩანს, ამ უკანასკნელმა ფაქტორმაც გარკვეულად შეუწყო ხელი კნინობითის მაწარმოებელთა ფუნქციის ნაწილობრივ შეცვლას.

ახალ ქართულში კნინობით სახელთა მაწარმოებლად დასახელებულია ა, აკ, იკ, ილ, უკ, უნ (ა. შანიძე), აჭ, უჭ, ელ–ა, უც [4(25)] აფიქსები. მათი ფუნქციებიც ნაწილობრივ განსხვავებულია.

XIX-XX საუკუნეების ქართული პოეზიის საერთო ვითარებას ზოგადადაც თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ საკვლევი აფიქსები ფუნქციურად ამ პერიოდშიც არ ყოფილა სავსებით იდენტური. მაგალითად, ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში (XIX საუკუნის I ნახევრის პოეზია) კნინობითის მხოლოდ რამდენიმე მაწარმოებელი დადასტურდა თითო-ოროლა ნიმუშით [5(8)] და არსად დაცინვა-დამცირების გამომხატველი არაა!

კნინობითი ფორმები საკმაოდ გავრცელებულია ქართველურ ენათაგან სვანურში, ახასიათებს ზოგ სხვა ენასაც. იგი საინტერესოა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. მასში მკაფიოდ არის ასახული ენის კლასობრიობაც.

XIX საუკუნის II ნახევრიდან ქართულ მწერლობაში უკვე შესამჩნევი გახდა კაცელა, გოგოე და მისთანა ფორმები. „სწორედ დაჩაგრულთა კლასის წარმომადგენლები ატარებენ კნინობით სახელებს, რაც მარჯვედ არის გამოყენებული XIX საუკუნის ქარ-

თულ ლიტერატურაში. მასში მკაფიოდაა ასახული ენის კლასობრიობაც" [6(103)].

თანამედროვე ქართულში აშკარაა საკელევი ჯგუფის აფიქსთა ვარიანტულობა და გამოყენების სფეროს გაფართოება. განსაკუთრებით საინტერესო ჩვენებას იძლევა საბაყშვო პოეზია, სადაც ა, აკ, ილ, ილო, იკო, იკონა, უნა, უნია, უკა, ელა, იკელა, იკა, უკელა, უკა, ია, უჩა, ულა, ნია, ონია, ონიკო აფიქსები წარმოადგენენ მოქმედ მორფოლოგიურ ელემენტებს [7(5-7)]. მართალია, ისინიც ზოგჯერ ფუნქციონირებენ როგორც დაცინვა-დამცირების აღმნიშვნელი მორფემები, მაგრამ მათთვის მაინც მთავარი და ძირითადია მოფერება-ალერსის გამოხატვა.

განსაკუთრებით საჩინოა ა სუფიქსის არაპროდუქტიულობა უნა, უნია, იკო, ელა აფიქსებთან შედარებით[1].

საილუსტრაციოდ აქ (და სხვაგანაც) მხოლოდ თითო-ოროლა ნიმუშს ვიმოწმებთ, დასახელება კი უხვად შეიძლება:

მე ვიჯექ დედოფალ-ა-სთან (მგელ., 358); თავზე გასვეია თმების ბაწარ-ა (ჭიჭინ., 376); დგას მშვენიერი სახლ-აკ-ი მცირე (კალანდ., 354); ხომ არ გადავკრათ ძამ-იკო ცალა? (სულაკ., 94); შენს დობილ-ს ვერსად დავემალე (გრიშ., 260); რა კალთა აქვს ბებ-ილო-ს (კერეს., 17); მოთა-ია, ძამ-ია, ადე! (ჭანტ., 169); თაგ-უნა დასეირნობს ქოლგით (ნიშნ., 17); დაინახა ეკ-უნია-მ (ჭანტ., 18); ჩაჩუმდა მარიამ-ულა (კალანდ., 422); ოთარ-იკა-ს... მეძახოდა (ჭელ., 102); ცური მოპქონდა ძროხ-უკა-ს (ლებან., 619); დარჩა ბიჭ-უკელა-ს ამარა (ჭანტ., 81); ლოლა, ლოლ-იკელა (ჭელ., 307); მზე-ონა-ს თოჯინები (ბერულ., 5); მზე-ონიკო-მ დაიძახა (ბერულ., 25); ბუქნი-ბუქნი ბუქნ-ელა (კერეს., 48); კიკნა ელამ რატომ-ელა-მ შეგვაწუხა მართლა ყველა (ჩხეტ., 12); დადის მარტო ფეხდგომ-ელა ერთი კაცი მარდომ-ელა, მარდომ-ელა მარიანი (კერეს., 66).

ძალიან ხშირია საანალიზო ტექსტებში წარმოების პარალელური ფორმები. ერთი და იგივე სიტყვა ორი, სამი და მეტი სახესხვაობითაა წარმოდგენილი ერთი და იმავე მწერლის ნაწერებშიც კი:

ა // ია // იკო // იკელა

ბურ-ა (კერ., 24) // ბურ-ია (ბერულ., 33) // ბურ-იკო (შალამბ., 8) // ბურ-იკელა (შალამბ., 8).

უნია // უნა // უჩა // უ

დათ-უნია (ჭიჭ, 9) // დათ-უნა (მრევ, 42) // დათ-უჩა(ჭიჭ, 17) // დათ-უ (ცურვ, 30).

მასალების ანალიზით ირკვევა, რომ საბავშვო პოეზიაში უხვად წარმოჩნდება კნინობითი სახელები (სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები). განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა ელა, უნა, უნია, ია, იკო სუფიქსები. ისინი თითქმის ყველა მეტყველების ნაწილისაგან აწარმოებენ ახალ-ახალ ფორმებს: კერკეტი—კერკეტელა, რატომ—რატომელა, ფრენს—ფრენია...

ზოგჯერ ფორმათა წარმოება აშკარა ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვერ თავსდება წარმოების საერთო ყალიბში და მათს ხმარებას გამართლებულად ვერ ჩავთვლით მხოლოდ რითმის მიზეზითაც. მაგალითად:

ა) თამო, თამო, თამ-უნია,
რად არ გიყვარს ჭამ-უნია...
როცა მოვა მამ-უნია,
ატირდება თამ-უნია...
ამ-უნია-ს ძლიერ უყვარს
საჭმელების ჭამ-უნია (შალამბ., 6).
ბ) გაგიმარჯოს კრუხ-უნა,
მეც ავაგე ხუხულა (წერ., 34).
გ) ფოუნ-დოუნ-დიდ-ულა
ნუ იქნები დიდგულა,
შენ ხომ არ აგიზიდავს
ეს ქედები კიდ-ულა...
მდინარე ზვირთ-ულა
ცისარტყელა მშვილდ-უნა,
ვისთან დიდი იქნები
ვისთან ციდა-ციდ-ულა (კერ., 72).
დ) კახ-უნია კარახუნამ
დაახვავა ხარახურა (წერ., 16),
ე) კატ-უნა კატ-უნჭილა-ო
თაგუნა დაგეჭირაო (ჩარკ., 19).

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში კნინობით სახელთა ამგვარი მრავალფეროვნება და თავისებურება (მოფერება-ალერსის გამოსახატავად) საბავშვო პოეზიის სპეციფიკურობითაც არის შეპირობებული.

ამ მაწარმოებლებიდან ზოგიერთი დიალექტური წარმომობისადაა მიჩნეული, შესაბამისად, სამწერლობო ენაში (პოეზიაში) მათი არსებობა კუთხური მეტყველების ზეგავლენითა და მწერლის ინდივიდუალური სტილითაც შეიძლება აიხსნას.

მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში კნინობით სახელთა წარმოება მრავალფეროვანი გახდა, ფუნქციის თვალსაზრისით მათთვის ძირითადია მოფერება-ალერსის გამოხატვა, ხოლო დაკნინება-დამცირების შინაარსით ძალზე იშვიათად გვხვდება. ამდენად, ამ ტიპის სახელთა აღსანიშნავად ტერმინი ოდენ „კნინობითი" დღეს ადეკვატურად ვეღარ ასახავს რეალურ ვითარებას, იგი ვერ ითავსებს ამ აფიქსებით გამოხატულ ყველა ფუნქციას. ამიტომ უფრო მართებული იქნება საყოველთაოდ დამკვიდრდეს ტერმინი „მოფერებით-კნინობითი", როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია (იხ. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971).

§2. ყოლა-ქონების სახელები

ყოლა-ქონების სახელებს აწარმოებს სუფიქსები: **ან, იერ, ოსან, ოვან, ედ, ა.** ამათგან ახალ სალიტერატურო ქართულში ძირითადია **ან.**

ი ა ნ სუფიქსის გენეზისი სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი: ა) იგი მიჩნეულია **ევ–ან**-ისაგან მომდინარედ (ევ-ან >ე-ან >იან) [9(89)]; ბ) **ან** მიღებული ჩანს **ეან**-ისაგან [3(52)]; გ) ქონების აღმნიშვნელ რთულ სუფიქსებში **ი–ან, ო–ან, ევ–ან, ოვ–ან** საერთო ელემენტია **ან** [10(347)]. მაშასადამე, **იან**-ის ამოსავალ ფორმად **ევ–ან** უნდა ვიყვარაუდოთ.

იან სუფიქსის თავდაპირველ ფუნქციად დასახელებულია ვინმესაგან წარმომავლობის აღნიშვნა, საიდანაც შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა [1(122)]. გარდა ამისა, **იან** სუფიქსის პირვანდელ და უძველეს ფუნქციად მიიჩნევენ კრებითობის, მრავლობითობის გამოხატვასაც [10(347)].

რა ფუნქციით რეალიზდება **იან** სუფიქსი ქართულში?

აღნიშნულია, რომ ამჟამად **იან** სუფიქსი ყოლა-ქონების გამომხატველია, შეიძლება იგი შეგვხვდეს გვარის ერთ-ერთ დაბოლოებად დასაელეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გაერცელებული **ციციანთ–ი** ტიპის შტო-გვარის სახელებში (თუ ფორმა მრავლობითია) შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად [1(123)]. სხვა მოსაზ-

რების მიხედვით. დღეისათვის ქართულში **იან** სუფიქსის ერთადერთი ფუნქციაა ქონების სახელთა წარმოება, ხოლო მიმღეობის, წარმომადგენლობისა და კუთვნილების ფუნქციები უკვე გამქრალია [4(25)][2].

მართლაც, თანამედროვე ქართული პოეზიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საჩინო გახდება, რომ **იან** სუფიქსის ფუნქცია გამარტივდა, იგი ყოლა-ქონების სახელთა ძირითად მაწარმოებლად იქცა:

> სიერცე დაეთმო შაეფრთ-იან გველებს (აბაშელ., 47); ეს ჭალები ლელ-იან-ი (მაჭავ., 345); ობოლ გოგოს ხალ-იან-სა (ჭიჭ., 29); ეს მებაღე სალმ-იან-ი კაცია (მრეველ., 62); დაგვანახებს კუნწულებს, დაბრაწულებს წითლ-იან-ს (ქიტ., 76); ჩერო-იან-ი იყო ჩინარი (მაჭავ., 22); სუსხ-იან-ი ბორგავს ქარი (სულაკ., 31); ქანგ-იან-ი, ხავს-იან-ი წარსული (ჩიქოვ., 556); დაეხარბდი დღეებს მგ-იან-ებს (ცეცხლ., 667); იდუმალებაე, სანგრ-იან-ო, უარაჯ-იან-ო (ჩარკვ., 340).

იან სუფიქსი მიმღეობასა და კუთვნილება-წარმომაელობას აღნიშნავს შემდეგ ფორმებში:

> თოთოკაანთ ქალო, მელანო (მაჭავ., 86); გაჩნაძიანთ ტურფა ქალო (ნონეშვ., 532); უკანასკნელი ქრისტიანები (სამად., 97).

მსგავსი ნიმუშები აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ პოეტთა ნაწერებში საკმაოდ შესამჩნევია.

დადასტურდა ისეთი მაგალითებიც, სადაც **იან** სუფიქსი მქონეობის ფუნქციით არ უნდა გვეველინებოდეს:

> ის თვალია, ნატერის თვალი, გულთა ნატვრ-იან-თა (შატბ., 190); მიყვარდა მინდერ-იან-ზე ჯოხის ჭენება (მოსამ., 36); და პარტასები უძოვრ-იან-ი... გადაიხდიან (ლეონ., 244); სიმწვანე მოაწვა თელ-იან-ს, არყ-იან-ს (კილას., 167); და აყიელებს წმინდან-იან-ს აია სოფია (მიწიმ., 759).

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებშიც „იან სუფიქსი მონოპოლიისაკენ მიისწრაფვის. მას ეს ჯადოსნური ძალა მიანიჭა დიდმა შოთამ „ვეფხისტყაოსანში“ [12(145)].

იერ (იელ) სუფიქსი ძველ ქართულში ყოლა-ქონების სახელთა ძირითადი მაწარმოებელი იყო [13(434)]. ახალ სალიტერატურო ქართულში კი საგრძნობლად შემცირდა მისი მოხმარების სფერო: მისი ადგილი მეტწილად **იან**-მა დაიჭირა (ა. შანიძე).

იანამედროვე ქართული პოეზიის მონაცემებიც ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ მოსაზრებას. იერ სუფიქსი აქ გამოვლინდა თითქმის მხოლოდ ტრადიციულად მომდინარე ფორმებში:

იცრძნობა მისი ძლ-იერ-ი სუნთქვა (სულაკ., 38); ღონ-იერ-ი ბიჭი ვარ (გურგ., 41); გემრ-იელ-ად ხატავს (მრეველ., 33); გრემი — მშვენ-იერ-ზე მშვენ-იერ-ი (ჭანტ., 38).

წარმოების ასეთი ერთფეროვნებისა და ფუნქციური გამარტივების მიუხედავად, საკვლევ ტექსტებში მაინც გამოვლინდა იერ სუფიქსიანი ზოგიერთი თავისებური ფორმა:

სულს კი მარადის სურს ც-იერ-ება (გალაკტ., 213, 116); კვლავ გავხსნი ც-იერ-ო, თუ შენ ეს გინდა (კალანდ., 228); და აჰა, გიმღერ ქართველის ქალო, სულო მზ-იერ-ო!/ჩემი დროების საუნჯეო, სოფლად ძლიერო.../ზაფხულის პირად, წმინდა ნებით მარად ც-იერ-ო,/თამარ ლამაზო და ნარნარო ივერიელო (შანშ., 129); ჩამოგვხედეთ მიწ-იერ-ებს' (თევზ., 228); ჩემი სალამი წიგნ-იერ და უწიგნურ ჯიგრებს (ლებან., 209).

ო ს ა ნ სუფიქსი ძველად უფრო ხშირად გამოიყენებოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო, აღენიშნა რისამე მატარებლობა, მქონებლობა. ახალ ქართულში შედარებით შემცირდა მისი მოხმარების სფერო: ამ შინაარსის გადმოსაცემად მეტწილად ან სუფიქსი ცვლის მას. ამიტომ იყო, რომ იგი XIX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში (რომანტიკოსების ენაში) ძალზე იშვიათად გვხვდებოდა [5(6)].

როგორც მიუთითებენ, თანამედროვე ქართულში ოსან სუფიქსი კვლავ იკაფავს გზას (ა. შანიძე), დღეს მის კომპეტენციაში შემავალ ფუნქციათა წრე უფრო გაიზარდა: გამოხატავს ქონებას, აწარმოებს ხელობის სახელებს და აღნიშნავს მცენარეთა კრებულს [4(26)].

საკვლევ ტექსტებში ოსან ქონებისა და ხელობის გამომხატველია:

ა) საქართველოს მკერდი ორდენ-ოსან-ი (გალაკტ., 326); დადის ოქროს რაშ-ოსან-ი (კერეს., 45); მძლე-ოსან-ი ჭიანჭველა (წერეთ., 28); მზე სხივ-ოსან-ი (ქუჩიშვ., 111); ბერი თორ-ოსან-ი (ნიშნ., 216); ხარ დედოფალი გვირგვინ-ოსან-ი (შანშ., 123); სველდებიან ფრთ-ოსნ-ები (ლებან., 659).

ბ) მწერდა ახალბედა კალმ-ოსან-ი (ჭელ., 294); მშვილდ-ოსან-ი დაერქმევა (ჭანტ., 26); ხელ-ოსნ-ად ყოფნას მიკრძალავს (შანშ., 131); საქმ-ოსან-ი იღიმება (ლებან., 165).

მაგალითების დასახელება უჭვად შეიძლება. ოსან სუფიქსი გოგჯერ ისეთ წინადადებაშიც დასტურდება, სადაც სასაუბრო ქართული ჩვეულებრივ ან-ს იყენებს. ეს ფაქტი შეიძლება შეპირობებული იყოს პოეზიის ენის თავისებურებითა და სტილისტური დანიშნულებით:

შაგწერ-ოსან-ი ბრძენი (ჭელ., 179); ხან ფრთ-ოსან[4] ლომად მთვარეს სწედება (ჭელ., 213); ფრთ-ოსან-ი რაკეტები (ლებან., 73); პეპლებს ვამსგავსებ ქალაქებს ქოლგ-ოსან-ს (ჭელ., 81); ჩალმ-ოსან-თა მწკრივები (ნიშნ., 122); მომდგარა რასა ფარეშ-ოსან-ი (ლებან., 185); გახუნებულია ყველა კაბ-ოსან-ი (მაჭ., 39); ხელთა მიპყრია ნორჩი სოსანი/იგია შენი ძლევის სკიპტრა — ფერად-ოსან-ი (შანშ., 123).

ანალოგიური წარმოების საფუძველზე ჩანს წარმოქმნილი ფორმები: ნა-ოსან-ი პყვება ამბებს (ლებან., 17); მყავდა წინაპარი მღვა-ოსან-ი (ჭელ., 27); მიუგო ჯორ-ოსან-ს ქვეითმა (ლებან., 154); უდაბნოებში დაიგრიალებს ჭა ნავთ-ოსან-ი (ლებნ., 245).

ამ და სხვა მსგავს მაგალითებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ოსან უფრო პროდუქტიული ჩანს XX საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიაში (მ. ლებანიძე, ო. ჭელიძე, მ. მაჭავარიანი, მაყვ. მრევლიშვილი).

ოვან სუფიქსის ფორმისა და ფუნქციის შესახებ ბეერმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება.

შედგენილობით ოვან რთულია: ოვ–ან, სადაც ოვ თემის ნიშანია, ან კრებითობის, მრავლობითობის გამომხატველი (ნ. მარი, ს. ჯანაშია, არ. მარტიროსოვი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე). ზოგი მკვლევარი მას ასე შლის: ოვ–ა–ნ, სადაც ოვ თემატური სუფიქსია, ა უნდა იყოს მასდარის მაწარმოებელი ანდა მააბსტრაჰირებელი აფიქსი, ნ კი — კრებითობის, სიმრავლის გამომხატველი, რაც სახელებშიც გვაქვს მრავლობითი რიცხვის ნიშნად [14(101)].

ფუნქციის თვალსაზრისითაც ოვან არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი.

ძველ ქართულში იგი 1) მცენარის სახელზე დართული გამოხატავდა კრებითობას (სიმრავლეს); 2) აღნიშნავდა მქონეობას (ძირითადი ფუნქციაა) და 3) მას დაჰკისრებია საგნის ნიშნის ან თვისების ასახვა, რაც მის ძირითად ფუნქციებთან შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს [14(96-103)].

ახალ ქართულში ოვან არაა ქონების სახელთა პროდუქტიული მა-

წარმოებელი (ა. შანიძე). კრებითობის გამოხატვის ოღინდელი (ძირითადი) ფუნქცია მხოლოდ მცენარეთა სახელებსა და ტოპონიმებში შემოგვრჩა, სხვა შემთხვევაში იგი დაკარგული ჩანს [14(101)], თუმცა, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ახალი შენაძენი უნდა იყოს [15(359].

როგორია ოვან სუფიქსის მოხმარების სიხშირე ახალ ქართულში?

XIX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში ქონების სახელთა საწარმოებლად ოვან სუფიქსის გავრდით ოვან-იც ხელშესახებად დასტურდება. ეს კი გვავარაუდებინებს, რომ ძველი ქართულის სიტყვაწარმოების ზოგიერთი წესი ამ პერიოდისთვისაც ჯერ კიდევ ძალაშია (შდრ. ტანი მალოვანი; ცა ნათლოვანი; მრავალშტოვანი...)

თანამედროვე ქართულ საბავშვო პოეზიაში ოვან სუფიქსი ძალზე იშვიათია, ასლანდელ საკვლევ მასალაში კი საკმაო რაოდენობით გამოვლინდა, თუმცა მაინც ვერ ჩაითვლება ისეთ პროდუქტიულ მაწარმოებლად, როგორიცაა ოვან სუფიქსი. იგი მეტწილად ტრადიციულად მომდინარე ფორმებში გვხვდება, ზოგჯერ კიდევ ოვან სუფიქსიანი წარმოება მხოლოდ და მხოლოდ პოეტურ ნებელობად (ხელოვნურ ნეოლოგიზმად) შეიძლება ჩაითვალოს:

ა) წვიმა კეთრ-ოვან-ი (გრან., 114); ჰაერ-ოვან-ი ჩარდახები (ამირეჯ., 118); ტაძარი გუმბათ-ოვან-ი (გრ. აბაშ., 57); წებ-ოვან ტალახში (შალამბ., 13); ფერ-ოვან-ი არემარე (მრევლ., 49); სურნელ-ოვან-ი ობობას ქსელი (გალაკტ., 157); სად წინაპართა კლდ-ოვან-ი (გალაკტ., 340); ლაჟვარდ-ოვან-ი მტკვრის დუდუნი (ასათ., 350); ცის ფირუზ-ოვან სილაჟვარდეში (მირცხ., 58).

ბ) მოამტერეეს... ტყეს ლერწმ-ოვან-ებს (ლეონ., 231; მაჭავ. 246; ნიმნ., 207); სუფევენ ველსა მწვანილ-ოვან-ს ფერნი მრავალნი (ლებან., 103); შენ ბნელ-ოვან-ში გამინათე რწმენა (ჩიქოვ., 526); დამეფუშა ჩრდილ-ოვან-ი კარაეი (ჩიქოვ., 590); მთები ორთქლ-ოვან-ი ახალშობილივით (მაჭ., 219); ნისლ-ოვან-ი სერის წვერზე (ამირეჯ., 121); კაკლების ჩრდილი ათასწლ-ოვან-ი (აფხ., 627).

ქონების მაწარმოებელი აფიქსებიდან დღეს ყურადღებას იქცევს ა სუფიქსის ფუნქციური მრავალფეროვნება.

სპეციალურ ლიტერატურაში ძველი ქართულის დონეზე ა არ მიაჩნიათ ქონების მაწარმოებლად და არც ასახელებენ [3(52); 4(27)], მაგრამ ახალ სალიტერატურო ქართულში იგი საკმაოდ არის გავრცელებული, თანვე საჩინოა მისი ფუნქციების გაფარ-

თოება-გაბრდის ტენდენცია. სპეციალურადაა შესწავლილი ახალი ქართულის მიხედვით ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები. ესენია: კნინობითობის (გორ-ა), ქონების (თმაქოჩორ-ა), მსგავსების (ლომკაც-ა), დახასიათების (ქათქათ-ა), დაკონკრეტების (ასაწეველ-ა) და ზოგჯერ საგანთა დანიშნულების (ჩიგთოფ-ა) წარმოება. აქვე ნავარაუდევია, რომ ქონების, მსგავსებისა და დახასიათების აღმნიშვნელი ა სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია იქნებოდა ქონების გამოხატვა და იგი ქონების აღმნიშვნელ სხვა სუფიქსებში (ი–ან, ოვ–ან, ო–სან) გამოყოფილი ან ელემენტის თანხმოვანდართული ნაშთი შეიძლება იყოს. სწორედ ამ ან სუფიქსის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს ბუზღუნ–ა, ქერ–ა ტიპის სახელებში გამოყოფილი ა სუფიქსი [8(29)]. და მაინც, მისთვის ძირითადია თვისების აღნიშვნა, რომლის შესაბამისად შექმნილია მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა... სახელები. ა სუფიქსის ესოდენი გავრცელების მიზეზად მიჩნეულია მეცნიერების ამა თუ იმ დარგში ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილება [4(27)]. დავიმოწმებთ მხოლოდ თითო-ოროლა ნიმუშს:

თქვი, შაუთვალ-ა-ვ, არაბი ხარ? (კალანდ., 60); ჩემი ლურჯ-ა (მრეველ., 37); ერუნ-ა ქათამი (ჭიჭ., 90); ჰკოცნის ულვაშ-ა-ს ქოსა (ნიშნ., 36); შავტარ–ა დანით დაიკვლება (ლებნ., 185); ცოლი ეძახდა მუცელ-ა-ს (ჭანტ., 99); მგელმუხლ–ა-ს ნაუეხურები (ქურ., 184); ლალისფერ–ა, ქარვისფერ–ა დუღს (შანშ., 152); ინებეთ სიგარეტი - ჩხაკუნებს სანთებელ–ა (ნიშნ., 26); სათიბელ-ა-თი თიბავდა ბალახს (კალანდ., 288).

ედ სუფიქსიც ძველ ქართულშივე შედარებით იშვიათად ხმარებული მაწარმოებელი იყო. მიაჩნიათ, რომ იგი სალიტერატურო ენაში ქართულის ძირითადი და მასაზრდოებელი დიალექტიდან უნდა იყოს შესული [16(111)]. სპეციალისტების აზრით, ახალ ქართულში ედ, როგორც აფიქსი, მკვდარია; შემორჩენილია თითქმის მხოლოდ ძველიდან მომდინარე სიტყვებში, თუმცა საგულისხმოა, რომ დღევანდელ ქართულში ედ-ის ფუნქცია კვლავ გამოიკვეთა ცნებების აღმნიშვნელ ტერმინებში. თანამედროვე ქართული პოეზიის ჩვენება ერთხელ კიდევ აღასტურებს ამ დებულებას:

არ ვარ იცოდე ყბ-ედ-ი (ტაბ., 536); დამიმძარცხდა ყველა უჯრ-ედ-ი (მიწიმ., 777); ჩემი მგოსნობის მორბ-ედ-ი (ჯაბუშ., 274); მარადიული შარავანდ-ედ-ი (კალანდ., 118; აბაშელ., 46; ხარან., 63); სუთწლ-

ელ-ებში გაიზარდა (კილას., 189); თან წასაყოლი აბოლებული კამარ-ედ-ი (კილას., 92).

ქონების სახელთა მაწარმოებელი აფიქსების გამოყენებას დიაქრონიულ ასპექტში თუ განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ ძველ ქართულში პროდუქტიული **ოსან, ოვან, ედ** ახალში თანდათან კარგავენ წარმოების უნარს, მათი ფუნქციებიც იზღუდება. მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიისა თუ სპეციალური საჭიროებისათვის ისინი კვლავ იფართოებენ გამოყენების სფეროს. მეორე მხრივ, დღეს ძირითადი და პროდუქტიული გახდა **ან** და **ა** სუფიქსები. ეს უკანასკნელი მეტწილად გამოხატავს თვისებას ან გამოიყენება ცხოველთა სახელებში.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ პოეზიაში ქონების სახელთა წარმოება მრავალფეროვნებით გვეძლევა. **ან, ოსან, ოვან** სუფიქსების ძირითად ფუნქციად კვლავ რჩება მქონებლობის გამოხატვა. ამიტომაა, რომ ისინი ადვილად ცვლიან ერთმანეთს. მაგრამ ასეთი სემანტიკური იდენტურობა ყოველთვის როდი გვაქვს (შდრ. **ფრთიანი** და **ფრთოსანი, ბალახიანი** და **ბალახოვანი**). ამ სახის სემანტიკური გადახრები საფუძველს უქმნიან უფრო შორს მიმავალ სემანტიკურ ცვლილებებს, ისეთს, როცა ფორმებს ლექსიკური თვალსაზრისით არაფერი აქვს საერთო [17(192)].

დაზუსტებას მოითხოვს საკვლევი ჯგუფის სახელთა ტრადიციული ტერმინი „ქონების სახელები", რომლის პარალელურად იხმარება „ყოლა-ქონების სახელები" (ალ. ღლონტი), „მქონეობის სახელები" (ბ. ჯორბენაძე).

§3. უქონლობის სახელები

უქონლობის სახელთა მაწარმოებლებია **უ—ო** და **უ—ურ** (ულ) კონფიქსები. ისინი ერთნაირი წარმომავლობის არიან, მაგრამ ისტორიულად უფრო ძველია **უ—ურ**, რომელიც დღეს ნაკლებპროდუქტიულია. სამაგიეროდ, **უ—ო** ამჟამად ერთადერთია, როგორც ახალ სიტყვათა სადერივაციო აფიქსი (ა. შანიძე).

მართლაც, **უ—ო**-თი ნაწარმოები სახელები თანამედროვე ქართულ პოეზიაში უხვადაა წარმოდგენილი.

უ—ო უ-ვარსკვლავ-ო ღამეში მოჰქრის უ-აფრ-ო ნავი (აბაშელ., 50);

უ-ფრთ-ო ფრინველს მოპგაეს (ბერულ., 39): მეფე ჯდა უ-ხანულ-ო-დ და უ-ლახტ-ო-დ (მაჭ., 95); ეეფერები ამ უ-ჩრდილ-ო ნათელს (საჯ., 303); ბაგშეი უ-სახლ-ო და უ-დედმამ-ო [იყო] (გელოვ., 443); უ-ღედნ-ო-დ წევს მისი ლანდი (ჩიქოვ., 557); გავხდი უ-სამშობლ-ო (გამსახ., 622).

უ-ურ(ულ): უ-კაც-ურ ყურემი დგას კრეისერი (ლებან., 10); რად გინდა ლექსი უ-დღე-ურ-ი (მირცხ., 40); გზა იყო უ-დაბ-ურ-ი (გალაკტ., 60); ღამეა და უ-ღამ-ურ-ი ღამე (გელოვ., 416); მძაგს უ-წიგნ-ურ-იც (ლებან., 260).

ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში **უ–ურ** კონფიქსის ადგილი **უ–ო**-მ დაიჭირა, კერძოდ იქ, სადაც არ მოხდა მინაარსის შეცვლა. ზოგან კიდევ **უ–ურ** აუცილებელია, ამის გამო კიდეც წარმოიშვა ასეთი პარალელური წარმოება:

ბელი უ-ბედ-ურ-ს სხვას რაღას უზამს (ტაბ., 561); ძნელია უ-წიგნ-ო-დ ყოფნა (ნიშნ., 19).

შდრ. ბედმა უ-ბედ-ო-დ ბევრი ატარა (ტაბ., 549); ვცნობ უ-წიგნ-ურ-ებს მწარმოებლებს წიგნისას (ლებ., 200).

ამრიგად, საკვლევ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უქონლობის სახელთა წარმოება ახალ ქართულში თითქმის ერთფეროვანია — არ გვეძლევა ხელშესახები თავისებურებებით.[9] აქ ძირითადად ფუნქციონირებს **უ–ო** კონფიქსი, რომლის სინტაქსური ძალა ძველ ქართულთან შედარებით დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა.

§4. ხელობის სახელები

ხელობის ანუ მოსაქმეობის (ალ. ღლონტი) აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გამოიყენება **მე–ე**, **მე–ურ(ულ)**, **მო–ე**, **მო–არ**, **მე–არ** კონფიქსები. ამათგან ძირითადია **მე–ე**.

მე–ე: დახვალთ, დაცურავთ მე-ტივ-ე-ებად, მე-სტვირ-ე-ებად, მე-ჭურჭლ-ე-ებად (ჭელ., 52); პე, მე-ბორნ-ე-ე... (კალანდ., 177); ხალხო მე-ზერ-ე-ე, მე-ხიდ-ე-ე (ლებან., 39); წინ მე-ეტლ-ე-ე, ეგ ცხენები გააქანე (გალაკტ., 28); საქართველოს ლექსის მე-ხანძარ-ე-ნი (ლეონ., 213); მე-ეზოვ-ე-დ დაგაყენეს (ბერულ., 42).

მე–ურ(ულ): მე-ბად-ურ-ის ბინა... გემად იქცა (ჭელ., 49); მე-ზღვა-ურთან მიდის (ჭელ., 95); მომიგონებენ მე-განძ-ურ-ად (ლეონ., 315);

მე–არ: ხედავ ფერდობზე მე-თოხ-არ-ებს (ჭიჭ., 376).

მო–არ(ალ): ზოგი გახლდათ მო-ისარი (მაჭავ., 93); მისი მო-ბურთ-ალ-ი (ბერულ., 50); მო-ტირ-ალ-ი ქალ-რძალი (ლებან., 368).

სპეციალურ ლიტერატურაში ძიუითებენ, რომ ზოგჯერ მე-ე-სთან ფუნქციურად მკაფიოდ გამიჯნული არ ჩანს სიტყვის მაწარმოებელი მორფემა მო-ე. ისინი თითქმის თანაბრად წარმოქმნიან ხელობის აღმნიშვნელ სახელებს [18(114); 4(28); 19(185)]. მართლაც, საანალიზო ტექსტებში უხვად დასტურდება ამგვარად ნაწარმოები სახელები:

პოეტი იყო მო-სამართლ-ე (გალაკტ., 222); ვარ მო-კალმას-ე მეც აწინდელი (ტაბ., 573); სვანი ყოფილხარ მო-ნადირ-ე-ო (გელოვ., 435); მო-ბულბულ-ე მგოსნები უგალობენ (ამისულ., 326).

მო-ე და მე-ე კონფიქსთა ფუნქციურ იდენტურობაზე მეტყველებს ერთი და იმავე სიტყვის პარალელური წარმოების არსებობაც:

მე-ლექს-ე-ნიც მრავლდებიან (ჩიქოვ., 582; ლებ., 205).

შდრ. არც მო-ლექს-ე მყავს წინაპარი (ასათ., 359; ჭანტ., 66).

ამ ტიპის ზოგიერთ მაგალითში ხელობის გაგება ნაწილობრივ დაჩრდილულია, ზოგი ფორმა ანალოგიური წარმოებით ჩანს გამოწვეული, ანდა თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისათვის ნაკლებ დამახასიათებელია:

და დაანარცხე მე-ტოქ-ე (ნიშნ., 10); ფერი არ უბრუნდება მიწას - დიდ მე-ნაყოფ-ე-ს (ლეონ., 375); სტვენდა სტვირი, ფეხს უსვამდა მე-ღრეობ-ე (გაჩეჩ., 400); რომ ტაშის დამკვრელ გულგრილ მე-ტაშ-ე-ს ფიქრი აწუხებს (კახ.); მაგრამ არიან მე-მთერალ-ე-ნი სულ სხვა სისტემის (კომუნისტი, 1986, 29/IV);

შდრ. როგორც ირემი მო-იალაღ-ე (მოსაშ., 45); შენი ტუჩები მო-ყაბახ-ე-ნი (ლეონ., 163); იყავ შემტევი და მო-რევანშ-ე (ჭიჭ. 372); შენ ჩემში ჰპოვებ მუდამ ერთგულს და მო-ქომაგ-ე-ს (ცეცხ., 660).

ამგვარად, თანამედროვე ქართულ პოეზიაში დასტურდება სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები ხელობის სახელები. ღღეს განსაკუთრებით შესამჩნევია მო-ე კონფიქსის მოხმარების სფეროს გაფართოების ტენდენცია. როგორც შენიშნავენ, მო-ე-ს ამოსავალი ფუნქცია უნდა ყოფილიყო კუთვნილებისა და მონაწილეობის აღნიშვნა, შემდეგში მისი ძირითადი ფუნქცია გახდა ხელობის სახელთა წარმოქმნა [4(28)].

ხელობის აღმნიშვნელ სახელთა ჯგუფში აერთიანებენ მიმღეობისაგან ნაწარმოებ ფორმებსაც. ასეთ შემთხვევაში ამოსავალია ის საქმიანობა, რომელსაც ასრულებს ამა თუ იმ პროფესიის

45); მკაცრი სა-რწყ-ულ-ი პატიოსნება (ჭელ., 177); დგანან ქა-ფებით სა-რძე-ულ-ები (ლეონ., 173).

სა–არ (ალ): სა-თოს-არ-ში მიდის (ნიშნ., 238); სა-ტკივ-არ-ი მოუშუშ-და (გრიშ., 327); არა მქონია სხვა სა-ყუდ-არ-ი (ირ. აბაშ., 33); დავწერე წიგნი მშვენიერი და სა-ტერფ-ალ-ი (ლეონ., 314); ხან რხევა სა-მაის-არ-ი, ხან სა-კენეს-არ-ი დაირი (გალაკტ., 293).

ცნობილია, რომ **სა–ე — სა–ურ** და **სა–ო — სა–ურ** აფიქსები ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეს დაერთვიან და სხვადასხვა მნიშვნელობის სახელებს წარმოქმნიან (შდრ. სა-თავ-ე — სა-თავ-ო — სა-თა-ურ-ი) [4(28)]. მაგრამ პოეტურ მეტყველებაში ამგვარი მონაცვლეობა სემანტიკურ სხვაობას როდი იძლევა ყოველთვის. ამიტომაა, რომ ასეთ შემთხვევაში რომელიმე მათგანის შერჩევა-გამოყენება ენობრივ ნორმებს კი არ ექვემდებარება, არამედ ავტორის წერის სტილით უფროა განსაზღვრული. მაგალითად:

სა-კახეთ-ურ-ო ღრუბლებს (ლეონ., 229).
შდრ. უნდა თქვა ხმა სა-კახეთ-ო (იაშვ., 463).
მან სა-ცოლ-ე-დ დაირჩინა (აბაშელ., 43).
შდრ. ჩემი თეთრი სა-ცოლ-ო (გაფრ., 177, 187).
ვთქვათ მთლად სა-მზე-ო და სა-ნიავ-ე (გალაკტ., 388).
შეახამეთ სავსე სა-სმ-ის-ს (გალაკტ., 386).
შდრ. სა-სმ-ურ-ი ასწია დადიანმა (ასათ., 381).

ლექსიკური თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ფორმები: ეს სიმღერაა მზის სა-სალამ-ო (კალანდ., 197); ჩაქაფულ ძროხის სურნელი სა-ნოყიერ-ო (ლეონ., 172); შენი სიტყვა სა-მყვირ-ალ-ო (ლეონ., 286); მოსკოვმა შთანთქა ძვალნი მისნი სა-ტანძი-ე-ნი (მაჭავ., 14); რომ ჩემს გონებას, მძლეს სა-ნატრ-იონ-ს (გრიშ., 308).

მიუთითებენ, რომ **სა–ე, სა–ო** აფიქსებით ნაწარმოებ სახელებში შეიძლება დანიშნულების გაგება დაბნელდეს. დასახელებულია რამდენიმე ამგვარი ნიმუში: **სათავე, საუკუნე** (ა. შანიძე), **სალამო, სა-უნჯე** (მ. ტუსკია), ასეთად მიგვაჩნია აგრეთვე: **საწუთრო, საარაკო** (სილამაზე), **სასახელო** (ხალხი), **საძნელო** (საქმე) და ა.შ.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში დანიშნულების სახელთა საწარმოებლად უმრავლეს შემთხვევაში დასტურდება **სა–ო** კონფიქსი.

§6. გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიული სახელები სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა

წარმოშობისაა (ა. შანიძე), მაგრამ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა სალერივაციო აფიქსების გამოყენების შემთხვევები.

წინასწარვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის სახელთა წარმოება თანამედროვე ქართულში არ გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. შესაბამისად, იგი საანალიზო ტექსტებშიც არ გვეძლევა სხვადასხვაობით.

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლებია: **ეთ, ით, სა–ეთ, სა–ო.**

ეთ დაერთვის საზოგადო სახელის ფუძეს, ზოგჯერ კი — ტოპობრივ და ეთნიკურ სახელებს და ამათგან აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს:

არაბ-ეთ-ის მიდამოები (შანშ., 140); სპარს-ეთ-ს და ოსმალ-ეთ-ს შუაზე გაუყვიათ (ლებან., 13); სვან-ეთ-ში ბევრია მწვერვალი (ჩიქოვ., 489); თუ ბულგარ-ეთ-ში მეტყოდა ვინმე (სულაკ., 98); სადაც მოკლულ ოცნებით ღიმილისთვის ჩავედი/შორს კი ხევსურ-ეთია, თუმ-ეთ-ი და ფშავ-ეთ-ი (გალაკტ., 112).

ით: სომხ-ით-ის მთავარს ეახლა (ლებან., 251).

სა–ეთ: სა-თათრ-ეთ-ს[10] გადავევარდები[11] (ლეონ., 196); მე უნდა მოვკვდე სა-ფრანგ-ეთ-ისთვის (ნიმნ., 28).

სა–ო: სა-ჯავახ-ო-დან ბერძნის წყარომდე (კალანდ., 40); ინდოეთს ვუმღერ სა-რუსთველ-ო-დან (ირ. აბაშ., 16).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულში ხელშესახები ფაქტია **ეთ** სუფიქსიან სახელთა ერთი ახალი სემანტიკური ნიუანსის მოჭარბება.

სპეციალურ ლიტერატურაში **წყლეთი** ტიპის სახელები ხელოვნურ ფორმადაა მიჩნეული (ა. შანიძე), შენიშნულია აგრეთვე, რომ **ვარდეთი, თოვლეთი** და მისთანანი უპირატესად მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება და საერთო გავრცელება ჯერ არ მოუპოვებიათ [4(28)].

ამ კატეგორიის სახელები **მკვდრეთი, ჯოჯოხეთი** ძველი სალიტერატურო ენიდან მომდინარეობენ, ამათი ანალოგიური ფორმები: **სულეთი, შავეთი, ბნელეთი, სმაჭამეთი...** დაცულია ხალხურ მეტყველებაში ან დადასტურებულია ქართულ კლასიკურ მწერლობაში (რუსთაველი, ვაჟა).

ირკვევა, რომ ახალ ქართულში ეს წარმოება ყალიბდება, როგორც პროდუქტიული ენობრივი მოვლენა, რომელმაც მეტი გავ-

რცელება მოიპოვა XX საუკუნიდან. თუ 50-იან წლებამდელ ქართულ პოეზიაში ძველიდან მომდინარე ფორმების გვერდით თითო-ოროლა ახალი ნიმუში (მზისეთი, სავარსკვლეთი) მაინც გამოელინდა, თანამედროვე ქართული პოეზია უკვე უხვად წარმოაჩენს ამგვარ ფორმებს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო ძრავალფეროვანია საბავშვო პოეზია [7(12)]:

ყინულ-ეთ-ი მოვიარეთ (მრეელ., 35; ჭიჭ., 194); თაფლის სუნით გაჟღენთილი მზიან-ეთ-ის ველი (ქიტ., 94); სეთა მწვანე ქალაქი - კოსტა ჩიორ-ეთ-ი (ჭიჭ., 194, 186); და ძილ-ეთ-ის ბაღებს (კერეს., 43); მოინათლა ის სოფელი და დაერქვა შარდომ-ეთ-ი (კერეს., 77); ვინც შორ-ეთ-იდან იწვეედა მერცხლებს (მაჭავ., 353); დიდი თოვლი ყოფილა, დიდთოვლობა ყოფილა/თოვლ-ეთ-ი ყოფილა (ჯგუბ., 17); კალი-ეთ-ის მკალაეი ვარ (ჭიჭ., 212); გამომიელია მორ-ეთ-ი (წერ., 26).

ასეთი წარმოება სა პრეფიქსითაც შეიძლება იყოს გართულებული:

გაქრა მთელი სა-ციყვ-ეთ-ი (ჭიჭ., 144); სა-თაგვ-ეთ-ისკენ გამოსწია (მრეელ., 10); სა-მღაპრ-ეთ-ის უცნაური ამბებისგან გაოცდები (გურგ., 23).

ეთ სუფიქსიანი ამგვარი ფორმები თითქოს უფრო მარტივი და მოხერხებული ჩანს. ერთ-ერთი საბავშვო წიგნის სათაურშიცაა ეთ-იანი წარმოება: „წერილები სიმღერ-ეთ-იდან“ (ც. ქიტიაშვილი). აქ სიმღერეთი ბავშვობის ქვეყანაა, ბავშვობისა, როცა ყველაფერი სიმღერად და გართობად გვეჩვენება.

დღეს ნებისმიერი სახელიდან შეიძლება ვაწარმოოთ ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი, რომელიც ზოგჯერ სა პრეფიქსითაა გართულებული:

ეთ: და სიზმარ-ეთ-ში მეხატება ძველი ცხოვრება (მიწიშვ. 753; ნონეშვ. 495; ჭელ. 17; გალაკტ. 140); მიყვარდა აგარაკის დღეობა — ჰაერ-ეთ-ი (გრიშ., 292); ემღერი მეც იმ ვარსკვლავ-ეთ-ზე (ირ. აბაშ., 12); შორს დარჩა საქართველო და ველ-ეთ-ის ველები (ჩარკვ., 301); ამ ყინულ-ეთ-ში გაისმის ხმა (ხარან., 10); მიყვარს არწივიანი ორბ-ეთ-ი (ლეონ., 303); ეხლაც არის... ყველა მდინარე და ოქრო-ეთ-ი (გალაკტ., 274); გვინდა მეტი კაკაბ-ეთ-ი; ხოხობ-ეთ-ი(ნიშნ., 114).

სა-ეთ: შენ ხარ ყვითელი ვით სა-გიე-ეთ-ი (გაფრინ., 189); ჩემი სამშობლო არტაანია და სა-მღერ-ეთ-ი (ასათ., 403); სა-რკინ-ეთ-ში ჯრდემლზე სცემენ უროს (ასათ., 408); ალგეთი, თრიალეთი, — მგლის სა-ლეკე-ეთ-ი (ნიშნ., 332).

ეთ სუფიქსიან ამგვარ სახელთა გამოყენება ავტორის ენის სტილურ თავისებურებაზე მიუთითებს. ამიტომაა, რომ ტექსტებში ვხვდებით ასეთი პარალელური წარმოების ნიმუშებს (ერთი და იმავე პოეტის ნაწერშიც კი):

ისმობდა თეთრი სულ-ეთ-ი (ჭილას., 97).
შდრ. ნეტარ რომ იმკვიდრეთ სა-სულ-ეთ-ი (იქვე, 6).
სხივმაღლიანი ჩვენი მზის-ეთ-ი (აბაშელ., 84).
შდრ. მზე წასულა სა-მზევ-ეთ-ში და ქლიავს ამწიფებს (ჭილას., 27).
ვარსკვლავ-ეთ-ში დრო კუსავით მიჩოჩავს (ნიშნ., 237).
შდრ. რაღაც ხდება სა-ვარსკვლავ-ეთ-ის წიაღში (ცეცხლ., 720).

საანალიზო ტიპის სახელთა მოხმარების სიხშირით გამოირჩევა ლ. ასათიანის, გ. ტაბიძის, შ. ნიშნიანიძის, ნ. ჭილასონიას პოეზია. მიუხედავად ასე ფართო გავრცელებისა, თოვლეთი ტიპის წარმოება ჯერჯერობით მაინც სამწიგნობრო ენის კუთვნილებად რჩება.

§7. ხარისხის სახელები

თანამედროვე ქართულში ხარისხის სახელთა წარმოება სხვა ჯგუფებთან შედარებით არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით ეს ითქმის ოდნაობითის ფორმებზე.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ხარისხის ორი ფორმა არსებობდა: დადებითი (ძირეული) და უფროობითი, ოდნაობითს ძველი ქართული სალიტერატურო ენა არ იცნობდა (ა. შანიძე).

უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი თავდაპირველად იყო უ-ჱს, შემდეგ კი მისი გამარტივებული სახე — უ-ეს; ზოგიერთ ფუძესთან — უ-ოჲს>უ-ო (უმჯობჱსი, უტკბოჲსი> უმჯობესი, უტკბოსი//უტკბესი).

უფროობითი ხარისხის ფორმა იწარმოება სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან. ახალ ქართულში ხარისხის წარმოებამ შეიძინა ოდნაობითის გაგებაც. მისი მაწარმოებელია მო-ო კონფიქსი (მო-დიდ-ო). ოდნაობითი ხარისხის ფორმები დღეს უფროობითთან შედარებით ქართულში ნაკლებად არის განვითარებული (ა. შანიძე).

სპეციალურ ლიტერატურაში ოდნაობითი, როგორც ხარისხის ფორმა, პირველად გამოყო ა. ყიფშიძემ. ოდნაობითის ფორმები ქართველურ ენებში მეტ-ნაკლებად არის გავრცელებული (ყველაზე ხშირია ქართულში, შემდეგ — მეგრულში და ბოლოს —

სვან.ურში). ოდნაობითი ხარისხი (დღეისდღეობით ფორმითაა და გაგებით — ჟფ.) ძველ ქართულში არ გვხვდებოდა, XII-XIII საუკუნეებში იშვიათია, ახალში — შედარებით ხშირი [22(49)].

საანალიზო ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XIX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში (რომანტიკოსების ენაში) ხარისხის წარმოება მხოლოდ უფროობითის ფორმებით იყო წარმოდგენილი. თუმცა არც ის გამოირჩეოდა სიხშირითა და მრავალფეროვნებით. თანამედროვე ქართულ საბავშვო პოეზიაშიც თითქმის ამგვარი ვითარებაა, ამჯერად წარმოდგენილ მასალაში კი აშკარაა ხარისხის სახელთა მოხმარების სფეროს გაფართოება.

უ-ეს უ-ნატიფ-ეს-ი ენა ქართული (მაჭავ., 118); ცა უ-მჭვირვალ-ეს არის აქაგის (ლებან., 235); გამიხსნა გული უ-გრძნეულ-ეს-მა (კალანდ., 116); ეს თეატრია უ-ნამდილ-ეს-ი (გაფრ., 200); ეს იყო ღამე უ-ელვარ-ეს-ი (ცეცხლ., 691); რაც დმწეელია და უ-მძიმ-ეს-ია/უ-სპეტაკ-ეს-ი და უ-წმინდ-ეს-ია (ჭელ., 164).

მო- და ამოძვრა მო-ყვითალ-ო ფუჩეჩიდან (მაჭავ., 203); ქროდა მო-ლიბრ-ო ქარი (კალანდ., 39); მო-ლურჯ-ო მთებში გულაღმა იწვა (სულაკ., 106); მო-გრძ-ო თვალები... სევდით ამოვსებული (ცეცხლ., 683); მზერა მო-ლაქვარდ-ო, მოკრიალე (ჭელ., 301); შეუერთდა ზეცას მო-იისფრ-ო კვამლი (ჭანტ., 122); ვით მო-ხულიგნ-ო თაეხედი ბიჭი (კალანდ., 235).

ცნობილია, რომ ხარისხის მაწარმოებელი აფიქსების დართვით სიტყვის ფუძეში ხდება ცვლილება: მოიკვეცება ფუძის ბოლოკიდური მარცვალი (ამგვარი ნიმუშები საკვლევ ტექსტებშიც დაიძებნა), ზოგჯერ კი საპირისპირო მოვლენასთანაც გვაქვს საქმე: წარმოების საერთო წესით შეპირობებული მოსალოდნელი ცვლილება სიტყვაში არ ხდება, რაც ნაწილობრივ პოეტური ენის სპეციფიკურობითაც უნდა აიხსნას. დავიმოწმებთ ზოგიერთ ნიმუშს:

უ-მშვენ-ეს-ი და უ-ნარინჯ-ეს-ი იყავ, მამულო (საქ. ქალი, 1986, № 1, ასევე: გაჩეჩ. 427); უ-ტკბილ-ეს დღეთა, უ-ტკბილ-ეს წამთა უ-ტკბ-ეს-ი შენ ხარ (ირ. აბაშ., 33); უ-ტკბ-ეს მღაპარს ის მიამბობს (ჭელ., 32; ასევე: ლ. ასათ., 350); იმ ჯოჯოხეთზე უ-ტკბ-ეს-ია[12] აბობოქრება (გალაკტ., 155); მო-თაფლისფერ-ო[13] სახე მამების (ცეცხლ., 80).

ცალკე უნდა გამოიყოს აგრეთვე უძველესი ტიპის უფროობითი ხარისხის ფორმათა წარმოება. თანამედროვე პოეტურ მეტყველებაში ამგვარი ნიმუშები უცხო არ არის (გამონაკლისია საბავშვო პოეზია). თითქმის ყველა ავტორი იყენებს მას მეტ-ნაკლებად

(განსაკუთრებით ხშირად გალაკტიონი, ა. კალანდაძე, მ. ლებანიძე). ასეთ ფორმათა საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს პოეტური ენის სპეციფიკურობა, სტილური თავისებურება (ამ ფორმაში უფრო ძლიერია სიტყვის ექსპრესიული მხარე):

ჩვენია იგი მომავალი უ-უ-დიდ-ეს-ი (გალაკტ., 363); მქონია განცდა უ-უ-კვდავ-ეს-ი (მოსამვ., 37); უ-უ-ძველ-ეს-ი ვარსკვლავი კრთოდა (კალანდ., 177; ასევე: გალაკტ., 236, 1928; ლებ., 231); გმადლობ, გამჭვედე რკინად უ-უ-რკინ-ეს-ი რკინის (ლებან. 108); ჰანგი შიშველ მონების, აბრი უ-უ-მაღლ-ეს-ი (კილ., 181).

როდინდელი წარმონაქმნია უუ-ველესი ტიპის ფორმები? ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: 1) „შეიძლება ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმას წინ დაერთოს კიდევ მეორე უ(უ-უ-დიდ-ეს-ი...), მაგრამ ეს არის ხელოვნური ფორმა. ასეთ უფროობითს გაძლიერებული ეწოდება“ [1(140)];

2) აქა-იქ გეხვდება უუ პრეფიქსით წარმოებული ხარისხის ხელოვნური ფორმები, უფრო ხშირად მ. ჯავახიშვილი ხმარობდა მას [23(51)].

ირკვევა, რომ ძველ ქართულს საანალიზო ტიპის წარმოება არ ახასიათებდა, იგი გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს. ჩვენი მასალების მიხედვით, XX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში თითოოროლა ნიმუში გამოჩნდა, შემდეგ კი თვალსაჩინო გახდა. დღეს კიდევ უფრო აშკარაა მისი პროდუქტიულობა.

§8. წარმომავლობის სახელები

წარმომავლობის აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება ელ, ურ, ოურ, დელ, ეულ სუფიქსები, თუმცა უძველესი ქართულისათვის ოდენ პრეფიქსულ წარმოებას ვარაუდობენ. წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსების ფუნქციასა და გენეზისს ლინგვისტიკაში ბევრი მკვლევარი შეეხო. ახლახან დაიბეჭდა ა. კიზირიას შრომა „წარმომავლობის სახელები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ (იკე, XXIII, 1985წ.), სადაც დაწვრილებითაა წარმოდგენილი ამ აფიქსთა შესწავლის ისტორია, ყურადღებაა გამახვილებული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მათი გამოყენების შემთხვევებზე.

ელ გამოხატავს ადამიანთა სადაურობას, რაიმეს მიმდევრობას

ანდა პროფესიას:

ფორლს ეკიბრება პუტალოვ-ელ-ი (მირცხ.. 48); და ყანწ-ელ-ები გლოვობენ ჩიბის (გაფრინდ., 199); მტკიცე ლენინ-ელ-ი (ნიშნ., 139); რკინიგზ-ელ-ის ხმაც გაისმის ამაყად (სულაკ., 181); ერთმა მწყემსმა შირაქ-ელ-მა (ტაბატ., 32); მამა მაღარო-ელ-ი (ჯღამ., 16).

ურ(ულ) სუფიქსს ახალ ქართულში რამდენიმე ფუნქცია აქვს. იგი გამოხატავს თვისებას, მასალას, მსგავსებას, ნივთის სადაურობას. ამათგან ძირითადია თვისების აღნიშვნა:

ბაღი ბოტანიკ-ურ-ი (მაჭავ., 60); ჭაბუკ-ურ-ი ჭეშმარიტება (ჩარკვ., 319); მე თვალს ვაყოლებ შენს ღამ-ურ კვნესას (გაფრინდ., 189); მმე ჩადიოდა წითლ-ურ-აღ (ლეონ., 389); მე ერთი მქონდა... კადნიერება არწივებ-ურ-ი (ასათ., 393); გურ-ულ-ი ოდა, გურ-ულ-ი ფაცხა (ცალაკტ., 284); ბავშვ-ურ-ი ასაკი (შალამ., 31); ხევსურ-ულ კაბას ჩავაცმევ (ჩარკვ., 40).

ეულ აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთვის (ზოგჯერ ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია):

იცნეს ირონია მამის-ეულ-ი (ხარნ. 16); დაუდგიათ სახლი მამაპაპ-ეულ-ი (ლებან., 164); ხატი ბრუნაედა თამარის-ეულ-დროის დიდებით (ლეონ., 324); სიზმარ-ეულ ტაძრებს ეხედაეთ (ჩარკვ., 153).

როგორც მართებულადაა აღნიშნული, დღეს **ეულ** სუფიქსი იფართოებს მოქმედების არეს, იგი გეველინება ახალი ფუნქციითაც — გამოხატავს ჯიშსაც, რომელიც სხვადასხვა სახის საგნებს აერთიანებს. მართლაც, თუ რომანტიკოსების თხზულებებში **ეულ** სუფიქსი წარმოდგენილი იყო ძველიდან მომდინარე სამიოდე სიტყვაში, XX საუკუნის (და განსაკუთრებით თანამედროვე) ქართულ პოეზიაში აშკარად იგრძნობა მისი სიხშირე (მოჭარბება) **ბოსტნეული** ტიპის ფორმებში:

უწყვია ბოსტნ-ეულ-ი და კვერცხები (ლეონ., 306); რა მარცელ-ეულ-ი, რა ხილი (ჭიჭ., 131); ბაღ-ეულ-ი, ბაღჩ-ეულ-ი გაზაფხულმა ააყვავა (წერ., 23); თევზ-ეულ-ი შემოაკლდათ (ლებან., 348); უნდა ნახოთ ხორც-ეულ-ი (ჩარკ., 62); მოდის გასაყიდი თონ-ეულ-ი, ხილ-ეულ-ი, ფართლ-ეულ-ი (ჭელ., 246); ტყავ-ეულ-ი აცვიათ (ნიშნ., 238).

იურ (**იულ**) რთული მაწარმოებელია (ივ+ურ). იგი შემონახულია ძველი ქართულიდან მომდინარე სიტყვებში. ამდენად, **იურ** დღეს არაა პროდუქტიული აფიქსი:

ხმა მშობლ-იურ-ი[14] მე დღეს მეღირსა (ტაბ., 609); ზეც-იურ-ი თა-

ქაჩი (ჯრიშ., 285); იყო რაღაცა იმქვეყნ-იურ-ი (კალანდ., 48); ჰიწ-იურ-ი საქმისათვის (ჭიჭ., 157); ძრწოდეთ კერპებთ... ძალსით ც-იურ-ნო (ქუჩიშ., 107); ვარდი ტკ-იურ-ი (ლებან., 98, 120, ასევე: ჭილ., 388; კილას., 69).

დელ სუფიქსიც რთული წარმოშობისაა (დღ-ელ-ი). იგი გამოიყენება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან:

გუშინ-დელ-ი ნაწვიმარი მეჯონა (ცავარელი, 411); როგორც თოვლი შარშანდ-ელ-ი (ბერ., 44); უწინ-დელ-ი მეც მომწონდა (ჩიქ., 318).

როგორც ვხედავთ, საანალიზო მასალებში წარმომავლობის ყველა აფიქსი დადასტურდა მეტ-ნაკლები სიხშირით. ისინი ძირითადად ძველი ქართულის მსგავსად ფუნქციონირებენ. გამონაკლისია მხოლოდ ბოსტნეული ტიპის წარმოება, რომელიც თანამედროვე ქართულის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

წარმომავლობის სახელები წარმოების სხვა ჯგუფებთან შედარებით ხელშესახები თავისებურებებით არ გვეძლევა. ზოგიერთი შემთხვევა თითქოს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს (განსაკუთრებით საბავშვო პოეზიაში), მაგრამ მათი არსებობა თანამედროვე ენაში მაინც რეალური ფაქტია და დამკვიდრების შანსიც ექნებათ პოეტური სტილიზაციის წყალობით. მაგალითად:

დუმს ველი ერც-ეულ-ი (კალანდ., 133); განა ნამყენები არ გინახავთ ბაღ-ელ-ებს (ბაღის ბაღშვებს - ე.ფ.); მთიბლ-ურ-ი მთიბავების სიმღერაა (წერ., 21); კურდღლ-ურ-ი ჩავაბარე ხუთზეო (ჩარკვ., 73); ზევით კალო, ქვევით კალო, კალოებსა ძნ-ეულები (კერეს., 55); ვინ დაიტიროს ვრც-ეულ-ი მოძმე (კალანდ., 211); ლებან-ეურ-ის ჯიში გაცლილა (ლებან., 116).

§9. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტული (ანუ განყენებული) სახელების საწარმოებლად ქართულში გამოყენებულია ება, ობა სუფიქსები და სი–ე, სი–ო კონფიქსები.

ება და ობა აბსტრაქტულ სახელებში მიჩნეულია მასდარისაგან მომდინარედ, კონფიქსებიდან ძირითადია სი–ე, ხოლო სი–ო მისი ფონეტიკური ვარიანტია. ეს უკანასკნელი მოხმარებითაც შედარებით იშვიათია.

ება და სი–ე ძირითადად ადიექტივის ფუძეებისაგან აწარმოებენ განყენებულ ცნებას, ობა კი დაერთვის სუბსტანტივებს, მოქმე-

ლებითი გვარის მიმღეობათა უუძეებს და წარმოქმნის გასაკუთრებულ ან კრებით სახელებს.

ება: ცბიერ-ება, ძლიერ-ება მატყლობს (ირ. აბაშ., 14); ძე გამაღვიძა ბარდნის მშვენ-ება-მ (ლებან., 364); მზერით ბოროტ-ება-ს გაყინავ ხოლმე (კალანდ., 367); პატიოსნ-ებ-ა ტწამთ (ტაბ., 586).

ობა: დღე-ობ-ები, ძე-ობ-ები ხდება წარამარა (მაჭავ., 63); სიყვარულის თოვლ-ობა (ჩარკვ., 30); ვარდფურცლ-ობ-ის დარია (კალანდ., 25); ლოთ-ობა ჩემი სტიქიაა (ტაბ., 521); გარეშე მაისურ მაის-ობისა არ უნდა (ლეონ., 201); მსურს მინდორ-ობა ირემზე მაშინ (ჩიქოვ., 503).

სი-ე: სი-ბერ-ე-ში დაფასდა (ჩარკვ., 39); ძვირად ღირს სი-ბრძნ-ე სიჭარმაგის (ხორან., 139); არ მოგწონს ეს სი-ძვირფას-ე (ცეცხლ., 689); ეს სი-ზარმაც-ე-ს მივაწერო, თუ სი-ჩქარ-ე-ს (მირცხ., 15); აღარა მაქვს სი-ემხ-ე... ხალისი (გრიშ., 285).

სი-ო: დედაენის სი-ტკბ-ო-ს შევიცნობთ (ლებან., 217).

ასეთი ორდინარული ფორმების დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა პარალელური წარმოების ნიმუშები **ება // სი-ე, ობა // სი-ე** აფიქსებიანი:

ა) მშვენიერ-ება-ს და ცბიერ-ება-ს იერთებ (ჭელ., 119); ბიწიერ-ება - აღრჩობს ქვეყანას (ნიშნ., 19); მწუხარ-ება-ს ინახავს ღამე (ნონეშვ., 28); მხიარულ-ება სუფევს ყველგანა (ჭანტ., 17);

შდრ. რომ აგიცსო სი-მშვენიერით (ხარან., 114); მე ვემალები ქვეყნის სი-ბიწ-ე-ს (ლეონ., 322); შენს ტუჩებზე სი-მწუხარ-ე-ა (აფხ., 625); თავი დაიხრჩო სი-მხიარულ-ე-მ (გრიშ., 347); მეტი სი-ცბიერ-ე, მეტი აფიორა (ნიშნ., 37);

ბ) ვიცი მძიმეა ეს გულწრფელ-ობა (ნიშნ., 136); არც ბრძნ-ობ-ით გამოირჩევა (ლებან., 273); იყო ობლ-ობა და შეცოდება (გალაკტ., 47); და ყვავილობის არის მრაელ-ობა (გალაკტ., 65).

შდრ. ცა გვიცქერს სი-გულწრფელ-ე-თი (გალაკტ., 414); ხოგბაშია სიბრძნის გამო (მაჭავ., 35); საშანდარი ტიროდა სი-ობლ-ე-ს (ლეონ., 269); სი-მრაელ-ე ჰქვია? (მაჭავ., 59).

პარალელური ფორმები უხვად დაიძებნება ერთი და იმავე ავტორის ნაწერში, ერთსა და იმავე ფრაზაშიც კი:

შენი ბალღობის და სი-ყრმის მხარე../ყრმ-ობ-ის სიზმრებში მიემართება (სულაკ., 76); ბედის წიგნში ჩამეწერა ობლ-ობა და სიავაგლახ-ე (ჩიქოვ., 588); სადაც დახვდება სი-მშვიდ-ე და მშვენიერ-ება (ჩარკ., 271).

საანალიზო მასალაში დადასტურდა ამგვარი თავისებური წარმოების ნიმუშებიც:

მარადი ზეიმ-ობა შენს სულს მოსწყინდა (გაფრინდ., 182); ოცნების ღამეში ლაღ-ობა (გაფრინდ., 211); ჩემს სულში ავ-ობ-ით მძვინვა-

რეს (გალაკტ.. 113); კანძი მომაქვს როგორც კვთილ-ობა (მირცხ.. 76); მოდის ყამირის ჯანსაღ-ობა ჯერ არნახული (თარიმ.. 179); გრძნობათა სი-მაის-ე-ვ (გალაკტ.. 280); მხოლოდ სიჩმარშია სი-უბრალო-ე (გალაკტ., 315); დამჩემდა დარდი სი-გულმავიწყ-ე (გალაკტ.. 385); დროსტარება, სი-ამტკბილ-ე ქორწილს როდი დასცილდება (ჭელ., 263).

პირველ შემთხვევაში გამოვლენილი პარალელური ფორმების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ წარმოების ანალოგია, კერძოდ, ის ფაქტი, რომ **ება** და **სი–ე** ძირითადად თვისების ან ნიშნის გამომხატველი ზედსართავების ფუძეებისაგან აწარმოებს განყენებულ ცნებებს, თორემ იერ სუფიქსიანი ზედსართავებისაგან არ უნდა იყოს წარმოქმნილი **სიმშვენიერე, სიმწუხარე, სიკბიერე** და მისთანანი.

რაც შეეხება **ობა** და **სი–ე** აფიქსების პარალელურ გამოყენებას, აქ ანალოგიური წარმოება არაა საგულვებელი, რამდენადაც **ობა** ძირითადად არსებით სახელთაგან აწარმოებს განყენებულ ცნებებს, **სი–ე** კი — ზედსართავებისაგან. როცა ამ წესის გათვალისწინებით შევამოწმეთ საკვლევი ტექსტები, აღმოჩნდა, რომ **გრძნობა, მრავლობა, ლაღობა, კეთილობა, ჯანსაღობა**... არ იყო მოსალოდნელი. საგანგებოდ გამოვითვალეთ, აგრეთვე, ზოგიერთი ამგვარი პარალელური ფორმის სტატისტიკა ხმარების სიხშირის მიხედვით. თანაფარდობა ასეთია: სიმარტოვე — 12, სიყმაწვილე — 16, სიყრმე — 19, სიჭაბუკე — 21. შდრ.: მარტოობა — 8, ყმაწვილობა — 1, ყრმობა — 26, ჭაბუკობა — 1.

ახალ ქართულში აბსტრაქტულ სახელთა ყველა მაწარმოებელი ერთნაირი სიხშირით არ გამოიყენება: **ება**-თი ნაწარმოები სახელები უფრო მცირეა, ვიდრე **ობა** და **სი–ე** აფიქსებით წარმოქმნილი. ამ მხრივ თითქმის არ სხვაობს XIX საუკუნის I ნახევრისა და XX საუკუნის პოეზია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა აფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები (**ცბიერება—სიცბიერე** ტიპისა).

თანამედროვე ქართული პოეზიის ჩვენებით, **სი–ე** კონფიქსიანი წარმოებაა გაბატონებული.

ძველ ქართულში **სი–ე** უფრო ხშირად გამოიყენებოდა. დღეს აქა-იქ მისი ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს **ება** და **ობა** (შდრ. სიკოხტავე—კოხტაობა; სიმშვენიერე—მშვენიერება). ამგვარი წარმოება თანდათან იკაფავს გზას, თუმცა ასეთ შემთხვევაში ნორ-

ად მიჩნეულია სი–ე კონფიქსი.

შენიშვნა: საანალიზო ტექსტების მიხედვით შეინიშნება სხვა მსგავსი ჯგუფებიც: მათი წარმოება არ ავლენს რაიმე სპეციფიკურ თავისებურებებს, ამიტომ სპეციალურად მათზე აღარ შევჩერდებით. კელევის შედეგებს გავითვალისწინებთ საკითხის საბოლოო ანალიზის დროს.

დასკვნა: ამრიგად, განვიხილეთ სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართული პოეზიის მიხედვით. ირკვევა, რომ სიტყვაწარმოების ძირითადი მოდელი ახალი ქართულისაა, მაგრამ თანვე ხელშესახებია ზოგიერთი თავისებური წარმოება და სადერივაციო აფიქსთა განსხვავებული ფუნქციონირებაც.

მრავალფეროვანი გახდა მოფერება-ალერსის გამომხატველი აფიქსების ფორმა, ფუნქცია და გამოყენების სფერო (ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საბავშვო პოეზია).

გეოგრაფიულ სახელთა ჯგუფში შესამჩნევად გააქტიურდა თოჯლეთი ტიპის ფორმები.

აბსტრაქტულ სახელთა ძირითად მაწარმოებლად დომინანტობს სი–ე კონფიქსი.

ძველ ქართულთან შედარებით დღეს ყურადღებას იქცევს უდიდესი ტიპის წარმოების პროდუქტიულობა.

თანამედროვე ქართულის სიტყვაწარმოების ნეოლოგიზმად შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი კერძოობითი მოვლენა; საგრძნობია ელა, უნია, უნა, იკო, იან, ეთ, ა, მე–ე, მო–ე, ობა, სი–ე, სა–ო, ნა–არ, ნარ აფიქსთა მოხმარების სფეროს გაფართოება.

საზოგადოდ, წარმოების მრავალფეროვნებით გამოირჩევა გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ა. კალანდაძის, ნ. კილასონიას, მ. ლებანიძის, მ. მრევლიშვილის, ნ. კერესელიძის, გ. ჭიჭინაძისა და სხვათა ქმნილებანი.

თანამედროვე (70-80-იანი წლების) ქართული პოეზია გვეძლევა უფრო მეტი მრავალფეროვნებითა და წარმოების ახალი მოდელებით, ვიდრე XX საუკუნის I ნახევრისა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დიდად არ განსხვავდება რომანტიკოსების ენისაგან.

საანალიზო ტექსტების მონაცემებით დაზუსტებას მოითხოვს ზოგიერთი ტერმინი.

გამოვლენილი თავისებურებანი ნაწილობრივ შეიძლება მოტივირებული იყოს პოეტური სიტყვის სპეციფიკურობითა და მწერლობის ჟანრის ხასიათით.

შემოკლებათა განმარტება

აბაშ.ლ. — აბაშელი ალ., ქართული პოეზია, ტ. 12, 1982.
გ. აბაშ. — აბაშიძე გრ., რჩეული ლექსები, თბ., 1982.
ირ. აბაშ. — აბაშიძე ირ., რუსთაველის ნაკვალევზე, თბ., 1965.
ამის. — ამისულაშვილი ს., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
ამირეჯ. — ამირეჯიბი შ., ქართული პოეზია, ტ. 12, 1982.
ასათ. — ასათიანი ლ., ქართული პოეზია, ტ. 15. თბ., 1984.
აფხ. — აფხაიძე შ., ქართული პოეზია, ტ. 12, 1982.
გალაკტ. —ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1982.
გამსახ. — გამსახურდია კ., ქართული პოეზია, ტ. 12, 1982.
გაფრინდ. — გაფრინდაშვილი ე., ქართული პოეზია, ტ. 12, 1982.
გაჩეჩ. — გაჩეჩილაძე ნ., ქართული პოეზია, ტ. 12, 1982.
გრან. — გრანელი ტ., ქართული პოეზი, ტ. 4.
გრიშ. — გრიშაშვილი ი., ქართული პოეზია, ტ. 12, 1982.
გელოვ. — გელოვანი მ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
თევზ. — თევზაძე ნ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ. 1984.
იაშვ. — იაშვილი პ., ქართული პოეზია. ტ. 12, თბ., 1982.
კალანდ. — კალანდაძე ა., რჩეული, თბ., 1976.
კახ. — კახიძე მ., „ლიტ. საქართველო", 1986, 3/VI.
კილას. — კილასონია ნ., ლექსები, თბ., 1979.
ლებან. — ლებანიძე მ., ერთტომეული, თბ., 1979.
ლეონ. — ლეონიძე გ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
მაჭავ. — მაჭავარიანი მ., ლექსები, პოემა, თბ., 1983.
მგელ. — მგელაძე ს., ქართული პოეზია, ტ. 12, თბ., 1982.
მირცხ. — მირცხულავა ალ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
მიწიშვ. — მიწიშვილი ნ., ქართული პოეზია, ტ. 12, თბ., 1982.
მოსაშვ. — მოსაშვილი ი., ქართული პოეზია, ტ. 14, თბ., 1984.
ნიშნ. — ნიშნიანიძე შ., გადასახედი, თბ., 1977.
ნონეშვ. — ნონეშვილი ი., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
ჟურ. — ჟურული ვ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
საგინ. — საგინაშვილი ე., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984
სამად. — სამადაშვილი ნ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
საჯ. — საჯაია ალ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.

სელაკ. — სელაკაური ა., შემოღგომის მზე, თბ., 1986.
ტაბ. — ტაბიძე ტ., ქართული პოეზია, ტ. 12, თბ., 1982.
ფამ. — ფამალიშვილი ს., ქართული პოეზია, ტ. 12, თბ., 1982.
ქუჩ. — ქუჩიშვილი გ., ქართული პოეზია, ტ. 12, თბ., 1982.
მანშ. — მანჩიაშვილი ს., ქართული პოეზია, ტ. 12, თბ., 1982
შატბ. — შატბერაშვილი გ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
ჩარკვ. — ჩარკვიანი ჯ., რწმენის კედელი, თბ., 1983.
ჩარკვ(ა) — ჩარკვიანი ჯ., „მე და მე", თბ., 1984.
ჩიქოვ. — ჩიქოვანი ს., ქართული პოეზია, ტ. 14, თბ., 1984.
ცეცხლ. — ცეცხლაძე გრ., ქართული პოეზია, ტ. 12, თბ., 1982.
ჯაბუშ. — ჯაბუშანური გ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
ჭანტ. — ჭანტურია ტ., მწერლის წითელი წიგნი, თბ., 1985.
ჭელ. — ჭელიძე ოთ., რჩეული, თბ., 1974.
ხარან. — ხარანაული ბ., ლექსები, პოემები, თბ., 1984.

დამოწმებული ლიტერატურა

1. შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
2. ბერიძე ე. — სგან სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: რუსთველოლ. კრებ., თბ., 1961.
3. შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
4. ტუსკია მ. — სახელთა წარმომქმნელი ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969, № 1.
5. ფეიქრიშვილი ე. — სიტყვაწარმოება ქართველ რომანტიკოსთა თხზულებების მიხედვით (ხელნაწერი, 1984 წლის საკვლევი თემა).
6. თოფურია ვ. — ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: შრომები, III, 1979.
7. ფეიქრიშვილი ე. — სიტყვაწარმოება თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზიის მიხედვით (ხელნაწერი, 1985 წლის საკვლევი თემა).
8. პაპიძე ა. — ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: ქელს, 1974, № 1.
9. ჩიქობავა არნ. - სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
10. ჯანაშია ს. — თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი: შრ., 1959.
11. კუბლაშვილი კლ. — ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.

12. იმნაიშვილი ი. — ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები: „ცისკარი", 1971, № 1.
13. იმნაიშვილი ი. — სახელთა ბრუნება და ბრუნვაითა ფუნქციები ძველ ქართულში. თბ., 1957.
14. ცხადაძე ბ. — ოვან სუფიქსი ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1985.
15. ჯაჯანიძე პ. — ოვან სუფიქსი ქართულში: საქ. სსრ პედინსტიტუტების შრ., ტ. II, თბ., 1975.
16. მარტიროსოვი არ. — სუფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი ძველ ქართულში: „მაცნე", 1976, № 1.
17. ჯორბენაძე ბ. — ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.
18. ფოჩხუა ბ. — ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
19. ღამბაშიძე რ. — პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგიერთი საკითხი: ქსკს, VI, 1984.
20. ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.
21. მელიქიშვილი დ. — იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
22. ზურაბიშვილი თ. — ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 29, № 5, 1962.
23. ზურაბიშვილი თ. — სარისხი ქართველურ ენებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., ტ. 67, 1957.

შენიშვნები

[1] სპეციალურ ლიტერატურაში მართებულადაა მენიშნული, რომ თანამედროვე ქართულში ა სუფიქსით ნაწარმოები კნინობითი სახელების სიმცირე უნდა აიხსნას კნინობითობის მაწარმოებელი სხვა უფრო გავრცელებული სუფიქსების (იკ, ილ, უნ, უკ) არსებობითა და სალიტერატურო ქართულის ტენდენციით კნინობითობის აღწერითად წარმოებისაკენ [8(25)].

[2] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქვემოიმერულის ჩვენება: ან სუფიქსმა აქ შეიძინა ქონების აღნიშვნის ახალი ფუნქცია, მაგრამ რიგ სახელთან შეინარჩუნა სიმრავლისა და წარმომავლობის გამოხატვის ოდინდელი ფუნქციები [11(94)].

[1] შდრ.: ...არ ჰრქვა უკლებლად მიწიერი ბედნიერება (კალანდ. 10); არ მიწიური გვირგვინისათვის" (იქვე, 95).

[2] ფრთ-ოსან-ი დღეს ფრინველთა გვარეულობის აღმნიშვნელ ტრადიციულ ცნებადაა დამკვიდრებული (შდრ. მანდილოსანი, ცხენოსანი...), ამდენად, ფრთოსანი სხვა შემთხვევაში ანალოგიურ წარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. იხ.: უცხო ვალია უცხო ფრთოსნებით — მართლა ფრთიანი დვანან ცხენები (ლებ. 317).

[3] ასეთივეა საბაგშვო პოეზიაში დადასტურებული ბალოსნობა (მ. მრეველიშვილი).

[4] შდრ.: „როცა პირში უკავია სუნოვანი ცლარჯის მილი" (გრიშ. 266).

[5] შდრ.: იქვე: „თბილისის მთანნი კლდიანნი".

[6] შდრ. „ხუთასწლიანი დიდი ჭადარი" (ტაბ. 597).

[7] ტექსტებში წარმოჩენილი ორიოდე თავისებური ფორმა შეიძლება უფრო პოეტურ ნებელობად ჩაითვალოს, ვიდრე ახალ ენობრივ ფაქტად: უ-ნამდვილ-ო პორტრეტები (საგინ., 387); ბალღამით მხრჩოლავი უ-ვზა-ურ-ი მენი მდინარენი (ლებან., 168); მაგრამ მაინც უ-უ-ზომ-ო-დ ბედნიერი ვართ (ჩარკვ., 15); უ-ენებ-ო ენებით მინდა ვწვავდე ენებიან თვალებს (ტაბ., 484; ჭიჭ., 380).

[8] ა. მანიძე ფშაველის ფორმას (რომელსაც ვაჟას წერილიდან იმოწმებს) შეცდომად ან პოეტურ ლიცენციად მიიჩნევს [1(139)]. ჩვენს მაგალითშიც ფშაველი რითმის აუცილებლობით ჩანს გამოწვეული.

[9] შდრ. თათრ-ეთ-ის ლომგული მუსა (ნიშნ., 61).

[10] შდრ.: იქვე: „მაშ გაუმარჯოს იმგვარ სიცოცხლეს, სიცოცხლეზე რომ უ-ტკბ-ო-ეს-ია" (გვ. 289); აგრეთვე: „შედგა მუშარადი, რა უ-ტკბ-ო-ეს-ია" (ლეონ., 179).

[11] შდრ.: მო-ქლიავისფრ-ო მისი თვალები (ჭელ., 80).

შდრ.: იქვე: უ-მაღლ-ეს სიმღერებს მღეროდა (გვ. 183).

[12] შდრ.: მშობლ-იურ-ი სიტყვის მადლი გერჩივნა (ლეონ., 233; ასევე, ჩიქ., 562). საერთოდ გ. ლეონიძე ყოველთვის ამ ფორმას იყენებს.

სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე ქართულ პროზაში

მესრულებულია წლიურ საკურსო თემად ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე 1988 წელს. წაკითხულია მოხსენებად პედინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე 1989 წელს.

წარმოდგენილი ნაშრომი ერთი ნაწილია თემისა „სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

გასულ წლებში ცალ-ცალკე შევისწავლეთ სახელთა დერივაცია ქართულ პოეზიასა და საბავშვო პროზაში; ამჯერად საანალიზოდ გამოვიყენეთ თანამედროვე ქართული პროზის მასალები, დავაჯგუფეთ წარმოქმნილი სახელები ფორმისა და შინაარსის მიხედვით და გამოვყავით ამ ასპექტით წარმოჩენილი მთავარი თავისებურებანი; კელეციის შედეგებს საჭიროების შემთხვევაში ვუდარებდით როგორც პოეზიის, ისე საბავშვო პროზის მონაცემებს და ვითვალისწინებდით შესაბამისი დასკვნების გამოტანისას.

და მაინც, რამდენადაც თემა გარდამავალია, ძირითადად წარმოდგენილია საკითხის აღწერითი ანალიზი.

ჩვეულებრივ, წარმოქმნილ სახელებს აჯგუფებენ ფორმისა და შინაარსის მიხედვით. აქამდე ჩვენც ამ პრინციპით ვიკვლევდით საკითხს, მაგრამ, რადგანაც ქართულში სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებაა აფიქსები (პრეფიქსი, სუფიქსი, პრეფიქს-სუფიქსი), რომლებიც ფორმის მიხედვით თითქმის ერთნაირად გამოიყენება პროზასა და პოეზიაში, ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით

§1. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

„კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული“ (ა. შანიძე).

შენიშვნა: კნინობითი სახელების ზოგადი თეორიული მიმოხილვა

უურო დაწერილებით, შესაბამისი სპეციალური ლიტერატურის მითითებით იხ. ჯემოთ, „პოეზიაში“ (გვ. 8-10).ამჯერად საკითხზე მსჯელობას ვიწყებთ კონკრეტულად თანამედროვე პროზის მასალების მიხედვით.

თანამედროვე ქართულში ამკარაა საკვლევი ჯგუფის აფიქსთა ვარიანტულობა და გამოყენების სფეროს გაფართოება. განსაკუთრებით საინტერესო ჩვენებას იძლევა საბავშვო პოეზია და პროზა, სადაც ა, აკ, ილ, ილო, იკო, იკონა, უნა, უნია, უკა, ელა, იკელა, იკა, უკელა, უკა, უკანა, ია, უჩა, ულა, ნია, ონია, ონიკო, უჭანა, იკანა აფიქსები წარმოადგენენ მოქმედ მორფოლოგიურ ელემენტებს [5(5-7), 6(4-5)].

ამჟამინდელ მასალებშიც არ შემცირებულა მაწარმოებელ აფიქსთა სახეები, თუმცა მათი მოხმარების სიხშირე აქ შედარებით ნაკლებია. მაგალითად:

იგი ჩამოჰგავდა მის დედოფალ-ა-ს (შენგ., 18); ქედებს სცვლიდა გორ-აკ-ები (გოთუა, 211); მის ქმარს სანდრ-იკა ჰქვია (ტიკარ., 50); ლიმ-იკო-ს ნაბიჯი უნდა გადაედგა (მელიქ., 12); ზურ-იკელა-ს საქმე არაა ეს (დუმბ., 16); თითქოს ვიძახი: შოთ-იელა უუ (კუხიან., 104); თქვენი სეირი იყოს ძმობ-ილ-ებო (გოთუა, 479); ლერ-იკონა ჩემზე უფროსია (მიშვ., ურჩი, 95); ჩემმა მამ-უკელა-მ თავისით მიაღწია ამას (მამუჩიშვ.); შენი დედ-უა გენაცვალოს (ს. ჭეიშვ., 29); ვაჭრ-უკან-ებმა შეისყიდეს ვენახი (ლეონ., 16); ამ წერილ-ალა ხეს ვიყავ მიყრდნობილი (ელიოზ., 77); ბაბ-ულია, ნუ გეშინია (ელიოზიშვ., 81); ყაჩალ-ანა ძმებმა არ დაუყენეს არაფერი (ციციშვ., 188); უკუნეთში მარტოკინა ვიყავი (დოჩან., (2) 121); ყველა გლეხ-უჭ-ებად მიაჩნდა (ციციშვ., 182); შოთ-ია ვარ გიორგაძე (რ. ჭეიშვ., 316); ღერძზე დამაგრებულ კაც-უნა-ს მისწვდა (წოწკოლაური); აქ ჩიტ-უნელა უნდა დამიძახო (დოჩან., 464); რას გაიხარებს ჩემი ქმარ-იკუნა (ტიკარ., 49); სიდედრ-უნა, სიდედრ-უკინო, ასე ეფერებოდა სიძე (ტიკარ., 49); გადაშლილი ცნობარ-წიგნ-უკა შორს გასწია (რ. ჭეიშვ., 316); აღე, მამა, მამ-ილო, მამა-გულა (ლეონ., 22).

ჩამოთვლილი მაგალითებიდანაც საჩინო ხდება მაწარმოებელ აფიქსთა მრავალფეროვნება, მაგრამ ერთი მაინც ამკარაა: საბავშვო ნაწარმოებებში მათი გამოყენების რაოდენობრივი სიჭარბე უდავოდაა განსაზღვრული მწერლობის ჟანრით. ბავშვებისათვის განკუთვნილ ლექსებსა თუ მოთხრობებში მათი ძირითადი ფუნქციაა მოფერება-ალერსის გამოხატვა. მართალია, თანამედროვე ქართული პროზის მასალებშიც საანალიზო აფიქსები მეტწილად

ამგვარად ფუნქციონირებენ, მაგრამ იშვიათად ისინი საგანს წარმოგვიდგენენ შემცირებული ზომით ანდა კიდევ აღნიშნავენ დაცინვა-დამცირებასაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ენის განვითარების საერთო ტენდენციის გვერდით ვერ გამოვრიცხავთ დიალექტების[1] გეგაყლენასა და მწერლის ინდივიდუალურ სტილსაც.

უხვი საილუსტრაციო მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართულ პროზაში ე.წ. კნინობით სახელთა მაწარმოებელი აფიქსები მეტ-ნაკლები სიხშირით გამოიყენება. მაგალითად, ძველ ქართულში გაბატონებული აკ (და მისგან მიღებული ა) დღეს ძალზე იშვიათად გვევლინება, გამონაკლისია მხოლოდ ნ. დუმბაძის თხზულებანი, სადაც ბეჟანა ტიპის სახელების სიჭარბე შეპირობებული ჩანს გურული დიალექტის გავლენით.

სპეციალურ ლიტერატურაშიც მართებულადაა შენიშნული, რომ თანამედროვე ქართულში ა სუფიქსით ნაწარმოები კნინობითი სახელების სიმცირე უნდა აიხსნას კნინობითის მაწარმოებელი სხვა გავრცელებული სუფიქსების (იკ, ილ, უნ, უკ) არსებობით და სალიტერატურო ქართულის ტენდენციით კნინობითის აღწერითი წარმოებისაკენ [7,25].

საფიქრებელია, რომ, რამდენადაც აკ (>ა) სუფიქსისათვის ამოსავალი იყო საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა (და ამისათვის ენამ შემდგომში აღწერით წარმოებასაც მიმართა), დროთა ვითარებაში ამ ა-მ ვეღარ შეითავსა (ვერ განივითრა) ახალი ფუნქცია — მოფერება-ალერსის აღნიშვნა და დღემდე მხოლოდ თითო-ოროლა (ტრადიციულად მომდინარე) ფორმებით მოაღწია ოდინდელი სემანტიკის შენარჩუნებით, მაშინ როცა ამ ჯგუფის ბოგიერთმა აფიქსმა რამდენადმე იცვალა ფუნქცია.

როგორც ზემოთაც ითქვა, განსახილველ აფიქსთა ძირითადი ფუნქციაა მოფერება-ალერსის გამოხატვა, ამდენად მათს აღსანიშნავად გამოყენებული ტრადიციული ტერმინი „კნინობითი“ (ა. შანიძე) აღეკვატურად ვერ ასახავს რეალურ ვითარებას, ამიტომ უფრო მართებული იქნება საყოველთაოდ დამკვიდრდეს ტერმინი „მოფერებით-კნინობითი“ (ალ. ღლონტი) ანდა „მოფერებით-შემცირებითი“[2].

§2. ყოლა-ქონების სახელები

ყოლა-ქონების სახელებს აწარმოებს სუფიქსები: ან, იერ, ოსან, ოვან, ედ, ა. ამათგან ახალ ქართულში ძირითადია ან.

ან სუფიქსის გენეზისი და ფუნქციები სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი (იხ. „პოეზიაში“, გვ. 12-13 ლიტერატურის მითითებით).

თანამედროვე ქართული პროზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი გახდება, რომ ან სუფიქსის ფუნქცია გამარტივდა, იგი ყოლა-ქონების სახელთა ძირითად მაწარმოებლად იქცა. მაგალითები:

ქალს შუქ-იან-ი თვალები ჰქონდა (ციციშვ., 30); კიკოლია ფათერაკ-იან-ი დარჩა (ს. ჭეიშვ., 15); რქავარდ-იან-ი ირემი მშვენიერება იყო. (აბაშიძე, 25); ბალახ-იან მიწას ჩააწნა ხმა (რ. ჭეიშვ., 181); შარელ-იან-ების საქმესთან შენ რა ხელი გაქვსო (ფეტელ., 69); თეთრხელთათმან-იან-ი პოლიციელები იდგნენ (მიშვ., ურჩი, 107); წერილ-იან-ში ფიჩხს აგროვებდა (შატ.,2).

ან კუთვნილება-წარმომავლობასაც აღნიშნავს შემდეგ ფორმებში:

დიდ-პატარ-იან-ად ვკანკალებდით (ს. ჭეიშვ., 157); აღარც ბაზარში დაუნახავს ქმრის-იან-ი (ს. ჭეიშვ., 124); მეზობლ-იან-თ შეწევნით მიწას დროზე ამუშავებდნენ (ციციშვ., 24); ვისაც რა გააჩნდა სათინო-ან-თა მოარბენინებდნენ (ჯოთუა, 342).

ამგვარი წარმოების ნიმუშები უფრო შესამჩნევია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა (ი. ნონეშვილი, ნ. სამადაშვილი, ქ. ჭილაშვილი, რ. ინანიშვილი, მ. გელაშვილი, ქ. ხაჩიამვილი...) ნაწერებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ან დღეს ფართოდ არის გავრცელებული როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში. იგი „მონოპოლიისაკენ მიისწრაფვის. მას ეს ჯადოსნური ძალა მიანიჭა დიდმა შოთამ „ვეფხისტყაოსანში“ [12, 145].

ზოგიერთი მწერლის თხზულებაში ან სუფიქსის გამოყენება (გარდა თავისი ძირითადი გრამატიკული ფუნქციისა) ფრაზას ანიჭებს მეტ გამომსახველობითს ძალასა და ელფერს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ლ. ჯოთუას პროზა:

ალექსანდრემ ბერი ჩაათვალიერა ღიმილ-იანი ყურადღებით (349); ხოსიტამ ვერ გაუძლო შავი თვალების საყვედურ-იან მზერას (130); მერე საჭირო იყო ბოდიშ-იან-ი და პატივ-იანი სჯა-ბაასი (317).

იერ (იელ) ძველ ქართულში ყოლა-ქონების ძირითადი მა-

წარმოებელი იყო [13.434], ახალ სალიტერატურო ქართულში კი საგრძნობლად შემცირდა მისი მოხმარების სფერო: მისი აღგილი მეტწილად -ან-ის დაიჭირა³ (ა. შანიძე). ამ მოსაზრებას ერთხელ კიღევ აღასტურებს ჩვენი საკვლევი მასალაც. იერ სუფიქსი აქ გამოყენებულია თითქმის მხოლოდ ტრადიციულად მოქმედინარე ფორმებში (მშვენიერი, ძლიერი, გონიერი...), ამიტომ შესაბამის მაგალითებს აღარ ვასახელებთ, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში აქა-იქ მაინც გამოვლინდა იერ სუფიქსიანი წარმოების ზოგიერთი თავისებური ფორმა, რაც პოეტური სიტყვის სპეციფიკურობით შეიძლება აიხსნას.

ოსან სუფიქსი ძველად უფრო ხშირად გამოიყენებოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო, აღენიშნა რისამე მატარებლობა, მქონებლობა. ახალ ქართულში შედარებით შემცირდა მისი მოხმარების სფერო: ამ შინაარსის გადმოსაცემად მას მეტწილად -ან სუფიქსი ცვლის. ამიტომ იყო, რომ -ოსან მე-19 საუკუნის I ნახევრის პოეზიაში (რომანტიკოსების ენაში) ძალზე იშვიათად გეხვდებოდა [3,6].

როგორც მიუთითებენ, თანამედროვე ქართულში -ოსან სუფიქსი კვლავ იკაფავს გზას (ა. შანიძე). დღეს მის კომპეტენციაში შემავალ ფუნქციათა წრე უფრო გაიზარდა. იგი გამოხატავს ქონებას, აწარმოებს ხელობის სახელებს და აღნიშნავს მცენარეთა კრებულს [2,26]. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს ჩვენი საკვლევი ტექსტებიდან:

> ფეხები ფეხ-ოსნ-ის ფრთებია (ელიოზიშვ., 93); შა-ოსან-ი ქალები წამოიშალნენ (მიშვ., ურჩი, 188); ხელ-ოსნ-ებმაც მიაშველავათეს ფასები (გოთუა, 358); ჩლიქ-ოსან-ი პირუტყვიცა ჰყავდათ (ციციშვ., 199); ესტუმრნენ მოწინავე დამგ-ოსან-ს (მიშვ., 78); საუკეთესო მიწნოსნ-ები დაასოცინა (დოჩან., (2) 18); გერგეთელ თოფ-ოსნ-ებს გვერდით ამოუდგა (გოთუა, 527); მეწარმოხურული ფეხ-ოსან-ი ავადმყოფი დაინახა (რ. ჭეიშვ., 164).

როგორც ზემოთ მივუთითეთ, -ოსან სუფიქსის ფუნქციონირება და მოხმარების სიხშირე ძველი და ახალი ქართულის მიხედვით განსხვავებული იყო. სხვაობა აშკარაა ჩვენს მასალებშიც (პოეზია, პროზა): თანამედროვე ქართული პოეზია (მ. ლებანიძე, ო. ჭელიძე, მ. მაჭავარიანი, მ. მრევლიშვილი) გამოირჩევა წარმოების მრავალფეროვნებითა და სიუხვით, საბავშვო პროზა კი, პირიქით,

ერთიუეროეანია. თანამეღროეე ქართეულ პროზაში **ოსან** უფრო შესამჩნევია არა მარტო ტრადიციულ კონტექსტებში, არამედ ზოგჯერ იგი დასტურდება ისეთ წინადადებებშიც, სადაც სასაუბრო ქართული ჩვეულებრივ **ან**-ს იყენებს. პოეზიაში ამგვარი წარმოების არსებობას ნაწილობრივ ვხსნიდით პოეტური ენის სპეციფიკურობით, მაგრამ ამჟამინდელი მასალების ჩვენება ცხადყოფს, რომ **ოსან** მე-20 საუკუნის II ნახევრის პოეზიასა და პროზაში კვლავ იფართოებს სასიცოცხლო ძალას, პროდუქტიულ აფიქსთა რიგში ექცევა:

შავწვერ-ოსან-ი[4] მესაპნე იქვე იდგა (მიშვ., ურჩი, 144, რ. ჭეიშვ., 95); მეორე ნაბდ-ოსან-ის ჩრდილიც ჩამოდგა (გოთუა, 454); შესასვლელში იდგა თეთრ-ოსან-ი მნათე (მიშვ., ლიტ. საქ., 1987); დავდევდით ველზე ამ რქ-ოსან-ს (იოს. (I), 24); არამკითხეს მედალ-ოსან თოფზე ვანიშნე (მეხრიშვ., 19); თორემ დაკარგავდნენ ინტერესს შლაპ-ოსნ-ისადმი (მიშვ., ურჩი, 34).

აღსანიშნავია, რომ ხელობის ფუნქციით გამოყენებული **ოსან** სუფიქსი **ან**-ით არ იცვლება, სამაგიეროდ, მქონებლობის გამოხატვისას ხშირად იკავებს მის ადგილს **ან** სუფიქსი. მიუხედავად ამ საერთო ტენდენციისა, თვით თანამედროვე პროზაც არაა ერთგვაროვანი. მაგალითად, **ოსან**-ის ხმარება აშკარად მოჭარბებულია ლ. გოთუას ისტორიულ რომანებში, რაც უნდა აიხსნას მწერლის ენის სტილით, ნაწარმოების ჟანრით თანამედროვე პროზაიკოსებიდან **ოსან**-ს განსაკუთრებით ხშირად იყენებენ გ. დოჩანაშვილი და რ. მიშველაძე. **ან** და **ოსან** სუფიქსიანი ფორმები ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი გვხვდება:

ჟილეტიანს შემოჰყვნენ თეთრპერანგ-ოსან-ჰალსტუხ-იან-ი თანამშრომლები (მიშვ., „ლიტ. საქ“., 1987); გვერდით ჩაპლინის შლაპ-ოსან-ი, ფართხუნა პალტო-იან-ი გოგო მოსდევდა (მიშვ., ლიტ. საქ., 1986).

ზოგჯერ გვხვდება **ოსან** სუფიქსით ნაწარმოები აშკარა ხელოვნური ფორმები:

უხაროდა ბროლ-ოსან-ი ლაქვარდი (ლეონ., 48); მინებში შეჭრილიყო ვარაყ-ოსან-ი სხივები (ციციშვ., 382); თმაცალხაზრეულ-ოსან-მა სული მოითქვა (მიშვ., „ახკომი“).

ოვან სუფიქსის ფორმისა და ფუნქციის შესახებ ბევრმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება (დაწვრ. იხ. „პოეზიაში“, გვ. 15, ლი-

ტერატურის მითითებით).

როგორია ოვან სუფიქსის მოხმარების სიხშირე ახალ ქართულში?

მე-19 საუკუნის I ნახევრის პოეზიაში (რომანტიკოსების ენაში) ქონების სახელთა საწარმოებლად ოვან სუფიქსის გვერდით ოვან-იც ხელშესახებად დასტურდება. ეს კი გვაფარაუდებინებს, რომ ძველი ქართულის სიტყვაწარმოების ზოგიერთი წესი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ძალაშია.

საბავშვო პოეზიაში ოვან იშვიათია. მთლიანად ქართული პოეზია, მართალია, უფრო ხშირად აველენს მას, მაგრამ იგი მაინც ვერ ჩაითვლება ისეთ პროდუქტიულ მაწარმოებლად, როგორიცაა ოვან სუფიქსი (აქ ზოგი ფორმა შეიძლება ჩაითვალოს პოეტურ ნებელობად).

ქართული პროზა (მათ შორის საბავშვოც) საკმაო სიხშირით წარმოაჩენს ოვან სუფიქსიან სახელებს:

ასე იარეს ფოთლ-ოვან-ში (გაბელ., 20); ჰაერ-ოვან-ი ეტლით წაიყვანა გულქანმა (ს. ჭეიშ., 175; მიშვ., ურჩი,107); მძლავრი წებ-ოვან-ი სურეილით შეიეღენთდა (დოჩან., ორი მოთხრობა, 34); მრავალწლ-ოვან-ი სიცოცხლის დასრულება (ავალ., 27); სახლს თაღ-ოვან-ი კარები ჰქონდა (ციციშვ., 351); თამნეურა თაფლ-ოვან-ი სიტყვის პატრონი იყო (ლეონ., 71); დედამისი დიდგვარ-ოვან-თა ჩამომავალი იყო (ჭეიშვ., 35).

ჩვენი მასალებით ცხადი ხდება, რომ შესამჩნევად ფართოვდება ოვან სუფიქსის მოქმედების სფერო, სასიცოცხლო ძალა. ამიტომაა, რომ იგი გამოიყენება არა მარტო ტრადიციულად მომდინარე ფორმებში, არამედ ისეთ კონტექსტებშიც, სადაც ცოცხალი მეტყველება სხვა სუფიქსს წარმოაჩენს, ზოგი ფორმა კი ხელოვნურობის ელფერს ტოვებს. მაგალითად:

რეზოს შავბეწვ-ოვან-ი მარჯვენა თავქვეშ ამოედო (მიშვ., „ლიტ. საქ.“, 1986)[5]; წითელი ხიზილალა...მრავალმარცვლ-ოვან-ი... იყო (დოჩან., (2) 30)[6]; ეკლ-ოვან ტოტებს ნაყოფი ესხა (დოჩან., (2)57); ბალახ-ოვან ველზე გავიდა (ციციშვ., 224, დოჩან., (1) (25); არ მინახავს ასეთი პრასი. მსხვილები, დიდრ-ოვან-ები (რ. ჭეიშვ., 100); უდაბნ-ოვან წყვდიადში დაეხეტებოდა (დოჩან., (1) 449); ჩატვირთეს სამოსკოვო ფას-ოვან-ი საქონელი (გოთუა, 402); თედოს რუსული ნამცხვრები და ხორც-ოვან-ები მოართვეს (გოთუა, 191); განაცხადა ფერხორც-ოვან-მა ვექილმა (რ. ჭეიშვ., 57 390); ორნი ხატ-ოვან კარავს შეეფარნენ (გოთუა, 434); კარგია, ყოჩაღ, ფრი-

ად-ოვან-ს გიწერთ (დოჩან., (1), 452, 460); ძალიან კარგი, კარგ-ოვან-ს გიწერთ (დოჩან., (1), 489); შენსაირმა ტეტუც-ოვან-მა მ.ე-სიკოსებმა ბევრს მიაღწიეთ (დოჩან., (1), 452); დივიზიის ასეთმა უერად-ოვან-ებამ ფრთები შეასხა (ელიოზ., 88); ქალი იყო საკმა-ოდ ტან-ოვან-ი (რ. ჭეიშვ., 238); გოგო ოქროსკბილ-ოვან-ს[7] მია-ჩერდა (რ. ჭეიშვ., 286); ვირთხა-კატ-ოვანი[8] სასახლე ახმაურდა (დოჩან., (1)501).

ოვან სუფიქსი ფონეტიკური ცვლილებითაც დადასტურდა: ფერ-ვან სახეს უხდებოდა შავი თმა (ს. ჭეიშვ., 176); ბებია მილოცავდა... თეთრფერვანი ქალისასას (იოს., (1)74). ფეროვანისაგან მომდინა-რე ფერვანი სამწერლობო ენაში უდავოდ იმერული დიალექტის გავლენის შედეგია.

ჩვენ მიერ აქამდე შესწავლილი მასალებიდან (პოეზია, პრო-ზა) ოვან სუფიქსი პროდუქტიული მაწარმოებელია გ. ტაბიძის, ლ. გო-თუას, გ. ციციშვილის, ქ. ჭილაშვილის, გ. დოჩანაშვილის, რ. ჭეიშვი-ლის ნაწარმოებებში.

იან, ოსან, ოვან ქონებას აღნიშნავენ. სხვაობა მათ შორის ჩვე-ულებრივ სტილისტურია, მაგრამ ზოგჯერ იერძნობა მნიშვნელობის განსხვავებული ელფერი: მანდილიანი—მანდილოსანი, ფრთია-ნი—ფრთოსანი. ამგვარი ფორმებით გამოსატული მნიშვნელობები ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ სემანტიკური დაშორების ტენდენცია იმითაც გამოიხატება, რომ ენაში მათი თავისუფალი მონაცვლეობა გამოირიცხება. ცვლილება უკვე სემანტიკური იქ-ნება და არა ოდენ სტილისტური, როგორც ეს ჩვეულებრივ ივა-რაუდება [16, 190-195].

ჩვენი მასალების მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ამგვარ მონაცვლეობაზე. ფრთოსანი, ჩვეულებრივ, ფრინველთა გვარეუ-ლობის აღმნიშვნელ ტრადიციულ ცნებადაა დამკვიდრებული. შე-საბამისი მაგალითებიც უხვადაა. მაგ.: ფრთოსან-ივით დაფრინავდა (ს. ჭეიშვ., 118); ფრთიანი ნიშნავს ფრთების მქონეს, მაგრამ არა ფრინველს: ბიჭიც ფრთ-იან რაშზე იჯდა (ს. ჭეიშვ. 87, სულაკ. 62).

მაგრამ ამგვარ კონტექსტში აქა-იქ ოსან სუფიქსიც გვხვდება, განსაკუთრებით ხშირად ო. იოსელიანის ნაწარმოებებში: აიჭრა ბეცაში ეს ფრთ-ოსან-ი რაში (იოს., (2)(68).

ზოგჯერ ქონების სუფიქსთა მონაცვლეობა ავტორისეულ ნებელობად უნდა ჩაითვალოს. მაგ.: სორო ჰქონდა ლაბირინთ-

იან-ი, სართულ-ოან-ი, დარბაზ-ოან-ი (იხ.ანიშვ., 272).

საანალიზო ჯგუფის მაწარმოებლებიდან დღეს ყურადღებას იქცევს ა სუფიქსის ფუნქციური მრავალფეროვნება.

ძველი ქართულის დონეზე სპეციალურ ლიტერატურაში ა არ მიაჩნიათ ქონების მაწარმოებლად და არც ასახელებენ [1,(52), 2(27)], მაგრამ ახალ სალიტერატურო ქართულში იგი საკმაოდ არის გავრცელებული, თანვე საჩინოა მისი ფუნქციების გაფართოების ტენდენციაც.

ახალი ქართულის მიხედვით სპეციალურადაა შესწავლილი ა-ს სიტყვაწარმოებითი ფუნქციები. ესენია: კნინობითის, ქონების, მსგავსების, დახასიათების, დაკონკრეტებისა და ზოგჯერ საგანთა დანიშნულების წარმოება. აქვე ნავარაუდევია, რომ ქონების, მსგავსებისა და დახასიათების აღმნიშვნელი ა სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია იქნებოდა ქონების გამოხატვა და იგი ქონების სხვა სუფიქსებში (ი–ან, ოვ–ან, ო–სან) გამოყოფილი ან ელემენტის ხმოვანდართული ნაშთი შეიძლება იყოს. სწორედ ამ ან სუფიქსის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს ქერ–ა ტიპის სახელებში გამოყოფილი ა სუფიქსი [7,29]. მიუხედავად ასეთი ფუნქციური მრავალფეროვნებისა, მისთვის მაინც ძირითადია თვისების აღნიშვნა, რომლის შესაბამისად შექმნილია მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა... სახელები. ა სუფიქსის ესოდენი გავრცელების მიზეზად მიჩნეულია მეცნიერების ამა თუ იმ დარგში ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილებაც [2,27].

თანამედროვე ქართულ პროზაში ა სუფიქსიანი სახელები (ზემოჩამოთვლილი ფუნქციებით) ძალიან ხშირად გამოიყენება:

მგელძაღლ-ა იყეფებოდა (ს. ჭეიშ., 128); როგორია ეს რუსკახელ-ა (გოთუა, 347); მგელქალ-ა ყოველთვის დამშვიდებული იყო (ჩოხელი, 39); ეს კუდალ-ა კამეჩი საღღა გამონახა? (გოთუა, 368); მაინც ხავილ-ა (მყვირალა) სერგოსთან მირბოდნენ (ციციშვ., 14); ნოდარა თავ-ა, გვეთამაშა ფეხბურთი (დუმბ., 386); დაიბადა დიდშუბლ-ა^{9} ბიჭი (ციციშვ., 53).

საბავშვო პროზაში ა-თი ნაწარმოები სიტყვები მეტწილად ცხოველების ან ფრინველების საკუთარ სახელებად იყო გამოყენებული, ამჟამინდელ მასალებში კი იგი ქონების, მსგავსებისა და დახასიათების გამომხატველია.

ედ სუფიქსი ძველ ქართულშივე შედარებით იშვიათად გა-

ჰოიყენებოდა. იგი სალიტერატურო ქართულის ძირითადი მასაზრდოებელი ღიალექტიდან შემონატანად მიაჩნიათ [7,111]. სპეციალისტები თვლიან, რომ ახალ ქართულში იგი, როგორც აფიქსი, იკვდარია. შემორჩენილია თითქმის მხოლოდ ძველიდან მომდინარე სიტყვებში, თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ თანამედროვე ქართულში ედ-ის ფუნქცია კვლავ გამოიკვეთა ცნებების აღმნიშვნელ ტერმინებში.

ჩვენს მასალებშიც ედ იშვიათად დასტურდება. ისიც ტრადიციულად მომდინარე ფორმებში (ცხედი, შარაგანდედი...), ამიტომ მაგალითებს აღარ ვასახელებთ.

ამრიგად, ქონების სახელთა მაწარმოებელი აფიქსების გამოყენებას დიაქრონიულ ასპექტში თუ განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ ძველ ქართულში პროდუქტიული ოსან, ოვან, ედ ახალში (XIX ს.). თანდათან კარგავენ წარმოების უნარს, იბღუდება მათი ფუნქციებიც. მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ისინი კვლავ იფართოებენ მოხმარების სფეროს. მეორე მხრივ, დღეს ყველაზე პროდუქტიულად ითვლება ან და ა სუფიქსები, რომლებიც მეტწილად აღნიშნავენ თვისებას ან გამოიყენებიან საკუთარ სახელთა წარმოსაქმნელად.

დაბუსტებას მოითხოვს საკვლევი ჯგუფის სახელთა ტრადიციული ტერმინი **ქონების სახელები.**

§3. უქონლობის სახელები

უქონლობის სახელთა მაწარმოებლებია უ-ო, უ-ურ (ულ) კონფიქსები. ისინი ერთნაირი წარმომავლობის არიან, თუმცა ისტორიულად უფრო ძველია უ-ურ, რომელიც დღეს ნაკლებპროდუქტიულია. სამაგიეროდ, უ-ო ამჟამად ერთადერთია, როგორც ახალ სიტყვათა სადერივაციო აფიქსი (ა. შანიძე).

მართლა ცეკვაედა უ-დოლ-ო-და, უ-სალამურ-ო-და, უ-დუდუკ-ო-და, უ-გარმონ-ო-და (ჩხეიძე, 46); უ-სამშობლ-ო-დ კაცი არა ხარ (დოჩან., (1) (47); სმენიანსაც და უ-სმენ-ო-საც ხუთი უწერია (რ. ჭეიმვ., 150); უ-წმინდ-ურ-ი სამი თვის მერე გათხოვდა (ტიკარაძე, 53); უ-წიგნ-ურ ქიმიკოსსაც არ აწყენს (დოჩან., (1), 341).

საკვლევი მასალებით ცხადი ხდება, რომ თანამედროვე ქართულ პრობაში უქონლობის სახელთა წარმოება თითქმის ერთფეროვანია[10]. აქ ძირითადად ფუნქციონირებს უ-ო კონფიქსი,

რომლის მოქმედების სფერო ძველ ქართველთან შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

§4. ხელობის სახელები

ხელობის ანუ მოსაქმეობის აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გამოიყენება მე–ე, მე–ურ (ულ), მო–ე, მ–არ, მო–არ კონფიქსები. ამათგან ძირითადია მე–ე.

მე–ე საოცარი მე-სალამურ-ე იყო შალია (ლეონ., 80); მამაკაცი კი არა, მე-ბოსლ-ე ქალებიც გამოიყვანა (ჩოხელი, „განთიადი“, 39); მე-აქტომატ-ე-თა და მე-ზარბაზნ-ე-თა ოცეულით მოვდივარ (ელიოზ., 84); „მე-ქანგბად-ე-მ“ ჩვარი დააძრო (მიშვ., ურჩი, 64); ეგეც მე-გაზეთ-ე-ების მოგონილი ტყუილია (ციციშვ., 420, მიშვ.); საღამოს მუშები და მე-ბაზრ-ე-ები ბრუნდებოდნენ (იოს., (1)68); სამ დღეში ამოუვიდა მე-სტუმრ-ე-ნი. მათ მხლებელ-მესაჩუქრ-ე-ნი გამოჰყვნენ (გოთუა, 317); ეს სიტყვა მე-ხორც-ე-ს ნიშნავს. მეხორცე, ყასაბი არის (რ. ჭეიშვ., 448).

მო–არ(ალ): გორელ მო-მღერ-ლ-ებს ამოვიყვან (ციციშვ., 388).

მე–ურ(ულ): საღ არის მე-ხიდ-ურ-ი (ლეონ., 234); კაცს მე-ზღვა-ურ-ის მაისურა ეცვა (მიშვ., ურჩი, 60).

მ–არ: მოხუცი მ-წიგნობ-არ-ი ეახლა (ციციშვ., 74).

მო–ე: საუკეთესო მო-ლეკურ-ე-ები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ (ციციშვ., 25); მო-თვალთვალ-ე-მ დაინახა (მიშვ., ურჩი, 178); ბიკენტი მამას მო-ბიძაშვილ-ე იყო (იოსელ., (1)141); თურმე ისიც მოკრივ-ე გამხდარა (ჭეიშვ., 93); გადაშუაღღდა და მო-სამძიმრ-ე ხალხიც გამოჩნდა (რ. ჭეიშვ., 189); მო-ლამაზ-ე გასათხოვრებიც ერია (გოთუა, 396).

ჩვენ მიერ შესწავლილი ტექსტებიდან ირკვევა, რომ მე–ურ ძალზე იშვიათად გამოიყენება, ერთგან ერთი და იგივე სიტყვა მე–ე // მე–ურ კონფიქსებითაც დადასტურდა:

მე-თოფ-ე-თა ასისთავი ამეტყველდა (გოთუა, 378).

შდრ.: ეგნატე თავისი მე-თოფ-ურ-ებით ბაღრაგობდა (იქვე, 297).

თანამედროვე სამწერლო ენაში აშკარად ხელშესახებია მო–ე კონფიქსის გააქტიურება, მისი მოხმარების სფეროს გაფართოება. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ზოგჯერ მე–ე-სთან ფუნქციურად გამიჯნული არ ჩანს მორფემა მო–ე-ც. ისინი თითქმის თანაბრად წარმოქმნიან ხელობის აღმნიშვნელ სახელებს [18(114), 2((128), 19(185)]. მართლაც, სამწერლობო ენაში (პოეზია, პროზა) უხვად დასტურდება ამგვარი პარალელური ფორმებიც.

მაგალითად:

ღეთისო წამოიხტა და მო-ტაშ-ე-ებს შეუერთდა (მიშვ., „ახკომი").

შდრ. მე-ტაშ-ე-ებმაც აღარ დაიყოვნეს... (მიშვ., ურჩი, 18).

ამგვარი მაგალითები მეტყველებს მო– და მე– კონფიქსთა ფუნქციურ იდენტურობაზე.

როგორც შენიშნავენ, მო–ს ამოსავალი ფუნქცია უნდა ყოფილიყო კუთვნილებისა და მონაწილეობის აღნიშვნა. შემდეგში მისი ძირითადი ფუნქცია გახდა ხელობის სახელთა წარმოქმნა, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ მო– და მე– კონფიქსებში შენარჩუნებულია ოდინდელი ფუნქციაც და ამიტომ ისინი ყოველთვის არ გამოხატავენ ხელობას, პროფესიას:

გადახედა მო-საღილ-ე პერსონალს (მიშვ., ურჩი, 136); ანდრიამ ფოლადი უკვე მო-ამქრის თვალით გასინჯა (ჯოთუა, 495); მამამისის მო-ჯანყ-ე სისხლი დუღდა (ციციშვ., 355); მე-ნაპირ-ე სოფელშიც ჩავიდნენ (ჯოთუა, 331); თაყა ვენახიანი... მე-კომლ-ე იყო (ლეონ., 93); მალე აუღო ალღო თანა-მე-ოთახ-ე-ს (მიშვ., ურჩი, 271, 229); მო-თათბირ-ე-ებმა იწყეს გამოსვლა (ციციშვ., 338).

თანამედროვე ქართულში ხელობის სახელებად შესაბამისი აფიქსებიანი ფორმების გავრდით საკმაოდ ხშირად გამოიყენება ხელობის სემანტიკის აღმნიშვნელი სიტყვები: მეტალურგი, მჭედელი, მსახიობი, მექანიკოსი, ექთანი... ამავე ფუნქციით გვხვდება უცხო აფიქსებიანი სახელებიც: არტილერისტი, სტენოგრაფისტი, მონტიორი, გასტროლიორი... თუმცა თანამედროვე პროზაიკოსების ნაწერებში ამ უკანასკნელი ჯგუფის სახელების ნაცვლად აფიქსური წარმოებაცაა გამოყენებული:

მე-სტენოგრაფ-ე ქალმა ისარგებლა ამით (რ. ჭეიშვ., 53)[11]; პალატაში იწვა მე-ელექტრონ-ე მამისთვალოვი; მანტიორი კაცი... ძველი მე-ელექტრონ-ე ფეხზე იდგა (იქვე, 105); კაჟთისხევის მე-ტელეგრაფ-ე-მ შემატყობინა (იქვე, 430); ცირკის მე-გასტროლ-ე არტისტი (იქვე, 395).

ხელობის სახელთა წარმოება თანამედროვე ქართულ პროზაში მრავალფეროვნებით გვეძლევა. აქ განსაკუთრებით შესამჩნევია ახალი ფორმების გაჩენა სადერივაციო აფიქსების გამოყენებით, ნაცვლად ტრაღიციული აღწერითი წარმოებისა:

მო-მათრახ-ე ვაებატონები მანმარეთელები ყოფილან; მო-მიტინგ-ე-ებმა ტაში დაუკრეს (მიშვ., ლიტ. საქ., 1987); სოფლის გაელენი-

ანშა მე-უფროს-ე-მ მოითხოვა (ლეონ., 196); უბილეთო მე-ცხენ-ე-ებს ხერგილთან უნდა ეკელოს (კობერ., 49); ტროპია მე-ტყეურ-ე ასე ტყის მცველი გაურანდაი კაცი ყოო (ლეონ., 100); ძნელი აღმოჩნდა ამერიკელ მე-დიალოგ-ე-თათვის შესაკითხი ტექსტის მ(მ)უშავება (მიშვ., „ლიტ. საქ.“, 1988, 10 ივნისი); ეს ერთმა დიდმა მე-ქაღალდ-ე-მ თქვა (დოჩან., ორი მოთხ., 55); მოგჯერ მე-პანაშვიდ-ე-მ შეიძლება ხელმეღაც აკოცოს (დოჩან., (2)222); ქვეყნად არსებულ სილამაზეთა ყოველისმომცველი მე-სხვადასხვი-ე ქალბატონი (დოჩან., (2) 53,63); წეროსანი ცოტა ხანს მე-კროსეორდ-ე-ებთან გაჩერდა (რ. ჭეიშვ., 97); მაინც თავაზიანად შეეგებნენ ჯიქურ მე-სტუმრ-ე-ს (იქვე, 219); იღბლად მო-ბან-ე-ს (=ვინც ბანს აძლევს) ვალოდიას ხმაზე გადმოსელა არ გასჭირვებია (მიშვ., ურჩი, 193); მესაათემ მე-სპორტლოტო-ე ინახულა (იქვე, 93);

ირკვევა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელს მანძილზე მე–ე და მე–ურ კონფიქსების ფუნქცია და მოხმარება სხვადასხვაგვარი იყო. თავდაპირველად ისინი კლასკატეგორიის აღმნიშვნელნი უნდა ყოფილიყვნენ [20(034)]. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ მე–ე კონფიქსის ფუნქციას გმნისაგან გასუბსტანტივებული მიმღეობის წარმოებაც წარმოადგენდა [21,119]. ხელობის გამოხატვის უნარი მათ მოგვიანებით შეიძინეს და, რადგანაც ეს ფუნქცია მათთვის არ იყო ერთადერთი, ენამ მოსაქმეობის აღნიშვნა ნაწილობრივ მაინც დააკისრა სხვა მნიშვნელობის აფიქსებსა და მიმღეობურ ფორმებს.

ჩვენ მიერ აქამდე შესწავლილი მასალების ანალიზით ირკვევა, რომ ხელობის სახელთა წარმოების მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევა თანამედროვე ქართული პროზა (გ. დოჩანაშვილი, რ. მიშველაძე, რ. ჭეიშვილი...), თითო-ოროლა ამგვარი ნიმუში გამოვლინდა ქართულ პოეზიაშიც.

§5. დანიშნულების სახელები

დანიშნულების (ანუ განკუთვნილების) სახელებს აწარმოებს კონფიქსები: სა–ე, სა–ო, სა–ურ, სა–არ.

სა–ე–თი წარმოქმნილი სახელები მეტწილად არსებითებია, სა–ო–თი ნაწარმოები კი — ზედსართავები. ამ უკანასკნელს მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს (ა. შანიძე).

მზის სა-თვალ-ე გაიკეთა (დოჩან., (1) 329); სა-ჟურნალ-ო მაგიდა იდგა (ციციშე., 57); სა-ლეკვ-ო ასაკს მაღე გადასცდებოდა (მიშვ. ურჩი, 281); მე და გრიშა სა-მოთხრობ-ო ხალხი ვართ (დოჩან.,

(2).75); მღვდელი დადიოდა სა-ცხენ-ერ-ის ქნევით (შენგ., 28). სა-მკლავ-ურ-ები ღლიავებში მოიგდო (გოთუა, 364); კერცხს იპარავდა სა-ბუდ-რ-იდან (მიშვ., ურჩი, 304).

ცხადი ხდება, რომ ძალიან ხშირად მოიხმარება სა–ო, მასზე ნაკლებია სა–ე, სხვა დანარჩენი კი იშვიათია. აქამდე შესწავლილ მასალებში (პოეზია, საბავშვო პროზა) შესამჩნევი რაოდენობით გვხვდებოდა სა–ე — სა–ურ და სა–ო — სა–ურ აფიქსთა ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევებიც (საკახეთურო–საკახეთო...) იქვე მივუთითებდით, რომ ასეთ პოზიციაში რომელიმე მათგანის შერჩევა-გამოყენება ზოგჯერ ავტორის წერის სტილითაც ჩანს შეპირობებული. ამგვარი პარალელური წარმოების ნიმუშები და სხვა თავისებური ფორმები ამჟამინდელ მასალებშიც გამოვლინდა აქაიქ:

ა) მეფე ზარბაზანს ხვალ გამოიტანენ სა-ლითონ-ო-დან (გოთუა, 480). შდრ.: ეზოში იდგა ორი სა-ლითონ-ე ფარდული (გოთუა, 496).

ბ) თვალები ჰქონდა სა-ერუანტელ-ო (დოჩან., (2)52); იმათ სა-ქუჩიალა-ო-დ სად ეცალათ (ფიროსმ.); ჩვენთვისაც უცხო იყო სამედალოსნ-ო ციებ-ცხელება (ცისკარიშვ.); ელვარე ხილნარი მისი ოქროს სა-ბად-ურ-ი იყო (ლეონ., 49).

§6. გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიული სახელები სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა წარმოშობისაა (ა. შანიძე), მაგრამ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით აქ საინტერესოა საკუთრივ სადერივაციო აფიქსების გამოყენების შემთხვევები.

საზოგადოდ, ამ ტიპის სახელთა წარმოება თანამედროვე ქართულში არ გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. აქ მაწარმოებლებად ფუნქციონირებენ ეთ, ით, სა–ეთ, სა–ო აფიქსები მეტ-ნაკლები სიხშირით:

ალექსანდრე კახ-ეთ-ის ბედს განაგებდა (გოთუა, 306); ქალიშვილს სა-ფრანგ-ეთ-იდან ჩამოყვანილ ჭინჭველებზე ესაუბრებოდა (ფეტვ., 72); სა-ოსმალ-ო-ს მოკლე გზად სურდა კახეთი (გოთუა, 321); ისინი ყალმუხ-ეთ-ის სტეპებში ცხოვრობდნენ (მელიქიძე, 33).

საანალიზო ტექსტებში დადასტურდა ეთ სუფიქსიან სახელთა ერთი ახალი სემანტიკური ჯგუფის მოჭარბება. ესაა წყლეთი ტიპის სახელები.

სპეციალურ ლიტერატურაში წყლეთი ტიპის სახელები ხელოვნურ ფორმადაა მიჩნეული (ა. შანიძე). შენიშნულია, აგრეთვე, რომ თოვლეთი და მისთანანი ეპირატესად მხატვრული ლიტერატურის ენაში გეხვდება და საერთო გავრცელება ჯერ არ მოუპოვებია [2,28]. საანალიზო ფორმები (მკვდრეთი, ჯოჯოხეთი...) ძველი სალიტერატურო ენიდან მომდინარეობენ, ამათი ანალოგიური სულეთი, სმაჭამეთი... დაცულია ხალხურ მეტყველებაში ან დადასტურებულია ქართულ კლასიკურ მწერლობაში (რუსთაველი, ვაჟა...).

ირკვევა, რომ ეს წარმოება ახალ ქართულში ყალიბდება, როგორც პროდუქტიული ენობრივი მოვლენა, რომელიც მეტად გავრცელდა მე-20 საუკუნიდან. თუ 50-იან წლებამდელ ქართულ პოეზიაში ძველიდან მომდინარე ფორმების გვერდით თითო-ოროლა ახალი ნიმუში (მზისეთი, ვარსკვლავეთი) მაინც გამოვლინდა, თანამედროვე ქართული პოეზია (განსაკუთრებით საბავშვო) და პროზა უხვად წარმოაჩენს ამგვარ ფორმებს. დღეს ნებისმიერი სახელისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი, რომელიც ზოგჯერ სა პრეფიქსითაა გართულებული:

ვარსკვლავ-ეთ-იდან ისმოდა ხმები (დოჩან., (2)211); რა ქორწილიც უნდა ყოფილიყო ჰარალ-ეთ-ში, თამადად პარმენ დეალი უნდა მჯდარიყო (დოჩან.., (1)218); შორეულ ქალაქ დათვ-ეთ-იდან ინჟინერი ჩამოვიდა (მიშვ. ურჩი, 225); მთელი სა-ქალ-ეთ-ის სახელით ულოცავდა (ფუტე. 85); მის პატარა სოფელ - კუთხეში, არავსა და არავის-ეთ-ში გლოვა გამოცხადდა (წულეისკ.); არ მახსოვს ფარდები, ხალიჩები, და საერთოდ, ქსოვილ-ეთ-ის გვარის შთამომავალნი რა პატივში იყვნენ (მამუჩიშვ.); მოგზაურობის გეგმა ასეთია: წვიმარ-ეთ-ი - გვა-პოსეიდონი-წვიმარ-ეთ-ი (მამუჩიშვ.); ის იყო სამარცხვინოი სა-ძაღლ-ეთ-ისა (ჩხეიძე).

ამგვარი ნიმუშები ხშირადაა გამოყენებული ქ. ჭილაშვილის, არჩ. სულაკაურის, გ. ყანჩაველის, ლ. გოთუას, რ. მიშველაძის, გ. დოჩანაშვილისა და განსაკუთრებით ბოლო წლების „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ პროზაულ ტექსტებში. მიუხედავად ასეთი გავრცელებისა, საანალიზო ტიპის წარმოება ჯერჯერობით ისევ სამწიგნობრო ენის კუთვნილება უნდა იყოს.[12]

§7. ხარისხის სახელები

ხარისხის სახელი საგნის ნიშან-თვისებას წარმოგვიდგენს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ამის მიხედვით გამოყოფენ ხარისხის

ორ ფორმას: უფროობითსა და ოდნაობითს.

უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი აფიქსებია უ–ეს, ოდნაობითისა — მო–ო. უფროობითის ფორმები ძველი ქართულიდანვე მოყოლებული საკმაო სისშირით გამოიყენება, ოდნაობითი საშუალ ქართულში ძალზე იშვიათი იყო, ახალში შედარებით მატულობს, თანამედროვე სალიტერატურო (სამწერლობო ენაში) კი საგრძნობლად შესამჩნევია მო–ო-თი ნაწარმოები სახელების სიუხვე.

უ–ეს: უ-სათნო-ეს-ი დედების თვალებს შესცქეროდა (მიშვ., ურჩი, 321); უ-განათლებულ-ეს-ი, უ-ლამაზ-ეს-ი, უ-პატიოსნ-ეს-ი ქალია ზინა (ტიკარაძე, 48); მე შეგასწავლით უ-დიად-ეს-სა და უ-ნეტარეს-ს (დოჩან., (1), 69); თითქოს უნატიფ-ეს, უ-ცისფერ-ეს ყვავილად ქცეულიყო (აბაშიძე).

მო–ო: მო-მცრ-ო სირჩა მოართვეს (ს. ჭეიშვ., 131); მორეული სილამაზით აღსავსეა სიტყვა „მო-იისფრ-ო" (დოჩან., (2),167); მო-ქანგისფრ-ო ფოთლებით შეჯაეშნული მაგნოლია ელაედა (რ. ჭეიშვ., 98).

ჩვენი მასალებიდან ხარისხის ორიეე ფორმის დასახელება უხვად შეიძლება. განსაკუთრებით ხშირია ამგვარი წარმოების ნიმუშები გ. დოჩანაშვილის, რ. მიშველაძის, ჯ. ტიკარაძის, გ. ციციშვილის ნაწერებში. აქ თითქმის ერთნაირი რაოდენობითაა უფროობითისა და ოდნაობითის შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ გემოჩამოთვლილი ორდინალური ფორმების გვერდით ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა თავისებურმა წარმოებამაც. ასეთებად შეიძლება დავასახელოთ:

უუბასრესი მახვილიც ვერ გასჭრიდა (დოჩან., (1), 455); აი ვინ იყო ქორია, ჩვენი უუსასოესი მასპინძელი (ლეონ., 247); იმათი პროფესორი რომ მიაყურადებდა უუუუუშორეს ხმებსა, უუუუუუშორეს შრეებში მოსისინე ხმებსა... იგივე სისინსა უუუუუშორესსა, იგივე ბუყბუყსა უუუუუშორესსა (ჩხეიძე)...; წვერმოშვებული მოსოციალისტო ელემენტებიც არეულან (რ. ჭეიშვ., 473); დოქტორი მოინგლისურო ტემბრით მპასუხობს (ელიოზ., 78); აბა, თქვი რაიმე... ოღონდ მოიტალიურო სიტყვაო (დოჩან., 103); მოისმოდა მისი მონალვლიანო სუნთქვა (დოჩან., (2)210); მოთავხედო ქცევა ჰქონდა ბიჭს (ციციშვ., 145); წინ მოწითლოსავით სამხრეები მოჩანდა (ელიოზ., 75); სიტყვა პროზიდან წაიპოეტო ელემენტებმა შექმნეს სიტყვა „პროზაული" (დოჩან., 5).

უფროობითი ხარისხის უუდიდესი ტიპის ფორმები ქართულ პროზასთან შედარებით უფრო მეტად თანამედროვე პოეზიაში

დადასტურდა. ესენი და სამწერლობო ენაში გამოვლენილი სხვა ფორმებიც „მშიასავით“, „მოწითალოსავით“, „სულ-სულ-სულ ტყუილი“, „მწარე-მწარე მუშტები“, „დიდი“, „სუელ“, და მისთან. ეცილობლად აყენებენ ქართულში ხარისხის სახელთა წარმოების სხვაგვარი ანალიზისა და კვალიფიკაციის საკითხს, კერძოდ, მათს მიმართებას აღმატებითი ხარისხის ფორმებთან. ვფიქრობთ, ამ ასპექტით ამჟამინდელ მასალებთან ერთად ფასეული იქნება პრესის, პუბლიცისტიკისა და ნათარგმნი ლიტერატურის ვითარების გათვალისწინება.

საკითხის საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმედ გვესახება.

§8. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად გამოყენებულია –ება, –ობა, სი–ე, სი–ო აფიქსები. ამათგან ძირითადია სი–ე, სი–ო კი მისი ფონეტიკური ვარიანტია (იგი მოხმარებითაც იშვიათია).

ება და სი–ე მეტწილად ადიექტივის ფუძეებისაგან აწარმოებენ განყენებულ ცნებებს, ობა კი დაერთვის სუბსტანტივებს, მოქმედებითი ვეარის მიმღეობათა ფუძეებს და წარმოქმნის განყენებულ ან კრებით სახელებს.

ება: მშვენიერ-ება-მ სიხარული უნდა მოგანიჭოს (იოს., 50); ბედნიერება მორს აღარ იყო (სულაკ., 48); სახლი ივსებდა სურნელ-ებ-ით (ინან., 168).

ობა: ჩემი მგლ-ობა რომ დამემტკიცებინა (ინან., 95); მე გეოლოგ-ობა-ს ვაპირებ (ლომ., 5); კარგი პიონერ-ობა თავდებია კარგი ადამიან-ობ-ისა (დევდ., 54); მე ვიცოდე და ჩემმა რაშ-ობა-მაო (იოს., 60); ვაჟიან-ობა მოგვილოცა (ჭილ., 51); ბორო-ობა-ს ჩემულობდა (გელაშვ., 19).

სი–ჯ მგლების სი-რუხ-ე-ში ხან ერთი თვალი გაბრწყინდებოდა (ინან., 134); მალე ქოხი თოვლის სი-თეთრ-ე-ში გაუჩინარდა (ჭილ., 1, 84); სი-ჯანსაღ-ე შემოედინება ძარღვებში (ინან., 147).

სი–ო: ყველაფერი ივსებოდა... სი-თბ-ო-თი (ინან., 166).

ასეთი ორდინალური ფორმები უხვადაა წარმოდგენილი საანალიზო ტექსტებში. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა პარალელური წარმოების ნიმუშები:

სი-ცელქ-ე-ს ვერ ავუკრძალავ ყმაწვილს (ჭილ., 1, 97): სი-ღარიბ-ის ბრალი იქნება (ყანჩ., 51); რომ სი-მხდალ-ე არ დამწამოს (გელოვ., 7); ჩემს ცხოვრებაში სი-ბოროტ-ე არ ჩამიდენია (დევდ., 1986, № 8); აი, რა გვიყო სი-ზარმაც-ე-მ (სულაკ., 10); მას შეეალიე

ჩემი სი-ყრმ-ე და ახალგაზრდობა (იოს., 24); ბიჭმა სი-მარტოე-ე იგრძნო (ტოგ., 51).

შდრ.: არჩილი ვერ იტანდა ძმის ცელქ-ობა-ს (იოს., 42); დღეს განსაკუთრებით შეაწუხა მარტო-ობა-მ (ტოგ., 51); ბებიას არ მოეწონა შვილიშვილის მარჩაც-ობა (ჭილ., 18); ახლა დამიმტკიცე შენი ვაჟკაც-ობა (იოს., 75); არც წუწკ-ობა ჩაუდენია (ჭილ., 9).

დღეს ამგვარ პარალელურ ფორმებში განყენებული სემანტიკის გამოსახატავად სი–ე კონფიქსიანი წარმოება გაცილებით ჭარბობს (ეს ტენდენცია ამკარად იგრძნობა თანამედროვე პროზაშიც). უთუოდ ამაზე უნდა მეტყველებდეს ენაში არსებული თამაში—თამაშობა ტიპის ფორმებიც:

ქეთინოს თამაში და მარტოობა მოსწყინდა (ხახუტ., 39); ეოგონებმა თამაში ხალისით დაიწყეს (ხახუტ., 74).

შდრ.: თამაშ–ობ–ით გართულმა ბავშვმა გიშერას აღარ მიაქცია ყურადღება (ხახუტ., 8); „ძერაძერას“ თამაშობა უყვართ (ხახუტ., 72). ისევ დაიწყეს თამაშობა (ჭილ., 6).

კონტექსტის მიხედვით ზემოდასახელებული ტიპის ფორმებში (თამაში—თამაშობა...) სიტყვათა სემანტიკა ერთნაირია, მაგრამ ჩანს, ენა ცდილობს ობა სუფიქსის დართვით უფრო გამოკვეთოს აბსტრაქტულობა და მსგავსი შინაარსის მქონე წარმოშობის ერთეულები უნიფორმაციის გზით წარმოების ერთნაირ ყალიბშიც მოაქციოს.

საანალიზო შინაარსობრივ ჯგუფში უნდა დასახელდეს ობია–/ობანა ტიპის ფორმებიც:

ობანა: ასკინკილას ან თვალდახუჭ-ობანა-ს ვითამაშებთ (სულაკ., 25); მაშინ თმის დაწიწკნ-ობანა ვითამაშოთ (სულაკ., 27); თამაშობენ დაჭერ-ობანა-ს, კუკუდამალ-ობანა-ს, ლახტ-ობანა-ს (ტოგ., 110); ბავშვები ომობანა-ს თამაშობენ (ხახუტ., 45); ვთამაშობდით სიყვარულ-ობანა-ს (ბერულ., 146).

ობია: მოჯორ-ობია-ს თამაში გაახურეს (იოს., 38).

ასევე საინტერესოა:

ვთამაშობდით ქერიჭამიობას, ოთურმას (ინან., 280); ეზოში ბავშვები თვალხუჭუნას თამაშობენ (ხახუტ., 74); მე უფრო ჩხირკედლაობა მიტაცებდა (ჭილ., 1,14); ჩოკინას ჭამფიცულაობაც არ უყვარს (ჭილაშვ., 81).

აბსტრაქტული სახელების წარმოების თვალსაზრისით, შედარებით უფრო მეტ თავისებურებებსა და ფორმობრივ-სემანტიკურ მრავალფეროვნებას ამჟღავნებს საბაეშვო პროზა (რაც უნდა აიხსნას ამ ჟანრის სპეციფიკურობით).

შენიშვნა: საანალიზო ტექსტების მიხედვით შეისწავლეთ წარმოქმნილ სახელთა სხვა ჯგუფებიც: წარმოშობის, წინავითარების, მცენარეთა კრებულის, ბრუნვის ნიშნებით, თანდებულებით წარმოქმნილი და უცხოაფიქსებიანი სახელები, ორმაგი წარმოების შემთხვევებიც. ამ მასალათა ჩვენება არ გამოირჩევა განსაკუთრებული თავისებურებებით, ამიტომ მათზე ამჯერად საგანგებოდ აღარ შევჩერდებით. კვლევის შედეგებს გაეითვალისწინებთ საკითხის საბოლოო ანალიზის დროს.

დასკვნა: განვიხილეთ სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართული პროზის მიხედვით. საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ ენის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ამა თუ იმ აფიქსის სამოქმედო სფერო სხვადასხვაგვარი იყო. მაგალითად, ძველ ქართულში გავრცელებული ზოგიერთი აფიქსის (**ოსან, ოვან, ედ**) სასიცოცხლო ძალა ახალში საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ დღეს სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენამ კვლავ აღადგინა ისინი სპეციალურ ტერმინოლოგიაში და, ალბათ, ამათი ანალოგიით საჩინო გახდა სამწიგნობრო ენაშიც. შესამჩნევია ისიც, რომ ძველად ნაკლებპროდუქტიულმა ზოგმა აფიქსმა თანამედროვე ქართულში მეტი გასაქანი ჰპოვა, სემანტიკურად ახლოს მდგომი აფიქსების ფუნქციაც შეითავსა.

მეორე მხრივ, თანამედროვე ქართულში სიტყვაწარმოება რომ ესოდენ პროდუქტიული გახდა, ამაში წამყვანი როლი უდავოდ ეკუთვნის სამწიგნობრო ენას, სიტყვაკაზმულ მწერლობას, რომელიც წარმოადგენს სალიტერატურო ენის განვითარების საფუძველს. მართლაც, თანამედროვე ქართული პროზა საკმაოდ ხშირად გვაწვდის საინტერესო წარმოების ნიმუშებს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ენის საერთო განვითარების ტენდენციის მაჩვენებლად და მწერლის სტილის ნიშანდობლიობადაც. მაგალითად, ვკითხულობთ ლ. გოთუას ნაწარმოებებს და აშკარად შეიგრძნობთ დარბაისლურ, ლაზათიან ქართულს, გამორჩეულს სიტყვაწარმოებისა და კომპოზიციის თვალსაზრისითაც (ამის შესახებ თვით მწერალიც მოხდენილად შენიშნავდა: „ბუნებრივად მახასიათებს ენათქმნადობა, კომპოზიტები და ნეოლოგიზმები. მე კი არ ვქმნი, ისინი თავისთავად იღვრებიან. მე მათ ვცხრილავ"), გვხიბლავს გ. ლეონიძის „მუხლადი, ბედაური" ქართული სიტყვა;

ქართული ენის მაღალთვისობრიობასა და ჩვენი ენის ლექსიკის აშოუწურავ საგანძურზე მიუთითებენ გ. დოჩანაშვილის, რ. ჭეიშვილის, რ. მიშველაძისა და სხვათა ნაწერებში გამოვლენილი მეტად საინტერესო და ორიგინალური წარმოების ნიმუშები.

საანალიზო ტექსტების მონაცემებით დაზუსტებას მოითხოვს ზოგიერთი ტერმინი.

შემოკლებათა განმარტება

აბაშ. — აბაშიძე მ., „ცისკარი“, 1986, №9.

აღეიშვ. — აღეიშვილი ავთ., „ლიტ. საქართველო“, 1988, 12 აგვისტო.

ავალიშვ. — ავალიშვილი მ., „ლიტ. საქართველო“, 1988, 8 ივლისი.

ბეჟან. — ბეჟანიშვილი გ., „ცისკარი“, 1986, №10.

გაბელ. — გაბელაია ა., „ლიტ. საქართველო“, 1988, 1 ივნისი.

გოთუა — გოთუა ლ., „გმირთა ვარამი“, 1, 1975.

დემეტრ. — დემეტრაშვილი ოთ., „ლიტ. საქართველო“, 1987, 20 თებერვალი.

დოჩან. (1) — დოჩანაშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1987.

დოჩან. (2) — დოჩანაშვილი გ., სამოსელი პირველი, თბ., 1980.

დოჩან. — (ორი მოთხრობა) — დოჩანაშვილი გ., ორი მოთხრობა, 1984.

დუმბ. — დუმბაძე ნ., თხზულებანი, I, 1988.

ელიოზ. — ელიოზიშვილი გ., „განთიადი“, 1988, №3.

იოსელ. (1) — იოსელიანი ო., ნოველები, 1984.

იოსელ. (2) — იოსელიანი ო., დაჩის ბღაპრები, 1977.

იოსელ. — იოსელიანი ო., „შავი და ცისფერი მდინარე“, 1984.

კობერ. — კობერიძე კ., „ლიტ. საქართველო“, 1987, 18 სექტემბერი.

კუხიან. — კუხიანიძე ზ., „განთიადი“, 1988, №2.

ლეონ. — ლეონიძე გ., „ნატვრის ხე, 1982.

მამუჩიშვ. — მამუჩიშვილი მ., „ლიტ. საქართველო“, 1988, 7 ოქტომბერი.

მელიქ. — მელიქიძე ი., „ცისკარი“, 1987, №1.

მეხრიშვ. — მეხრიშვილი ჯ., „ცისკარი“, 1986, №9.

მიშვ. — მიშველაძე რ., ნოველები, 1972.

მიშვ. (ურჩი) — მიშველაძე რ., ურჩი, 1980.

5. ფეიქრიშვილი ქ. — სიტყვაწარმოება ქართული პოეზიის მისაღები. სელნაწერი. 1986.
6. ფეიქრიშვილი ქ. — სიტყვაწარმოება ქართული საბავშვო პროზის მიხედვით: სელნაწერი. 1987.
7. პაპიძე ა. — ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1974, № 1.
8. ჩიქობავა არნ. — სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942.
9. შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.
10. ჯანამია ს. — თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი: შრ. ტ. III, 1959.
11. კუბლაშვილი კ. — ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
12. იმნაიშვილი ი. — ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები: „ცისკარი", 1971, № 1.
13. იმნაიშვილი ი. - სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957წ.
14. ცხადაძე ბ. — -ოვან სუფიქსი ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 5, 1981.
15. ჯაჯანიძე პ. — -ოვან სუფიქსი ქართულში: პედინსტიტუტების შრ., ტ. II, 1975.
16. ჯორბენაძე ბ. — ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, 1985.
17. მარტიროსოვი არ. სუფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი ძველ ქართულში: „მაცნე", 1976, № 1.
18. ფოჩხუა ბ. - ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974.
19. ღამბაშიძე რ. - პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგიერთი საკითხი: ქსკს, VI, 1984.
20. ჩიქობავა არნ. - ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.
21. მელიქიშვილი დ. - იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, 1975.

შენიშვნები

[1] დასაველურ დიალექტებში ამ ჯგუფის აფიქსებით (განსაკუთრებით ა-თი) ნაწარმოებ სახელებს დაცინვა-დამცირების ელფერიც დაჰკრავს (იხ. რ. მიშველაძის, ნ. დუმბაძის, რ. ჭეიშვილის... პროზაში ფორმები:

სოსოია, შოთია, ლიმიკია და მისთანა).

[2] შდრ.: ძვ-5 კლასის სასკოლო სახელმძღვანელოში (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე) გამოყენებული ტერმინი „კნინობით-ალერსობითი". დღეს „კნინობითი" უფრო დამცირების გამომხატველია, ვიდრე ოდინდელი მცირესი. სამწერლობო ენის მიხედვით ამ ჯგუფის მაწარმოებლები დაცინვის მნიშვნელობით ძალზე იშვიათია. ამის გამო საფიქრებელია, საერთოდ გამოვრიცხოთ „კნინობითი".

[3] ქვემოიმერულში საწინააღმდეგო პროცესზეც მიუთითებენ: „იერ მიისწრაფვის ჩაებას პროდუქტიულ წარმოებაში და ია-ნ-ის აღგილი დაიჭიროს, თუ ყველა შემთხვევაში არა, უმეტესწილად მაინც" [11, 19-20].

[4] შდრ.: ეს თეთრწვერიანი... ბერიკაციც ათვალიერებდა ქუჩას (დოჩან., 1,17).

[5] შდრ., „საკმაოდ მაღალგუმბათ-იან საყდარში... იდგა" (ჯოთუა, 521).

[6] შდრ.: „ბევრ ძველ გვარ-ოვან დიდკაცთათვის გოდუნოვი... მეჯინიბე იყო (გოთუა, 473).

[7] შდრ იქვე: ჩაილაპარაკა ოქროსკბილებიანმა (გვ. 387, 288).

[8] ამგვარ თავისებურ ფორმებს განსაკუთრებით ხშირად იყენებს გ. დოჩანაშვილი (იხ. დოჩან. (I): ჩანჩქეროვანი, ექესნაბიჯოვანი, ჯანყოვანი, გიშრისთვალოვანი, ქვეტექსტოვანი, ორთქლოვანი... შესამჩნევია იგი რ. ჭეიშვილის პროზაშიც, პოეზიიდან: ს. ჩიქოვანის, მ. მაჭავარიანის, მ. ლებანიძის ენაში.

[9] უნდა შევნიშნოთ, რომ ქონების აღმნიშვნელი ა ზოჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში ია-ნ-ის პარალელურადაც იხმარება: „ხისთავ-იანი ანუ ხისთავ-ა, ქვისთავ-იანი გინა ქვისთავ-ა (ი. ქემერტელიძე, „ლიტ. საქ.," 1988).

[10] ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი ფორმების არსებობა:

შენ იცი, ჯაბავ, უ-თოფ-ზარბაზნ-ო-დ ალარ ვარეულვართ (ჯოთუა, 482).

უ-შემწვარხორც-ო-დ ნუ დაგეტოვებთ (დოჩან., (1),495).

იყენენ ბიჭები, უ-შვილძე-ო ბიჭები (დემეტრაშვილი).

უ-კვალ-უბილიკ-ო ფერდობიდან ჩამოდიოდა (ციციშვ., 231).

უ-თმაწარბ-ო ამხანაგს არ შეკამათებია (მიშ., ვურჩი, 87).

უ-იმკეპ-ო-დ ლაშა არასიმპათიური ჩანდა (მიშვ., ურჩი, 310).

უ-იმღონ-ო-დ და უ-იმგონებ-ო-დ როგორ შებედავდა შებმას (დოჩან., (2)16).

სარატოვი ჯერ უ-დიდ(ი)ხ-ო ქალაქი იყო (გოთუა, 427).

ყველამ ჩასულა უ-თავფურცელ-ო წიგნს (გოთუა, 299).

ამგვარი წარმოების ანალიზს სხვა მასალებთან ერთად წარმოვადგენთ შემდგომში.

[11] რ. ჭეიშვილის საანალიზო წიგნში სამგასმული სიტყვა სულ ასეთი ფორმით იხმარება.

[12] უკანასკნელი ხანის პროზაში გამოელინდა ასეთი თავისებური ფორმებიც: სწორედ ამ ალალ-მართლობით აიგდეს იგიც ზემოთებმა ის კიდევ მაღლითებს მოახსენებს ყველაფერს (კობერიძე); არიან ადამიანები, მეტსახელის გამომგონებლობისაკენ რომ უბიძგებენ ირგვლივებს (დოჩანაშ., (2)83); ჩრდილოელი ბიჭი იყო მსროლელი (ელიოზ., 80); ღამ-ღამ საეჭვო ლანდები უელიდნენ ირგვლივეთს (გოთუა, 402).

სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენის მიხედვით

შესრულებულია ქართული ენის კათედრაზე წლიური საკ-ელეე თემად ორ ნაწილად:

1. სამეცნიერო ლიტერატურის ენის მიხედვით 1989 წელს (წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის პედინსტიტუტის 51-ე სამეცნიერო სესიაზე 1990 წლის 1 ივნისს (იხ. მუშაობის გეგმა, ქუთაისი, 1990 წლის 31 მაისი–1 ივნისი);

2. პრესის ენის მიხედვით 1990 წელს (წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა I სამეცნიერო კონფერენციაზე 1991 წლის 24 მაისს (იხ. მუშაობის გეგმა, თეზისები, ქუთაისი, 1991 წლის 23-24 მაისი).

შენიშვნა: რამდენადაც, ჩვენი მასალების მიხედვით, სახელთა წარმოების თვალსაზრისით თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენა მეტწილად ერთნაირ ვითარებას აჩვენებს, ამიტომ ზემოდასახელებული ორივე თემის მონაცემთა ანალიზს ერთად წარმოვადგენთ, თანვე გზა და გზა გამოვყოფთ თითოეული ჟანრის მიხედვით გამოელენილ განსხვავებულ (თავისებურ) ფორმასა და ფუნქციასაც.

ე.ფ., 2008 წ.

წარმოდგენილი ნაშრომი არის ერთი ნაწილი თემისა „სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“. ამჟამად საკითხი შეისწავლეთ სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენის მიხედვით, გამოვყავით ამ ასპექტით წარმოჩენილი თავისებურებანი (მიღებული შედეგები საჭიროებისამებრ შევუღარეთ სამწერლობო ენის მონაცემებს), რის შედეგადაც ზოგადად გამოიკვეთა სახელთა დერივაციის ძირითადი მოდელი.

საანალიზოდ გამოვიყენეთ სამეცნიერო ლიტერატურა (ისტორიული, მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ენათმეცნიერული ნაშრომები, სასკოლო სახელმძღვანელოები და თანამედროვე ქარ-

იულ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული მასალები. შესაბამისად, ეკუთვნოდა „სამეცნიერო ლიტერატურის ენა“ და „პრესის ენა“.

რამდენადაც თემა გარდამავალია, აქაც ძირითადად წარმოდგენილია საკითხის აღწერითი ანალიზი.

სიტყვაწარმოება ქართულში მრავალფეროვნებით გვეძლევა. ამის უმთავრესი მიზეზია ქართული ენის ბუნება — მისი გამომსახველობითი ძალის მრავალმხრიობა და, აქედან გამომდინარე, მაწარმოებელ აფიქსთა სიუხვე.

სამწერლობო ენის მასალებზე დაყრდნობით საკითხის შესწავლამ გამოაელინა სიტყვაწარმოების სპეციფიკურობანი არა მარტო სალიტერატურო ქართულის განვითარების საფეხურების მიხედვით, არამედ ჟანრობრივადაც.

სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, წარმოქმნილ სახელებს აჯგუფებენ ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. აქამდე ჩვენც ამ პრინციპით ვიკვლევდით საკითხს. გაირკვა, რომ როგორც პოეზიაში, ისე პროზაში გაბატონებულია, ძირითადია სუფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება, შედარებით იშვიათია ოდენპრეფიქსიანი. საწარმოებელი აფიქსები საანალიზო მასალებში პოზიციის მიხედვით თითქმის ერთნაირ ვითარებას უჩვენებენ, სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ფუნქციონირების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ენაში ქმნის ნაირგვარ ყალიბებს.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა სიტყვაწარმოების შინაარსეული ჯგუფების ანალიზი და მათში წარმოჩენილი სპეციფიკურობანი.

წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურის ენაში წარმოების მრავალფეროვნებით არ გვეძლევა ყველა შინაარსეული ჯგუფი, მაგალითად, უქონლობის, წარმომავლობის, მცენარეთა კრებულის, თანდებულითა და ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი და ა. შ.; დასტურდება თითქმის მხოლოდ ტრადიციული ფორმები (ამიტომ მათზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით). მეორე მხრივ, საინტერესო წარმოების ნიმუშები გამოელინდა ქონების, ხელობის, ხარისხის, აბსტრაქტული, გეოგრაფიული სახელების შემთხვევაში.

ამჟამინდელი მასალების საერთო ჩვენება ასეთია: მაწარმოებელ აფიქსთა სახეობა და მოხმარების სიხშირე, ჩვეულებრივ,

შეპირობებულია მასალის ჟანრობრივი ხასიათით. მაგალითად, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში სხვა მასალასთან შედარებით სიხშირით ჭარბობს სპეციფიკური მაწარმოებლები ედ, აკ, ა... აფიქსები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში — ეთ, ედ, ოვან, ოსან, ნაირი... ისტორიულში — უცხოაფიქსიანი ფორმები და ა.შ. მათში სიტყვაწარმოების ყალიბები თითქმის ერთფეროვანია, ამდენად, მაგალითები დამოწმებისას მხოლოდ თითო-ოროლა ნიმუშით არის წარმოდგენილი.

სამაგიეროდ, მრავალფეროვნებით წარმოჩნდა პრესისა და, აგრეთვე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მასალები, რომელთა მიხედვით გამოიკვეთა ამჟამინდელი კვლევის ძირითადი შედეგებიც.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით

§1. კნინობითი სახელები

კნინობით სახელთა ზოგადი თეორიული მიმოხილვა იხ. ზემოთ, „პოეზიაში“ სათანადო სპეციალური ლიტერატურის მითითებით ([1,51; 2,123; 3, 25, 4, 103; 5,4-7]).

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაში ე.წ. კნინობითობის ძირითადი მაწარმოებელი აფიქსები არ გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და მოხმარების სიხშირით. მართალია, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში აკ შესამჩნევია, მაგრამ საერთოდ მათი რიცხვი (სტატისტიკა) მაინც მცირეა. მაგალითად:

მაგრამ ლელ-იკო-ს დამშვიდება არ გინდოდა? (ა. ბაქრ., 49); ღილაკ-ს მოძრაობაში მოჰყავს... (მათემატ., 63); იგი მიმართულია სხეულის ნაწილ-აკ-ების მოძრაობის საპირისპიროდ (ფიზიკა, 103); გვყავდა საბარელი ბელადებიც და სასაცილო ბელად-უკ-ებიც (ახკომი, 1989, 13/VI); შემდეგში კი ასფალტნათხარ ქალაქ-უნა-დ იქცა (ქუთაისი, 1990, 24/V) სოსო-ია ქანაობს, ბახა-ია იფხორება (ლიტ. საქ., 1990, 22/VI); დედები ... აბაზანაში ფეხ-უც-ებს ჩაბანენ (ლიტ. საქ., 1985, 30, VIII).

რადგანაც თანამედროვე სამწერლობო ქართულში საანალიზო აფიქსთა ძირითადი ფუნქცია გახდა მოფერება-ალერსის აღნიშვნა და არა საგნის დამცირებით ან შემცირებული ზომით წარმოდგენა, ბუნებრივია, ჩვენს მასალებში მათი სიუხვე არც იყო

მოსალოდნელი.

საინტერესოა ტერმინის საკითხიც. სამწერლობო ენის მიხედვით ირკვევა, რომ განსახილველ აფიქსთა ძირითადი ფუნქციაა მოუერება-ალერსის გამოხატვა, ამ ჯგუფის მაწარმოებლები დაცინვის მნიშვნელობით ძალზე იშვიათია. ამდენად, მათს აღსანიშნავად გამოყენებული ტრადიციული ტერმინი „კნინობითი“ (ა. შანიძე) გუსტად ვერ ასახავს რეალურ ვითარებას, ამიტომ უფრო მართებული იქნება საყოველთაოდ დამკვიდრდეს ტერმინი „მოფერებით-კნინობითი“ (ალ. ღლონტი), ანდა „მოფერებით-შემცირებითი“ (საერთოდ გამოირიცხოს „კნინობითი“).

§2. ყოლა-ქონების სახელები

ყოლა-ქონების სახელებს აწარმოებს სუფიქსები: **იან, იერ, ოსან, ოვან, ედ, ა**. ამათგან ახალ სალიტერატურო ქართულში ამ ფუნქციით ძირითადია (ყველაზე გავრცელებულია) **იან** და **ა** სუფიქსები.

ამ აფიქსთა გენეზისი სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი. ამ საკითხს აქ აღარ შევეხებით (დაწვრ. იხ. ზემოთ). ამჯერად წარმოვადგენთ ამჟამინდელი საანალიზო მასალის კვლევის კონკრეტულ შედეგებს.

იან სუფიქსი. თანამედროვე ქართული სამწერლობო ენის მიხედვით, **იან** სუფიქსის ძირითადი ფუნქცია ყოლა-ქონების გამოხატვაა, მაგრამ იგი ზოგჯერ წარმომავლობაზეც მიუთითებს, ხან კიდევ მას უფრო ექსპრესიული ფუნქცია აკისრია, ვინემ გრამატიკული [6,17].

სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაშიც **იან**-ის ძირითადი ფუნქციაა ყოლა-ქონების აღნიშვნა:

> მისი სამგომ-იან-ი კრებული მალე გამოვა („ცისკარი“, 1987, № 7); თითის დაქნევ-იან-მა მეთოდებმა ცუდი სამსახური გაუწია („კრიტიკა, № 3); დედამისი გულანგელოზ-იან-ი ქალი იყო (ქართ. ფილ., 1990, 28/VIII); ამით დავამთავრე სამწიგნ-იან-ი ნაშრომი („კრიტიკა, 178).

იერ სუფიქსი ძველ ქართულში ყოლა-ქონების სახელთა ძირითადი მაწარმოებელი იყო [7, 434]. ახლა კი საგრძნობლად შემცირდა მისი მოხმარების სფერო. მისი ადგილი მეტწილად **იან**-მა დაიჭირა (ა. შანიძე), თუმცა ქვემოიმერულში საწინააღმდეგო პროცესზეც მიუთითებენ [8,19-20].

ჩვენი საკვლევი მასალებიც აღასტურებს იერ სუფიქსის არაპროდუქტიულობას. აქ იგი გამოყენებულია ზმნათქმის მხოლოდ ტრადიციულად მოძღვნარე ფორმებში:

მეზობლების გოს-იერ რჩევას არ მიაქციეს ყურადღება (სოფლ. ცხოვრ., 17/IV, 1987); ახლა წიგნ-იერ-ი თაობაა საჭირო (კომუნისტი, 12/IX, 1989); მშვენ-იერ-ზე მშვენ-იერ-ი ბუნება გადაიშალა (თბილისი, 22/X, 1988).

ოსან სუფიქსი ძველად უფრო ხშირად გამოიყენებოდა; მისი ძირითადი ფუნქცია იყო, აღენიშნა რისიმე მატარებლობა, მქონეობა. ახალ ქართულში შედარებით შემცირდა მისი გამოყენების შემთხვევები; ამ შინაარსის გადმოსაცემად მეტწილად ან სუფიქსი ცვლის. ამიტომ იყო, რომ იგი XIX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში (რომანტიკოსების ენაში) ძალზე იშვიათად გეხვდებოდა [5,6].

მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართულში ოსან სუფიქსი კვლავ იკაფავს გზას. იგი გამოხატავს ქონებას, აწარმოებს ხელობის სახელებს და აღნიშნავს მცენარეთა კრებულს [3,25].

თანამედროვე ქართულ სამწერლობო ენაშიც აშკარაა ოსანის მოჭარბება XIX საუკუნის შესაბამის მასალებთან შედარებით. ეგევე ითქმის პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესახებაც (განსაკუთრებით სპეციალურ ტერმინოლოგიაში):

პარკ-ოსან-ი მცენარეები ხარობს (ბუნება, მე-5 კლ., 48); ერთი ერი უფრო კულტურ-ოსან-ი ერისაგან ანბანს სესხულობს (ზ. სარჯვ., 72); მათ შორის ერთი ყველაზე ტიტულ-ოსან-ია (თბილისი, 1988, 17/II); გვიანდელი უნდა იყოს წვერ-ოსან-ი ქრისტეს ხატება (საბ. ხელოვნ., 1989, №3, გვ. 74); 80 მედალ-ოსან-ი უკვე გამოუშვეს სასწავლებლებმა (სახ. განა., 1986, 16/VII); გვირგვინ-ოსან-ი მეფის მთამომავალი ყოფილა (ახალი საქართვ., 1990, 20/XI).

ოვან სუფიქსი ფუნქციის თვალსაზრისით არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი: ძველ ქართულში იგი 1) მცენარის სახელზე დართული გამოხატავდა კრებითობას (სიმრავლეს); 2) აღნიშნავდა მქონეობას (ძირითადი ფუნქციაა) და 3) დაპკისრებია საგნის ნიშნის ან თვისების ასახვა, რაც მის ძირითად ფუნქციებთან შედარებით გვიანდელი მოელენა უნდა იყოს [8, 96-103].

ახალ ქართულში, მკვლევართა აზრით, ოვან არაა ქონების სახელთა პროდუქტიული მაწარმოებელი (ა. შანიძე). კრებითობის გამოხატვის ოდინდელი (ძირითადი) ფუნქცია მხოლოდ მცენარე-

ოა სახელებსა და ტოპონიმებში შემოუვენახია, სხვა შემთხვევაში იგი დაკარგული ჩანს [8.101], თუმცა, სხვა მოსაზრებით, იგი ახალი შესაძენი უნდა იყოს [9, 359].

როგორია დღეს ოვან სუფიქსის მოხმარების სიხშირე?

XIX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში ქონების სახელთა საწარმოებლად ოვან სუფიქსის გავრცელება ოვან-იც ხელშესახებად დასტურდება. ეს კი გვაიძულებს, რომ ძველი ქართულის სიტყვაწარმოების ზოგიერთი წესი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ძალაშია (ტანი მალ–ოვან–ი, ცა ნათლ–ოვან–ი; მრავალშტ–ოვან–ი), რასაც პოეტური ენის სპეციფიკურობაც აძლიერებს უთუოდ.

თანამედროვე სამწერლობო ენაში (XIX საუკუნესთან შედარებით) ოვან-ის მოქმედების სფერო აშკარად ფართოვდება. ამიტომაა, რომ იგი გამოიყენება არა მარტო ტრადიციულად მომდინარე ფორმებში, არამედ ისეთ კონტექსტებშიც, სადაც ცოცხალი მეტყველება სხვა სუფიქსს წარმოაჩენს; გარდა ამისა, სპეციალურმა ტერმინოლოგიამაც უფრო გააქტიურა მისი მოხმარება.

ვფიქრობთ, სამწერლობო ენაში ოვან-ის ასე ძალუმად წარმოჩენა ხელს უწყობს მის ჩადგომას თანამედროვე სიტყვაწარმოების პროდუქტიულ აფიქსთა რიგში.

სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაშიც ოვან საკმაო სიხშირით დასტურდება:

„პიონერს“ ვულოცავ სამოცწლ-ოვან იუბილეს (პიონერი, 1986, № 1); გამყიდველს გადმოაღებინა ინგლისურენ-ოვან-ი ალბომი (კომუნისტი, 1987, 4/1); მისი დამახასიათებელი შტრიხია კუთხ-ოვან-ი ღიმილი (თბილისი, 1987, 10/1); თავსართ-ოვან-ი წარმოება ჭარბობს ბოლოსართ-ოვანს (ა. ჩიქობ., ქეგლ, I, 031); ნაწლავის ლორწოვან გარსში ბევრია ღიმფური კვანძი (ანატომია, 131); ყველაფერი ეს ნაკარნახევია გუმბათ-ოვან-ი არქიტექტურით (საბჭ. სელ., 1989, № 3); ათასწლ-ოვან-ი ისტორია ამძიმებდა ციხეს (კრიტიკა, 1988, № 3).

შდრ.: ავტორი თხუთმეტწლ-იან-ი კვლევის შემდეგ დარწმუნდა... (ახალგომი, 25/XI, 1989); მ თავსართ-იან-ი წარმოება აღიჭურვა... (ა. ჩიქობ., ქეგლ, I, 031).

ა სუფიქსი ქონების მაწარმოებელ მორფემათაგან დღეს ყურადღებას იქცევს ფუნქციური მრავალფეროვნებით.

ძველი ქართულის დონეზე სპეციალურ ლიტერატურაში ა არ მიაჩნიათ ქონების მაწარმოებლად და არც ასახელებენ [1, 52; 3,27].

მაგრამ ახალ ქართულში (განსაკუთრებით XX საუკუნის ენაში) იგი საკმაოდ გავრცელებულია, თანდა საჩინო გახდა მისი ფუნქციების გაფართოების ტენდენცია. ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციებია: **კნინობითობის, ქონების, მსგავსების, დახასიათების, დაკონკრეტების და მოგჯერ სავანთა დანიშნულების წარმოება.** აქვე აღსანიშნავია, რომ ქონების, მსგავსებისა და დახასიათების აღმნიშვნელი ა სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია იქნებოდა ქონების გამოხატვა და იგი ქონების აღმნიშვნელ სხვა სუფიქსებში (ი–ან, ოვ–ან, ო–სან) გამოყოფილი ან ელემენტის თანხმოვანდართული ნაშთი შეიძლება იყოს. სწორედ ამ ან სუფიქსის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს ბუზღუნ–ა, ქერ–ა, ტიპის სახელებში გამოყოფილი ა სუფიქსი [10,29]. და მაინც მისთვის ძირითადია თვისების აღნიშვნა, რომლის შესაბამისად შექმნილია მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა... სახელები. ა სუფიქსის ესოდენი გავრცელების მიზეზად მიჩნეულია მეცნიერების ამა თუ იმ დარგში ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილებაც [3,27]. დავიმოწმებთ მხოლოდ თითო-ოროლა ნიმუშს:

> შენა მუცელ-ა...კაი ალიყული... ხომ არ გინდა? (ქუთაისი, 1990, 24/V); ეს გამოქვაბულია... უთვალავწვეთებ-ა (ქართული ფილმი, 1990, 29/VIII); მომენატრება გურამ რჩეულ-ა (რჩეულიშვილი) (ლიტ. საქ., 1988, 13/V); სოფიო მწვანეთვალებ-ა გოგო გამოდგა (საქ. ქალი, 1986, №3).

უნდა შევნიშნოთ, რომ ა სუფიქსიანი სახელები ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაში არ გვეელინება ისეთი მრავალფეროვნებით, როგორც სამწერლობო ენაშია დადასტურებული.

ედ სუფიქსი ძველ ქართულშივე შედარებით იშვიათად ხმარებული აფიქსი იყო. იგი სალიტერატურო ენაში ქართულის ძირითადი და მასაბრდოებელი დიალექტიდან შემონატანად მიაჩნიათ. სპეციალისტების აზრით, ახალ ქართულში იგი, როგორც აფიქსი, მკვდარია. შემორჩენილია თითქმის მხოლოდ ძველიდან მომდინარე სიტყვებში (ა. შანიძე).

მართლაც, სამწერლობო ენაში ედ იხმარება მხოლოდ ტრადიციულად მომდინარე ფორმებში. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ თანამედროვე ტექნიკური ტერმინოლოგია ფართოდ იყენებს მას, შესაბამისად, პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაშიც

ხელშესახებად გვეძლევა იგი:

საიკვირველ-ი სამი გვერდისაგან შეღგება (მასალები, ის-9 კლ., 17); კოლას ქარხნის თაღ-ედ-ის კარი ელანდებოდა (ლიტ. საქ., 1990, 22/V6); პოემის პროზაული პწკარ-ედ-იც შეეისწავლე (კრიტიკა, 1983, №5); ლიმფური უჯრ-ედ-ები იშლება (ანატომია, მე-9, 101); მლოცველთ თაყვანი სცეს ჩვილ-ედ-ის ღვთისმშობლის ხატს (ლიტ. საქ., 1988, I/IV).

ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში ედ სუფიქსის გამოყენების სფერო და შესაბამისად ფუნქციები სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა შესწავლილი. გამოტანილია დასკვნა, რომ ედ სუფიქსის სემანტიკურმა ფუნქციამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. თუ იგი ისტორიულად მქონებლობას გამოხატავდა, ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ახალი სიტყვის — ძირითადად არსებითი სახელის საწარმოებელ ენობრივ ინვენტარად იქცა. უთუოდ გაფართოვდა მისი მოხმარების სფეროც [11,37].

ამრიგად, ამჟამინდელ საანალიზო მასალაში ქონების სახელთა წარმოება გამოვლინდა მეტ-ნაკლები მრავალფეროვნებით. სამწერლობო ქართულის მსგავსად, აქაც ამკარაა ან, ოვან, ოსან სუფიქსების სიჭარბე. მათთვის ძირითად ფუნქციად კვლავ რჩება მქონებლობის გამოხატვა. ამიტომაა, რომ ისინი ადვილად ცვლიან ერთმანეთს. თუმცა ასეთი სემანტიკური იდენტურობა ყოველთვის როდი გვაქვს: ფრთიანი გუთანი და ფრთოსანი მგალობელი... გარდა ამისა, ოვან, ოსან, ედ სუფიქსები დღეს რომ ესოდენ გააქტიურდა სამწერლობო ენაში სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, ამაში უდაოდ დიდი წილი უდევს სამეცნიერო ტექნიკურ ტემინოლოგიასა და პრესის ენას.

დაბუსტებას მოითხოვს ამ ჯგუფის სახელთა ტრადიციული ტერმინი „ქონების სახელები“ (ა. შანიძე), რომლის პარალელურად იხმარება „ყოლა-ქონების სახელები“ (ალ. ღლონტი), „მქონეობის სახელები“ (ბ. ჯორბენაძე).

ვფიქრობთ, ამათგან დამკვიდრდეს „ყოლა-ქონების სახელები“, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოებშიცაა შეტანილი (იხ. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ კეაჭაძე, ქართ ენა, VI, კლ., 1989).

§ 3. უქონლობის სახელები

უქონლობის სახელთა მაწარმოებელია უ–ო, უ–ურ(ულ) კონფიქსები. ისინი ერთნაირი წარმომაელობისა არიან, მაგრამ ის-

ტორიელად უფრო ძველია უ–ურ. რომელიც დღეს ნაკლებპროდუქტიულია. სამაგიეროდ, უ–ო აშკარად ერთადერთია როგორც ახალ სიტყვათა სადერივაციო აფიქსი (ა. შანიძე).

მართლაც, უ–ო-თი წარმოქმნილი სახელები უხვად გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (როგორც სამწერლობო, ისე სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაში). თანაც წარმოება ერთგვაროვანია, ამიტომ მხოლოდ ორიოდე ნიმუშის დასახელებით დავკმაყოფილდებით:

ვისწავლოთ საქმის ჩუმად, უ-ტაშფანდურ-ო-დ და უ-დაფნისგვირგვინ-ო-დ კეთება (კომუნისტი, 24/VI, 1990); უ-სამშობლ-ო კაცი საშიში ყოფილა (კრიტიკა, 1989, №5); ახლა უ-წიგნ-ურ-იც საკმარისად გვყავს (სახ. განა, 7/V, 1988).

თუ სამწერლობო ენაში უქონლობის სახელთა ზოგიერთი თავისებური ფორმა (უზომოდ ბედნიერი, უგზაური მდინარენი...) მაინც შეგვხვედა, რაც შეიძლება პოეტურ ნებელობად ჩაითვალოს, პრესის ენა ასეთი რამისაგან თავისუფალია, წარმოება აქ ძირითადად ერთფეროვანი და ტრადიციულია.

§4. ხელობის სახელები

ხელობის ანუ მოსაქმეობის აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გამოიყენება მე–ე, მე–ურ (ულ), მო–ე, მ–არ, მო–არ კონფიქსები. ამათგან ახალი ქართულისათვის ძირითადია მე–ე:

მე–ჯ ჯ. ინჟოროყვას იცნობენ ეროვნული საქმის მე-უდაბნო-ე-დ (თბილისი, 1988, 13/II); მე-თემ-ე-ები ცალკე სახლებოდნენ (საქ. ისტ., 25); ოჯახს არ პყოფნიდა მე-ტელეგრაფის გროშები (განთიადი, 1989, №1); მანავის მე-ისტორიე' არის მოსწავლე (ახმოკი, 1989, 2/XI); რომ აღრე გამოართვან პალტო მე-გარდერობ-ე-ს (ა. ბაქრ., 328); ფეოდალური ხანის მე-ქრონიკ-ე-ებსაც შეშურდებოდა (განთიადი, 1989);მელამ ერთ მე-შეშ-ე-ს თოკი მოჰპარა (ქართ. ენა, მე-4 კლ., 17); ჩამოყალიბდა „ჩაპოდნიკების" ანალოგიით „მედასაელეთ-ე-ები" (საბ., ხელ., 1989, №4); მთა ქართველთა თავშესაფარიც იყო, ბეღელიც, მე-განძ-ე-ც (ა. ბაქრ., 62); საქართველოს მე-ლექს-ე-თა შორის გამოირჩევა (კრიტიკა, 1988, №3); მსხვერპლისა და მე-მსხვერპლის გვერდიგვერდ დაეანება შეუძლებელია (ქუთაისი, 28/VI, 1989); ერთ-ერთი მე-ტაშ-ეც თვითონ არ იყო? (ლიტ. საქართ., 1987, 10/VII); ახლა ყველა გახდა... წარმატების მეტრფე-ე (აკ. ბაქრ., 343).; მე-მთვრალ-ე მამა-შვილი (1986, ქუთაისი, 16/I); კომუნისტმა მე-დღეობ-ე-ს კი არ მიულოცა, არამედ... (კო-

მუსისტი. 2/VII. 1989); მე-ექსკავატორ-ე-ს დაელგა შეგირდად (ა. ბაქრ., 175).; ამბავი მე-სალაშურ-ე ბიჭისა (კომუნისტი. 23/VI. 1989).

მო–ჯ მო-ხალისე-ე ოჯახები ერთად ცხოვრობდნენ (საქ. ისტ., 25); სოკრატი ბოროტობის მო-კავშირ-ე-ა (ა. ბაქრ., 374); მას მო-პირველ-ე პოეტის არც ერთი ნიშანი არ აკლია (თბილისი, 1988, 17/II); მო-რუსულ-ე რექტორი მკაცრად აფრთხილებს თანამშრომლებს (ლიტ. საქ., 1990, 11/V); ცდილობენ თავიდან მოიშოროს ცუდად მო-მეცადინ-ე მოზარდები (თბილისი, 1988,24/IV); შარაგზაზე დაქრიან მო-ხალტურ-ე მანქანები (კომუნისტი, 1986, 24/XII); მო-მიტინგ-ე-ებ-ი ქალაქში არ შეუშვეს (ახკომი, 1989, 25/XI); ეს მო-ქართულ-ე ქალბატონები თავს არ გრძნობდნენ უცხოდ (კომუნისტი, 1988, 11/VI); საღერღელი აუშალა ეროვნული გრძნობით მო-სპეკულიანტ-ე პირებს (თბილისი, 1988, 17/II); სოფელს გადაშენება არ უწერია, სანამ ერთი მო-ერთგულ-ე და მო-ჭირისუფლ-ე ვლეხი დაპკანკალებს (ახკომი, 1989, 15/VIII); შენი საქმისა შენ იცი, მე მო-ძალ-ე არა ვარ (კომუნისტი, 1989, 17/XII).

ხელობის სხვა მაწარმოებლიან მაგალითებს აღარ ვასახელებთ, რამდენადაც ისინი დადასტურებულია ტრადიციული ნიმუშებით (მეზღვაური, მებადური...), არ ამეღავნებენ რაიმე სპეციფიკურობას და თითქმის არ განსხვავდებიან სამწერლობო ენის მონაცემებისაგან.

საანალიზო ჯგუფის სახელთა წარმოებაში დღეს ყურადღებას იქცევს მე–ე და მო–ე კონფიქსიანი სახელები არა მარტო მოხმარების სიხშირით, არამედ იმითაც, რომ ისინი გვეელინებიან არატრადიციულ კონსტრუქციებშიც.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ზოჯერ მე–ესთან ფუნქციურად გამიჯნული არ არის მორფემა მო–ე–ც. ისინი თითქმის თანაბრად წარმოქმნიან ხელობის აღმნიშვნელ სახელებს [13,114; 14,185].

წარმოდგენილი მასალებიც ცხადყოფენ, რომ სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაში (ისევე როგორც სამწერლობო ენაში) აშკარად ხელშესახებია მო–ე კონფიქსის გააქტიურება, მისი მოხმარების სფეროს გაფართოება. მართალია, სტატისტიკურად ჯერჯერობით კვლავ ჭარბობს მე–ე კონფიქსით ნაწარმოები ფორმები ხელობის სახელთა ჯგუფში, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მო–ე–ც მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს საერთოდ მის გვერდით და ოდინდელ მე–ე აფიქსებიან ფორმებშიც კი, რაზედაც მეტყველებს ასეთი პარალელური ნიმუშებიც:

გალაკტიონს მე-კაშის ფუნქცია რჩება (ქუთაისი, 1987, 12/VII); მე-კავშირ-ე-ებიც მალე იპოვეს (კომუნისტი, 1988, 17/III). შდრ.: კრიტიკოსი ცდილობს ისიც გაიხადოს მო-კავშირ-ედ (სახ. გან., 1989, 11/I).

როგორც შენიშნავენ, მო–ე-ს ამოსავალი ფუნქცია უნდა ყოფილიყო კუთვნილებისა და მონაწილეობის აღნიშვნა. შემდეგში მისი ძირითადი ფუნქცია გახდა ხელობის სახელთა წარმოქმნა [3, 28]. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის (სამწერლობო, სამეცნიერო და პრესის ენის) ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ მო–ე / /მე–ე-თი ნაწარმოებ ზოგიერთ სახელში ჯერ კიდევაა შენარჩუნებული ოდინდელი ფუნქცია — კუთვნილება-მონაწილეობის აღნიშვნა და არა ხელობა-მოსაქმეობისა:

თითო-ოროლა გამომტყვრალი მო-ნადიმ-ე დარჩენილა (ა. ბაქრ., 291); მალე აუღო ალღო თანა-მე-ოთხ-ე-ს (ლიტერ. საქ., 1988, 4/XII); აიღეთ სიმაღლე, ამხანაგო მე-სიმაღლ-ე-ე?[2] (კომუნისტი, 1986, 4/XII).

თანამედროვე ქართულში ხელობის სახელებად შესაბამისი აფიქსებიანი ფორმების გვერდით საკმაოდ ხშირად გამოიყენება სიტყვები, რომლებიც ხელობის სემანტიკას გამოხატავენ (მეტალურგი, მჭედელი, მსახიობი, მექანიკოსი, ისტორიკოსი, ექთანი...) ამავე ფუნქციით გვხვდება უცხოაფიქსებიანი სახელებიც (ალტილერისტი, სტენოგრაფისტი, ტელეგრაფისტი, მონტიორი, გასტროლიორი). მაგრამ თანამედროვე სამწერლობო ენაში ამ ჯგუფის სახელების ნაცვლად აფიქსური წარმოებაცაა გამოყენებული ქართული ყალიბით. მაგალითად: მეისტორიე, მეელექტრონე, მეტელეგრაფე, მეგასტროლე და ა.შ. თითქმის ასეთივე ვითარებაა სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაშიც. აქაც იგრძნობა, რომ ენა ცდილობს მეტი გასაქანი მისცეს მო–ე, მე–ე აფიქსებიან წარმოებას. მექრონიკე, მეისტორიეს ანალოგიით ჩანს მიღებული მედღეობე, მესიმაღლე, მესადილე და ა.შ.

ხელობის აღმნიშვნელ სახელთა ჯგუფში აერთიანებენ მიმღეობისაგან ნაწარმოებ ფორმებსაც (იხ ზემოთ).

ირკვევა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელს მანძილზე მე–ე, მე–ურ კონფიქსების ფუნქცია სხვადასხვაგვარი იყო. თავდაპირველად ისინი კლასკატეგორიას აღნიშნავდნენ [15,034]. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ მე–ე აფიქსების ფუნ-

ქცია უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი გასუბსტანტივებული მიმღეობის წარმოება [16,119]. ხელობის გამოხატვის უნარი მათ მოგვიანებით შეიძინეს და, რადგანაც ეს ფუნქცია მათთვის არ იყო ერთადერთი, ენამ ხელობის (მოსაქმეობის) აღნიშვნა ნაწილობრივ მაინც დააკისრა სხვა მნიშვნელობის აფიქსებსა და მიმღეობის ფორმებს.

საანალიზო ჯგუფის სახელთა ზოგადი ანალიზი საცნაურს ხდის, რომ მე– და მო– კონფიქსიანი სახელების სემანტიკა ყოველთვის არაა ერთნაირი (ოდენ ხელობის გამომხატველნი), ამიტომ საჭიროა მოხდეს მათი სემანტიკური დიფერენციაცია და სათანადო კვალიფიკაცია სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად.

დასაზუსტებელია, ავრეთვე, ტერმინი „ხელობის სახელები", რომლის პარალელურად სპეციალურ ლიტერატურაში იხმარება „მოსაქმეობის სახელები" (ალ. ღლონტი).

§5. დანიშნულების სახელები

დანიშნულების სახელებს აწარმოებს კონფიქსები: სა–ე, სა–ო, სა–ურ, სა–არ. ამათგან ძირითადია სა–ე და სა–ო.

სა–ე აფიქსებით ნაწარმოები სახელები მეტწილად არსებითებია, სა–ო-თი კი — ზედსართავები.

სა–ჯ სა-ციმბირ-ედ გამზადებული პატიმრები გაჰყავთ (განთიადი, 1989, № 1); ურიგებდნენ ნაკვეთებს, სა-ბოსტნ-ე-ებს, სა-ბახჩ-ე-ებს (ა. ბაქრ., 56); სა-ყან-ე აღარ შეარჩინეს გლეხს (სოფლის ცხოერება, 1989, 9/VI).

სა–ო იგი ადვილად აღწევს სა-მსახიობ-ო ოსტატობას (საბჭ. ხელ.., 1989, №4); რიგები გაიმარდა სა-გაზეთ-ო ჯიხურებთან (კრიტიკა, 1988, 3); თუმცა აქ სა-უარ-ო რა უნდა იყოს (კომუნისტი, 1988, 29/II); ჩვენ არ მივდიოდით სა-ტაშფანდურ-ო-დ (ახალგაზრ. ივერ., 1990, 7/VIII); სა-სუბიექტ-ო მიმღეობა აწარმოებს... (ქართვ. ენ. სტრ., საკ., 5,21)); სა-მიწათმოქმედ-ო მეურნეობა ძლიერდებოდა (საქ. ისტ., 20).

ამჟამინდელ საანალიზო მასალებში (ისევე როგორც თანამედროვე სამწერლობო ენაში) ძალიან ფართოდ მოისმარება სა–ო კონფიქსი. პროდუქტიულობის თვალსაზრისით იგი ამჟამად ჭარბობს სა–ე-საც კი. როცა სამწერლობო ენაში შესაბამის მაგალითებზე ვმსჯელობდით და მივუთითებდით მათს რიცხობრივ სიუხვეზე, ამ ასპექტით დადასტურებულ ზოგიერთ თავისებურ ფორ-

მას ესესიდით მხატერული სიტყვის სპეციფიკურობითაც. სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაშიც თითქმის ამგვარი ვითარებაა, ზოგი ფორმა აქაც ამკარად ხელოვნური ჩანს:

ჩვენთვის უცხო იყო სა-მედალოსნ-ო ცივებ-ცხელება (ახკომი, 1988, 7/VII); ფილმის შეძღეგ სა-თვალ-ო მშვენიერება ქრება (ა. ბაქრ., 192); მისთვის გადაეცია თოვლის პაპას სა-თოვლისპაპ-ო კვერთხი (ახკომი, 1987, 10/I); ეს გადაიღეს ფოტო-სა-ატელი-ო-დ გამოწყობილმა ყმაწვილებმა (განთიადი, 7); სა-ორიოდწუთ-ო საქმეზე... ვლაპარაკობ (ლიტ. საქ., 1987, 25/!II); ვერიდოთ სა-მკურნალწამლ-ო სამუალებებით თვითმკურნალობას (თბილისი, 1989, 14/I); ჩემი შეკითხვა პაპას სა-ინტერვიუ-ო კითხვას (ქუთაისი, 1989, I/II); სა-არაფრ-ო საუბარში მან გაიხსენა ყავა (თბილისი, 1988, 13/II)); ჩემს სა-წიგნებელში თავი მოიყარა მრავალმა წიგნმა (წიგნ. სამყ., 1985:, 24/VII); საგანგებოდ არ ჩამოეფრენილვარ შენს სა-ესტონლ-ო-ში (ახკომი, 1990, 17/III); ხელოვნებაა სულის სა-გრდელი (ა. ბაქრ., 100).

საკვლევი მასალებით ირკვევა, რომ დანიშნულების სახელთა თავისებური ფორმები მეტწილად პრესის ენაზე მოდის, ზოგიერთ მათგანში კი სა–ო-ს გამოყენება არაორდინალურ კონსტრუქციებში შეპირობებული ჩანს თანამედროვე სამწერლობო ქართულში სა-ზოგადოდ სა–ო-ს პროდუქტიულობის საერთო ტენდენციით.

§6. გეოგრაფიული სახელები

სპეციალურ ლიტერატურაში გეოგრაფიულ სახელთა ჯგუფში აერთიანებენ სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა წარმოშობის სახელებს (ა. შანიძე), მაგრამ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა სადერივაციო აფიქსების გამოყენების შემთხვევები.

წინასწარვე შევნიშნავთ, რომ, საზოგადოდ, ამ ტიპის სახელთა წარმოება თანამედროვე ქართულში არ გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. შესაბამისად, იგი ამჟამინდელ საანალიზო ტექსტებშიც არ გვეძლევა მრავალფეროვნებით.

ეთ, ით, სა–ეთ, სა–ო აფიქსებიანი სახელები პრესის ენაშიც ძირითადად ტრადიციული ნიმუშებითაა წარმოდგენილი (კახეთი, საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი, თურქეთი...). ამიტომ შესაბამის წინადადებებს აღარ ვასახელებთ. ამჯერადაც მხოლოდ საგანგებოდ გამოვყოფთ წყლეთი ტიპის ფორმებს, რომლებიც სამწერ-

ლობო ცნებაშიც ხელშესახებად გამოყალიბდა.

ირკვევა, რომ ეს წარმოება ახალ ქართულში ყალიბდება როგორც პროდუქტიული ენობრივი მოვლენა, რომელმაც მეტი გავრცელება მოიპოვა XX საუკუნიდან. თუ 50-იან წლებამდე ქართულ პოეზიაში ძველი ქართულიდან ტრადიციულად მომდინარე ფორმების გვერდით თითო-ოროლა ახალი ნიმუში (**მზისეთი, ვარსკვლავეთი**) მაინც გამოვლინდა, თანამედროვე ქართული პოეზია (განსაკუთრებით საბავშვო) და პროზა უხვად წარმოაჩენს ამგვარ ფორმებს. დღეს ნებისმიერი სახელისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი, რომელიც ზოგჯერ სა პრეფიქსითაა გართულებული (**დათვეთი, ირგვლივეთი, საძაღლეთი, ქსოვილეთი...**).

პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში კი ასეთი ვითარებაა: სამეცნიერო ტერმინოლოგია ეთ-ს იყენებს ჩვეულებრივ ტრადიციულ ფორმებში და **ქსოვილეთის** ტიპის ნიმუშები იშვიათია (გაშლილია კავკასიის **მთიანეთი**: საქართ. ისტ., 6; ოკეანეთი ეწოდება... კუნძულებს: გეოგრაფია, 8,109...), პრესაში კი, უკვე შესამჩნევია მათი მოჭარბება:

> ქალაქი ჩოჩორ-ეთ-ი კატასტროფამდე მიიყვანა (ლიტ. საქ., 1987, 30/I); სა-გიე-ეთ-ში ათავსებენ ფიზიკოსებს (საბჭ. ხელოვნ., 1989, №4, 72); სტუმარი ეწვია ვარსკვლავ-ეთ-ის ქალაქს (კომუნისტი, 1989, 23/VI); წვიმამ მთისწინ-ეთ-ში თოვლის დნობა გამოიწვია (კომუნისტი, 1987, 10/III); დილაა. თოვს, ბავშვთა ყიჟინს ამოუვსია სა-თოვლ-ეთ-ი (საქ. ქალი, 1986, №3); მოჩანს ჩემი აჭარის ცა, მანდარინ-ეთ-ი და ლიმონ-ეთ-ი (საქ. ქალი, 1990, №4); ბნელ-ეთ-ს სერავს ტყვიების ცეცხლი (ა. ბაქრ., 84); მოჩანს ლურჯი შორ-ეთ-ი (ა. ბაქრ., 84); იმ ადგილს, სადაც გოგონები მღეროდნენ, ხალხმა მათი ხსოვნის პატივსაცემად სა-მღერ-ეთ-ი დაარქვა (სოფ. ცხოვრ., 1990, 25/V); მინდა დავემშვიდობო სულ-ეთ-ში მიმავალ ბატონ გურამს (ახ. ივერიელი, 1990, 11/VIII); მერანმა დასტამბა ახალი რომანი „სა-მგელ-ეთ-ს რა გინდა...“ (წიგნ. სამყ., 1990, 11/XI); გამეთ „სოფლის ცხოვრებას“ დავარქვათ მამულ-ეთ-ი... დავწერთ მათზე, ვისაც ქალაქი შეჰყვარებია და თავისი მამულ-ეთ-ი სოფელი დავიწყებია (სოფლის ცხოვრ., 1990, 18/XI).

ზემოდასახელებული მაგალითებიც ცხადყოფს, რომ **წყლეთი** ტიპის წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გარკვეული ენობრივი ფაქტია, რომელიც თანდათან იფართოებს მოქმედების სფეროს და მკვიდრდება ცოცხალ მეტყველებაშიც (შდრ.,

[3.28]).

§7. ხარისხის სახელები

ხარისხის სახელი საგნის ნიშან-თვისებას წარმოგვიდგენს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ამის მიხედვით გამოყოფენ ხარიხის ორ ფორმას: უფროობითსა და ოდნაობითს.

როგორც წესი, უფროობითი ხარისხი ეწარმოება ვითარებით ბედსართავ სახელს. ძველი ქართულიდან მოყოლებული, იგი საკმაო სიხშირით გამოიყენება როგორც სამწერლობო, ისე სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაში, მაგრამ, საზოგადოდ, ამ ჯგუფის სახელთა წარმოება მაინც ერთფეროვანია:

მისი პოეზიის უ-მთავრ-ეს-ი საგანია სევდა (ჯ. ღვინჯ., 419); ეს იყო უ-თვალსაჩინო-ეს-ი გაკვეთილები (ბალავარი, 89); ზამთარი უ-მკაცრ-ეს-ი გამომცდელია. დადგა უ-მძიმ-ეს-ი დღეები (ქუთაისი, 1988, 7/I); უ-ძველ-ეს-ი ხანის ადამიანის უ-მარტივ-ეს-ი იარაღი იყო ქვა (საქ. ისტ., 11); ეს უ-იშვიათ-ეს-ი ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია (საბჭ. ხელოვნ., 8); ასე გამოვუტანეთ განაჩენი უ-მშვენიერ-ეს-სა და უ-რთულ-ეს დარეს (ა. ბაქრ., 376); ჩვენც შევქმენით უ-ბრძენ-ეს-ი ანდაზა (თბილისი, 1989, 30/I).

მიუხედავად ამ ერთფეროვნებისა, **უდიდესი, უძლიერესი, უნაზესი** და მისთანათა გვერდით სამწერლობო ენაში დაიძებნა **უდიდესი** ტიპის ფორმებიც.

ამ თვალსაზრისით საგანგებოდ ვამახვილებდით ყურადღებას სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაზე, სადაც საანალიზო ტიპის ფორმები აქა-იქ მაინც გამოვლინდა:

ეკონომიკის რღვევამ ფულადი სამუალებების **უსწრაფესი** ინფლაცია გამოიწვია (გაზ. „ეკონომისტი", 1990, 11/VI); დაადასტურა თავისი, როგორც დიპლომატის, **უმაღლესი** რანგი (გაზ. „მამული", 1990); ამ წუთას არ შემიძლია თუნდაც ორი სიტყვით **უდიდესი** მადლობა არ გადავუხადო (ქუთაისი, 1989, 20/IV).

აქვე შევნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულში ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკის (უფროობითი ხარისხის) გამოხატვის უნარი შეიძინეს მიმართებითმა ზედსართავმა სახელებმაც. საილუსტრაციო მაგალითები შესამჩნევად გამოვლინდა პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. ამგვარი ნიმუშები ზოგ შემთხვევაში ერთობ ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად:

ამით აიხსნება ის უ-გულისხმებელ-ი გამოხმაურება (თბილისი, 1987, 1 VI); შეეძლებელია მსოფლიოს ერთ-ერთ უ-გამოჩენილ-ეს სცენარისტს არ აცნობდეს (საბჭ. ხელოვნ., 78); იგი მიეცუთვნება უ-აქტიალურ-ეს საკითხთა რიგს (საბჭ. ხელ., 71); იგი იყო თავისი დროის ქართველ მოღვაწეთა უ-სარჩევ-ეს-თაგანი (ა. შანიძე, კომუნისტი, 1986, 9/VII); ეს იყო ჩემი უ-სანეკვარ-ეს-ი ოცნება (ქართ. ფილმი, 1990, 17/I); ქუთაისი უ-ქართულ-ეს-ი ქალაქია (ქუთაისი, 1990, N-/VI); ყველა ეს ლექსი უ-გულწრფელ-ეს-ი გრძნობით არის გაჯერებული (ლიტ. საქ., 1990, 16/II).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ არც თუ იშვიათად უფროობითის სემანტიკა გაძლიერებულია მრავლობითით (უფრო, ძალიან, მეტად...) და მე თანდებულიანი სიტყვით:

ესაა ყველაზე-უძნელესი სიძნელე (საბჭ. ხელ., 1989, 41); მესხიშვილზე უკეთესი ქართველები იქნებიან? (საბჭ. ხელ., 1989, 79); უფრო უდიდესი გრძნობა გამოსჭვივის (თბილისი, 1988, 17/VI).

ან კიდევ:

ამ მართლაც მშვენიერზე მშვენიერმა ელენამ გადაარჩინა სალხი (ახალგაზრდა იველ., 1990, 5/VI); მიეცით ყოველდღე თუნდაც ყველაზე საუკეთესო (აკ. ბაქრ., 29); ადამიანი ბუნების ღვიძლი შვილია... თანაც მშვენიერთა შორის უმშვენიერესი (ლიტ. საქ., 1990, 8/VI); დავრწმუნდი, რომ მმობლებს სურდათ უკეთესზე უკეთესი მასწავლებელი (ქუთაისი, 1990, 28/XV).

ზემოდასახელებული და, აგრეთვე, სამწერლობო ენის მასალებში დადასტურებული სხვა ფორმები (გრძელი, გრძელთა უგრძელესი რიგი; ასეთი მსახიობები ძალიან, ძალიან იშვიათად იბადებოდნენ (ა. ბაქრ.); სულ–სულ–სულ ტყუილად დგანან: მ. ელიოზ.; დიიიდი– სუუულ– (გ. დოჩ.) და მისთანანი ცხადყოფენ, რომ საჭიროა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის დონეზე მოხდეს ხარისხის სახელთა წარმოების ასლებური ანალიზი და კვალიფიკაცია.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში და სალიტერატურო ენაშიც ზოგჯერ ნაცვლად ტერმინისა „უფროობითი“ იყენებენ „აღმატებითს“ („ძალიან ხშირად მომიწევს საუბრისას აღმატებითი ხარისხის ხმარება“: თბილისი, 1989, 7 ივნისი).

თანამედროვე ქართულში ოდნაობითი ხარისხის ფორმები

მო–დიდ–ო ტიპისა უფროობითთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული.

საანალიზო ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XIX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში (რომანტიკოსების თხზულებათა ენაში) ხარისხის ფორმათა წარმოება მხოლოდ უფროობითის ფორმებით იყო წარმოდგენილი, თუმცა არც ის გამოირჩეოდა სიხშირითა და მრავალფეროვნებით. XX საუკუნის სამწერლობო ენაში ოდნაობითის ფორმათა რაოდენობა შედარებით გაიზარდა, მაგრამ მაინც ჩამორჩებოდა უფროობითს. ამჟამინდელ მასალებშიც გამოვლინდა ოდნაობითის ფორმები:

მო-მწერლ-ო და მო-პოლიტიკან-ო ადამიანები... (კომუნისტი, 1988, 23/I); ერთმა მო-ჟურნალისტ-ო ელემენტმა ქირქილი დაიწყო (კრიტიკა, 1981, № 5); ილანძღებიან ყველა დროის ნახევარმწერალ-ჟურნალისტები, მო-მწერლ-ო თანამდებობის პირნი, მო-ხელოვნებათმცოდნენი (ლიტ. საქ., 1987, 10/VII); მო-კარიერისტ-ო ადამიანები თვალებში შეგციცინებენ (სახ. განათ., 1989, 5/VII); ჟურნალი არ მალავს თავის მო-ფაშისტ-ო ბრახვებს (ლიტ. საქ., 1990, 12/III); მო-ლიტერატურ-ო ჭაბუკთა წრეში ითქმოდა (ქართ. ენა. ლიტ. სკ., 1979, № 2, 106); მო-მაღლ-ო ადგილებზე სახლდებოდნენ (საქ. ისტ., 20); საძროხეთის ქვეყნელი, კაცი მო-ვეტფერმალ-ო, კახელს... ღვინის მოლას ასწავლის (ლიტ. საქ., 200, I/IX).

მო–ჟურნალისტო ტიპი გვიანდელი გაჩენილი ჩანს. იგი წარმოების გრამატიკული წესებით არ არის შეპირობებული, უფრო უნდა წარმოადგენდეს ავტორისეული ხელწერის შედეგს. ანალოგიურ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ასეთი ფორმებიც:

ძვირფასო, გილოცავ ქალთა და წა–ქალ–ო ტიპის დღესასწაულს (სახ. განათლ., 1989, 29/IV); საოცარია, როგორ ზერელედ, „კინკაცურად“ იქცევიან „წაცელქებულნი“ (ლიტ. საქ., 1989, 5 მაისი).

თანამედროვე პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებაც ერთხელ კიდევ გახაზავს, რომ აუცილებელია ხარისხის სახელთა წარმოების საგანგებო ანალიზი მთლიანად სამწერლობო ქართულის დონეზე ფორმისა და სემანტიკის მიმართებათა გათვალისწინებით. ახლებურ კვალიფიკაციას მოითხოვს შესაბამისი აფიქსებიც.

§8. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად გამოყენებულია **ება, ობა** სუფიქსები და **სი–ე, სი–ო** კონფიქსები.

ება: ამ გზით ამირანი ეზიარება ყოფიერ-ებ-ის სამი სკნელის: ქვესკნელის, გარესკნელის, ზესკნელის გამაერთიანებელი ცხოვრების ხის ნაყოფს (ლიტ. საქ., 1986, 23/V); განა ისტორიკოსს შეეძლო დისერტაცია მომარქვსევის ან მოლენინ-ებ-ის გარეშე დაეწერა... (ქუთაისი, 1990, 12/VII); გამოდის, რომ მყუდრო-ება არ ყოფილა მყარი (ა. ბაქრ., 216).

ობა: ლოთ-ობ-ის ანუ მემთვრალე-ობ-ის წინააღმდეგ(სახ. განა., 1985, 15/VIII); კვანტრიშვილმა თავი გლეხ-ობ-ითა და გაუნათლებლობ-ით იმართლა (ა. ბაქრ., 292); შვილებში ეხედავთ ჩვენივე ყრმ-ობ-ის მიუღწეველ მიმნებს (საქ. ქალი, 1989, №5); რომ შევადარე მისი ციცერონ-ობა (საბჭ. ხელ., 29); ეს ნიშნავდა ეროვნული მე-ობ-ის შენარჩუნებას (სირაძე, 11); მასაც ევალებოდა მხატვრული აზრის გუშაგ-ობა (კრიტიკა, 3); დიდთოვლ-ობა-ა საქართველოში (ლიტ. საქ., 1989, 27/I).

სი–ე კონფიქსის გამოყენების შემთხვევები ამჟამინდელ მასალებშიც მოჭარბებულია (სამწერლობო ენის მსგავსად):

ალუდამ სულიერი სი-მამაცის მაქსიმუმი გამოავლინა (ა. ბაქრ., 155); ქალური სი-დარბაისლით გამოირჩეოდა (საბჭ. ხელ., 1989, №4); რაჭულ სი-დინჯ-ე-სა, სი-დარბაილ-ე-სა და სი-ბანგ-ე-ზე რაჭულ წარმოდგენებით სარგებლობენ (ა. ბაქრ. 64); მასში მოჩანს სი-კერპ-ე-ცა და სი-მტკიც-ე-ც, სი-მარტოვის განცდა მორევია (ლიტ. საქართ., 1989, 27/I); ასეთი გავლენის სი-მწარ-ე იცოდა ხალხმა (ვ. ჭელ., 157); ამ სი-ავკაც-ე-მ ქვეყანა შეძრა (სოფლ. ცხოვრ., 1989, 4/VII); შესაძლოა ვინმეს საკუთარი პერსონის სი-პატარავის განცდა აწვალებს (საბჭ. ხელ., 65).

დღეს აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლად სი–ე კონფიქსის პროდუქტიულობის მიზეზი ისიცაა, რომ იგი ხშირად იქაც ელინდება, სადაც ტრადიციულად გამოიყენებოდა ობა, ება. ამის გამოა, რომ თავს იჩენს პარალელური წარმოების ნიმუშები ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი:

გაცნობიერებული აქვთ ტრადიციების მთელი სი-მშვენიერ-ე (ლიტ. საქ., 1989, 23/VI); მაგრამ მისმა სი-ვერაგ-ე-მ არ გაჭრა (ა. ბაქრ., 143); ვგრძნობდი მის სი-მარტოვ-ე-ს (ლიტ. საქართ. 1989, 23/VI); ნოე ქორდანია მისი გონების სი-დიადის... სილამაზით შეიყვარა ხალხმა (თბილისი, 1989, 14/VIII).

შდრ: მშვენიერ-ება-ის განცდა ძლიერია მასში (ახკომი, 1987, 14/III);

ეკრან-ობა აღრეეე გამოაქვეყნეს (კომუნისტი. 1986. 12/VII); დაასრულეს წიგნი „მარტო-ობ-ის ქალბატონი“ (კრიტიკა, 1988, N 3); სიკვდილმა ცხადად წარმოგვიდგინა ნოე ჟორდანიას ბუნებრა-ზობა და მისი კაცობის დიად-ობა (თბილისი, 1989, 14/VII).

ება/ /სი–ე, ობა/ /სი–ე აფიქსების პარალელური გამოყენება და, აგრეთვე, საერთოდ ამ აფიქსთა მოხმარების შემთხვევების გამოწვლილვითი ანალიზი (სამწერლობო, სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენის მიხედვით) გვაფიქრებინებს: **მშვენიერება**—**სიმშვენიერე** ტიპის სახელებში აფიქსთა მონაცვლეობის საფუძველი ჩანს ანალოგია, კერძოდ, ის ფაქტი, რომ **ება** და **სი–ე** ძირითადად თვისების ან ნიშნის გამომხატველი ბედსართავების ფუძეებისაგან აწარმოებს განყენებულ ცნებებს, თორემ იერ სუფიქსიანი ბედსართავებისაგან არ უნდა იყოს წარმოქმნილი **სიმშვენიერე, სიცბიერე** და მისთანანი.

რაც შეეხება **ობა** და **სი–ე** აფიქსების პარალელურ გამოყენებას, აქ ზემოაღნიშნული ფორმობრივ-სემანტიკური ანალოგია არაა საგულვებელი, რადგან **ობა** ძირითადად არსებითი სახელებისაგან აწარმოებს განყენებულ ცნებებს, **სი–ე** კი — ბედსართავებისაგან. ამ შემთხვევებში მთავარი ფაქტორი იქნება **სი–ე**-ს საერთო მოჭარბების ტენდენცია, რაც თანამედროვე ქართულში ხელშესახები მოვლენაა. სწორედ ამ ტენდენციის შედეგი ჩანს ისეთი ფორმები, სადაც **სი–ე** საერთოდ არაა მოსალოდნელი:

> სიგარეტი ყველგან მოვითხოვე სი-თავმდაბლით (ქუთაისი, 1989, 7/I); მავანს [ეს] სი-თავხედ-ე მოსვლია ჭკუაში (კრიტიკა, 1985, № 5).

ამჟამინდელი მასალებიც ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართულში აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსების გამოყენება არც თუ იშვიათად დამწერის სტილითა და წერის მანერით არის შეპირობებული:

> მარტოობა და სიბერე უდარაჯებს გიმის (ა. ბაქრ. 379); ბევრი ფანტაზიაა ჩაქსოვილი თემატურ დილაობებში, რომლებსაც აწყობენ აღმზრდელები (კომუნისტი, 1986, 15/VII); ზეიმი ბავშვთა დილაობაზე (სოფლის ცხოვრება, 1987, 2/VI); სოკრატი ბორიტობის მოკავშირეა (ა. ბაქრ., 374); ეს წარმოდგენას ანიჭებს მთლიანობასა და კულტურობას (ა. ბაქრ., 339).

როგორც ირკვევა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ძირითადებზე დაყრდნობით აბსტრაქტულ სახელთა წარმოება გამოირჩევა ფორმათა სიჭრელითა და წარმოების ნაირგვარობით, რომელთაგან ზოგი ვერ თავსდება ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ სიტყვაწარმოების ყალიბში, ამიტომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს დიალექტების ჩვენებაც, რომ საბოლოოდ დადგინდეს სახელთა დერივაციის ძირითადი მოდელი, მისი საფუძველი და განვითარების საერთო ტენდენცია.

დასაზუსტებელია, აგრეთვე, ტერმინი „აბსტრაქტული“, რომლის პარალელურად სპეციალურ ლიტერატურაში იხმარება სიტყვა „განყენებული“ (ალ. ღლონტი).

§9. წარმოების ზოგიერთი თავისებურება

გარდა ზემოგანხილული სემანტიკური ჯგუფებისა, წარმოქმნილი სახელი შეიძლება იყოს აგრეთვე წარმომავლობის, წინავითარების, მცენარეთა კრებულის, ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით ნაწარმოები, უცხოაფიქსიანი და ორმაგი წარმოებისა.

მართალია, თანამედროვე ქართული პრესის მასალებში აღნიშნული ჯგუფების ნიმუშები მეტ-ნაკლები სისშირით დაიძებნა, მაგრამ ისინი აქ არ გამოირჩევიან ისეთი მრავალფეროვნებით, როგორც სამწერლობო ენაშია, ამიტომ მათზე ამჯერად საგანგებოდ აღარ შევჩერდებით. კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ საკითხის საბოლოო ანალიზის დროს.

როგორც გამონაკლისი, წარმოვაღგენთ ორიოდე შემთხვევას:

1) ძველი ქართულიდან მომდინარეობს ფორმები **დროშაონი, მხედრიონი** და მისთანანი, სადაც გამოყენებულია **ონ** სუფიქსი. ამგვარი წარმოება არაპროდუქტიულია და დღეს ძირითადად დასტურდება ოდინდელ ტრადიციულ ფორმებში. თუმცა ამ ბოლო წლებში აქა-იქ **ონ**-ით იწარმოება ასეთი ფორმებიც:

> 21-ე საუკუნეში... **მიწაონების** (ამ მიწაზე მცხოვრებლების — ე.ფ.) წინაშე ახალი პრობლემები წამოიჭრება; ამით ემზადება დღეს კაცობრიობა **უცხოპლანეტიონთან** ურთიერთობისათვის; კოსმოსშიც თავისუფალი **მიწაონები** უნდა დასახლდნენ (მამული, 1990, № 1, ა. ბაქრაძე).

2) დღეს შესამჩნევად იკიდებს ფეხს **ობია//ობანა** აფიქსებით

ნაწარმოები ფორმები, რომლებიც დადასტურდა როგორც სამწერლობო, ისე სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაში:

არავითარი **იუბილიანობა** არაა საჭირო (კომუნისტი, 1990, 24/VI); არა, არ გვინდა **ომობანას** თამაში (ახალგ. იერ., 1990, 22/V); ქალაქში მცხოვრებლებს რა **წერილობანა** ასტყდომიათ (ახკომი, 1990, 17/III); ასლა **გაცვლობია** რომ შემოვიდა მოდაში, მაშინ ვამიშვეს (ლიტ. საქ., 1990, 19/X); ყველა პოლიტიკური **წაჯეჯილობა** მე მაწვებოდა კისერზე (თბილისი, 1990, 2-/I); ამ დასკვნებით ისარგებლეს **ოხრანკისტებმა** (სახ. განა., 1990, 1/III); პარტიულმა განცალკევებამ და „**უჩემოდ რა იშლერეთას**" სენმა დაღუპა საქართველო (კომუნისტი, 1989, 11/X); **დათოსობას** უფრო ეცოცხლობდით (ქუთაისი, 1990, 8/XI); მართლა ნახა თუ არა ვინმემ რომელიმე **თეფშელი** (მფრინავი თეფშის ქვეყნისა - ქ. ფ.) (მამული, 1990, № 1, ა. ბაქრაძე).

დასკვნა: თანამედროვე ქართული პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის მასალების მიხედვით სახელთა დერივაციის საერთო მოდელი ძირითადად ემთხვევა სამწერლობო ენის ვითარებას (ეს უკანასკნელი ხშირად წარმოადგენს პრესის ენაში წარმოჩენილ თავისებურებათა საფუძველს). მეორე მხრივ, სამეცნიერო ტექნიკურმა ტერმინოლოგიამ კვლავ გამოაცოცხლა ისეთი აფიქსები, რომლებიც ახალ ქართულში ნაკლებად გამოიყენებოდა (**ოვან, ოსან, ედ**).

საინტერესოა აგრეთვე ხარისხის სახელთა წარმოების დღევანდელი ჩვენება. კერძოდ, შესამჩნევად გაფართოვდა ოდნაობითის გამოვლენის შემთხვევები ისეთ კონსტრუქციაშიც, სადაც არ იყო მოსალოდნელი ახალი ქართული ენის ნორმათა მიხედვით (**მომწერლო, მოჟურნალისტო, მოპოლიტიკანო...**). ფორმათა სხვადასხვაობით გვეძლევა უფროობითი ხარისხიც. დღეს ხარისხის სახელთა წარმოება იმდენად მრავალფეროვანია და სემანტიკურადაც სპეციფიკური, რომ იგი უდავოდ მოითხოვს საგანგებო ანალიზსა და ახლებურ კვალიფიკაციას.

ხელობის სახელთა საწარმოებელი **მე–ე, მო–ე** კონფიქსები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა.

აბსტრაქტულ სახელთა დერივაციაც არაა ერთგვაროვანი, გან-

საკუთრებით ხელშესახები ფაქტია სი–ე კონფიქსის მოხმარების სფეროს გაფართოება.

საანალიზო მასალა

გაზეთები

ახალგაზრდა კომუნისტი
ახალგაზრდა იუერიელი
თბილისი
კომუნისტი.
ახალი საქართველო
სახალხო განათლება
ლიტერატურული საქართველო
წიგნის სამყარო
ქუთაისი
სოფლის ცხოერება
მამული
ქართული ფილმი

ჟურნალები

ბალავარი, 1988, №1
ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში
ცისკარი, 1987 წლის 5 ნომერი
მნათობი, 1988 წლის ნომრები
განთიადი, 1989, №1
საბჭოთა ხელოენება, 1989 №4
კრიტიკა, 1988, №3, 1986, №5.
საქართველოს ქალი
დროშა
პიონერი
ნაკადული

წიგნები

სიქართველოს ისტორია (მე-8—მე-9 კლასის სახელმძღ., 1988).
მათემატიკა (მე-9 კლასის სახელმძღ., 1987).
ბუნება (მე-5 კლასის სახელმძღ., 1989).
ანატომია, ფიზიოლოგია (მე-9 კლასის სახელმძღ. 1989).
ფიზიკა (მე-9 კლასის სახელმძღ., 1988).
საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია (მე-8 კლასის სახელმძღ. 1987).
ბაქრაძე ა., კინო, თეატრი, 1989.
გაჩეჩილაძე ო — ქართული ენა, 1985.

ლეონიძილია ჯ. — პიელიერი ცხოვრება. 1986.
ჭელიძე ე. — ქართლის ცხოვრების ქრონიკები. 1973.
სირაძე რ. — ქართული ბიბლიოგრაფია. 1987.
ჯორბენაძე ბ. — ბჭის სმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, 1983
ჯორბენაძე ბ. — ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, 1985.
ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 5, 1981.
ინჯორაყვა პ. — აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება: აკაკი წერეთლის თხზულებანი, რჩეული (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, 1980):
ჩიქობავა არნ — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950.
სარჯველაძე ზ. — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984.
პატარიძე რ. — ქართული ასომთავრული, 1980.
საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები (მე-8—მე-9 კლ. სახელმძღვ., 1988).
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

დამოწმებული ლიტერატურა

1. შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 19786.
2. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
3. ტუსკია მ., სახელთა წარმომქმნელი ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969, № 1.
4. თოფურია ვ., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: შრ., ტ. III, 1979.
5. ფეიქრიშვილი ე., სიტყვაწარმოება ქართველი რომანტიკოსების თხზულებათა მიხედვით (ხელნაწერი, 1984).
6. ფეიქრიშვილი ე., სიტყვაწარმოება თანამედროვე ქართული პროზის მიხედვით (ხელნაწერი, 1988).
7. იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
8. ცხადაძე ბ., -ოვან სუფიქსი ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1981.
9. ჯაჯანიძე პ., -ოვან სუფიქსი ქართულში: საქართველოს პედინსტიტუტების შრომები, ტ. II, 1975.
10. პაპიძე ა., ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1974, № 1.
11. ჯიბუტი ი., მქონებლობის ერთი აფიქსის შესახებ ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში: ქსკს, VIII, 1988.
12. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
13. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
14. ღამბაშიძე რ., პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგიერთი

საკითხი ქართულში: ენციკ. VI. თბ., 1984.
15. ბიქობაია არნ. ქართული ენის მოკლედ ენათმეცნიერული დახასიათება. ქუთ., I, 1950.
16. მელიქიშვილი ლ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი. თბ., 1975.
17. ბურაბიშვილი თ., ოღხაობითის ფორმათა ისტორიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 29, №5, 1962.
18. ჭუმბურიძე ნ., ყოლა-ქონების აღმნიშნელი რთული სუფიქსები ქართულში: იკე, XXIX, 1990.

შენიშვნები

[1] საგამეთო წერილის სათაურია „მანავის მვისტორიე".

[2] საგამეთო წერილის სათაურია „როგორ არის საქმე მესიმაღლეე?"

ხარისხის ფორმათა წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

შესრულებულია წლიურ საკვლევ თემად ქართული ენის კათედრაზე 1991 წელს. სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილ წაკითხულია მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციებზე (ზოგი მათგანი კიდეც დაიბეჭდა).

1. ხარისხის ფორმათა შესწავლის ისტორია

ზედსართავი სახელის ხარისხის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში ყოველთვის იყო ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა. მასზე მსჯელობდნენ მონოგრაფიებში, აგრეთვე ცალკეული მწერლის ენისა ან დიალექტის შესწავლასთან დაკავშირებით.

ტრადიციული განმარტებით, ხარისხი გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას მეტი ან ნაკლები ოდენობით. ამდენად, ხარისხი ეწარმოება ვითარებით ზედსართავ სახელებს. როგორც წესი, მიმართებით ზედსართავ სახელებში ხარისხის ფორმები არ განირჩევა (გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე მიმართებითი სახელი: გონიერი, ღონიერი, ძლიერი...).

ახალ ქართულში გამოყოფენ ხარისხის ორ ფორმას: უფროობითსა და ოდნაობითს. მათთვის ამოსავალია ძირეული ფორმა — დადებითი (ა. შანიძე, თ. ზურაბიშვილი, ლ. კვაჭაძე...).

საზოგადოდ, ზედსართავი სახელისათვის დამახასიათებელია შედარების ხარისხები[1]. გაირჩევა დადებითი, შედარებითი და აღმატებითი[2].

შედარებითი ხარისხი უჩვენებს ობიექტის რაიმე თვისებას დადებითთან შედარებით უფრო მეტ ხარისხში; აღმატებითი — იმაზე მეტს, ვიდრე ყველა დანარჩენ ობიექტთან (იხ. Лингвистический словарь, Москва, 1990, стр. 492); ე.ი. აღმატებითი ხარისხი გამოხატავს რაიმე თვისების ყველაზე მაღალ დონეს.

ზოგიერთ ენაში (ბერძნულში, ლათინურში, რუსულსა და სხვა თანამედროვე ევროპულ ენებში) დადებითი ხარისხის საპირისპიროდ მზარდი ხარისხის ორ-ორი ფორმა არსებობს: შედარებითი (კომპარატივი) და აღმატებითი (სუპერლატივი). ქართულში კი

(არაბულის მსგავსად) მწარდი ხარისხის აღსანიშნავად გამოიყენება მხოლოდ ერთი ფორმა — უფროობითი.

უფროობითი ხარისხი

უფროობითი ხარისხი საგნის ნიშანს უფრო მეტი ოდენობით გამოხატავს, ვიდრე დადებითი. მისი მაწარმოებელია უ-ეს კონფიქსი (ძველ ქართულში: უ – ჱს (<ჰუ–ჱს <ხუ–ჱს).

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მწარდი ხარისხის ფორმათა პირველი თეორიული კვალიფიკაცია მოცემულია ანტონ ბერველის გრამატიკაში, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამგვარ ფორმათა სემანტიკურ დიფერენციაციას პირველად ვხვდებით საბას ლექსიკონში, სადაც უცხადესი მწარდი ხარისხის პირველი საფეხურია, უუცხადესი — მეორე, ე.ი. ხარისხის სემანტიკა დიფერენცირებულია სათანადო ფორმებით.

ანტონის აზრით, ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს დადებითი, შედარებითი („მსგავსებითი//შემსგავსებითი“) და აღმატებითი („უაღრესობითი//ზესთაობითი“) ხარისხისა: კეთილი, უკეთილესი, უუკეთილესი.

მაშასადამე, ანტონის გრამატიკაშიც მწარდი ხარისხი ორსაფეხურიანია; აღმატებითი ხარისხი სათანადოდ გაფორმებული მორფოლოგიური ოდენობაა, რომელიც შეიძლება იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში რეალურადაც არსებობდა. ანტონმა საბას ლექსიკონში ფიქსირებული ფორმა (უუდიდესი) დაახასიათა როგორც ენობრივი მოვლენა, მისცა გრამატიკული კვალიფიკაცია და უუ-ეს კონფიქსი მოაქცია სადერივაციო აფიქსთა შემადგენლობაში. აქვე შევნიშნავთ, რომ ანტონის გრამატიკის მეორე რედაქციაში აღმატებითის მაწარმოებლად დასახელებულია უ-ეს კონფიქსი უუ-ეს-ის გვერდით.

საგულისხმოა ისიც, რომ ორივე რედაქციაში აღმატებითი სემანტიკისათვის მხედველობაშია მიღებული ხარისხის აღწერითი წარმოებაც: მეცნიერი–უმეცნიერესი–ყოვლად მეცნიერი.

ჩვენთვის საინტერესო ფორმებზე (უუდიდესი) ანტონი მსჯელობს სხვაგანაც — სახელის ფუძესთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, სახელის ფუძე შეიძლება იყოს მარტივი და ნაწარმოები.

დაესმის შეთანასწორებითსა ხარისხსა კუალაღცა უ ანუ გმნი-ზედანი ესე: ყოვლად ფრიად მრავლად მაყალითად: უე-ყოსიერ-ესი ანუ ფრიად გონიერი, უე-ძლიერ-ესი ანუ ყოველად ძლიერი“[5].

პლატონ იოსელიანიც გამოყოფს ხარისხის სამ ფორმას: დადებითს (ვრძელი), შეთანასწორებითს (უვრძესი), აღმატებითს. „აღმატებითი ხარისხი გედშესრულისა სახელისა შეიქმნების...ოდეს დასაწყისისა ასოთა შეთანასწორებითისა ხარისხისა მიეცემის მარცუალი უე. მაგ., უეგანათლებულესი“[6].

დავით ჩუბინაშვილის „ქართულ გრამატიკაში“ ნიშან-თვისების მზარდი ხარისხი ორსაფეხურიანია: „შედარებითი (უძლიერესი) და აღმატებითი (ყოველად ძლიერი)“[7].

სილოვან ხუნდაძის გრამატიკაში (1911) ხარისხის ფორმები ასეა წარმოდგენილი: 1) დაწყებითი (მაღალი), 2) შედარებითი (უმაღლესი ანუ უფრო მაღალი), 3) აღმატებითი (ფრიად მაღალი), „შედარების ხარისხები მეგრულათაც ისე გამოითქმის, როგორც ქართულათ (ქართული სუფიქსის ეს-ის მაგიერ მეგრულშია აშ):ჭიჭე(პატარა)— უ-ჭიჭ-აშ-ი (უპატარესი, უფრო პატარა), ქართულში აღმატებითი ხარისხი განსაკუთრებული ფომითაც გამოითქმის (უმაღლესი), მეგრულსა და სვანურში კი ამგვარი ფორმა არ მოიპოვება“[8].

როგორც ვხედავთ, ბველი გრამატიკოსებისათვის მზარდი ხარისხი ორსაფეხურიანია, ქართულში არსებობს აღმატებითი ხარისხი როგორც ენობრივი ფაქტი, რომელიც იწარმოება აღწერითად და ორგანულად (უე-ეს კონფიქსით).

მოგვიანებით ა. შანიძემ ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმად მიიჩნია ოდენ ორგანული წარმოება, რომელიც ჩათვალა გრამატიკულ კატეგორიად და განიხილა მორფოლოგიაში. მეცნიერის აზრით, ზოგიერთ ენას დადებითი ხარისხის საპირისპიროდ მეტი თვისების აღსანიშნავად მოეპოვება ორ-ორი ფორმა, რომელთაგან ერთს შედარებითს ეძახიან, მეორეს - აღმატებითს. ქართულში ასეთი დიფერენციაცია არ არის; ქართულს მოეპოვება მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც საგნის ნიშანს მეტი ოდენობით გამოხატავს, ვიდრე დადებითი. ეს არის უფროობითის ფორმა[9].

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოება ქართვე-

ქცევ აღარ არსებობს (გაიმონაკლისია: უკეთესი, უმჯობესი, უარესი). უ-ეს-იი ნაწარმოებსა ფომებსა შეიძინეს აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობა (რ. ბირკაძე)[13].

3) უ-ეს აფიქსებით ნაწარმოები ბედსარიაცი გამოხატავს როგორც უფროობითს (შედარებითს), ისე აღმატებით ხარისხებს (გ. ახელედიანი, ბ. რუდენკო, არნ. ჩიქობავა, გ. გოლეთიანი, კ. ლერნერი...)[14]

4) უ-ეს კონფიქსი აწარმოებს აღმატებითი ხარისხის ფორმებს (ქეგლ., არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე...).

აქვე შევნიშნავთ, რომ დასახელებულ მკვლევართა ნაშრომების მიხედვით, ქართულში ხარისხის გამოსახატავად დასაშვებადაა მიჩნეული როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოება შედარებითი და აღმატებითის სემანტიკით. მაგალითად, გ. გოლეთიანის აზრით, ქართულში შედარებითი ხარისხი იწარმოება სინთეზურად (უ-ეს კონფიქსით) და ანალიზურად (უფრო სიტყვის მიმატებით; შესადარებელი საგანი დგას მიცემითში ზე თანდებულით: „ამ სახლზე უფრო მაღალი"); აღმატებითი ხარისხი კი გამოხატავს ზედსართავი სახელის ყველაზე მაღალ ხარისხს. იგი იწარმოება სინთეზური უ-ეს-ით. აგრეთვე გამოიხატება კონსტრუქციით „ეს იყო უბედნიერესი წუთი მის ცხოვრებაში". აღმატებითი ხარისხის სპეციალური ფორმის უქონლობის გამო ქართულ ენაში შეიქმნა ხელოვნური უუდიდესი ტიპის წარმოება, რომელიც ძველ გრამატიკულ ლიტერატურაში ჩათვლილია აღმატებით ხარისხად. მართალია, ეს ხელოვნური ფორმა ფართოდ ეერ გავრცელდა, მაგრამ მაინც იგი შეიძლება შეეხვდეს მხატვრულ ლიტერატურაში[15].

ქართული ენის კილოთა მონაცემების მიხედვითაც, სპეციალისტები საგანგებოდ მსჯელობენ მზარდი ხარისხის ორი ფორმის შესახებ და მათი არსებობაც რეალურად არის ჩათვლილი. მაგალითად, „ჯავახურში ხარისხის წარმოება აღწერითია... სხვა სახელთან შედარებისას ურთავენ ზე თანდებულს და უფრო მნიშვნელობას: ყველაზე ძლიერი, უფრო ლამაზი... აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად ხმარობენ სიტყვებს: მეტათ ძიელ//ძრიენ//ძრიელ//ძიენ, კაი, წვე „კაი ლამაზი დოდოფალი", „ძიელ ღრმა ტბა"[16].

ჯ. ნოლაიდელის დაკვირვებით, „აჭარულში მზარდი ხარისხის

ორი ფორმაა: **უფროობითი** (რომელიც იწარმოება **უ**-ეს კონფიქსით (**უ**-...-**ავესი**). ამათ გვერდით ეფრო ხშირია აღწერითი ფორმებიც ზე თანდებულის ან **უმეტრო, უფრო, უმეტო** ბმნიშვნელის გამოყენებით: **კაცზე მალალი**) და **აღმატებითი**, რომლის გაგებას იძლევა გაორკეცებული მეღსართავი სახელი, ოღონდ პირველი სიტყვა **ზე** თანდებულიანია: **დიდზე დიდი** (=ყველაზე დიდი)[17].

ინგილოურში შედარებითი ხარისხის წარმოებისას შესადარებელი სახელი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში, რომელიც, ჩვეულებრივ, რთულდება გან თანდებულით (**იძიზგანი პატარა**=მასზე პატარა). აღმატებითი ხარისხიც აღწერითად იწარმოება (გამოიყენება **ლაფ** ძლიერ, ძალიან: „**ლაფ**(ძლიერ) **კაჯ**სთან ქალს გითხოვენი“; **დიაღ//დიახ**, მართლაგან= „ძლიერ დანამდვილებით“ ფორმები)[18].

თუშურში აღმატებითი ხარისხის ფორმებს აწარმოებს **ოდ** სუფიქსი: „კარგა **ოდ** წიგნი=ყველაზე კარგი წიგნი'[19].

ზემოთქმულს თუ მოკლედ შევაჯამებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ (მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრითაც) ქართულში მზარდი ხარისხის სემანტიკის გამოხატვა ერთსაფუძვლიანი ფორმით არ ხერხდება, ამის გამო ენა თავისუფლად მიმართავს როგორც ორგანულ, ისე აღწერით წარმოებას და ეს უკანასკნელი ევროპული ენების მსგავსად გრამატიკულ საშუალებადაა ქცეული.

უ-ეს კონფიქსის გენეზისისა და ფუნქციის საკითხი

ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, **უ**-ეს კონფიქსი არის უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი.

ა. შანიძის აზრით, **უ** პრეფიქსი იგივე ოდენობააა, რაც სასხვისო ქცევის **უ**. ძველ ქართულში ამ **უ**-ს წინ უძღოდა **ს**(ჲ), რომელიც III ირიბობიექტური პირის ნიშანი იყო მმნაშიც და სახელშიც. შესაბამისად უნდა გვქონოდა I და II პირის ფორმები: **მიკეთჱსი** (ჩემზე კარგი), **გიკეთჱსი** (შენზე კარგი), **ჴუკეთჱსი** (მასზე კარგი). შემდეგში **მიკეთჱს, გიკეთჱეს** ფორმები დაკარგულა და კენტად დარჩენილ **ჴუკეთჱს** დაუკარგავს პირიანობის გაგება. იგი გამხდარა ხარისხის შინაარსის გადმომცემი პირიანობის გარეშე. ამ ასპექ-

ტით სამივე ქართველურ ენაში ერთნაირი ყოფილა.

სუფიქსი ეს მომდინარეობს *ჱს* ფორმანტისაგან. იგი იშლება ე+ჯს ნაწილებად, სადაც ე არის ხარისხის მაწარმოებელი, ჯს კი — ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ე პირველადი იყო და სრულიად საკმარისი, რომ პრეფიქსთან ერთად მოეცა ხარისხის ფორმა: ჰა-უ-მჯობ-ე. ამგვარი ნიმუშები უხვადაა დადასტურებული „ვეფხისტყაოსანში“ (უამე, უმართლე, უნათლე...)[20]. გარდა ამისა, ძველ ქართულში ე-ს პარალელურად ო-ც ივარაუდება: ხუფრო-ჯს, უტკბო-ჯს.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ჯს არსებობა ხარისხის სახელებთან ცხადყოფს, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები არსებითად ნაგენეტივარი სახელებია. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ სვანურში მოიპოვება ე-ს შესატყვისი მაწარმოებელი ა(ხ-ო-შ-ა), ჯს-ისა კი — არა[21].

მაშასადამე, ქართველური ენების მიხედვით, ხარისხის ნიშნებია:

ქართულში — უ-ეს (←ე+ჯს)

მეგრულში — უ-აშ (←ა+იშ. ეს უკანასკნელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია)

სვანურში — ხო-ა, მა-ე (აღმატებითისა).

სამივე ქართველურ ენაში უფროობითის სუფიქსია ე და ა (ე.ი. ე არის ხარისხის პირველადი ნიშანი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მერეა დართული).

თ. ზურაბიშვილი სარწმუნოდ მიიჩნევს ზემოაღნიშნულ კვალიფიკაციას უფროობითის პრეფიქსების ერთნაირი წარმომავლობის შესახებ ქართველურ ენებში. კერძოდ: თანხმოვნითი ელემენტი (ხ, ჰ) ობიექტის მესამე პირზე მიუთითებს, ხოლო ხმოვნითი — სასხვისო ქცევის ნიშანს უკავშირდება. მაგრამ, მეორე მხრივ, ქართველურ ენათა განვითარების დღევანდელ საფეხურზე და ძველ ქართულშიც ხარისხის ფორმები უდავოდ სახელთა კატეგორიას მიეკუთვნება[22].

გ. მაჭავარიანის დაკვირვებითაც, ისტორიულად შედარებითი ხარისხი ქართველურ ენებში ბმნური წარმოშობისა უნდა იყოს[23].

ი. იმნაიშვილი არ გამორიცხავს უფროობითის ბმნურ წარმომავლობას, მაგრამ იქვე დასძენს, რომ უფრო მოგვიანებით უფ-

როობითი ხარისხი წყვეტს კავშირს ზმნასთან, სცილდება მას და ნელ-ნელა იძენს სახელის ნიშნებს - ბრუნვასა და სახელის ბრუნვაში მართვის უნარს. ე.ი. ხარისხის სახელი ახლა ნაძდეილად სახელია[24].

ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, უ-ეს კონფიქსის ფუნქციაა უფროობითი ხარისხის გამოხატვა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, მზარდი ხარისხის სემანტიკა დღეს ამკარად ორსაფეხურიანია. ამდენად, უ-ეს კონფიქსის ფუნქციაც სხვადასხვაგვარი ჩანს.

ქეგლ-ში, სადაც ტერმინი „უფროობითი" საერთოდ არაა შეტანილი, აღნიშნულია, რომ უ-ეს აწარმოებს აღმატებით ხარისხს; ბ. ჯორბენაძე: „უ პრეფიქსი ე- და ეს სუფიქსებთან აწარმოებს აღმატებითს ფორმებს: უხნე, ულამაზესი"[25]; არნ. ჩიქობავა: „ქართულ ენას ახასიათებს... ხარისხის წარმოება უ პრეფიქსისა და ეს სუფიქსის საშუალებით. ამასთან მას ხან შედარებითის მნიშვნელობა აქვს და ხან — აღმატებითისა"[26]; ქეთევან და არჩილ დათიკაშვილები: „უ-ეს — შედარებითი და აღმატებითი ხარიხის სართები: უ-ეს аффикси сравнительней степени (მასზე უმაღლესი...) и превосходной степени (უმაღლესი высочайший მწვერვალი) наивысший[27]. გ. ახვლედიანის, ბ. რუდენკოსა და გ. გოლეთიანის თვალსაზრისითაც უ-ეს-მა შეიძლება გამოხატოს შედარებითი და აღმატებითი ხარისხი.

დასასრულ დავიმოწმებთ კ. ლერნერის საგულისხმო დაკვირვებას: „ქეგლ-ში უ-ეს კონფიქსიანი სიტყვები, რომელთა რიცხვი 87-ს უდრის, სხვადასხვაგვარი სემანტიკური ნიუანსებით არის განმარტებული. ამ თვალსაზრისით ისინი შეიძლება დავყოთ 3 ჯგუფად:

1) იგულისხმება აღმატებითი ხარისხი, რადგან ახსნილია „მეტისმეტად" ან „ყველაზე" სიტყვების მეშვეობით: უბრძენესი (=ყველაზე მეტად ბრძენი, მეტისმეტად ჭკვიანი).

2) ახლავს ორნაირი განმარტება, რითაც გარჩეულია შედარებითი და აღმატებითი ხარისხი: უმწარესი - 1. მეტისმეტად, ყველაზე მწარე; 2) უფრო მწარე.

3) მესამე ჯგუფის სახელებში მხოლოდ შედარებითის მნიშვნელობაა ნაგულისხმევი: უმტკიცესი=უფრო მტკიცე[28].

ტერმინის საკითხი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულშიც (ევროპული ენების მსგავსად) მზარდი ხარისხის სემანტიკა გულისხმობს დადებითზე მეტი ნიშან-თვისების სხვადასხვა დონეს, რომელიც გადმოიცემა როგორც ორგანული, ისე აღწერითი საშუალებებით. შესაბამისად, ძველ გრამატიკებში მზარდი ხარისხი დიფერენცირებული იყო ორ საფეხურად[29].

უფრო მოგვიანებით ა. შანიძემ ქართულისათვის დამახასიათებლად მიიჩნია მზარდი ხარისხის მხოლოდ ერთადერთი ფორმა — ორგანული წარმოების უფროობითი, რომელსაც უნდა გადმოეცა ნიშან-თვისების განსხვავებული სემანტიკა. მანვე დაამკვიდრა ტერმინი „უფროობითი“, რომლისთვისაც ამოსავალია „უფრო“ ზმნიზედა. მაგრამ ფაქტობრივად დღეს „უფროობითში“ იგულისხმება ხან შედარებითისა და ხან აღმატებითის სემანტიკა, ხან კიდევ მას ერთდროულად მიაწერენ ორივე მათგანის მნიშვნელობას. ყოველივე ამას ბუნებრივად მოჰყვა ტერმინალური აღრევა: დღეს ლინგვისტიკაში გამოყენებულია ტერმინები: „უფროობითი“, „შედარებითი“ და „აღმატებითი“, თუმცა მათი ფუნქციონირების სფერო არაა გამიჯნული (დაზუსტებულ-დაკონკრეტებული).

ძველ გრამატიკებში მზარდი ხარისხის სემანტიკური ნიუანსების გამოხატვა შედარებით ადვილი იყო სათანადო ორსაფეხურიანი წარმოებით, შესაბამისად, გვსჯდებოდა ტემინები „შედარებითი“ და „აღმატებითი“. თანამედროვე საენათმეცნიერო ნაშრომებში ძირითადია ტრადიციული „უფროობითი“, პარალელურად „შედარებითიც“ და „აღმატებითიც“ დასტურდება. მაგალითად:

ქეგლ-ში, სადაც სიტყვა-ტერმინი „უფროობითი“ საერთოდ არაა შეტანილი, ვკითხულობთ: „აღმატებითი ხარისხი — ლინგვ. ზედსართავის ფორმა, რომელიც აღნიშნავს რაიმე თვისების ყველაზე მაღალ დონეს. მაგ. ულამაზესი (შდრ. ლამაზი)... უ თავსართი ეს ბოლოსართთან ერთად აწარმოებს აღმატებით ხარისხს“ (ქეგლ. I).

ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში უფროობითის პარალელურად გამოყენებულია „აღმატებითიც“ (უ პრეფიქსი ე და ეს სუფიქსებთან აწარმოებს აღმატებითის (ხაზი ჩვენია — ქ. ფ.) ფორმებს: უსნე, ულამაზესი...)[30].

არნ. ჩიქობავას განსხვავებით. ქართულ ენას ახასიათებს... ხარისხის წარმოება უ პრეფიქსისა და ეს სუფიქსის საშუალებით. ამასთან მას ხან შედარებითის მნიშვნელობა აქვს და ხან — აღმატებითისა (ხაზი ჩვენია — ე. ფ.)[31].

ქეთევან და არჩილ დათიკაშვილების „ქართულ-რუსულ ლექსიკონში (ტ. III)" მითითებულია, რომ უ-ეს არის შედარებითი და აღმატებითი ხარისხის სართები.

„უფროობითის" გვერდით (ზოგჯერ მის ნაცვლადაც) „აღმატებითს" იყენებენ აგრეთვე სხვა სპეციალისტებიც (გ. გოლეთიანი, კ. ლერნერი...)

სპეციალური ლიტერატურის დამოწმების გარეშეც დღეს არალინგვისტებისათვისაც ცნება „აღმატებითი" არ უღრის ტრადიციულ „უფროობითს". იგი მკითხველისათვის (მსმენელისათვის) უფროობითზე მეტი სემანტიკური დატვირთვის მატარებელია და ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი ან ხელოვნურად შექმნილი. პირიქით, აშკარაა, რომ ენა ბუნებრივად ახდენს სემანტიკურ დიფერენციაციას გამოხატვის სათანადო საშუალებებით. ნათქვამის საუკეთესო დასტურია ზემოდასახელებული ფრაზები: „მე ძალიან ხშირად მომიწევს საუბრისას აღმატებითი ხარისხის ხმარება"; „დათო იყო უუნიჭიერესი. აქ მეორე უ დავამატე, რომ აღმატებითში მეთქვა" და ა.შ.

მაშასადამე, თანამედროვე ლინგვისტიკაში დასაზუსტებელია მზარდი ხარისხის აღმნიშვნელი ტერმინებიც, ისევე როგორც თვით ხარისხის გამომხატველი ფორმები. მაგრამ ერთი რამ მაინც აშკარაა: ტრადიციული უფროობითის სემანტიკა არ გულისხმობს ხარისხის ყველაზე მაღალ დონეს, იგი საგნის ნიშანს გამოხატავს დადებითთან შედარებით მეტი ოდენობით, ე.ი. დადებითზე უფრო მეტია (უფრო გმნიშნელაც ხომ რაღაცაზე მეტობას გულისხმობს)[32].

აქედან გამომდინარე, ქართული ტერმინი „უფროობითი" იმავე სემანტიკისაა, რაც არის ევროპული ენების შედარებითი. ამიტომაა, რომ საანალიზო ტერმინი ვერ მოიცავს მზარდი ხარისხის ყველა შინაარსობრივ ნიუანსს და ვიშველიებთ ტერმინ „აღმატებითს".

მაშასადამე, თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტრადიციული ტერმინის „უფროობითის" გვერდით „აღმა-

ტებითიც“ მკვიდრდება, ისევე მათი ზუსტი ლიფერენცირება — ფუნქციური სფეროს შეცნობა ჯერჯერობით ლინგვისტიკაში არ მომხდარა. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდები უფრო ახდენენ მათს გამიჯვნას მეტყველების პროცესში საჭიროებისამებრ. ისიც ცხადია, ტერმინი თავისთავად (უსაფუძვლოდ) არ წარმოიქმნება, ენაში შესაბამისი მოვლენა რომ არ არსებობდეს.

ოდნაობითი ხარისხი

ოდნაობითი ხარისხი საგნის ნიშან-თვისებას აღნიშნავს დადებითთან შედარებით ნაკლები ოდენობით. ა. შანიძის აზრით, მიმართება უფროობითი ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის, როგორც ოდნაობითისა იმავე დადებითისადმი: საგნის ნიშან-თვისებას უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი — ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი განსაზღვრით: მიახლოებით, ოდნავ (სახელწოდება „ოდნაობითიც“ სწორედ ამის მიხედვით არის დარქმეული).

ოდნაობითი, როგორც გრამატიკული ფორმა, არა აქვს შენიშნული და გამოყოფილი ანტონ კათალიკოსს, მაგრამ მომდევნო ხანის გრამატიკოსები უკვე მსჯელობენ მოდიდო ტიპის ფორმებზე. ისინი განასხვავებდნენ ოდნაობითის აღწერითსა და ორგანულ წარმოებებს. მაგალითად: ცოტა პატარა — მომცრო (დ. ჩუბინაშვილი)[3]; იმასაც მიუთითებდნენ, რომ, „თუ საგანს რომელიმე თვისება სისრულით არ დაემისების, არამედ ნაკლულის, ოდნავ შესამჩნევის ზემოთ, მაშინ დებულებითს (დადებითს — ქ. ფ.) ემატება თავსართი მო (ან წა) და დაბოლოება ეცვლება ო-ზედ: მომეჯაო, წაწითლო“ (პ. კვიცარიძე).

თ. ქორდანია, მ. ჯანაშვილი, ი. ყიფშიძეც ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით ცალკე გამოყოფდნენ ოდნაობითის ფორმებს.

თ. ქორდანია ამ ტიპის სახელებს ნაკლულვანებითს უწოდებს, ხოლო მ. ჯანაშვილი მათ სხვა ქართველურ ენათა მისედვითაც აანალიზებს და წერს: „თვისების ნაწილს, სიმცირეს გვიჩვენებს თავსართი მო“.

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, მათ შორის ოდ-

ნაობითი. შესწავლილია აგრეთვე ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, თ. ბურაბიშვილის ნაშრომებში. სხვა სპეციალისტთა გამოკვლევებში.

აღნიშნულია ისიც, რომ სამივე ქართველური ენისათვის დამახასიათებელია ოდნაობითის ფორმები, რომლებიც ფერის აღმნიშვნელ სიტყვებთან იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ძველი ქართულის ძეგლებშიც. მიუხედავად იმისა, რომ სამწერლობო ენასა და დიალექტებში მოდიდო ტიპის ფორმების არსებობა რეალური ფაქტია, მაინც სამეცნიერო ლიტერატურაში ოდნაობითის, როგორც ხარისხის ფორმის, საკითხი ეჭვის ქვეშ დადგა. რადგან მას არ გააჩნია შესადარებელი ობიექტი მიცემითში ან ნათესაობითში დასმული სახელის სახით. გარდა ამისა, ოდნაობითი ვერ გადმოსცემს საგნის თვისებათა ისეთ შეფარდებას, რაც დამახასიათებელია შედარებითი ხარისხისათვის. იგი არ ეწარმოება ყველა ვითარებით ბედსართავ სახელს, ძირითადად მხოლოდ ფერისა და სიდიდის აღმნიშვნელ სახელებთან გვხვდება[34].

თ. ბურაბიშვილის დაკვირვებით, ოდნაობითი რომ არ არის ხარისხის დამოუკიდებელი ფორმა, ამაზე უნდა მეტყველებდეს სვანურის ერთი ასეთი ვითარებაც: სვანურში ოდნაობის, ცოტა ნაკლულის მნიშვნელობის გამოსახატავად მოიპოვება არ სუფიქსით ნაწარმოები სხვა ფორმებიც. ისინი იწარმოება ყველა ბედსართავისაგან და უფრო გავრცელებულია, ვიდრე მ //მე პრეფიქსიანი სახელები. ეს ნიშნავს, რომ მე–ე კონფიქსიან წარმოებას თავდაპირველად არ უნდა ჰქონოდა ოდნაობის გამოხატვის ფუნქცია.

გ. როგავას აზრით, ე.წ. ოდნაობითის ფორმები სხვა რიგის წარმოება უნდა იყოს, მას არაფერი აქვს საერთო ხარისხის წარმოებასთან.

მაშასადამე, ზემოთქმულის მიხედვით, ოდნაობითის ფორმა არ უნდა ჩაითვალოს ბედსართავი სახელის დამოუკიდებელ ხარისხად.

მეორე თვალსაზრისით დასაბუთებულია, რომ ოდნაობითი უთუოდ წარმოადგენს ხარისხის ფორმას, რამდენადაც იგი გამოხატავს საგნის ნიშან-თვისების გარკვეულ რაოდენობრივ შეფარდებას დადებით ფორმებთან შედარებით[35].

ოდნაობითი ხარისხის მო და წა თავსართები მიჩნეულია მმნისწინებისაგან მომდინარედ (ა. შანიძე, თ. ბურაბიშვილი, ი. იმნაიშ-

ეილი. ბ. ჯორბენაძე...). ამ შემთხვევაში მო და წა პრეფიქსთა გენეზისური ერთობის საფუძვლად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ მო და წა, როგორც მნიშვნელობები, ერთ-ერთი ფუნქციით გამოხატავენ მოქმედების ოდნავობას, ზერელობის გაგებას, მოქმედების მოახლოებითობას. მაგალითად: მოისუსტებს, მომჟაუდება, წაიტირებს, წაისაუბრებს და ა.შ. ამ ასპექტით ფასეულია აჭარულის ჩვენებაც, სადაც მო და წა თავსართების სემანტიკით ფუნქციონირებს და მნიშვნელობით (დაყვითლო).

ი. იმნაიშვილის ვარაუდით, მო თავსართი გენეზისურად უნდა უკავშირდებოდეს მნის პირიან ფორმებს, კერძოდ, უნდა წარმოადგენდეს I ობ. პირის მ ნიშნისა და ქცევის ი პრეფიქსის შერწყმას. ი ბაგისმიერი ბგერების მეზობლობაში შეიძლებოდა ქცეულიყო ო-დ. მეორე მხრით, შეიძლება რაიმე ურთიერთობა არსებობდეს მო–ე-სა და ხელობის მე–ე-ს შორის[36].

ო სუფიქსი იგივე ოდენობაა, რაც ძველი ქართულის ე: მოდიდე>მოდიდო. მოდიდე ტიპის წარმოება ამჟამად დაცულია აჭარულში.

ქართველური ენების მონაცემებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ მოწითლო ტიპის სახელები უნდა მომდინარეობდეს სტატიკური წითს ნასახელარი მნების მიმღეობისაგან (შდრ.: წითს>მოწითანე>მოწითანო)[37]. აღსანიშნავია, რომ ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ამჟამად არსებული წაწითლო ტიპის ფორმები.

შენიშვნები

[1] ესაა გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს ხარისხის დონეს, რაც ახასიათებს მოცემულ საგანსა თუ მოქმედებას.

[2] ზოგიერთ ენაში არის მხოლოდ ორი ხარისხი: დადებითი და რელატივი, რომელიც ითავსებს შედარებითი და აღმატებითი ხარისხების მნიშვნელობას.

[3] დაწვრ. იხ. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 113.

[4] ე. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[5] ს. დოდაშვილი, ქართული გრამატიკა, 1930, გვ. 5.

[6] პლ. იოსელიანი, ქართული გრამატიკა, 1863, გვ. 34.

[7] დ. ჩუბინაშვილი, ქართული ღრამმატიკა, 1867, გვ. 37.

[8] ს. ჯანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 214-215.

[9] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

[10] თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში... გვ. 129-163

[11] იქვე, გვ. 148.

[12] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 142; თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 139; ლ. კვაჭაძე, ქართველი ენა, ნაწ. I, 1981, გვ. 171-172; ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 109-110; ანტ. კიზირია, ქართული ენა, 1969, გვ. 152.

[13] Биркадзе Р.Г.. Имена прилагательные. их функций и вырожение в русском языке сравнительно с грузинском. Автореферат (АКД). 1964. ст. 10.

[14] Г. Ахвледиани. Учебник-грамматика русского языка. т. 1958. стр. 98; Руденко Б., грамматика грузинского языка. М.Л.. 1940. стр. 51; Чикобава Арн.. Грузинский язык, 1967; Голетиани Г.. Сопоставительная грамматика русского и грузинского языков II. Морфология. 1970. ст. 95-97.

[15] გ. გოლეთიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[16] გ. ბერიძე, ჯაჯახური კილო, თბ., 1988, გვ. 83.

[17] ჯ. ნოლაძელი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, 1972, გვ. 73.

[18] გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, 1974, გვ. 95.

[19] ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემების... ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 346.

[20] ამგვარი წარმოება დღესაცაა შემონახული გემოიმერულში („კეკელაბე უხნე არი დედაი" (ძოწ., 58); შენ ჩემზე უმაღლე ხარ (იქვე), ჩემი სხალი უსხოა შენ სხალზე (იქვე, 124) (იხ. დაწერ. ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი). ანალოგიური წარმოება გამოელენილია რაჭულშიც, უფრო სპორადულად — ლეჩხუმურში, იმერეთის მოსაზღვრე ქართლის სოფლებში. ამ უკანასკნელ დიალექტში ეს მოელენა მიჩნეულია გემოიმერულის გავლენის შედეგად (გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, 360; შ. ძიძიგური, ძიებანი დიალექტოლოგიიდან...)

[21] დასახელებული ნაშრ., გვ. 141 (ა. შანიძე).

[22] თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ.

[23] გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ, ტ. 71, გვ. 107.

[24] ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ.I, თბ., 1970, გვ.

[25] ბ. ჯორბენაძე, ც. კვანტალიანი, მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

[26] A. Чикобава, Грузинский язык, 1967.

[27] ქეთევან და არჩილ დათიკაშვილები, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ტ. III, 1967.

[28] კ. ლერნერი, აღმატებითი ხარისხის ჩამოყალიბება ქართულში: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, 1980, გვ. 95.

[29] ამის შესახებ უფრო დაწერ. იხ. ზემოთ.

[30] ბ. ჯორბენაძე, ც. კვანტალიანი, მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

[31] Арн. Чикобава. Грузинский язык, 1967.

[32] იხ. ა. შანიძის მსჯელობა: „შედარების დროს გამოსაელად აღებული ფორმა (წარმოქმნის თვალსაზრისით ძირეული) მიჩნეულია დადებით ხარისხად („მაღი"), რომელთანაც შედარებით მასზე მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა იქნება უფროობითი („უმაღესი"): ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 140.

[33] დ. ჩუბინაშვილი აძლიერებით დაკავშირებით წერდა: „გადიდებისა და შემცირებისათვის იხმარებიან სიტყვანი უფრო, ცოტა, ან თავის დასმის პარტიცია ხარისხს მარცვალი მო- უფრო დიდი ან მოდიდო.

[34] ი. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 136-137. გ. როგავა, ზედსართავი სახელის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში: იკე, IX-X, 1957, გვ. 99-110.

[35] ა. შანიძე, თხზ., ტ. III, 1980, გვ. 141; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 137; ლ. კვაჭაძე, ქართული ენის მორფოლოგია, გვ. 171-173.

[36] ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., 45.

[37] თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 136-137. ეკ. ოსიძის დაკვირვებითაც, მიმღეობათა საწარმოებლად მო-ე აფიქსთა ვამოყენება სწორედ სტატიკური მნიშვნელობისთვისაა დამახასიათებელი: წითის ის — მოწითნე, თამამობს — მოთამაშე.

2. ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში

წაკითხულია მოხსენებად XII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე 1991 წლის 22 ნოემბერს (იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1991 წლის 21-23 ნოემბერი).

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, ქართულში ოდნაობითი არის ხარისხის დამოუკიდებელი სახე. იგი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით ნაკლები ოდენობით და იწარმოება მო- კონფიქსით (მო-დიდ-ო, მო-მაღლ-ო...). ხარისხის ეს ფორმები დამახასიათებელია ვითარებითი ზედსართავი სახელებისათვის.

თანამედროვე სამწერლობო ენასა და დიალექტებში საანალიზო ტიპის ორდინალური ფორმები ხელშესახებადაა გამოვლენილი, თუმცა საერთოდ მათი გამოყენების შემთხვევები უფროობითთან შედარებით მაინც ნაკლებია.

მართალია, მო-ო-თი წარმოქმნილი ოდნაობითის ფორმები დღეს ქართულში რეალური ფაქტია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ საზოგადოდ ოდნაობითობის სემანტიკა უფრო მრავალფეროვანია და ვერ თავსდება ოდენ მოდიდო ტიპის წარმოების ყალიბში. ოდა-

ნობითობის — მიახლოების სემანტიკა სცილდება მედსართავი სახელის სფეროს. რამდენადაც იგი რეალიზდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილითა და განსხვავებული მორფო-სემანტიკური საშუალებებით.

1. ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა მო–ო მორფემა, რომელიც დაერთვის არა ყველა ეითარებით მედსართავს, არამედ ფერის, ფორმის, თვისების (სულიერი განწყობილებისა და გონებრივი შესაძლებლობის) აღმნიშვნელ მედსართავ სახელებს:

ა) ქროდა მო-ლიბრ-ო ქარი (კალანდ., 39); მზერა მო-ლაჟვარდ-ო (ჭელ., 301); მო-მწვან-ო, მო-ზურმუხტ-ო მტკვარი მოედინებოდა (ციც., 36); დიდი თვალები მო-ლურჯ-ო-დ უღვიოდა (დოჩან., 24); მო-შავ-ო ღრუბლები გადაეკრა ცას (დიალ., მესხ., 480).

ბ) მო-მაღლ-ო ადგილზე სახლდებოდნენ (საქ. ისტ., 20); მო-გრძ-ო და მო-მრგვალ-ო ცური ჰქონდა (იმნ., მარგ., კახ., 52); ქალი მო-მცრ-ო ტანისა იყო (იქვე, 21); უფრო მო-სხ-ო წნელს ეარჩევდით (დიალ. ქართ., 320)...

გ) ვით მო-ხულიგნ-ო თავხედი ბიჭი (კალანდ., 235); ათასში ერთი მასავით მო-ზარ-მაც-ო ელეხი თუ მიუტანდა მარცვალს (ლიტ. საქ., 1985, 27/XII); იგიც მო-სულელ-ო სიტყვებს ამბობდა (დოჩან., 73); მო-თავხედ-ო ქცევა ჰქონდა ბიჭს (ციც., 145); მო-ურჩ-ო — ოდნავ ურჩი (ჯავ., გურ.)...

მო-ო კონფიქსის დართვისას, როგორც წესი, შეიძლება სახელის ფუძეში მოხდეს ცვლილება — ამოეარდეს ფუძისეული ხმოვანი ან მარცვალი; თუმცა ზოგჯერ იგივე სიტყვა შეუკუმშავი ფორმითაც გამოელინდება:

მოცისფრო ცვარი ბზინავდა (ჩიქ., 107); შეხედა ლურჯ, მოლილისფრო თვალებს (ხაჩ; 10) ენგურაჯგა იბამს მოწითლო მიწა (დიალ., აჭარ., 412)...

შდრ. მოთაფლისფრო სახე მამების (ცეცხლ., 683).

2. თანამედროვე სამწერლობო მასალებით ირკვევა, რომ ოდნაობის, მიახლოების, მიმსგავსების სემანტიკის გამოსახატავად მო–ო დაერთვის მიმართებით ზედსართავებსა და არსებით სახელებსაც. ამგვარი ფორმები შესამჩნევად იფართოებს მოქმედების არეს პრესისა და პუბლიცისტიკის ენაში:

მოისმოდა მისი მონაღვლიანო სუნთქვა (დოჩან., 210); თქვი მოიტალიურო სიტყვა (დოჩან., 103); დიქტორი მოინგლისურო ტემბრით მაასუხობს (განთიადი, 1988, №9); მომწერლო და მოპოლიტიკანო ადამი-

ასები (კომუნისტი, 1988, 23/I); მაშინ ერიმა მოკურნალისტო ელე-მენტებმა ქირქილი დაიწყო (კრიტიკა, 1986, № 5); მეტად ილასძღებიან სახელგარმწერალეკურნალისტები, მომწერლო პირსი, მოხელოვნებათ-მცოდნენი (ლიტ. საქ., 1987, 10/VII); თვალებში შეგვციცინებენ მოკა-რიერისტო ადამიანები (სახ. გან., 1989, 5/VII); ერთმა მოლიტერატუ-რო კაცმა უთხრა აკაკის (ვამსახ., 261); ახლაც მოცენტრისტო, მოინ-ტერფრონტო ელემენტები ახალ ჭორებს ავრცელებენ (თბილისი, 1991, 15/I); მოპოეტო ქალი (ინან., 19).

3. ოდნაობითობა შეიძლება გადმოიცეს (მო–ო-ს პარალელუ-რად) წა–ო აფიქსითაც: წათეთრო, წაყვითალო... წათეთრო ტიპის ფორმები ენაში ახალი გაჩენილი ჩანს მოთეთრო-ს ანალოგიით, სადაც მო გაგებულ იქნა მმნისწინად და მას დაუპირისპირდა წა მმნისწინი (თ. ზურაბიშვილი). წათეთრო ტიპის წარმოება არ და-დასტურდა ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, არც საბას „სიტყვის კონაში". არაა იგი წარმოდგენილი ი. ჭავჭავაძისა და ა. წე-რეთლის თხზულებათა სიმფონია ლექსიკონებში. მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცოცხალ მეტყველებაში მათი არსებობა უკვე სავარაუდებელია, რამდენადაც ამ პერიოდის გრამატიკულ ლიტერატურაში (პ. კვიცარიძე) იგი უკვე კვალიფიცირებულია.

ენაში შედარებით ახალი გაჩენილი საანალიზო წარმოება დღეს აშკარად იმკვიდრებს ადგილს სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაშიც:

წაკუთხვნო მომცრო ასომთავრულით (ილ. აბულაძე); ძვირფასო, გილოცავთ ქალთა და წაქალო ტიპის დღესასწაულს (სახ., გან., 1989, 24/IV) წაყვითლო სახე (ქართ., დიალ. 418); სიტყვა პროზიდან წაპოეტო ელემენტებმა შექმნეს სიტყვა „პროზაული" (დოჩან., 5); წაწითო – მოწითალო (კაიმ., მთიულ.)...

4. საგნის ნიშან-თვისების მიახლოებითი სემანტიკა შეიძლება გამოიხატოს აღწერითი წარმოებითაც:

ა) ფუძის გაორმაგებით: შავ–შავი=მოშავო, მაღალ–მაღალი=მო-მაღლო [1,143]; პატ–პატარა, ცოტ–ცოტარა [2,125];

ბ) მედსართავის დადებითის ფორმაზე ოდნავ მმნიშველის დამა-ტებით: ოდნავ მაღალი, ოდნავ დიდი (ასეთი ფორმები ენაში ფარ-თოდ არის გამოყენებული);

გ) კონტამინირებული წარმოებით — მო–ო კონფიქსიან ფორ-მას ერთვის ოდნავ მმნიშველი ან ვით თანდებული:

ოდნავ მოცისფრო ფერის... ფარდაგია (განთიადი, 1988, № 3, 75);

ოდნავ მოგრძო ცხვირი (დიალ., იქვე., 407): ოდნავ მომცრო და მოთეთრო იყო (დოჩ., 49). მოწითლოსავით სამსრეებია. უერი არ ირჩევა მკაუოდ (გასთიადი, 1988. N 3).

5. ოდნაობითის სემანტიკა გადმოცემულია აგრეთვე შე, მო, წა, მი გმნისწინებით გმნებსა და ნაგმნარ სახელებში: შეწითლდება, შეღვინდება, შეთხელებული... ძორბილდება, მოილამაზებს, მოსუსტებული... წაიტირებს, წათეთრებული... მინაზდება, მიჩლუნგებული...

ამგვარ ფორმებში უფრო გამოკვეთილია მოქმედების, ნიშანთვისების ოდნაობის გაგება, რის გამოც ასეთი წარმოება თანამედროვე ქართულში პროდუქტიულ და პრაქტიკულად გამოსაყენებელ ენობრივ მოვლენად მკვიდრდება.

6. დღეს ოდნაობითის შინაარსით გამოყენებულია **მშიასავით** ტიპის ფორმებიც. ვით თანდებული, როგორც წესი, დაერთვის სახელს და აღნიშნავს მსგავსებას, გმნებში კი ასრულებს სადერიეაციო აფიქსის ფუნქციას და გამოხატავს ოდნაობას, ორჭოფობას, მოქმედების პროცესის მისუსტებას.

საანალიზო ტიპის ფორმები სულხან-საბას ლექსიკონშიცაა დამოწმებული, ძალზე აქტიურად იჩენს თავს თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში (და მისი გაელენით — სამწერლობო ენაშიც). იგი შეიძლება დაერთოს არა მხოლოდ გრძნობა-აღქმის გმნებს, არამედ ყველა გმნას [7,97-98]. ჩვენი მასალების მიხედვით, **მშიასავით** ფორმები უფრო დამახასიათებელი ჩანს დასავლური დიალექტებისათვის:

შესაღამოედა. **აგრილდასავით** (ჭეიშვ., 158); ავადმყოფს **ჩაქინასავით** (იქვე, 84); მიმკურნალეს, **მოვმჯობინდისავით** (იქვე, 100); ნააქიმარი ქალი **მომჯობინდასავით** (ლიტ. საქ., 1990, 12/I); კი, ქე გიცანისავით (ქუთაისი, 1989, 5/VI); უხერხულად გრძნობდა თავს, **მოუბოდიშასავით** (ლიტ. საქ., 1988, I/XI); მგონი ქალი **შემშვიდდასავით**, (ქუთაისი, 1981, 19/II); აქ საკმაოდ გრძლად წაიკვლასავით, რათა ავტორისეული ორი ა არ დაკარგულიყო (დევდ., 114).

7. ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვა კიდევ უფრო მეტი მრავალფეროვნებით გვეძლევა ქართული ენის დიალექტებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აჭარულის, რაჭულისა და ხევსურულის ჩვენება.

აჭარულ კილოში

ა) ძალაშია ძველი ქართულის მო–ე კონფიქსი, რომლის დართვა ფუძეში იწყევს მნიშვნელოვან ცვლილებებს: მოცხე<მოცხელო, მოსქე<მოსქელო...

ბ) მო–ო და წა–ო მორფემების პარალელურად ამაეე ფუნქციით გვხვდება და–ო-ც, რომელიც გადმოსცემს საგნის ნიშან-თვისებას (ფერს, გემოს, სიდიდეს) მცირე ოდენობით, ნაკლები ინტენსივობით: დაშავო, დათეთრო, დამცრო–

გ) დასტურდება ორმაგი წარმოებაც: მოდამცრო.

6. სურმავას დაკვირვებით, მართალია, და თავსართიანი ოდნაობითის ფორმები დამახასიათებელია მერისის ხეობის მეტყველებისათვის, მაგრამ აქა-იქ იგი სხვაგანაც გამოვლინდება, რაც, თავის მხრივ, გახაზავს ამგვარი წარმოების პოვნიერებას საერთოდ აჭარულ კილოში [8,21].

რაჭულში ოდნაობითის ფორმებს ფერთა სახელებისაგან აწარმოებს აგრეთვე ონა სუფიქსი: თეთრონაი (მოთეთრო, თეთრი ფერის საქონელი), შავრონაი (მოშავო, შავი ფერის საქონელი)... სადაც ოდნაობითობასთან შეხამებულია მიმსგავსების, მსგავსების ფუნქცია [9,439].

ხევსურულში ოდნაობითი ხარისხის ძირითადი მაწარმოებელია ონა: თეთრონა, შავონა, ლეგონა [10,74]. ამათ გვერდით დადასტურებულია წა–ა (წა-წითლონ-ა), წა–ო (წა-წითვანო), მა–ა (მა-წითლონ-ა) აფიქსებით ნაწარმოები ფორმები. უკანასკნელი ტიპის წარმოება ხევსურულისათვის მიჩნეულია გვიანდელ, მეორეულ მოვლენად, რომელიც გამოწვეული უნდა იყოს სალიტერატურო ენის გაელენით და სიმცირის ინტენსიობის გაძლიერების მიზნით [11,63-64].

ამრიგად, სამწერლობო ქართულსა და დიალექტებში ოდნაობითის სემანტიკა გამოიხატება მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებით, წარმოების განსხვავებული ყალიბებით:

1) მო–ო კონფიქსით (მოდიდო, მოკარიერისტო...);

2) წა–ო მორფემით (წაწითლო, წაპოეტო...);

3) წა–ვით კონსტრუქციით (წათეთროსავით);

4) ვით თანდებულიანი ზმნით (მშიასავით);

5. შე, წა, მი, მო ზმნისწინებით ზმნასა და ნაზმნარ სახელებთან (წაეისადილოთ, შეთეთრებული...);

6. აღწერიითი ფორმებით (ოდნავ მაღალი... ოდნავ მომაღლო...);

7. და–ო კონფიქსით (დათეთრო...);

8. შერეული წარმოებით (მოდამცრო...);

9. ონა სუფიქსითა და მა–ა, წა–ა, წა–ო კონფიქსებით (თეთრონა... მაწითლონა..)

ირკვევა, რომ ყველა ზემოდასახელებული ფორმისათვის საერთოა ოდნაობის, მიახლოება-მიმსგავსების სემანტიკა, რაც გადმოიცემა სხვადასხვა ენობრივი საშუალებით, სხვადასხვა ყალიბით. ისიც ამკარაა, რომ დღეს ამ სემანტიკისათვის ტრადიციული ოდნაობითი სარისხის მო–ო კონფიქსიანი ფორმების გვერდით უფრო აქტიურად მკვიდრდება მათივე აღწერითი თუ კონტამინაციური წარმოებაც სამწერლობო ენასა და განსაკუთრებით დიალექტებში, ზეპირ მეტყველებაში.

გარდა ამისა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულშიეე არსებობდა მოთეთრო ტიპის ფორმები („ბზინვა ბზინვარე მოთეთროჲ“: ილ. აბულაძე), ცოტა მოგვიანებით კი სულხან-საბა თავის ლექსიკონში სპეციალურად მსჯელობს ჩვენთვის საინტერესო მომცრო ტიპის ფორმათა სემანტიკაზე („მომეაო—მცირედ მჟავე; მომწაროჲ არს მცირე რამ გემო სიმწარისა ჰქონდეს; მომცრო—უპატარაესი და უდიდესი საშუალი“...), ცხადი ხდება, რომ ოდნაობითი ხარისხისა და ოდნაობითის სემანტიკის საკითხი კვლავ მოითხოვს საგანგებო შესწავლას. კერძოდ, აქ ჩვენთვის ზოგადად საინტერესოა:

1) ოდნაობითი ხარისხი, მოდიდო ტიპის ფორმებით გამოხატული, თავისი ბუნებით (ასახარისხებელ ობიექტთან მიმართებაში) არის თუ არა გრამატიკული კატეგორია (ისიც ოდენ ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი);

2) ოდნაობითის, მიახლოების სემანტიკის მქონე, მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებით რეალიზებული, ლექსიკური ერთეულების ადგილი ლინგვისტიკაში და მათი კვალიფიკაცია.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
2. ძოწენიძე ქ., გემოიმერული კილოკავი, თბ., 1973

3. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973.
4. ჩურაბიშვილი თ., ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 29, №5, 1960.
5. ყორღანაშვილი უ., გმნასა და სახელთან ხარისხის წარმოების საკითხისათვის: ქართ. ენა, ლიტ. სკოლაში, 1972, №4.
6. ჯორბენაძე ბ., კვანტალიანი ც., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
7. ჯაფარიძე მ., ეით თანდებულის ხმარებისათვის გმნასთან ქართულში: ქესს, ტ. III, 1963.
8. სურმავა ნ., სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება აჭარულში: აჭარული დარგობლივი ლექსიკა, ბათუმი, 1986.
9. ჯორბენაძე ბ., ქართული ენის დიალექტოლოგია, თბ., 1989.
10. ჭინჭარაული ა., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
11. მეიადაური ნ., ოდნაობითი ხარისხის ორგანული წარმოებისათვის ფერთა აღმნიშვნელ ეითარებით მეღსართავებში ხევსური დიალექტის მიხედვით: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1987.

3. უძველესი ტიპის სახელთა ისტორიისათვის

წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის დიალექტოლოგიის სამეცნიერო კელეეითი ისსტიტუტის სიმპოზიუმზე 1999 წლის 4 მაისს.

ქართულ ლინგვისტიკაში ზედსართაეი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოება ერთ-ერთი რთული საკითხია. ა. შანიძის მიხედვით, დღეს ნიშან-თვისების მზარდი ხარისხი გადმოიცემა მსოლოდ ერთი ფორმით — უ-ეს კონფიქსიანი უფროობითით, რომელიც ფაქტობრიეად გულისხმობს როგორც უფროობითის, ისე აღმატებითის სემანტიკას.

ამის გამოა, რომ ლინგეისტებიც კი ულამაზესი ტიპის წარმოებას ხან უფროობითს უწოდებენ და ხან — აღმატებითს.

სხვა ენების მსგავსად, ქართულშიც ბუნებრიეად დაისმის მზარდი ხარისხის ორი საფეხურის დიფერენცირებისა და, კერძოდ, აღმატებითის გამოყოფის საკითხი.

მართლაც, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოითქვა ტრადიციულისაგან განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ქართულშიც იეარაუდება აღმატებითი ხარისხის არსებობა. სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება წარმოდგენილი ნაშრომი, სადაც განხილული იქნება უძველესი ტიპის სახელთა ისტორია და გამოყენების შემთხვეევები.

ტრადიციული შეხედულებით, ქართულისათვის დამახასიათებლადაა მიჩნეული ზედსართაეი სახელის მზარდი ხარისხის მხოლოდ ერთი ფორმა — უფროობითი. ესაა უ-ეს კონფიქსით გაფორმებული სინთეზური წარმოება უძველესი ტიპისა (ა. შანიძე).

აღწერითი წარმოება არ ითვლება ხარისხის გრამატიკულ ფორმად, მაგრამ ძველი და ახალი ქართულის წერილობითი წყაროები, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების ჩეენება საცნაურს ხდის, რომ ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის სემანტიკის გამოხატვა ვერ თავსდება ოდენ სინთეზური უფროობითის ფარგლებში და ძველთაგანვე მოყოლებული საკმაოდ ხშირად რეალიზდება აღწერითი და კონტამინაციური წარმოებითაც.

აღწერითი წარმოების შემთხვეევაში გამოიყენება სიტყვები: ფრი-

ად, ძალიან, მეტად... ზოგჯერ ამ მიზნით ძიემარითაები ფუძის გაორკეცებასაც ან კიდევ ზე თანდებულიან სიტყვებს: ძალიან მღალი, ყველაზე მაღალი, მაღალ-მაღალი, მძიმეზე მძიმე. ანალოგიური სემანტიკური დატვირთვა აქვს აგრეთვე ენაში ფართოდ დამკვიდრებულ ზედიდი ტიპის ფორმებსაც. ერთი შეხედვით, ასეთ აღწერითს ფორმებს აერთიანებს დადებითზე მეტი ნიშან-თვისების გამოხატვა, მაგრამ ისინიც არ არიან აბსოლუტურად ერთნაირი ხარისხის მქონენი. მაგ., თუ ყველაზე დიდი მიუთითებს გარკვეულ ზღვარზე, მეტად დიდი ან ზე დიდი არ აკონკრეტებს ხარისხის დონეს და ა.შ.

ამგვარი სემანტიკური ნიუანსების ზედმიწევნითი სიზუსტისათვის ჩანს შექმნილი კონტამინაციური ფორმებიც (უ-ეს+აღწერითი საშუალება): უფრო უდიდესი, ყველაზე უძნელესი, ძალიან ულარიბესი...

კიდევ მეტიც: რამდენადაც ნიშან-თვისების მმარდი ხარისხის სემანტიკური ფარგლები განუსაზღვრელია, ენა არ ექცევა დადგენილი ნორმების ფარგლებში და კვლავ ეძიებს გამოხატვის ახალ-ახალ საშუალებებს. მაგალითად, ზოგჯერ ნიშან-თვისების აღმატებისათვის უფროობითის სინთეზურ წარმოებას აორკეცებს: ულამაზესზე ულამაზესი, უდიდესზე უდიდესი... ეს უკანასკნელნი გამოხატავენ არა დადებითთან უბრალო შედარებას, მეტ ნიშანს, არამედ უფროობითზე მეტს, როგორც ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებდა ბ. ფორსა (ქართული ენის ლექსიკოლოგია, გვ. 142)

სწორედ ამგვარი ზეაღმატებული სემანტიკის მატარებელია უდიდესი ტიპის ფორმებიც, რომლებიც სამწერლობო ენაში თავს იჩენს ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებიდან და ხელშესახებად გვეძლევა თანამედროვე პოემაში, პროზაში, პუბლიცისტიკასა და პრესის ენაში. ამჯერად დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

> ძველისძველი ქრონიკების უუძველესი ვარიანტები აღმოაჩინა (მიხ. ჯავახიშვილი); მოეისმენთ უუწამებულესი კაცის მხურვალე სიტყვას (პ. კაკაბაძე); გადავალ და გადმოვალ უუცისფერეს სიდს (ლიტ. საქ., 1988, 26/II); დობინმა უუთავაზიანესი მოპატიჟების ბარათი მიართვა (უ. თეკერეი, თარგმანი, 1963); უუშორეს მანძილს გაიელიდა (ანა კალანდაძე); უუძლიერესო მეფეე, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი! (მ. თამარაშვილი, თარგმანი). საფიჩხიაზე წამოჭიმა შავმა სამყარომ რაღაც უუსაშუალო,

უზარმაზარი სახლები (ქუთაისის დიალექტოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის მასალები);(ამ ტიპის მაგალითები იხ. აგრეთვე წიგნის სხვადასხვა ნაწილში).

წერილობითი ძეგლებით ირკვევა, რომ უდიდესი ტიპის წარმოება პირველად თავს იჩენს სულხან-საბას ლექსიკონში.[1] აქ ფიქსირებული უცხადესი და მისთ. რომ არაა მშარდი ხარისხის ერთადერთი ფორმა, ეს კარგად ჩანს საბასეული განმარტებიდან:

ცხადი — არა სიბმრივ,

უცხადესი — უფროსად ცხადი.

უუცხადესი — სრულიად ცხადი.

ამკარაა, რომ საბასთვის უცხადესი პირველი საფეხურია, უუცხადესი — მეორე. ე.ი. მშარდი ხარისხის ორი საფეხური დიფერენცირებულია.

ვფიქრობთ, სწორედ საბას ხელეწიფებოდა ლექსიკონის შედგენისას შეეგრძნო სიტყვის შინაარსობრივი ნიუანსის აბსოლუტური სიზუსტე, რისთვისაც, ჩანს, კიდეც შემოიტანა უდიდესის გვერდით აღმატებული სემანტიკის გამოსახატავად ორმაგი უ პრეფიქსით გაფორმებული წარმოება, რომელიც უფრო ზედმიწევნით მიესადაგებოდა სათქმელის რეალურ სემანტიკას, თანაც ფორმობრივად უპირისპირდებოდა ომონიმურ უ–ეს კონფიქსიან წარმოებას.

მეორე მხრივ, საანალიზო ფორმათა წარმოქმნა–დამკვიდრებაში შეიძლება გარკვეული წილი ედოს ძველ წერილობითს ძეგლებში დადასტურებულ უუწვეს, უუბედურეს და მისთანათა ბგერწერასაც.

მაშასადამე, საბას ლექსიკონის მიხედვით, უდიდესი ტიპის წარმოების ფუნქცია მშარდი ხარისხის მეორე საფეხურის აღნიშვნა უნდა იყოს.

ანტონის გრამატიკაში შედარებით სრულადაა წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო სახელთა სემანტიკურ-მორფოლოგიური კვალიფიკაცია. ავტორის აზრით, ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს: დადებითი, შედარებითი და აღმატებითი (უაღრესობითი): სრული, უსრულესი, უუსრულესი. აღმატებითი ხარისხი სათანადოდ გაფორმებული მორფოლოგიური ოღენობაა. მის მაწარმოებლად მიჩნეულია უ–ეს კონფიქსი. თუმცა ამავე სემანტიკისათვის გამოყენებულია აღწერითი (ყოელად სრული) და უსრულესი ტიპის წარმოებაც.

კ. ლერნერის დაკვირვებით, ჯერ კიდევ ძველ ქართულშიეე უნდა ჩასახულიყო უფროობითის ფორმების ფარგლებში მზარდი ხარისხის ორი საფეხურის სემანტიკური დაპირისპირება-გამიჯვნა, რის შედეგადაც გამოიკვეთა აღმატებითი ხარისხის საფეხური. ეს პროცესი ახალ ქართულში უფრო გაფართოვდა, რასაც უთუოდ ხელს შეუწყობდა სხვა ენათა გავლენაც (კ. ლერნერი, აღმატებითი ხარისხის ჩამოყალიბება ქართულში: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, 1980, გვ. 88-102).

არ არის გამორიცხული, რომ სულხან-საბა თუ ანტონი, (როგორც ცალკეული ბილინგვი), ალბათ, გარკვეულად მაინც ვერ ასცდებოდნენ იმ ენათა გავლენას, სადაც ენობრივი ნორმაა მზარდი ხარისხის ორივე ფორმა (შედარებითი და აღმატებითი) და ამ ასპექტით „საკუთარი ენის უკმარისობა“ გამოხატეს საგანგებო აფიქსით, რამდენადაც, ალბათ, იგი უფრო ეგუებოდა ქართული ენის წარმოების ორგანულ ბუნებას. ე.ი. XVII-XVIII საუკუნეებში აშკარად ხდება ნიშან-თვისების ორივე საფეხურის მორფოლოგიზაცია.

უდიდესი ტიპის სახელთა ისტორიისათვის მეტად ფასეულია აგრეთვე მისი ხელშესახებად გამოელენა ილიას, ივანე და მიხეილ ჯავახიშვილების, გალაკტიონის, კ. გამსახურდიას, ანა კალანდაძისა და სხვათა ნაწერებში. ეს ფაქტი არ უნდა იყოს შემთხვევითი.

მაგალითად, ნიშანდობლივია, რომ ილია — დიდი ერისკაცი, რომელსაც გამუდმებული პოლემიკა ჰქონდა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, სწორედ პუბლიცისტურ წერილებში იყენებს აღმატებითი სემანტიკისათვის უფრო მარჯვე წარმოებას — ტრადიციული უდიდესი ტიპის ფორმებთან შედარებით მეტი გამომსახველობითი ძალის მქონე უდიდეს. ამ ასპექტით საინტერესოდ გვეჩვენება აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ნაშრომებსა და პირადს წერილებში დაღასტურებული საანალიზო ფორმები.

ცნობილია, რომ ლინგვისტიკაში ზოგიერთ ენობრივ ერთეულს მიიჩნევენ მხოლოდ წიგნური მეტყველებისათვის დამახასიათებლად და მას სხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევენ. მაგრამ ერთი და იმავე პიროვნების სხვადასხვა ხასიათის ნაშრომებში გამოყენებული წარმოება, ალბათ, არ უნდა ჩაითვალოს ოდენ წიგნური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ხელოვნურ, თანაც უფუნქციო ფორმებად და, შესაბამისად, სალიტერატურო ენისათვის მი-

ელებლად. მაგალითად, მეცნიერი ერთ-ერთი პირადს წერილში აღნიშნავს: „თქვენი მოხსენებანი... სწორედ ჩვენი უუწმინდესი ვრძნობების გამანადგურებელ იარაღად მიაჩნიათ“. აქ აშკარაა, რომ ავტორი სიტყვას უ პრეფიქსის დამატებით საგანგებოდ ტვირთავს აღმატებითი სემანტიკით, რადგან, ჩანს, ოდენ უწმინდესი მისთვის უფრო ნაკლები ხარისხისაა, ვინემ უუწმინდესი.

დღეს ამ წარმოებასთან დაკავშირებით ერთი ტენდენციაც გამოიკვეთა: ავტორი გამოყენებულ ორმაგ უ პრეფიქსიან ფორმას თავადვე უკეთებს კომენტარს და მიუთითებს მის საგანგებო ფუნქციურ დატვირთვაზე. მაგ., მწერალი ო. იოსელიანი ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში წერდა: „ამ წუთას არ შემიძლია, თუნდაც ორი სიტყვით უუდიდესი (ორი უუ ვინმეს კორექტურული შეცდომა არ ეგონოს) მადლობა არ გადავუხადო ჩვენს ქართველ ებრაელს...“ (გაზ. „ქუთაისი“, 1989, 20 აპრილი). აშკარაა, რომ უდიდესი ვერ გამოხატავს ისეთ მადლიერებას, რასაც მწერალი გრძნობს. ანალოგიურია ფრაზები: „დათო იყო უუნიჭიერესი. აქ მეორე უ დავამატე, რომ აღმატებითში მეთქვა“ (1992 წლის 27 მაისის დილის რადიოგადაცემა); „ძალიან ხშირად მომიწევს საუბრისას აღმატებითი ხარისხის ხმარება“ („გაზ. „თბილისი“, 1989, 7 ივნისი) და ა.შ.

საკელეე ფორმათა გეაღმატებული დონის აშკარა მაჩვენებელია ასეთი კონტექსტიც: „ქალს ერთ დროს თანაბრად ხიბლავდა ველიც, მთებიც, ბღვაც, ბღვაში ჩაცვივნული კელაპტარებიც: ლურჯი, ლურჯზე ლურჯი (უუულურჯესი) მთებიც და მთვარეც; მაღლობა იმ მშობელს, ერთი ძალიან სუსტი (უუუსუსტესი) წეერი მაინც რომ ააცილა ქართულის სპეციალისტთა რიგებს“ (რ. დევდარიანი, ვინ არის საღირა, გვ. 18).

როგორც ეხედავთ, ავტორი აღმატებითი სემანტიკის გამოსახატავად იყენებს არა ტრადიციულ უფროობითს, არამედ აღწერითს წარმოებას (ლურჯზე ლურჯი, ძალიან სუსტი), რომელიც მისთეის უფროობითზე მეტი სემანტიკური ძალის მქონეა და, რომ ეს ასეა, იქვე მიუთითა ფრჩხილებში ჩასმით, გამოიყენა უუუსუსტესი და უუულურჯესი წარმოება.

მართალია, ერთობ გადაჭარბებულად მოჩანს ოთ. ჩხეიძის ნაწერებში გამოელენილი 3,5,7-ჯერ განმეორებული უ პრეფიქსიანი ფორმები, მაგრამ, ცხადია, მათი პოვნიერება უთუოდ შეპი-

რობებულია განსხვავებული სემანტიკური დატვირთვით.

როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ჯერ სულხან-საბასა და ანტონის, შემდეგ ილიას, ჯავახიშვილების, გალაკტიონისა და სხვათა გავლენით და, მეორე მხრივ, ენის განვითარების შინაგანი ბუნებისა და შესაბამისად საგანგებო სემანტიკური დატვირთვის მეოხებით, საკვლევი ტიპის წარმოება დღეს წერითს მეტყველებაში ტრადიციულად არსებობს, მისი ფუნქციონირების სფერო არ შემცირებულა. ასეთი წარმოება დადასტურდა დიალექტურ ტექსტებშიც (იხ. მაგალითები ქვემოთ), თუმცა არა იმ სისშირით, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგან ჩამწერი „გრამატიკოსები" თავად არ (ვერ) მოახდენდნენ ასეთი „უმართებულო" ფორმების ფიქსაციას წერილობით.

ანალოგიური ვითარება უნდა გექონდეს სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, ცოცხალი მეტყველებისათვის ბუნებრივია **ძაალიან, დიიდი, აამხელა, სუუულ...** და მისთნ., რომლებსაც საჭიროებისამებრ გამოვთქვამთ სათანადო ინტონაციით, მაგრამ წერილობით მაინც ერთი ხმოვნით გამოვსახავთ. მხოლოდ პოეტი ან მწერალი უფრო ახერხებს საკუთარ ნაწერში სტილიზაციისა თუ სემანტიკური ნიუანსის სიზუსტის დაცვას, რამდენადაც გრამატიკული წესების მიმართ იგი შედარებით თავისუფლებას ავლენს. ამის საუკეთესო დასტურია **გ. დოჩანაშვილის, რ. მიშველაძის, რ. ჭეიშვილისა** და სხვათა პროზა, სადაც გამოყენებულ **ძაალიან, მააალი როოომ, სუულ....** მეეე? და მისთანებში ხმოვნის გაორკეცებას აკისრია საგანგებო ფუნქცია — სიტყვის გამომსახველობითი ძალის (სემანტიკის) გაძლიერება.

ან კიდევ: დღეს გრამატიკული ნორმების მიხედვით, მიუღებელია ასეთი კონსტრუქცია: „ვინც **არ უნდა** იყოს, კანონის წინაშე ვალდებულია ყველამ აგოს პასუხი". მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში იგი დღეს გაბატონებული და თითქმის ერთადერთია უარნაწილაკო წარმოებასთან შედარებით, შესაბამისად, ხელშესახებადაა თავჩენილი სამწერლობო ენაშიც.

როგორც ვხედავთ, საანალიზო წარმოება თანამედროვე ქართულში რეალური ფაქტია, მაგრამ ამ ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი შეფასება ეძლევა.

ძველი გრამატიკოსების მიხედვით, **უდიდესი** ტიპი აღმატებითი

ხარისხია. ე.ი. უკ-ეს კონფიქსი ზედსართაული სახელის მზარდი ხარისხის ზედა საფეხურის მაწარმოებელია.

ა. შანიძის აზრით კი, „ქართულში საგნის მეტი ნიშან-თვისების გამოხატვის მხოლოდ ერთი ფორმაა — უფროობითი (უდიდესი), მართალია, შეიძლება უფროობითი ხარისხის ფორმას წინ დაერთოს კიდევ მეორე უ (უუდიდესი), მაგრამ ეს არის ხელოვნური ფორმა'. ასეთ უფროობითს გაძლიერებული ეწოდება" (ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 140).

მას შემდეგ მოყოლებული ცალკეულ სამეცნიერო ნაშრომებში დასახელებულია ამგვარი ფორმები, მაგრამ მიჩნეულია ხელოვნურ წარმოებად, რომელიც სალიტერატურო ენამ არ მიიღო, ამდენად, უმართებულოა. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი მკვლევარი (კ. ლერნერი, გ. გოლეთიანი...) ქართულში აღმატებით ხარისხზე მსჯელობისას ჩვენთვის საინტერესო ფორმებსაც იმოწმებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ გაძლიერებული უფროობითი, როგორც ა. შანიძე მართებულად უწოდებს, თავისთავად მეტყველებს ამ ფორმათა განსხვავებულ ფუნქციაზე. უფროობითის გაძლიერება იგივე აღმატებაა, სემანტიკის ყველაზე მაღალი დონეა. ამიტომაა, რომ უუდიდესი ტიპის წარმოება ქართველისათვის აღარ საჭიროებს დამატებით აღწერით საშუალებებს და არსად არაა ძალიან უუდიდესი, ყველაზე უუდიდესი ან უუდიდესზე უუდიდესი... მაშინ როცა ტრადიციული უფროობითის შემთხვევაში ჩვეულებრივია ძალიან ულამაზესი, ყველაზე ულამაზესი, ულამაზესზე ულამაზესი და მისთანანი.

ამრიგად, საანალიზო ფორმათა ისტორია და გამოყენების შემთხვევები ცხადყოფს, რომ ქართული ენა სრულიად ბუნებრივად ახდენს მზარდი ხარისხის ორივე საფეხურის სემანტიკურ დიფერენციაციას სინთეზური წარმოებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეს პროცესიც გაფორმდეს გრამატიკულად და მოხდეს რეალურად არსებული აღმატებითი ხარისხის მორფოლოგიზაცია.

შენიშვნა: ეს საკითხი (თეზისების სახით) დაბეჭდილი იყო სიმპოზიუმის მასალებში (იხ. ქუთაისური საუბრები — VI, 1999 წელი, 3-5 მაისი).

შენიშვნები

[1] მართალია, ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დადასტურებულია ფორმები: უუგეს̈ურესი, უუბედურესი, უუხვესი, უეძლურესი და ა.შ., მაგრამ მათში ხარისხის მაწარმოებელია მხოლოდ პირველი უ-.

[2] საკუთარისხმოა, რომ უფრო ადრე ს. ხუნდაძე შენიშნავდა: „ქართულში აღმატებითი ხარისხი განსაკუთრებული ფორმითაც გამოითქმის. ესენია: უღრმესი, უმაღლესი... ისინი მწიგნობრულია, მეთხზულია და არა ხალხური. ხალხში ეს ფორმა არ იხმარება“.

4. ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში და აღმატებითი ხარისხის საკითხი

დაბეჭდილია გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში (თბილისი, 2003 წელი, №6).

ზოგად ლინგვისტიკაში საგნის ნიშან-თვისების განსხვავებული დონე გამოიხატება შედარების ხარისხებით. როგორც წესი, ევროპულ ენებში არსებობს სინთეზურ-ანალიზური საშუალებებით გადმოცემული მზარდი ხარისხის ორი ფორმა: შედარებითი და აღმატებითი, ქართულ ლინგვისტიკაში კი, ტრადიციული გაგებით, მზარდი სემანტიკა ერთსაფეხურიანია, ერთადერთ მართებულ გრამატიკულ ფორმად მიჩნეულია ორგანული წარმოების უფროობითი უდიდესი ტიპისა (ა. შანიძე). თუმცა აშკარაა, რომ იგი ვერ ასახავს ენის რეალურ ვითარებას, რამდენადაც არ შეუძლია ნიშან-თვისების განსხვავებული დონეების ჩვენება — მზარდი სემანტიკის ზუსტი დიფერენცირება, როგორც ეს ევროპული ენების ორსაფეხურიანი სისტემითაა შესაძლებელი. ამის გამოა, რომ ქართული ენის უფროობითში იგულისხმება ხან შედარებითი და ხან აღმატებითი, ხან კიდევ — ორივე ერთად...

და მაინც, განსხვავებული სემანტიკისათვის ენა ფორმასაც განსხვავებულს იყენებს, რაც ბუნებრივად მოითხოვს შესაბამის ლინგვისტურ კვალიფიკაციას. გამომდინარე აქედან, აუცილებელი ხდება, გამოიკვეთოს თანამედროვე ქართულში ხარისხის სახელთა წარმოების ძირითადი მოდელები და მისი განვითარების საერთო ტენდენცია; დაზუსტდეს ხარისხის გრამატიკულ ფორმათა რაოდენობა; შესაბამისად მოხდეს მზარდი სემანტიკის ორსაფეხურიანი დიფერენცირება და აღმატებითი ხარისხის მორფოლოგიური გაფორმება.

საკითხის ნათელსაყოფად, პირველ ყოვლისა, გამოწვლილვით უნდა იქნეს გამოვლენილი და შესწავლილი თანამედროვე ქართულში მზარდი სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი, რომლებიც დღეს სამწერლობო ენისა და ცოცხალი მეტყველების მიხედვით საკმაო მრავალფეროვნებით გვეძლევა (მსჯელობისას

ვეყრდნობით მწერლობის სხვადასხვა ჟანრიდან, დიალექტური ტექსტებიდან მოძიებულ უხვ საილუსტრაციო მასალას, ვითვალისწინებთ აგრეთვე ძველი და საშუალო ქართულის მონაცემებსაც. ამჯერად მხოლოდ თითო-ოროლა მაგალითს ვიმოწმებთ).

1) ტრადიციული შეხედულებით, ქართულში მზარდი ხარისხი ეწარმოება ვითარებით ბედსართავ სახელებს და მისი გამოხატვის ძირითადი საშუალებაა სინთეზური წარმოების უფროობითი, რომელიც დამახასიათებელია როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართულისათვის:

> რა-ჯ-მე უნათლეს არს მზისა (ძვ. აღთქმა); იგი მაგლი უდიდეს არს (შუმ. წამ.); ნუ ამრუდებ უმართლესსა (ვეფხისტყ.); უცხადესი - უფროსად ცხადი (საბა); უკეთილესი - ფრიად კეთილი (ანტონ I); უმრავლესი და უმშვენიერესი უძღვნის (რუსუდ.); ეს იყო უძველესი ადამიანის უმარტივესი იარაღი (საქ. ისტორ.); უთეთრესი, ულურჯესი ნიაღვარშხეფი გადმოსჩქეფდა (გ. ლეონ.); შეგასწავლით თამაშთა მორის უდიდესსა და უნეტარეს (გ. დოჩან.); გოგოა ულამაზესი (დიალ. რაჭ.)...

საგულისხმოა, რომ უ-ეს კონფიქსიანი ორგანული წარმოება ნიშანდობლივი ხდება მიმართებითი ბედსართავისთვისაც (შდრ. 1,140). მართალია, ამგვარი ფორმა ბოგ შემთხვევაში ერთობ ხელოვნური მოჩანს, მაგრამ დღევანდელ ქართულში მათი ფართოდ დამკვიდრების ტენდენცია აშკარად იგრძნობა:

> ი. ყიფშიძე იყო ივ. ჯავახიშვილის უსაშველოსი თანამდგომი (კ. დანელია); იგი იყო თავისი დროის ქართველ მოღვაწეთა უნარჩევესთაგანი (ა. შანიძე); ქუთაისი უძართულესი ქალაქია („ქუთაისი", 1990); გამიხსნა გული უგრძნეულესი (ა. კალანდ.); საქართველო უავტორიტეტულესი ქვეყანა იყო („კომუნისტი", 1989)...

2) ძველი და ახალი ქართულის წერილობითი წყაროები, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების ჩვენება საცნაურს ხდის, რომ ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკა ვერ თავსდება ოდენ სინთეზური უფროობითის ფარგლებში და ძველთაგანვე მოყოლებული (შდრ. თ. ბურაბიშვილი), საკმაოდ ხშირად დაჩნდება აღწერითი წარმოებითაც. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სიტყვები: ფრიად, მეტად, ძალიან, უფრო; ბოგჯერ ამ

ძიბწით მიემართაეთ ფუძის გაორკეცებას ან კიდევ ზე თანდებულიან სიტყვას:

ყოველად ძლიერსა ღმერთსა (შუმ. წამ.); გამოჩნდა ნაცი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა (ვეფხისტყ.); მინდორი იყო ძალიან დიდი (რუსუდან.); ქალი უფრო ლამაზი ეჩვენა (კ. გამსახ.); მწარე-მწარე მუშტები ურტყა (ე. დოჩან.); ჯერ კიდევ მძიმეზე მძიმე აგმოსფეროა („ლიტ. საქ.", 1989); შინაარსი გამოხატულია ყველაზე უფრო მიმზიდველი ფორმით („კრიტიკა"); რუსთაველის ნათქომები ძალიანზე ძალიან კარგი იყო (დიალექტ., მოხეური)...

სემანტიკის მიხედვით საანალიზო ფორმათა გვერდით უნდა დავასახელოთ ენაში ფართოდ დამკვიდრებული ზე დიდი ტიპის წარმოებაც: „მე პრეფიქსი მორფემოიდი დაერთვის არსებით ან მედსართავ სახელს და გამოხატავს აღმატებითობას, უპირესობას (ხაზი ჩვენია—ქ. ფ.): მე კაცი, მე ბუნებრივი (2,173).

აღწერითი წარმოება კიდევ უფრო მრავალფეროვნებით გვეძლევა კილოებში. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ყალიბით მბარდი ხარისხის მოჭარბებული გამოხატვა საერთოდიალექტური მოვლენაა. მაგალითად, შესადარებელ ობიექტზე მეტის გამოსახატავად სახელის გან თანდებულიანი ნათესაობითი გამოიყენება ზემო იმერულში („თინასგან ნუნუ უმფრო მიყვარს": ქ. ძოწენიძე); გურულში („გამეიტანენ კაისაგან კაი ვახშამი: დიალექტოლ. I); ინგილოურში („იმისგანი პატარა" = მასზე პატარა: გ. იმნაიშვილი) და ა.შ. მსგავსი ნიმუშები უხვად დასტურდება „ვეფხისტყაოსანში", მომდევნო ხანის ძეგლებშიც.

3) თანამედროვე ქართულის ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში ნიშან-თვისების მბარდი სემანტიკის გამოხატვის სამუალებად ამკარად გამოიკვეთა სიტყვაში ფუძისეული თუ თავკიდური ხმოვნის განმეორება, ორმაგი პრეფიქსაცია:

ა) დიიდი, მააღალი, მააგარი... („ეს დიდი რომანტიკული დუელი გახლდათ" (გ. დოჩან.).

ჩანს, ასეთ კონტექსტებში მწერალი მბარდი სემანტიკის გამოსახატავად იყენებს უფრო მარტივ სამუალებას. დიიდი-ც ხომ სემანტიკურად იგივეა, რაც ძალიან დიდი, მეტად დიდი...

ბ) „ქართლის უუზარმაზარი მწვანე ხავერდი დამუქდა" (მიხ. ჯავახ.);

გ) უ-გაუგებელი (=გაუგებარი), უ-დოუწერელი... „ჩემი შეტყობილობით, როგორც რუმ უგუუსათლებელი, უსტაულელი ვარ მე, მარა ასე უნდა იყოს მაგის სახელი" (დიალექტოლ., I).

4) მართალია, ზემოგანხილულ აღწერითის ფორმების აერთიანებს დადებითზე მეტი ნიშან-თვისების გამოხატვა, მაგრამ ისინიც არ არიან აბსოლუტურად ერთნაირი ხარისხის მქონენი. თუ ყველაზე დიდი მიუთითებს გარკვეულ ზღვარზე, მეტად დიდი ან ზე დიდი არ აკონკრეტებს ხარისხის დონეს. ამის გამოა, რომ მზარდი სემანტიკური ნიუანსების ზედმიწევნითი სიზუსტისათვის ენაში შექმნილა კონტამინაციური ფორმები, სადაც უ-ეს კონფიქსიანი სინთეზური წარმოება გართულებულია სემანტიკურად მეტის აღმნიშვნელი ზმნიზედებით, ზე თანდებულიანი სიტყვებით. სათანადო ნიმუშები უხვად არის დადასტურებული როგორც თანამედროვე, ისე ძველ წერილობითს ძეგლებში, დიალექტურ ტექსტებში:

მცხეთოს... იყო უგმირე ძმათა მისთა (მეფ. ცხოვრ.); ჩვენება ყოვლისა უტურფესისა (ვეფხისტყ.); ყველა ჩემსა უახოვნე იყო (საბა); ძველთ უძველესი არს ესე წესი (გ. ორბელ.); უფრო უდიდესი გრძნობა გამოსჭვივის („თბილისი“, 1988); დგას გრძელი, გრძელთა უგრძელესი რიგი (ა. ბაქრ.); იმაზე უმშვენიერესი არაფინ იყო (დიალექტ., I); ვიყავი ძალიან ულარიბესი (მარტ., იმნაიშ., კახური)...

5) რამდენადაც ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის სემანტიკური სფერო მეტად ვრცელია, ენა ვერ თავსდება დადგენილი ნორმის ფარგლებში და კვლავ ეძიებს გამოხატვის ახალ-ახალ საშუალებებს. მაგალითად, ნიშან-თვისების აღმატებისათვის ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმა გაორკეცებულია, სადაც პირველი ფუძე ზე თანდებულიანია:

ქალი უმშვენიერესზე უმშვენიერესი ქმნილება იყო (ლიტ. საქ., 1990); უკეთესზე უკეთესის რჩევაში გაუთხოვრები რჩებიან (რ. ჭეიშვ.); ქალი ულამაზესზე ულამაზესია (თარგმ. სტენდ. „წითელი და შავი“)...

აშკარაა, რომ კონტამინირებული გამოთქმები (უფრო უდიდესი, უდიდესზე უდიდესი ტიპისა) გამოხატავენ დადებითთან არა უბრალო შედარებას (მეტ ნიშანს), არამედ უფროობითზე მეტს, საგანგებოდ აღმატებას, როგორც ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებდა ბ. ფოჩხუა.

6) ნიშან-თვისების გაღმატებული სემანტიკის მატარებელია უდიდესი ტიპის ფორმებიც, რომლებიც სამწერლობო ენაში თავს იჩენს ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან და გავრცელებულია თანამედროვე ქართულშიც. სათანადო ნიმუშების დამოწმება უხვად შეიძლება მწერლობის ყველა ჟანრიდან. ამ მხრივ განსაკუთრებით

ფასეულია აგრეთვე თანამედროვე პრესისა და დიალექტების ჩვენება. ამჯერად დაეასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

უკანასკნელი - სრულიად ცხადი (საბა); უსრულესი (ანტონ პირველი); მთავრობის უწმინდესი მოვალეობა (ილია); ქართველი ტომების უძველეს რწმენად (ივ. ჯავახიშვ.); მსოფლიოში უმცირესი მდინარის პირას (კ. გამსახ.); უდიდესი და უსაშინლესი სიყალბეა (შ. ჯავახ.); უნაზესი პოემა (გალაკტ.); ამან უსწრაფესი ინფლაცია გამოიწვია (გაზ. „ეკონომისტი"); უმძიმესი ვეება ხელი (გ. დოჩან.); მიაყურადებდა უკუშორეს ხმებსა (ო. ჩხეიძე); მთავარზე მთავარი, უმთავრესი გავიწყდება (გაზ. „მთავარი", 2002); დეიდამ უკეთილესი საღილების კეთება იცოდა (ქუთ. დიალ. სამეც. კელ. ინსტ. მასალები); დედობა უდიდესი ბედნიერებაა (იქვე...).

მასალებით ირკვევა, რომ დღეს უმაღლესი ტიპის წარმოება ხელშესახები ენობრივი ფაქტია და მისი ესოდენი მოჭარბების საფუძველი ამგვარ ფორმათა ძლიერ ექსპრესიულობაში უნდა ვეძიოთ.

მაშასადამე, თანამედროვე ქართულში ზედსართავი სახელის მზარდი ხარისხი გამოიხატება მრავალფეროვანი მორფო-სემანტიკური საშუალებებით. შესაბამისად, გამოყენებულია წარმოების განსხვავებული მოდელები (ორგანული, აღწერითი, კონტამინაციური), რაც, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ გახაზავს ქართულში ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის ერთსაფეხურიანი სისტემის უკმარისობას და ენის ტენდენციას — სხვადასხვა გზით მაინც მოახდინოს მზარდი სემანტიკის ზუსტი დიფერენცირება აღმატებითის შემოტანით.

ქართულ ლინგვისტიკაში ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა შესახებ მეცნიერულ მსჯელობას პირველად ეხვდებით ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში, თუმცა ამ საკითხის სემანტიკური ანალიზი უფრო ადრეა წარმოდგენილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში.

სულხან-საბა -- უდიდესი მოაზროვნე, მრავალმხრივად განსწავლული პოლიგლოტი — ყველაზე მეტად ლექსიკონის შედგენისას შეიგრძნობდა სიტყვის შინაარსობრივი ნიუანსის აბსოლუტური სიზუსტის საჭიროებას და სხვადასხვა სემანტიკის გამომხატველი ერთი ფორმის (უდიდესის) ხელახალი მორფოლოგიზების აუცილებლობას, რამდენადაც უ-ეს კონფიქსიანი ფორმა რეალუ-

რად ვერ გასასწავებდა ნიშან-თვისების შედარებითსა და აღმატებითს სემანტიკას. ამ მიზნით სწორედ მას ხელეწიფებოდა აღმატებითი შინაარსისათვის აღწერითის გვერდით შეექმნა ახალი — ორგანული უკ-ეს კონფიქსიანი წარმოება, რომელიც უფრო ზედმიწევნით მიესადაგებოდა სათქმელის სემანტიკას და ფორმობრივადაც უპირისპირდებოდა ომონიმურ უდიდესი ტიპის წარმოებას. ამ პროცესში სხვა ენათა გაელენის გარდა გარკვეული წილი უთუოდ უნდა ედოს ქართული ენის ბუნებას — მეტი გასაქანი მისცეს ორგანულ წარმოებას (შდრ. კაუზატივის წარმოება ქართულსა და ევროპულ ენებში; გეპირ მეტყველებაში ნაცვლად ართული ვინ და ვინ-ისა გზას იკაფავს მარტივი ვინები...).

მაშასადამე, საბასათვის ამკარა გამხდარა ზედსართავის მზარდი ნიშან-თვისების ორსაფეხურიანი სისტემის ფორმობრივი გარჩევის აუცილებლობა და კიდეც მოუხდენია იგი. ლექსიკონში წარმოდგენილი სიტყვა-სტატიების სემანტიკური ანალიზით იკვეთება ხარისხის სამი ფორმა: დადებითი (ცხადი=არა სიბმრივე), შედარებითი (უცხადესი=უფროსად ცხადი), აღმატებითი (უუცხადესი=სრულიად ცხადი).

ანტონის გრამატიკის მიხედვით, ზედსართავი შეიძლება იყოს დადებითი, მსგავსებითი//შემსგავსებითი (შედარებითი — ქ. ფ.) და უაღრესობითი//ზესთაობითი (აღმატებითი — ქ. ფ.): კეთილი, უკეთილესი, უუკეთილესი. მზარდი ხარისხი აქაც ორსაფეხურიანია. აღმატებითი სათანადოდ გაფორმებული მორფოლოგიური ოდენობაა. ამის გამოა, რომ აღწერითი ფორმების პარალელურად უკ-ეს კონფიქსიც მოექცა სადერივაციო აფიქსთა შემადგენლობაში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სულხან-საბა თუ ანტონი გარკვეულად ვერ ასცდებოდნენ იმ ენათა გავლენას, სადაც მზარდი ხარისხის ორივე ფორმა ენობრივი ნორმაა და ამ ასპექტით „საკუთარი ენის უკმარისობა“ გამოხატეს საგანგებო სამუალებებით, მოახდინეს მზარდი სემანტიკის ორივე საფეხურის მორფოლოგიზება: უდიდესი (შედარ.), უუდიდესი//ყოველად დიდი (აღმატ.).

ანტონიდან მოყოლებული სხვა ძველი გრამატიკოსებიც (ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ს. ხუნდაძე და სხვ.) აღმატებითს ასახელებენ ხარისხის დამოუკიდებელ ფორმად და მეტ-ნაკლებად იმეორებენ ანტონისეულ კვალიფიკაციას: შედა-

რებითი მეტწილად უ-ეს კონფიქსით გამოიხატება, აღმატებითი კი — უკ-ეს-ითა და აღწერითი წარმოებით. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში სემანტიკური სიბუსტე განსაზღვრავს გრამატიკულ ფორმათა რაოდენობას და ორგანული წარმოების გვერდით მორფოლოგიურ საშუალებად აღწერითიც გამოდის.

ცოტა მოგვიანებით ა. შანიძე იძლევა ქართულში ხარისხის წარმოების სრულიად განსხვავებულ კვალიფიკაციას. მეცნიერის აზრით, „ზოგიერთ ენაში... დადებითი ხარისხის საპირისპიროდ მეტი თვისების აღსანიშნავად მოიპოვება ორ-ორი ფორმა, რომელთაგანაც ერთს შედარებითს... ეძახიან, მეორეს კი აღმატებითს... ქართულში ასეთი დიფერენციაცია არ არის... ქართულს მოეპოვება მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც საგნის ნიშანს მეტი ოდენობით გამოხატავს, ვიდრე დადებითი. ეს არის უფროობითი... ფორმა“ (1,140) უ-ეს კონფიქსით ნაწარმოები.

სწორედ ეს თვალსაზრისი დაედო საფუძვლად თანამედროვე ქართულის ტრადიციულ გრამატიკებს, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანიც. კერძოდ: ქართულში არსებობს მზარდი ხარისხის ორსაფეხურიანი სისტემა; ხარისხის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოება; უ-ეს კონფიქსით ნაწარმოები ზედსართავი გამოხატავს როგორც უფროობითს (შედარებითს), ისე აღმატებითს ხარისხებს (ბ. რუდენკო, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, გ. გოლეთიანი, კ. ლერნერი, ქეთევან და არჩილ დათიკაშვილები, ბ. ჯორბენაძე...).

მკვლევრები მზარდი ხარისხის ორი ფორმის შესახებ მსჯელობენ ქართული დიალექტების მიხედვითაც. მაგალითად, აჭარულში მზარდი ხარისხის ორი ფორმაა: უფროობითი (უშავესი) და აღმატებითი (კაცზე მაღალი, ყველაზე დიდი...) (3, 73); ჯავახურში ხარისხის წარმოება აღწერითია. სხვა სახელთან შედარებისას ურთავენ ზე თანდებულს და უფრო გმნიშვნელობას: ყველაზე ძლიერი, უფრო ლამაზი. აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად იყენებენ სიტყვებს: მეტად, ძალე (4,83); თუშურში აღმატებითი ხარისხის ფორმებს აწარმოებს ოდ სუფიქსი: კარგა ოდ წიგნი=ყველაზე კარგი წიგნი (2, 346) და ა.შ.

როგორც ეხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ხარისხის ფორ-

შაითა რაოდენობის მხრივ აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ერთი შაინც ცხადზე უცხადესია: თანამედროვე ქართულში ნიშან-თვისების მშარდი ხარისხი ორსაფეხურიანია, რომ აღმატებითის სემანტიკა ფორმობრივ დამოუკიდებელია, რომ დღეს აშკარაა ხარისხის ასპექტით ტერმინოლოგიური აღრეცაც.

ტრადიციული ტერმინი „უფროობითი“ არის მშარდი ხარისხის ზოგადი სემანტიკის გამომხატველი. მისთვის ამოსავალია უფრო მნიშველა. შესაბამისად, იგი საგნის ნიშან-თვისებას უნდა გვიჩვენებდეს დადებითთან შედარებით მეტი ოდენობით. სიზუსტისათვის დავიმოწმებთ ა. შანიძის მსჯელობას: „შედარების დროს გამოსავლად აღებული ფორმა (წარმოქმნის თვალსაზრისით ძირეული) მიჩნეულია დადებით ხარისხად („შავი“), რომელთანაც შედარებით მასზე მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა იქნება უფროობითი („უშავესი“)“. ე.ი. დადებითთან შედარებით უფროობითის მეტობა არ კონკრეტდება, ზოგადია, მაშინ როცა უშავესის გვერდით ენაში არსებული ფორმები: მეტისმეტად შავი, ყველაზე შავი, შავზე უშავესი, უუშავესი... ახდენენ ამ მეტობის დიფუნენცირებას და გამოხატავენ საგანგებო აღმატებას“.

როგორც აღინიშნა, თანამედროვე ლინგვისტიკაში ტრადიციული უფროობითი გულისხმობს ხან შედარებითის და ხან აღმატებითის სემანტიკას. მაგალითად, ქეგლ-ში უ-ეს კონფიქსიანი სახელები, კ. ლერნერის დაკვირვებით, განმარტებულია სხვადასხვაგვარად: 1) იგულისხმება აღმატებითი ხარისხი, რადგან ახსნილია „მეტისმეტად“ ან „ყველაზე“ სიტყვების მეშვეობით: უბრძენესი-ყველაზე ბრძენი, მეტისმეტად ჭკვიანი; 2) ასლავს ორნაირი განმარტება, რითაც გარჩეულია შედარებითი და აღმატებითი ხარისხი: უმწარესი — 1. უფრო მწარე, 2. მეტისმეტად, ყველაზე მწარე; 3) ნაგულისხმევია მხოლოდ შედარებითის მნიშვნელობა: უმტკიცესი — უფრო მტკიცე.

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში უ-ეს-ით ნაწარმოები სიტყვები მეტწილად განმარტებულია დადებითზე უფრო მნიშველის დამატებით...

საგულისხმოა, რომ ქეგლ-ში ტერმინი „უფროობითი“ არაა შეტანილი, სამაგიეროდ განმარტებულია აღმატებითი — „ზედსართაეის ფორმა, რომელიც აღნიშნავს რაიმე თვისების ყველაზე

მაღალ ღონეს. მაგ.: ულაჰაზესი (შდრ. ლამაზი). უ თავსართი ეს ბოლოსართთან ერთად აწარმოებს აღმატებით ხარისხს“ (ქეგლ. I).

ამის გამოა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მზარდი ხარისხის გამოსახატავად ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება ტერმინები: „უფროობითი“, „შედარებითი“, „აღმატებითი“, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათი ფუნქციონირების სფერო არაა დაზუსტებული. კიდევ მეტიც: თანამედროვე ქართულში ცნება „უფროობითი“ (უ- ეს კონფიქსიანი ფორმა) არალინგვისტებისთვისაც კი ვერ ასახავს სრულყოფილად მზარდი ხარისხის სემანტიკურ ნიუანსებს, არ გულისხმობს ნიშან-თვისების ყველაზე მაღალ დონეს, ამიტომ აუცილებლობით შემოაქვთ ტერმინი „აღმატებითი“, რომელიც ამ შემთხვევაში მათთვის ტრადიციულ უფროობითზე მეტი სემანტიკური დატვირთვის მქონეა. ჩვენს მსჯელობას ადასტურებს თანამედროვე წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში არც თუ იშვიათად გამოყენებული ასეთი ფრაზები: „მე ძალიან ხშირად მომიწევს საუბრისას აღმატებითი ხარისხის ხმარება“ (გაზ. „თბილისი“, 1989); „მთაში სიმკაცრე და გულუბრყვილობა აღმატებით ხარისხშია აყვანილი“ (გაზ. „ჩვენი პწერლობა“, 2001, 15-25 ივნ.) და ა.შ.

მაშასადამე, ენამ მზარდი ხარისხის სემანტიკური ნიუანსების, კერძოდ კი აღმატებითის შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენა სხვადასხვა მორფოსემანტიკური საშუალება და ამ ენობრივ პროცესს ბუნებრივად მოჰყვა სათანადო ტერმინის „აღმატებითის“ დამკვიდრება. შესაბამისად, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „უფროობითის“ გვერდით გამოიყენება „აღმატებითიც“, მეტიც: ზოგ ნაშრომში „აღმატებითი“ მთლიანად ცვლის „უფროობითს“ (იხ.: ა. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, ბ. ჯორბენაძე...).

აღმატებითი ხარისხი ქართულში დღეს რეალური ფაქტია და კიდეც უნდა გამოიყოს მზარდი ხარისხის მეორე საფეხურად, გაფორმდეს ლინგვისტურადაც (როგორც ეს ძველ გრამატიკებში იყო), რითაც შეივსება ხარისხის წარმოების პარადიგმა და მოხდება შედარებით-აღმატებითის გრამატიზება სხვა ენათა მსგავსად. ამ დაშვებას, თავის მხრივ, აძლიერებს სვანურ-მეგრულის ვითარებაც: სვანურში არის უფროობითი (ხო-ა: ხოფშირა = უფრო მრავალი) და აღმატებითი (მა-ე: მაფშირე = ყველაზე უმრავლესი); მეგრულში კი = უფროობითი და ითანაბრობითი.

ქართულში აღმატებითის (როგორც ხარისხის დამოუკიდებელი საფეხურის) რეალურად არსებობის საუკეთესო დასტურია უფრო-დესი ტიპის ფორმებიც. მართალია, ა. შანიძემ ისინი ჩათვალა ხელოვნურ და უმართებულო წარმოებად (და ამასვე იმეორებდა შემდგომში ზოგი სხვა მკვლევარიც), მაგრამ იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ სულხან-საბას, ანტონ პირველის პერიოდისა და შემდგომი ხანის სამწერლობო ენაში საანალიზო ფორმები აღმატებითი ხარისხია და აღწერითი წარმოების პარალელურად მისი მორფოლოგიზება ხორციელდებოდა ტრადიციულ უ-ეს კონფიქსზე უ პრეფიქსის დამატებით; სათანადო კვალიფიკაცია ეძლეოდა ძველ გრამატიკებშიც.

ილია ჭავჭავაძის, ივანე და მიხეილ ჯავახიშვილების, გალაკტიონის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, ა. კალანდაძის, გ. დოჩანაშვილის, ო. ჩხეიძისა და სხვათა ნაწერებში უფრო-დესი ტიპის სახელთა გამოყენება სრულიადაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. პირიქით, ამგვარ ფორმათა შემოტანას უთუოდ განაპირობებს დიდ მწერალთა ენობრივი ალღო, სიტყვის სემანტიკის ემოციური საფუძველი, რაც, თავის მხრივ, უნდა აღასტურებდეს ცოცხალ მეტყველებაში მათი არსებობის რეალურ შესაძლებლობას და გახაზავდეს მათს ფუნქციურ ღირებულებას, ენაში მათი დამკვიდრების ბუნებრიობას.

მართალია, საანალიზო ფორმების თავდაპირველი რეალური არსებობა მტკიცდება წერილობითი გზით და ამდენად მიჩნეულია ხელოვნურ ფორმებად, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ სამწერლობო ენაში თავჩენილი „ხელოვნური“ ფორმა, თუ არ გამომდინარეობს ენის ბუნებიდან, დროთა ვითარებაში უეჭველად დაიკარგება. ჩვენს შემთხვევაში კი პირიქით მოხდა: გრამატიკოსების მიერ თუნდაც ხელოვნურად შექმნილი (მაგრამ აუცილებლობით გამოწვეული) უფრო-დესი ტიპის ფორმები უფრო და უფრო შესამჩნევად იმკვიდრებს ადგილს თანამედროვე ქართულშიც. სიტყვაკაზმული მწერლობა, სამეცნიერო ლიტერატურა, პრესა... თითქმის თანაბარი სიხშირით აელენს საანალიზო ფორმებს, რომლებიც გაძლიერებული სემანტიკის აღსანიშნავად დასტურდება თანამედროვე ტექნიკურ დონეზე ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებშიც (იხ. ქუთ. დიალექტ. საშეცნ. კვლევ. ინსტიტუტის მასალები). ასე

რომ, უუდიდესი ტიპის წარმოება დამახასიათებელია როგორც სამწერლობო, ისე ცოცხალი მეტყველებისთვისაც, გამომდინარეობს ენის ბუნებიდან.

ამ წარმოებასთან დაკავშირებით ერთი ტენდენციაც გამოიკვეთა. ავტორი ორმაგ უ პრეფიქსიან ფორმას თავადვე უკეთებს კომენტარს და მიუთითებს მის საგანგებო ფუნქციურ დატვირთვაზე. მაგალითად, მწერალი ო. იოსელიანი ერთ საგაზეთო სტატიაში წერდა: „ამ წუთას არ შემიძლია, თუნდაც ორი სიტყვით უუდიდესი (ორი უუ ვინმეს კორექტურული შეცდომა არ ეგონოს) მადლობა არ გადავუხადო ჩვენს ქართველ ებრაელს“ (გაზ. „ქუთაისი“, 1989, 20/IV). აშკარაა, რომ უდიდესი ვერ გამოხატავს ისეთ მადლიერებას, რასაც მწერალი გრძნობს. ან კიდევ: „დათო იყო უუნიჭიერესი... აქ მეორე უ დავამატე, რომ აღმატებითში მეთქვა“ (1992 წლის 27 მასი, დილის რადიოგადაცემა).

საკელევ ფორმათა გეაღმატებული დონის აშკარა მაჩვენებელია ასეთი კონტექსტებიც: „მთავარზე მთავარი, უუმთავრესი მავიწყდება“ (გაზ. „მთავარი“, 2002, № 5); „მადლობა იმ მშობელს, ეროი ძალიან სუსტი (უუსუსტესი) წევრიც რომ ააცილა [მათ] რიგებს“ (რ. დეედარ.) და ა.მ.

უუდიდესი ტიპის წარმოება, ა. შანიძის აზრით, გაძლიერებითი (ინტენსიური) უფროობითია. მეცნიერის ამგვარი შეფასება თავისთავად მეტყველებს უუდიდესისა და უუდიდესის განსხვავებულ სემანტიკასა და ფუნქციაზეც. ჩანს, ეს გაძლიერება მოითხოვა ადამიანის ცნობიერებაში მშვარდი ხარისხის ორი საფეხურის გამოჯვნამ, ნიშან-თვისების უფრო ზედმიწევნითი სიზუსტით დიფერენციაციის აუცილებლობამ არა მხოლოდ აღწერითი, არამედ უფრო მარტივი ორგანული წარმოებითაც. უფროობითის გაძლიერება იგივე აღმატებაა, მშვარდი სემანტიკის ყველაზე მაღალი საფეხურია. ამიტომაა, რომ ქართველისათვის უუდიდესი დამატებით აღარ საჭიროებს აღწერით-გასაძლიერებელ საშუალებებს და არ ეხვედება ძალიან უუდიდესი, ყველაზე უუდიდესი, უუდიდესზე უუდიდესი, მაშინ როცა ტრადიციული უფროობითის შემთხვევაში ჩვეულებრივია ძალიან უღარიბესი, ულამაზესზე ულამაზესი და მისი.

საკუნეთა მანძილზე უუდიდესი ტიპის წარმოების სიცოცხლისუნარიანობა უდავოს ხდის მის საგანგებო გრამატიკულ ფუნქცი-

ასაც, რომელიც ფორმობრივად დაკავშირებულია უ პრეფიქსთან (უ პრეფიქსით სემანტიკა გაძლიერებულია სხვა შემთხვევებშიც: უუზომოდ ბედნიერი, უუზარმაზარი, უგუნათლებელი, უგუქცებელი და ა.შ.).

მაშასადამე, ენის რეალური ვითარებიდან გამომდინარე, სასურველია, ქართულ ლინგვისტიკაშიც მოხდეს მზარდი ხარისხის ორსაფეხურიანი სისტემის გაფორმება მორფო-სემანტიკური საშუალებებით (ორგანული და აღწერითი წარმოების გზით). ასეთ ვითარებაში, პირველ ყოლისა, ამოსავალი უნდა იყოს სემანტიკა, სიტყვის ემოციური მუხტი. შესაძლებელია, პირველ საფეხურს ეწოდოს შედარებითი ან ტრადიციული უფროობითი: უფრო დიდი, მასზე დიდი, ძალიან დიდი, დიდ-დიდი, უდიდესი...

მეორე საფეხურად გამოიყოს აღმატებითი: ყველაზე დიდი (//უდიდესი), მეტისმეტად დიდი (//უდიდესი), უდიდესზე უდიდესი, უუდიდესი...

დამოწმებული ლიტერატურა

1. ა. მაისიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

2. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ნაწილაკების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

3. ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, 1972.

4. გ. ბერიძე, ჯავახური კილო, თბილისი, 1988.

5. თ. გურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957.

მქონეობის (ყოლა-ქონების) სახელთა წარმოება და აფიქსთა ფუნქციები თანამედროვე ქართულში

შესრულებულია წლიურ საკურსე თემად ქართული ენის კათედრაზე 1992 წელს

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში სიტყვაწარმოება მრავალფეროვნებით გვეძლევა. სიტყვის სემანტიკური სხვადასხვაობა ბუნებრივად მოითხოვს მაწარმოებელ აფიქსთა სიუხვეს, ახალი მორფემის გაჩენასაც კი.

ტრადიციულ გრამატიკებში წარმოქმნილ სახელთა ერთ-ერთ შინაარსობრივ ჯგუფად გამოიყოფა **ყოლა-ქონების** სახელები, რომელთაც აწარმოებს სუფიქსები: **ან, იერ, ოსან, ოვან, ედ, ა**

ან სუფიქსის გენეზისი მრავალი ლინგვისტის მსჯელობის საგანი გახდა. მისი წარმომავლობა სხვადასხვაგვარადაა ახსნილი.[1, 2, 3]

ან–ის თავდაპირველ ფუნქციად დასახელებულია ვინმესაგან წარმომავლობის აღნიშვნა, საიდანაც შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა[4]. გარდა ამისა, **ან** სუფიქსის პირვანდელ და უძველეს ფუნქციად მიიჩნევენ კრებითობის, მრავლობითობის გამოხატვასაც[5].

რა ფუნქციის მატარებელია **ან** სუფიქსი ახალ ქართულში?

აღნიშნულია, რომ ამჟამად **ან** ყოლა-ქონების გამომხატველია[6]. სხვა მოსაზრების მიხედვით, დღევანდელ ქართულში იან სუფიქსის ერთადერთი ფუნქციაა ქონების სახელთა წარმოება, ხოლო მიმდევრობის, წარმომავლობისა და კუთვნილების ფუნქციები უკვე გამქრალია[7]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქვემოიმერულის ჩვენება: **ან** სუფიქსმა აქაც შეიძინა ქონების აღნიშვნის ახალი ფუნქცია, მაგრამ ზოგ სახელთან შეინარჩუნა სიმრავლისა და წარმომავლობის გამოხატვის ოდინდელი ფუნქციები[8].

მართლაც, თანამედროვე ქართული სამწერლობო ენისა და დიალექტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი ხდება, რომ **ან** სუფიქსის ძირითადი ფუნქციაა ყოლა-ქონების გამოხატვა, ზოგჯერ იგი მიუთითებს წარმომავლობაზეც, ხან კიდევ აკისრია უფრო

ექპრესიული ფუნქცია, ვინემ გრამატიკული[9].

ან სუფიქსი აღნიშნავს:

ა) ყოლა-ქონებას:

ეს მებაღე სალმ-იან-ი კაცია (მაყ. მრეელ., 62); ნანას უმღერდა წალკოტს ჩრდილ-იან-ს (ლ. ასათ., 393); ბალახ-იან მიწას ჩააწნა ხმა (რ. ჭეიმ., 181); უპირველესად უნდა იყოს ადამიანი და მერე ქრისტ-იან-ი, მაჰმად-იან-ი (ა. ბაქრ. 331); ამით დაეამთავრე სამწიგნ-იან-ი ნაშრომი (კრიტიკა, 178); ფულურო-იან-ი ხე იცის (დიალ., გურ., 421); ჩვენ ცოტ-იან-ები ვართ, თქვეს კი ბევრ-იან-ები (ცოტა გვაქვსო) (ფეიქრ., მესხ., 88)...

ბ) მიმდევრობასა და კუთვნილება-წარმომავლობას:

თოთიკა-ან-თ ქალო, მელანო (მ. მაჭავ., 86); ვაჩნაძ-იან-თ ტურფა ქალო (ი. ნონეშვ., 5); ამათი გვარეულობის მეტსახელებია: ნეკრიჭამ-იან-ნი, მგელიჭამ-იან-ნი, დაბრძანდ-იან-ი, ეირისთავ-იან-ი (რ. ინან., 203); წავლენ ორი მაყარი დედოფლ-იან-თი ამ ნეფ-იან-თ ახორში (დონდ., მესხ., 350); ჭეჭელა-ან-თ უბანში დასახლებულან ჭეჭელაშვილები (გრ. იმნ., ქართლ.)...

ან სუფიქსი გემოაღნიშნული (გვარეულობის, წარმომავლობის) ფუნქციით მეტწილად დასტურდება აღმოსავლურ კილოებში და, შესაბამისად, ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში (რ. ინანიშვილი, მ. გელაშვილი, ი. ნონეშვილი, ქ. ჭილაშვილი, ქ. ხაჩიაშვილი, ნ. სამადაშვილი...).

გ) **ან** სუფიქსი ფრაზას ანიჭებს მეტ გამომსახველობითს ძალასა და ელფერს (ყოლა-ქონებაზე არ მიუთითებს), სტილისტური დანიშნულება აქვს:

თითის დაწეწილმა მეთოდებმა ცუდი სამსახური გაუწია (კრიტიკა, №3); ალექსანდრემ ბერი ჩაათვალიერა ლიმილია-ნი ყურადღებით (ლ. გოთ., 349); დედამისი გულანგელოზია-ნი ქალი იყო (ქართ. ფილმი, 1990, 28/VIII); მერე საჭირო იყო ბოდიშიანი და პატივიანი სჯა-ბაასი (ლ. გოთ., 317); მიაბარებ ტკივილს სისხლით ნაურიანს (ნ. კილას., 7); ის თვალია, ნატვრის თვალი გულთა ნატვრიან-თა (ვ. შატბ., 190); და პარტახები უძოვრიანი... გადაიხდიან (გ. ლეონ., 244); და აყივლებს წმინდანიანს აია სოფია (მიწიშვ., 759, 741).

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალებითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ **ან** დღეს ფართოდ არის გავრცელებული როგორც სამწერლობო ქართულში, ისე დიალექტებში. იგი „მონოპოლიისაკენ მიისწრაფვის. მას ეს ჯადოსნური ძალა მიანიჭა დიდმა შოთამ „ვეფხისტყაოსანში“[10].

-ან სუფიქსი დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებს და ზოგჯერ ფუძეში იწვევს ცვლილებას (იკუმშება ან იკვეცება ხმოვანი): ტყე—ტყიანი, კოკა—კოკიანი. მეორე მხრივ, ზოგჯერ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი (ა) არ იკვეცება, მაშინ ქონების სუფიქსად იხმარება -ან: კობა—კობაანი, ოთარა—ოთარაანი. ე. თოფურიას აზრით, ამ წესის მიხედვით იწარმოება -ია-ზე დასრულებული სახელებიც, რომელთაც ბოლო ა ეკვეცება და -ან სუფიქსი დაერთვის: ჭია—ჭი-ან-ი... არშია—არში-ან-ი, სერია—სერი-ან-ი, ფუნქცია—ფუნქცი-ან-ი... „არაა სწორი, როცა ცდილობენ წერონ და დაამკვიდრონ ფორმები ორი ი-თ: ორსერიიანი, ორსექციიანი...უკანასკნელი ფორმები (ორი ი-ნით) უნდა აღიკვეთოს[11].

ქართულ დიალექტებში -ან სუფიქსის ი ხმოვანი იკარგება ოზე გათავებულ ფუძეებთანაც. ამგვარი ნიმუში დაღასტურდა კახურშიც, თუმცა ასეთ პოზიციაში კახური -ან სუფიქსს სრული სახითაც ინარჩუნებს:

სტეფანეს ბიჭი კაი ზრდილი ბოვშია, მაღალი (ქ. ფეიქრ., მესხ., 45); ფულურიანი ხეები, არ ვარეია ეგოში (ქ. ფეიქრ., მესხ.); წითელ ნაკაჭიანი სიმინდი ეთესა (მარტ., იმნ., კახ., 128); ორკილოანი ვირა მოიტანა (ქ. ფეიქრ., მესხ.).

დასავლურ კილოებში -ან სუფიქიანი სახელი ზოგჯერ კარგავს ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ თანხმოვანს:

ტყეიან-წამლიანა შიდ შეეიდა (დიალ. მ. იმერ., 446); გაჩთა ქალი ტანსაცმლიანა (ჯაჯ., გურ., 21); თავის ბოშიანა მეიყვანა (დიალ., რაჭ., 512).

რაჭულ კილოში -ან სუფიქსიანი სახელის ამგვარი ფორმებიც იხმარება:

„ჩვენი საჭმელებია: ყველუანი, ნადულუანი, ლობუანი“ (დიალ. რაჭ. 540)

შდრ.: „ლობიანსაც ვეძახით“ (დიალ., რაჭ. 504).

ლობუანი ტიპის წარმოება დიალექტებიდან რაჭულში გამოვლინდა. აქ იგი გაცილებით ჭარბობს -ან სუფიქსიან ფორმებს.

-ოსან სუფიქსი ძველ ქართულში უფრო ხშირად გამოიყენებოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო, აღენიშნა რისიმე მქონეობა, მატარებლობა. ახალ ქართულში შედარებით შემცირდა მისი მოხმარების სფერო, რადგან მქონეობის შინაარსის გადმოსაცემად მას მეტწილად ცვლის -ან სუფიქსი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თანამედროვე ქართულში ოსან სუფიქსი კვლავ იკაფავს გზას. მართლაც, დღეს მისი ფუნქციური დატვირთვა უფრო მრავალფეროვანი ხდება: გამოხატავს მქონეობას, აწარმოებს ხელობის სახელებს და აღნიშნავს მცენარეთა კრებულს.

ა) მქონეობა: იღიმება ხუთოსანი (მ. მაჭავ., 345); საქართველოს მკერდი ორდენოსანი (ვ. ტაბ., 326); ხარ დედოფალი გვირგვინოსანი (ს. შანშ., 123); გვიანდელი უნდა იყოს წვეროსანი ქრისტეს ხატება (საბჭ. ხელ., 1989, № 3, გვ. 74); 80 მედალოსანი გამოუშვეს სასწაელებლებმა (სახ. განათლ., 16/VII, 1986).

ბ) ხელობა: მწერდა ახალბედა კალმოსანი (ვ. ჭელ., 294); მშვილდოსანი დაერქმევა (ტ. ჭანტ., 26); ესტუმრნენ მოწინავე დაზგოსანს (რ. მიშვ., 78); საუკეთესო მიზნოსნები დაახოცინა (ვ. დოჩ.(2), 18).

თანამედროვე სამწერლობო ქართულში ერთგვაროვანი არ არის ოსან სუფიქსის მოხმარების სიხშირე. მაგალითად, თუ საბავშვო პოეზიასა და პროზაში ოსან ტრადიციულ სიტყვებში გვხვდება, ქართული პროზა და პოეზია უფრო მრავალფეროვანია ამ მხრივ. ზოგჯერ ოსან გამოიყენება იმ წინადადებებშიც, სადაც სასაუბრო ქართული ჩვეულებრივ იან-ს მიმართავს:

პეპლებს ვამსგავსებ ქალებს ჭოლგოსანს (ვ. ჭელ., 81); აღარ უნდა გაგვაცნო ეს წინდოსანი მეფისწული? (ო. ჭილაძ., 43); შესასვლელში იდგა თეთრთმოსანი მნათე (რ. მიშვ., ლიტ. საქ. 1987); თორემ დაკარგავდნენ ინტერესს შლაპოსნისადმი (რ. მიშვ., 34).

მაგალითებით ირკვევა, რომ მ. ლებანიძის, ო. ჭილაძის, მ. მაჭავარიანის, მაყვ. მრეველიშვილის, ვ. დოჩანაშვილის, რ. მიშველაძისა და სხვათა ნაწერებში ოსან შესამჩნევად პროდუქტიული ჩანს. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსან სუფიქსი, ხელობის ფუნქციით გამოყენებული, იან-ით არ იცვლება. სამაგიეროდ, მქონებლობის გამოხატვისას ხშირად იკავებს მის ადგილს იან სუფიქსი. იან და ოსან სუფიქსიანი ფორმები ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი გვხვდება:

შემოჰყვნენ თეთრპერანგოსან-პალსტუხიანი თანამშრომლები (ლიტ. საქ., 1987). შდრ. ჩაპლინის შლაპოსანი, ფართხუნა პალტოიანი გოგო მისდევდა (იქვე).

ზოგჯერ გვხვდება ოსან სუფიქსით ნაწარმოები აშკარა ხელოვნური ფორმებიც:

უხაროდა ბროლოსანი ლაქვარდი (გ. ლეონ., 48); მინებში შეჭრილიყო ჯარაფოსანი სხივები (გ. ციც., 382); თმაცალხაზრეულოსანმა სული მოითქვა (რ. ძიშვ., „ახკომი"); ზეწარმოხერული ფეხოსანი ავადმყოფი დაინახა (რ. ჭეიშვ., 164); დაჭრილმა მისი წყნოსანი ბიჭი ახსენა (გოთ., 111); რომელთა შორის ერთი ყველაზე ტიტულოსანია („თბილისი", 1988, 17/II).

თანამედროვე სამწერლობო ენაში ოსან სუფიქსი რომ ესოდენ ხელშესახებია, ამას უდავოდ იმანაც შეუწყო ხელი, რომ დღეს სამეცნიერო-ტექნიკურმა ტერმინოლოგიამ შესამჩნევად გააქტიურა იგი:

დავდევდით ველზე ამ რქოსანს (ო. იოს., (1), 24); ბარკოსანი მცენარეები ხარობს (ბუნება, V კლ., 48); ჩლიქოსანი პირუტყვიც პყავდათ (გ. ციციშვ., 499); ნაოსანი პყვება ამბებს (მ. ლებან., 17); მძლეოსანი ჭიანჭველა (გ. წერეთ., 28); ფლოქოსანი ცხოველი (რ. ინან., 201).

დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ძალიან ხშირია ერთი და იმავე სიტყვის შემდეგი პარალელური ფორმები:

სველდებიან ფრთოსნები (მ. ლებან., 659); ფრთოსანი მიპქრის (გ. ჭიჭ., 155). შდრ.: ბიჭი ფრთიან რაშზე იჯდა (ს. ჭეიშვ., 8.).

ჩანს, რომ ენამ ამ სიტყვის სემანტიკური სხვადასხვაობისათვის გამოიყენა ორი ფორმა. როგორც წესი, ფრთოსანი ფრინველთა გვარეულობის აღმნიშვნელი ზოგადი ცნებაა, ფრთიანი კი პქვია მას, რასაც ფრთები აქვს, მაგრამ არა ფრინველია (მაგალითად, უცხო გალია უცხო ფრთოსნებით — მართლა ფრთიანი დგანან ცხენები (მ. ლებან., 317). ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ფორმათა თავისუფალი მონაცვლეობა გამოირიცხება. ცვლილება სემანტიკური იქნება და არა ოდენ სტილისტური, როგორც ეს ჩვეულებრივ ივარაუდება. და, თუ მაინც დაჩნდება ამგვარი (არამოსალოდნელი) ფორმები, იგი პოეტურ ნებელობად უნდა ჩაითვალოს (ბ. ჯორბენაძე).

სწორედ ასეთი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ჩვენს საანალიზო მასალებში გამოვლენილ შემდეგ ფორმებს:

ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა ჩოხოსანი კაცი (დილა, 1989, № 5). შდრ.: შავჩოხიანი ვაჟები, ჭრილობა ხომ არ შეგხვნიათ (ლ. ასათ., 33); კაცმა თვალი მოარიდა მანდილოსანს (ქ. ჭილაშ., (1), 11). შდრ.: შავმანდილიანი ქალი მოადგა და გამოსძახა (ქ. ჭილაშვ., 58); წვეროსანი ქრისტეს ხატება... გვიანდელია (საბჭ. ხელ., 1989, № 3, გვ. 74).

შდრ: ეს თეთრწვერიანი... ბერიკაცი ათვალიერებდა ქუჩას (გ. დოჩან.): გახუნებულია ყველა კაბისანი (მ. მაჭავ., 39).
შდრ: შავკაბიანი ქალები მოპყვებოდნენ კუბოს (ახალგ. ივერ., 1992. 18/V).

ოვან სუფიქსი მქონეობის სახელთა უძველესი მაწარმოებელია. მისი ფორმობრივ-სემანტიკური მხარე ბევრჯერ იქცა მსჯელობის საგნად ქართულ ლინგვისტიკაში.

შედგენილობით ოვან რთულია: ო–ვან, სადაც ოვ თემის ნიშანია, ან კრებითობის (მრავლობითობის) გამომხატველი (ნ. მარი, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, არ. მარტიროსოვი, ივ. ქავთარაძე). ზოგი მეცნიერი მას ასეც შლის: ოვ–ა–ნ, სადაც ოვ თემატური სუფიქსია, ა უნდა იყოს მასდარის მაწარმოებელი ან მააბსტრაპირებელი აფიქსი, ნ კი კრებითობის (სიმრავლის) გამომხატველი, რაც სახელებშიც გვაქვს მრავლობითი რიცხვის ნიშნად[12].

ფუნქციის თვალსაზრისითაც არ ყოფილა ოვან სუფიქსი ყოველთვის ერთნაირი: ძველ ქართულში იგი 1) მცენარის სახელზე დართული გამოხატავდა კრებითობას, 2) აღნიშნავდა მქონეობას (ძირითადი ფუნქციაა), 3) დაპკისრებია საგნის ნიშნის ან თვისების ასახვა, რაც მის ძირითად ფუნქციებთან შედარებით გვიანდელ მოვლენად მიაჩნათ[13].

ა. შანიძის დაკვირვებით, ახალ ქართულში ოვან არაა ქონების სახელთა პროდუქტიული მაწარმოებელი. კრებითობის გამოხატვის ოდინდელი ფუნქცია მხოლოდ მცენარეთა სახელებსა და ტოპონიმებში შემოგვენახა; სხვა შემთხვევაში იგი დაკარგული ჩანს[14]. თუმცა სხვა მოსაზრებით, კრებითობის ფუნქცია ახალი შენაძენი უნდა იყოს[15].

როგორია ოვან სუფიქსის მოხმარების სიხშირე ახალ ქართულში?

XIX საუკუნის I ნახევრის პოეზიაში (რომანტიკოსების ნაწარმოებებში) მქონეობის სახელთა საწარმოებლად ან სუფიქსის გვერდით ოვან-იც ხელმესახებად დასტურდება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ძველი და საშუალი ქართულის სიტყვაწარმოების წესი ამ ასპექტით ჯერ კიდევ ძალაშია (ტანი მალოვანი: ა. ჭავჭ., 11; ცა ნათლოვანი: გრ. ორბ., 47; მრავალშტოვანი, ჰაეროვანი: ბარათ., 130...), რასაც უთუოდ აძლიერებს პოეტური

ენის სპეციფიკურობაც.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ოვან სუფიქსი, მართალია, მოხმარების სიხშირით იან-ის გვერდით ვერ დადგება, მაგრამ მაინც გაძნელდება მისი მიჩნევა არაპროდუქტიულ მაწარმოებლად. სამწერლობო, სამეცნიერო და პრესის ენის ჩვენება საცნაურს ხდის, რომ ოვან სუფიქსის მოქმედების სფერო შესამჩნევად ფართოვდება (ძლიერდება მისი სასიცოცხლო ძალა). განსაკუთრებით საინტერესოა ამ ასპექტით ტერმინოლოგიური ლექსიკა. ამიტომაა, რომ იგი გამოიყენება არა მარტო ტრადიციულად მომდინარე და, საერთოდ, ორდინალურ ფორმებში, არამედ ისეთ კონტექსტებშიც, სადაც ცოცხალი მეტყველება სხვა აფიქსს წარმოაჩენს. ზოგი ფორმა კი აშკარა ხელოვნურობის ელფერს ტოვებს.

ოვან სუფიქსი, ჩვეულებრივ, დაერთვის არსებით სახელს, აწარმოებს გედსართავს და აღნიშნავს რაიმე ნიშან-თვისების მქონეობას:

ეს ნაკარნახევია გუმბათოვანი არქიტექტურით (საბჭ. ხელ., 1989, № 3); ტაძარი გუმბათოვანი (გრ. აბაშ., 57); სურნელოვანი ობობას ქსელი (გ. ტაბ., 157); ქამი მარად შფოთი და ძალოვანი (მირცხ., 60); ჰაეროვანი ეტლით წაიყვანა გულქანმა (ს. ჭეიშ., 175); სახლს თალოვანი კარები ჰქონდა (გ. ციციშვ., 351); ნაწლავის ლორწოვან გარსში ... (ანატომია, 1989, გვ. 131); ბალახოვან-ყვავილოვანი ტყენი (ჯ. ჩარკ., 177); რეზოს შაბეწვოვანი მარჯვენა თაქვეშ ამოელო (რ. მიშვ., 121); არ მინახავს ასეთი პრასი: მსხვილები, დიდროვანები (რ. ჭეიშვ., 100).

რადგან ოვან სუფიქსისათვის ძირითადია მქონეობის გამოხატვა, ამიტომ ადვილად შეიძლება იგი შეიცვალოს იან სუფიქსით. შესაბამისად, სამწერლობო ენაში არც თუ იშვიათად გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის ოვან/ /იან სუფიქსიანი ფორმები:

გონება დატვირთული ყოფილა ათასწლოვანი ისტორიით (კრიტიკა, 1989, № 3).

შდრ: ათასწლიანი კვლევის შემდეგ დარწმუნდა (ახკომი, 1989, 25/XI);

თავსართოვანი წარმოება ჭარბობს ბოლოსართოვანს (არნ. ჩიქობ., ქეგლ. I, 031).

შდრ: მ თავსართიანი წარმოება აღიჭურვა... (არნ. ჩიქობავა, იქვე);

სად ნაპირია კლდოვანი (გ. ტაბ., 340).

შდრ: თბილისის მთასწი კლდიანი (ჯ. ტაბ., იქვე).

კოტე ოქროპილოვანს მიაჩერდა (რ. ჭეიშვ., 286).
შდრ.: ჩაილაპარაკა ოქროსკბილებიანმა (რ. ჭეიშვ., 387).

ქართულ დიალექტებშიც გაჩნდა ოვან სუფიქსი, ოღონდ აქ იგი მეტწილად ფონეტიკურად სახეცვლილია:

შუათანა უმფრო ფერვანია (ნიე., აჭარ., 137); ხორცვანია დედამისიეით (შ. ნიე., აჭარ., 137); ჯერამ ჩემი უფროსვანები არ გამითხოვია (დიალ., გურ., 429); ამფართოვანი ტარეები ქონდა სიმიდას (დიალ., ქვ. იმერ., 480); კაცი ხნევანი იყო (დიალ., ლეჩხ., 488); კაი ოჯახი ქონდაყენ, სახელვანე (დიალ., ქვ. იმერ., 468).

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალებიდან ოვან სუფიქსი საკმაოდ ხშირადაა თავჩენილი გ. ტაბიძის, მ. ლებანიძის, მ. მაჭავარიანის, ლ. გოთუას, ს. ჩიქოვანის, გ. ციციშვილის, ქ. ჭილაშვილის, გ. დოჩანაშვილის, რ. ჭეიშვილის, რ. მიშველაძისა და სხვათა ნაწერებში. ზოგჯერ ოვან სუფიქსის გამოყენება შეიძლება აიხსნას მხოლოდ მწერლის სტილური თავისებურებით:

კარგი, ყოჩაღ, ფრიადოვანს გიწერთ (გ. დოჩან., 452); ძალიან კარგი, კარგოვანს გიწერთ (გ. დოჩან., 489); შენნაირმა ტუტუცოვანმა მუსიკოსებმა ბევრს მიაღწიეს (გ. დოჩან., 452); ვირთხაკატოვანი სასახლე ახმაურდა (გ. დოჩან., 501); ისწაელეთ წელიწადის დროთა ფერადოვანი ერთგულება (გ. დოჩან., 252).
შდრ.: „ხელთა გიპყრია ნორჩი სოსანი, /იგია შენი ძლევის სკიპტრა-ფერადოსანი“ (ს. შანმ., 123); მთები ორთქლოვანი ახალშობილივით (მ. მაჭავარ., 219); ცისფეროვანი უმანკოება (გ. ცეცხლ., 720); წიწაკოვანი გვალვები იყო აფრიკაში (გ. დოჩან., 1989, ქართ. ფილმ.).

საანალიზო ფორმებში ოვან სუფიქსი ფორმათსაწარმოებელი საშუალება უფროა, ვიდრე მქონეობის ფუნქციისა.

ედ სუფიქსი ძველ ქართულში მოქმედი ფორმანტი იყო. იგი დაერთოდა არსებით სახელს და გამოხატავდა მქონებლობას (მნიშვნელობით ეტოლებოდა ან-ს).

საბოგადოდ, ედ სუფქსი ძველი და ახალი ქართულის დონეზე არ გამოირჩევა მოხმარების სიხშირითა და სემანტიკის (გამოყენების სფეროს) მრავალფეროვნებით. ამ ფაქტის შესახებ მიუთითებდა ა. შანიძე ჯერ კიდევ 1930 წლის „ქართულ გრამატიკაში“: ედ სუფიქსი, რომელიც მნიშვნელობით იერ-ს უახლოვდება, სულ რამდენიმე სიტყვაში იხმარება (კარედი, თეალედი, კუთხედი, უჯრედი, მუხლედი). მოგვიანებით ა. შანიძე კვლავ (შედარებით ერცლად) შეეხო ედ სუფიქსს, დაასახელა რამდენიმე ახალი ნიმუ-

ში (ჯუარედი, ხატედი, ფესუელი, შარაჳანდელი) და შენიშნა, რომ ახალ ქართულში ეს სუფიქსი საზოგადოდ მკვდარია, თუმცა არის მისი გაცოცხლების ცდაც[16].

სამეცნიერო ლიტერატურაში ედ სუფიქსის გამოყენების შემთხვევები დადასტურებულია არა მარტო არსებით სახელებში, არამედ სხვა მეტყველების ნაწილებთანაც (მიმღეობებში, ზედსართავებში, რიცხვით სახელებში[17]): მორბედი (რბის ზმნისაგან), მოქმედი (იქმს ზმნისაგან), შტოედი (შტოებიანი), ფესუედი (ფესვიანი: ზედსართავი სახ.), ყბედი (ყბებიანი) და ა.შ.

არნ. ჩიქობავას აზრით, ედ სუფიქსი ზემოდასახელებულ მაგალითებში ან-ის მაგიერობას ეწევა. საგულისხმოა ისიც, რომ მეცნიერი ედ სუფიქსს გენეტურად უკავშირებდა წილობით რიცხვით სახელებში (მეათედი) სუფიქსურ ელემენტს, უფრო მოგვიანებით კი — ადგილის საწარმოებელ ეთ სუფიქსს და მნიშვნელობით უთანაბრებდა ან, ოვან სუფიქსებს[18].

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვათა განმარტებისას ედ გამოყენებულია ან-ის მსგავსად (ტოლფასად). მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ეს ფაქტი მიჩნეულია წმინდა მწიგნობრულ მოვლენად, რადგან არნ. ჩიქობავა აზრით, საბას დროსაც ედ არაპროდუქტიული სუფიქსი იყო.

ედ სუფიქსის შესახებ საინტერესო თვალსაზრისი აქვს გამოთქმული არ. მარტიროსოვს: „ძველ ქართულში ედ არ არის მკვდარი სუფიქსი, მაგრამ მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა სუფიქსებთან შედარებით იგი სპორადულად იხმარება, ზოგ სახელში კი გაქვავებული სახით გვეველინება. ედ სალიტერატურო ქართულში შემონატანი ჩანს ქართულის ძირითადი და მასაზრდოებელი დიალექტიდან. იგი ერთ-ერთი უძველესი სუფიქსთაგანია. მისი სიძველის მანიშნებელია ისიც, რომ გენეტურად და თავდაპირველი მნიშვნელობითაც ედ შეიძლება მივიჩნიოთ ადგილის სახელთა საწარმოებელი ეთ სუფიქსის[19] ამოსავალ სახეობად: ტბეთი=ტბიანი ადგილი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ედ სუფიქსი ძალიან იშვიათად დასტურდება ქართული ენის დიალექტებში, არ დაეროვის იგი უცხო ენიდან მომდინარე ფუძეებსაც და წარმოქმნილი სახელების ხელახალი მაწარმოებლის როლშიც ვერ

გვეელინება"[20].

ედ სუფიქსის გამოყენების შემთხვევები შესწავლილია ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაშიც. აღნიშნულია, რომ: 1) ტერმინოლოგიაში ედ სუფიქსი შედარებით მეტი ინტენსიობით ხასიათდება; 2) ედ სუფიქსს ყოველთვის არა აქვს მქონებლობის ფუნქცია და იგი სახელის კატეგორიის სიტყვათა საწარმოებლად იხმარება (ჩონჩხედი, თანავარკვლაველი, განედი, გრძედი, წრედი) და არა ზედსართავებისა; 3) ქიმიის ტერმინოლოგიაში ედ სუფიქსს სხვადასხვა მარილების ერთი ჯგუფის საკლასიფიკაციო ნიშნის გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული.

ტერმინოლოგიური მასალის ანალიზით ცხადი ხდება, რომ ედ სუფიქსის სემანტიკურმა ფუნქციამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. თუ ისტორიულად იგი მქონებლობას გამოხატავდა, ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ახალი სიტყვის — ძირითადად არსებითი სახელის საწარმოებელ ენობრივ ინვენტარად იქცა. უთუოდ გაფართოვდა მისი ხმარების სფერო, თუმცა გარკვეული შეზღუდულობა, რომელიც მას თავიდანვე ახლდა, დღევანდელ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაშიც საგრძნობია[21].

მაშასადამე, სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვიდანაც კი ირკვევა, რომ ედ სუფიქსი 1) ისტორიულად ძველი სუფიქსია, ძველს ძეგლებში სპორადულად იხმარებოდა; 2) მქონებლობის გამომხატველია; 3) ფართოდაა გამოყენებული სულხან-საბას ლექსიკონში; 4) ედ-ის გამოყენება წმინდა მწიგნობრული მოვლენაა (რამდენადაც არ გვხვდება დიალექტებში); 5) მხოლოდ საკუთრივ ქართულ ძირებთან იხმარება; 6) ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ედ სუფიქსის სემანტიკურმა ფუნქციამ ტრანსფორმაცია განიცადა — აქ იგი ძირითადად იქცა არსებითი სახელის საწარმოებელ ენობრივ ინვენტარად, შედარებით გაფართოვდა მისი მოხმარების სფერო.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალებით ედ-ის გავრცელებისა და ფუნქციონირების რეალური სურათი ასეთია: ქართველ რომანტიკოსთა ნაწერებში ედ სუფიქსი დადასტურდა მხოლოდ სიტყვაში შარავანდედი („მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი": ბარათ., 99). თუმცა ეს სიტყვა პარალელურად აფიქსის გარეშეცაა წარმოდგენილი („შარავანდ მფენი", ალ. ჭავჭ., 25; „ვითარცა მდელო მზის

შარავანდ[illegible]ე", გრ. ორბ., 91).

თანამედროვე სამწერლობო ქართულში ედ სუფიქსიანი სახელები სიტყვაწარმოების პროცესში შედარებით უფრო აქტიურად ერთვებიან, რასაც ხელს უნდა აწყობდეს ტერმინოლოგიური ლექსიკის საერთო ტენდენცია. მაგალითად:

არ ვარ იცოლე ყბედი (გ. ტაბ., 36); ფიცხლად შეიხსნება ცისკარედი (ნ. კილას., 15); ხუთწლედებში გაეიჭარდე (ნ. კილას., 189); თან წასაყოლი აბოლებული კამარედი (კილას., 92); ეგ მისი ყვავილებია, ყვავილედებად შეკრული (მ. გელაშ., 35); მლოცველთ თაყვანი სცეს ჩვილედი ღვთისმშობლის ხატს („ლიტ. საქ.", 1988, 1 აპრ.); კოლიას ქარხნის თალედის მბრუნავი კარი ელანდებოდა (ლიტ. საქ.", 1990, 22/VI); პოემის პროშაული პწკარედც შევისწავლე („კრიტიკა", 1989, №5).

სამწერლობო ენიდან ამგვარი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ედ სუფიქსი მაინც ნაკლებპროდუქტიულია, ვიდრე სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, სადაც ედ-ი ძირითადი ფორმათწარმოების საშუალებაა მქონებლობის ფუნქციის აღუნიშნავად. საანალიზო ფორმებშიც ედ-ის მქონებლობის ფუნქცია თითქმის არ ჩანს.

ედ რომ დღეს ასეთ შემთხვევებში მქონეობის შინაარსისაგან დაცლილია, ამაზე ნათლად მეტყველებს ორმაგი წარმოებაც: უკრედ-ოვან-ი (უკრედებიანი). აქ ედ-ის სემანტიკა სრულიად დაჩრდილულია და საჭირო გახდა მისი ხელახალი გაფორმება მქონეობის სუფიქსით.

ედ სუფიქსის ამგვარი სემანტიკური ცვალებადობიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ედ ზოკერ ფუნქციურად ახლოს დგას ვითარებითი ბრუნვის ად ნიშანთან (თვალ-ად-ი, ტან-ად-ი...), როცა იგი სიტყვაწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული[22].

ჩვენი დაკვირვებითაც, ქართულ დიალექტებში ედ სუფიქსი თითქმის არ გეხვედება. „ქართულ დიალექტოლოგიაში" მქონეობის ედ სუფიქსის ერთი მაგალითია დამოწმებული მხოლოდ რაჭულში და იქვეა მითითებული მის იშვიათობაზეც[23].

იერ (იელ) სუფიქსი ძველ ქართულში ყოლა-ქონების ძირითადი მაწარმოებელი იყო[24], ახალ სალიტერატურო ენაში კი საგრძნობლად შემცირდა მისი მოხმარების სფერო მისი ადგილი მეტ-

წილად **ან**-მა დაიჭირა (ა. შანიძე).

იერ, როგორც წესი, რაიმე შინაგანი ნიშან-თვისების, შინაგანი პოტენციის მქონებლობას გამოხატავს, რითაც განსხვავდება მქონებლობისვე **ან** სუფიქსისაგან (ბ. ჯორბენაძე).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **იერ, ან, ოვან, ოსან** რთული სუფიქსებია (ი-ერ, ი-ან, ოვ-ან, ო-სან), რომელთა პირველი ნაწილი წარმოშობით ბრუნვის ნიშანს უნდა წარმოადგენდეს და ამავე დროს, როგორც ჩანს, სიტყვაწარმოებითი ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. შემდგომში, როცა მათ დაკარგეს თავიანთი ფუნქცია, ამა თუ იმ შინაარსის გადმოსაცემად დაზუსტება დასჭირდა დამატებითი **ერ, ან** სუფიქსებით, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე დამოუკიდებელი სახით არსებობდნენ[25].

თანამედროვე ქართულ პოეზიაში, პროზაში, პრესისა თუ პუბლიციტიკის ენაში **იერ** სუფიქსი არ გამოირჩევა არც მოხმარების სიხშირითა და არც ფორმობრივი თავისებურებით, ძირითადად გვხვდება ტრადიციულად მომდინარე ფორმებში:

მშვენიერზე მშვენიერი ვრცემი (ტ. ჭანტურ., 37); იერძნობა მისი **ძლიერი** სუნთქვა (ა. სულაკ., 38); **ხორციელი** ცხოვრების შემდეგ (მ. ლებან., 264).

მიუხედავად წარმოების ერთფეროვნებისა, აქა-იქ მაინც დაჩნდება **იერ** სუფიქსიანი ისეთი ფორმები, რაც შეიძლება ჩაითვალოს პოეტურ ნებელობად, მქონეობისაგან სრულად განსხვავებული ელფერის გამომხატველად:

სულს კი მარადის სურს ციერება (გ. ტაბ., 213, 116); კვლავ გავხსნი ციერს, თუ შენ ეს გინდა (ა. კალანდ., 228); და აჰა ვიმღერ, ქართველის ქალო, სულო **მზიერო**! / ბაფხულის პირად წმინდანებით მარად ციერო... (ს. შანშ., 129); ჯაბნიდა შიქასტა მნათობსა და **ლამიერს** (მ. მაჭავ., 49).

როგორც აღინიშნა, **იერ** ყოველთვის არ მიუთითებს კონკრეტული საგნის მქონეობაზე. ჩანს, ამით ენამ ზოგ შემთხვევაში ერთგვარი ფორმობრივ-სემანტიკური დიფერენციაც კი მოახდინა, გამიჯნა **ან**-ისა და **იერ**-ის გამოყენების სფერო. მაგალითად, წინადადებებში:

ჩამოგვხედეთ **მიწიერებს**[26] (ა. თევზ., 228); ჩემი სალამი **წიგნიერ** და უწიგნურ ჯიგრებს (მ. ლებან., 209).

მიწიერი არ ნიშნავს „მიწიანს“, **წიგნიერი** — „წიგნიანს“. აქ შინაგანი ნიშან-თვისებაა გამოხატული და არა მქონეობა. საგუ-

ლისსმოა ისიც, რომ უქონლობის (უარყოფის) შემთხვევაში ამ ტიპის სახელების წარმოების ყალიბი ერთნაირი არაა: წიგნიანი — უ-წიგნ-ო. შდრ., წიგნიერი — უ-წიგნ-ურ-ი.[27]

სხვაგვარი ვითარებაა ქართ.ულ დიალექტებში. ირკვევა, რომ ცოცხალ მეტყველებაში ხელშესახებია იერ-ის მოხმარების სისშირე და პროდუქტიულობა, გამოკვეთილია მისი ფუნქციონირების გაფართოების ტენდენციაც[28]. ამ ასპექტით განსაკუთრებით საინტერესოა იმერულის ჩვენება (ქ. ძოწენიძე, კ. კუბლაშვილი).

ჩვენ მიერ შემოწმებულ დიალექტოლოგიურ ტექსტებშიც საკმაო რაოდენობით დაიძებნა იერ სუფიქსიანი ფორმები (რომლებიც ზოგჯერ გვხვდება ფონეტიკური სახესხვაობითაც):

უმცროსი არის ნიჭიერი ახალგაზრდა (ნოღ., აჭარ. 139); არც მე დამიძინია წესიერათ (მარტ., იმნ., კახ., 22); გაეაშელი იყო ღონიერი დეელეთი (დიალ. რაჭ., 533); იყო საცოდაეი შშიერი ქალი (გურ., ჯავ., 7); ძრიენ ჭკვიანი იყო (ბერ. ჯავახ., 223, 222); მე ძრიან მონადირე ვიყავი (მარტ., კახ. 136); თანაც ძიენ უკვირთ (დიალ., ჯავახ., 346; ბერ., ჯავახ., 223, 225); მოიღალა ძიელა ბიჭი (ძიძ., მესხ., 101); იმის შემდეგ ის კაცი ძიენა ყაჩაღობდა (მარტ., კახ., 86); ერთი კაცი ძაან კრიეანაი კაცი იყო (დიალ., ჯავახ., 345); ძრიელ დაჩაგრული იყვნენ (დიალ., ჯავახ., 353); ეს ჩემზე ძალუანი ყოფილა (დიალ., აჭარ. 407) (ძალუანი=ძლიერი).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იერ ელემენტი ზოგიერთ ფუძესთან იან, ელ მაწარმოებელთა მაგიერობას ეწევა, ანდა ისეთი ფუძისაგან აწარმოებს ახალი მნიშვნელობის სიტყვას, რაც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტში უცხოა:

ჩემზე ჭკვიერი კაცი თუ იქნება (ნოღ., ნიე., აჭარ. 138) მკვლევარი იქვე, სქოლიოში, მიუთითებს, რომ ჭკვიერი შესაძლებელია მიღებულია ნიჭიერის ანალოგიით (იხ. ნიე., აჭარ., 138).

შდრ. გადაიხადეს შვენიერი ქორწილი (ნოღ., აჭარ., 137); იმ წუთში შვენიარი სუფრა გაშალა (დიალ., კახ., 193); დარჩა კაცი შშიარი (მარტ., იმნ. კახ., 78); უნდა დაიწვას წესიერათ (გ. იმნ., ქართლ., 29); წესიერათ არ სწერებენ (ფეიქ., მესხ; 28); ორი ძმა ჭკუერი იყო. ი ჭკუერებმა უთხრენ სულელს (დიალ., ქვ. იმერ., 476); ჭკუერი მამა (დიალ., ქვ. იმერ., 473); აგიც ჭკუანური უკითხავსო (ჯავ., გურ., 22); ჩემზე ჭკვიერი კაცი თუ იქნება (ნოღ., აჭარ., 19); ქვემოიმერულში ტვინიერი ფორმაც დასტურდება (ძოწენიძე).

ა სუფიქსი ახალ ქართულში მქონეობის სახელთა ერთ-ერთი პროდუქტიული მაწარმოებელია. ძველი ქართულის დონეზე ა არ

ჰიაჩნიათ ქონების მაწარმოებლად და არც ასახელებენ მას[29]. მაგრამ ახალსა და განსაკუთრებით თანამედროვე ქართულში იგი საკმაოდ გავრცელებულია, ამასთან აშკარაა მისი ფუნქციების გაფართოების ტენდენცია.

ახალ ქართულში ა-ს სიტყვაწარმოებითი ფუნქციებია: **კნინობითობის, ქონების, მსგავსების, დახასიათების, დაკონკრეტების** და ბოლოს **დანიშნულების** წარმოება[30]. აქვე ვიტყვით, რომ ქონების, მსგავსებისა და დახასიათების აღმნიშვნელი ა სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია იქნებოდა ქონების გამოხატვა და იგი ქონების სხვა სუფიქსებში (**ი–ან, ოვ–ან, ოს–ან**) გამოყოფილი **ან** ელემენტის ხმოვანდართული ნაშთი შეიძლება იყოს. სწორედ ამ **ან** სუფიქსის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს **ქერა** ტიპის სახელების ბოლოკიდური ა. დღეს მისთვის ძირითადია თვისების აღნიშვნა, რომლის შესაბამისად შექმნილია მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა სახელები. ა სუფიქსის ესოდენი გავრცელების მიზეზად მიჩნეულია მეცნიერების ამა თუ იმ დარგში ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილებაც[31].

ა სუფიქსი სამწერლობო ქართულში ფუნქციური მრავალფეროვნებით გვეძლევა.

1) გამოხატავს მქონეობას, უპირატესად გვხვდება კომპოზიტებთან:

შაგტარა დანით დაიკელება (მ. ლებან., 185); შემოიტანეს **ასფურცელა** ქადა (ა. სულაკ., 76); დაიბადა **დიდშუბლა** ბიჭი (გ. ციციშ., 53); შენა **მუცელა**... კაი ალიყული ხომ არ ვინდა? („ქუთაისი“, 1990, 24/V); სოფიო **მწვანეთვალება** გოგო გამოდგა („საქ. ქალი“, 1986, №3); ჰკოცნის **ულვაშას** ქოსა (მ. ნიშნ., 36).

2) ა სუფიქსიან სახელებს მსგავსების სემანტიკა გააჩნიათ: **ლალისფერა, ქარვისფერა** დუღს (ს. შანშ., 152); **მგელქალა** ყოველთვის დამშვიდებული იყო (გ. ჩოხ., 39); **მერცხალა** შვილიშვილი ესტუმრა (მ. გელაშვ., 3); გამოაჩინა **ნაფოტა** კბილები (ქ. ჭილაშვ., 63); ნოდარა **თაჯა**, გვეთამამა ბურთი (ნ. დუმბ., 386).

3) ა-თა ნაწარმოები სიტყვები ძალიან ხშირად მცენარეების, ცხოველების, ფრინველების... სახელებად ან ადამიანის მეტსახელადაა გამოყენებული:

ჩემი **ლურჯა** წყნარად იდგა (მ. მრევლ., 37); **ღრუბელა** სოკოა (ვ. ჯღამ., 9); ცოლი ეძახდა **მუცელას** (ტ. ჭანტ., 99); მომენატრება გურამ **რჩეულა** (რჩეულიშვილი) (ლიტ. საქ., 1989, 13/V); მომღე-

რალთა გუნდი „ათკაცა“ მეცადინეობას იწყებს (რ. ჭეიშვ., 57); ბაგას პროფესორა შევარქვით (გ. ტოკ., 41); გაიცანით მუცელლერთა თლომაური (გ. ლეონ., 98); გოდორა ერქვა იმ ლამაზ ძროხას (ხ. ბერულ., 135).

ქართულ დიალექტებშიც საკმაო რაოდენობით დაიძებნა ა სუფიქსით ნაწარმოები სახელები, რომელთა უმეტესობა მსგავსებას აღნიშნავს და საკუთარ სახელადაა ქცეული:

ლაკუარდა მარტო ბის ტყეში და ტირის (ნოღ. აჭარ., 109); მაგარი რო იყო ის კაცი, კელელა დაარქვეს (ერ. იმნ., ქართლ., 1); იმას უძახიან შავთუნგას (ფეიქრ., მესხ., 82); გველკაცას წუუღიაო (დიალ-გურ., 431).

როცა ა სუფიქსიანი სახელი გამჭვირვალედ მიუთითებს მქონეობაზე, მაშინ იგი ადვილად შეიძლება შეიცვალოს იან სუფიქსით. ამიტომაა, რომ ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი გამოიყენება იან და ა მქონეობის ფუნქციით:

ხისთავიანი ანუ ხისთავა/ქვისთავიანი გინა ქვისთავა (ი. ქემერტ., „ლიტ. საქ.“, 1988, 19/V); გულო ისევ ისეთი მახსოვდა — თვალებლაჟვარდა და ბლისფერტუჩებიანი (ს. ჭეიშვ., 47).

ტერმინის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში საანალიზო აფიქსების ფუნქციური და სემანტიკური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ მათთვის ძირითადია არა მარტო კონკრეტული საგნის ქონა-არქონა; ყოლა-უყოლობა, არამედ საერთოდ რაიმეს (მათ შორის ნიშან-თვისების) მქონეობაზე მითითება. ამდენად, საანალიზო ფორმებისათვის უფრო შესატყვის ტერმინად მიგვაჩნია „მქონეობის სახელები“.

დ ა ს კ ვ ნ ა . თანამედროვე სამწერლობო ქართულისა და დიალექტების მონაცემებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენის გათვალისწინებით დიაქრონიულ ასპექტში წარმოვადგინეთ მქონეობის აფიქსთა ფორმობრივი და ფუნქციური ცვალებადობის ხაზი.

იან დღეს ყველაზე პროდუქტიული აფიქსია როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში. მიუხედავად ფუნქციური ნიუანსების სხვადასხვაობისა, მისთვის მაინც ძირითადია მქო-

ნეობის გამოხატვა. გარდა ამისა, მიუთითებს მიმდევრობასა და კუთვნილება-წარმომაელობაზეც, მოგჯერ კი აკისრია ოდენ სტილისტურ-გამომსახველობითი ფუნქციაც (საბწიგნიანი ნაშრომი, ვაჩნაძიანთ ქალი, ქრისტიანი; ღიმილიანი ყურადღება...).

ოვან, ოსან პროდუქტიულობით გამოირჩეოდა ძველ ქართულში. ახალში ისინი თანდათან კარგავენ წარმოების უნარს, იზღუდება მათი ფუნქციებიც, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კვლავ გააქტიურდა მათი სასიცოცხლო ძალა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი სამეცნიერო ტერმინოლოგიამ. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს თვალსაჩინოა ოვან და ოსან სუფიქსების აღჭურვა ახალი სემანტიკური ნიუანსებით. ან-ისაგან განსხვავებით, ისინი მეტწილად მიუთითებენ რაიმე ნიშან-თვისების მქონეობაზე და არა კონკრეტული საგნის მქონეობაზე (ხუთოსანი, მშვილდოსანი, წიგნოსანი, პარკოსანი, ფრთოსანი (//ფრთიანი), ჩოხოსანი (//ჩოხიანი); გუმბათოვანი, უჯრედოვანი, კლდოვანი(//კლდიანი), ფერადოვანი, ტუტუცოვანი, ფერვანი, დიდერიანი...).

ედ სუფიქსი ძველიდან მოყოლებული თანამედროვე ქართულამდე სპორადულად იხმარებოდა მქონეობის ფუნქციით. მაგრამ დღეს სამეცნიერო ტერმინოლოგიამ ახალი ძალა მიანიჭა, როგორც სპეციალურ ფორმათაწარმოებელ საშუალებას (ცისკარედი, ყვავილედი, ჩვილედი, განედი, სამკუთხედი, უჯრედოვანი...).

იერ ძველ ქართულში ყოლა-ქონების (მქონეობის) ძირითადი მაწარმოებელი იყო, ახალში საგრძნობლად შემცირდა მისი მოხმარების სფერო, თუმცა დღეს დიალექტებში მაინც ჯერ კიდევაა ხელშესახები იერ-ის პროდუქტიულობა, მისი ფუნქციონირების გაფართოების ტენდენცია.

ა სუფიქსმა ახალსა და თანამედროვე ქართულში მქონეობის გამოხატვის სემანტიკაც შეიძინა (შავტარა, დიდშუბლა, ნაფოტა (კბილები), ლურჯა (ცხენი), ღრუბელა (სოკო), ხისთავა (//ხისთავიანი)...).

დღეს საანალიზო აფიქსები გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით, რომელთაგან ზოგი უძველესია და ძირითადი, ზოგი კიდევ — ახალი შენაძენი, ფაკულტატური. რამდენადაც ფაკულტატური მოვლენა ხელოვნური კი არ არის, არამედ გამომდინარეობს ენის შინაგანი ბუნებიდან, ამდენად შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ ამჟამად

ფაკულტატიურად მიჩნეული სემანტიკური ნიუანსი დროთა ვითარებაში ძირითად ფუნქციად იქცევა.

შენიშვნები

[1] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 89.

[2] ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1978, გვ. 52.

[3] ს. ჯანაშია, თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი: შრ., ტ. III, თბ., 1959.

[4] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 122.

[5] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 347.

[6] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 123.

[7] მ. ტუსკია, სახელთა წარმომქმნელი ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გაერცელებულობა თანამედროვე ქართულში: ქართ. ენა და ლიტ. სკ., 1969, № 1, გვ. 25.

[8] კ. კუბლაშვილი, ქეემოიმერული დიალექტი, თბ., 1985, გვ. 94.

[9] ქ. ფეიქრიშვილი, სიტყვაწარმოება თანამედროვე ქართული პროზის მიხედვით (ხელნაწერი), 1988. გვ. 17.

[10] ი. იმნაიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები: „ცისკარი", 1971, № 1, გვ. 145.

[11] ე, თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, გვ. 69.

[12] ბ. ცხადაძე, ოვან სუფიქსი ძველ ქართულში: ქესს, V, 1981, გვ. 101.

[13] იქვე, გვ. 96-103.

[14] იქვე, გვ. 101.

[15] პ. ჯაჯანიძე, ოვან სუფიქსი ძველ ქართულში: საქ. პედ. ინსტიტუტების შრ. კრ.II, 1975, გვ. 359.

[16] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 125.

[17] ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება

ქარიველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 97-99.

[18] ა. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკე, XIX, 1974, გვ. 70.

[19] არ. მარტიროსოვი, სუფიქსებით წარმოქმნილი სახელების ერთი ჯგუფი ძველ ქართულში: მაცნე, 1976, № 1, გვ. 111-112.

[20] მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტ. ქართულსა და დიალექტებში: საკანდ. დისერტ., 1975, გვ. 48.

[21] ი. ჯიბუტი, მქონებლობის ერთი აფიქსის შესახებ ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში: ქსკს, VIII, 1988, გვ. 122-123.

[22] ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 130.

[23] იხ. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 438.

[24] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 434.

[25] ნ. ჭუმბურიძე, ყოლა-ქონების აღმნიშვნელი რთული სუფიქსები ქართულში: იკე, XXIX, გვ. 65.

[26] შდრ. „არ მრქვა გულმა მიწიური ბედნიერება“ (ა. კალანდ. 10); „არ მიწიური გვირგვინისათვის“ (იქვე, 95).

[27] თუმცა ამგვარი მიმართება ბოლომდე დაცული არაა: მიწიანი — უ-მიწ-ო. მაგრამ მიწიერს უ-ო ცირკუმფიქსიანი უარყოფითი ფორმა არ ეწარმოება.

[28] იხ. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

[29] ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 52; მ. ტუსკია, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

[30] ა. პაპიძე, ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: ქელს, 1974, № 1, გვ. 29.

მოსაქმეობის სახელთა წარმოების ზოგადი თავისებურებანი თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრიოფესორ-მასწავლებელთა II სამეცნიერო კონფერენციაზე 1993 წლის 28 მაისს (იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 1993წ., 27-28 მაისი).

თ ე ზ ი ს ე ბ ი

თანამედროვე ქართულში მოსაქმეობის (ხელობის) სახელთა წარმოება მრავალფეროვნებით გვეძლევა, რაც შეპირობებულია სადერივაციო აფიქსთა სიუხვითა და მათი ფუნქციური სხვადასხვაობით.

დღეს მოსაქმეობის შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება მე–ე, მე–ურ, მო–ე, მ–ე, მ–არ, მ–არა, მო–არე, მ–ელ, მ; უცხოური წარმოშობის დარ, ერ, იორ, ჩი, ისტ... აფიქსები და ცალკეული სიტყვები (დაცურავეთ) მეტიქვებად (ო. ჭელიძე); მერგოლურებთან ერთად იხილავდა საკითხს (ჩიქოვანი); სადმე მოჯამაგირედ დავდგებიო (კასური); განთქმული მოჭადრაკე იყო (გაზ. თბილისი, 1989); ფარნავაში იყო მხედარი და მწიგნობარი (ა. სულაკაური); მწყემსი, მარანჩი(=მარანში) (ინგილოური); მეტალურგ სიდოროვის ოჯახი (ნ. გელაშვილი)...)...

ამათგან ყველაზე პროდუქტიულია მე–ე კონფიქსიანი წარმოება, თუმცა თანამედროვე ქართულში შესამჩნევი გახდა მო–ე-ს გააქტიურებაც.

მე–ურ მორფემა ძველად უფრო ხშირად გამოიყენებოდა, ახალ ქართულში თანდათან იშღუდებოდა მისი მოხმარების სფერო და ძირითადად შემოგვერჩა ტრადიციულად მომდინარე რამდენიმე სიტყვაში. იუმცა სამწერლობო ენისაგან განსხვავებით დიალექტებში იგი კვლავ ინარჩუნებს ახალ-ახალი ფორმების წარმოების უნარს (მემთესური კაცი; მეგოდრულები; მეწყლეური ხე...).

ძველი ქართულიდან მოყოლებული ნიშანდობლივია საანალიზო ჯგუფის აფიქსთა ურთიერთშონაცვლეობის შემთხვევები:

მეთოფე / მეთოფური / მეთოფოსნე; მებადე / მებადური / მებადურე; მეტაშე / მოტაშე; მემიტინგე / მომიტინგე; მეისტორიე / ისტორიკოსი; მეტელეგრაფე / ტელეგრაფისტი...

საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ამგვარი ურთიერთობა იძლევა განსხვავებულ მნიშვნელობას. მაგალითად: მევალე—ვალის გამცემი, მოვალე—ვალის ამღები; მეისტორიე ზოგადად უნდა გულისხმობდეს ისტორიული ფაქტების აღმწერს (მემატიანეს); ისტორიკოსი კი კონკრეტული პროფესიაა.

წერილობითი ძეგლები ცხადყოფენ, რომ საკვლევი აფიქსების თავდაპირველი ფუნქცია იყო მოსაქმეობის სახელთა გამოხატვა (ასე არიან ისინი კვალიფიცირებული ანტონის გრამატიკაშიც), მაგრამ იმ პერიოდის ტექსტებშივე გამოვლინდა ბევრი ისეთი მაგალითი, სადაც აშკარად გამორიცხულია ოდინდელი სემანტიკა (მაგ., მეგანძე / მეგანძური= საუნჯის, განძის მოყვარული: ილ. აბულაძე).

საგულისხმოა, რომ ძველ ქართულშივე თავჩენილი ეს მოვლენა (ენობრივი ტენდენცია) კიდევ უფრო ხელშესახებად გამოიკვეთა და გააქტიურდა თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით დიალექტებში. შესაბამისად ჩვენთვის საინტერესო აფიქსები გამოხატავენ: მოსაქმეობას — ხელობას (მეპურე), პროფესიას (ისტორიკოსი) კუთვნილება–მონაწილეობას (მოდარბაზე =დარბაზის წევრი; მოსამძიმრე ხალხი...), ვინმეს ან რაიმეს დამახასიათებელ თვისებას (მეშფოთე=ამრევი; მემთვრალე; მეკიცხარი დამცინავი); დანიშნულებას (მესუფრე=თამადა (ჯავახ.); მეპურღვინე თამადა (მესხ.), მიუთითებენ კონკრეტულ მომენტურ ფაქტზე, მოქმედების შესრულებაზე და ა.შ.

ამ ტიპის მაგალითები ერთხელ კიდევ ხაზგასმით ცხადყოფენ, რომ საანალიზო აფიქსებისათვის ნიშანდობლივია არა კონკრეტულად ადამიანის, არამედ საერთოდ თვისების აღნიშვნა. ამ აფიქსების ფუნქციებთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი თავისებურებაც, კერძოდ: მე–ე, მო–ე, მე–ურ (ულ) მორფემები, როგორც წესი, აღნიშნავენ მხოლოდ ადამიანთა საქმიანობას ან მის დამახასიათებელ თვისებებს, მაგრამ ზოგჯერ ეს მაწარმოებლები დაერთვიან არაადამიანთა მსაზღვრელებსაც. ამგვარი მაგალითები მეტწილად დიალექტებშია დადასტურებული, თითო-ოროლა ნიმუში სამწერლობო ენაშიც დაიძებნა.

მეკვერცხე ქათამი =კვერცხის მდებელი (ნ. სურმავა, აჭარული).

მეკვერცხე ძაღლი =კვერცხის მჭამელი (ქ. ფეიქრიშვილი, მესხური).

მეყანე საქონელი =რომელსაც ჩვეულად აქვს ყანაში შეპარვა (ნ. სურმავა).

მეკვერცხული ქათამი =ბევრი კვერცხის მდებელი.

მერძეული საქონელი =მეწველი საქონელი.

მენაყოფე მიწა, მეგაზაფხულე მწერი, მეწლე/მეწლეური ხე...

ფორმობრივ-სემანტიკურად საინტერესოა აგრეთვე საანალიზო ტექსტებში დადასტურებული ასეთი ნიმუშები: მედაუსწრებლე სტუდენტი, მეკოორდინაციე გმნა (არნ. ჩიქობავა); დავინახე თანამეოთახე უცხოელი (რ. მიშველაძე); ზოგჯერ მეპანაშვიდემ შეიძლება ხელზეც აკოცოს (გ. დოჩანაშვილი); „კომუნისტმა“ მედღეობეს კი არ მიულოცა, არამედ... (კომუნისტი, 1989); თავაზიანად შეეგებნენ ჯიქურ მესტუმრეს (სტუმარს) (რ. ჭეიშვილი); ერთმა დიდმა მეჭაღალდემ (=მწერალი, სწაელული) თქვა (გ. დოჩანაშვილი); კაცი პურისა და სიმინდის მოსაყიდე=გამყიდველი) იყო (ლიტ. საქართველო).

თუ თვალს გავადევნებთ მოსაქმეობის სახელთა წარმოებასა და აფიქსთა ფუნქციონირებას სამწერლობო ენის განვითარების ეტაპებისა თუ მწერლობის ჟანრების მიხედვით და გავითვალისწინებთ აგრეთვე თანამედროვე დიალექტების ჩვენებასაც, აღმოჩნდება, რომ XIX საუკუნემდე ხელობის სახელთა წარმოება იყო მაინც ერთფეროვანი — აფიქსური. მაგრამ XX საუკუნიდან ქართულში ტრადიციული წარმოების პარალელურად ფართოდ მკვიდრდება უცხო ენებიდან ნასესხები მქონეობის სემანტიკის ლექსიკური ერთეულები (უცხოური აფიქსებით გაფორმებული); გარდა ამისა, ხელობის ფუნქცია იტვირთეს მიმღეობებმა და სხვა ცალკეულმა სიტყვებმაც. ამის გამო ჩამოყალიბდა სიტყვაწარმოების განსხვავებული ტიპები: მე-ბაღ-ე, მე-ურმ-ე...

შდრ.: მაღაროელი—მემაღაროე, რგოლის ხელმძღვანელი—მერგოლური; ბოქსიორი—მებოქსე; ნიჩბოსანი—მენიჩბე; დახლიდარი—მედახლე; მუსიკოსი—მემუსიკე; ისტორიკოსი—მეისტორიე და ა.შ.

მოსაქმეობის სახელთა წარმოების ესოდენი მრავალფეროვნების საფუძველი პირველ რიგში უნდა იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები. კერძოდ: ქვეყანაში დამ-

კვიდრებულმა სიახლეებმა ბუნებრივად მოითხოვა ენაში ახალი სიტყვებისა თუ წარმოების ახალ-ახალი სტრუქტურული მოდელების შექმნა. ამ პროცესში ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერების გარდა გარკვეული წილი უთუოდ უდევს უცხო ენათა გავლენასაც.

ღირსსაცნობია ისიც, რომ XX საუკუნის შუახანებში ხელობის სახელთა ტრადიციული აფიქსური წარმოების გვერდით მოჭარბებული იყო განსხვავებული ტიპის წარმოება (განსაკუთრებით პრესისა თუ პუბლიცისტიკის ენაში), მომდევნო პერიოდის (70-80-იანი წლების) სამწერლობო ქართულში კვლავ გააქტიურდა მე-, მო- აფიქსებიანი ორგანული წარმოება.

ტრადიციულ გრამატიკაში საანალიზო სადერივაციო ჯგუფის აღსანიშნავად დამკვიდრებულია ტერმინი „ხელობის სახელები“, რომელიც გულისხმობს ადამიანის ხელობას, პროფესიას, მოსაქმეობას. მაგრამ აშკარაა, რომ ეს ტერმინი ვერ მოიცავს ზემოაღნიშნულ მრავალფეროვან სემანტიკას. ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში პარალელურად გაჩნდა სხვა ახალი ტერმინები: მოსაქმეობის სახელები, პროფესიის სახელები, ხელობა-მოსაქმეობის, მოსაქმეობა-პროფესიის სახელები.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების მისედვით უფრო მართებულად მიგვაჩნია ტერმინი „მოსაქმეობის სახელები“, რადგან ეს უკანასკნელი ზოგადად გულისხმობს როგორც კონკრეტულ ხელობა-პროფესიას, ისე პიროვნების ყოველგვარ საქმიანობას (მოქმედებას) დროის მიუხედავად — მუდმივსა თუ შემთხვევითს, რომელიმე კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებულს.

მე–ე კონფიქსის ფუნქციური დატვირთვა და გავრცელებულობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

წაკითხულია მოხსენებად რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე 1993 წლის 28 ოქტომბერს (იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თემისები, ბათუმი, 1993 წელი, 28-29 ოქტომბერი).

თ ე ზ ი ს ე ბ ი

მე–ე კონფიქსი პროდუქტიული მაწარმოებელია. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, მისთვის ძირითადია ხელობის სახელთა წარმოება. მაგრამ თანამედროვე სამწერლობო ქართულსა და დიალექტებში ამ აფიქსის ფუნქციური სფერო უფრო ფართოა — მოსაქმეობის (ხელობის, პროფესიის) გარდა იგი გამოხატავს:

1) თანამონაწილეობას (მეკავშირე, მენადიმე, თანამეოთახე, მეკოორდინატე (ზმნა)...);

2) ვინმეს დამახასიათებელ თვისებას (მეგანძე განძის=მოყვარული, მეშურნე=შურიანი, მეშფოთე, მემთვრალე, მემტერე...);

3) კუთვნილებას (მეკარეე=კარეის პატრონი, მეანაბრე=ანაბრის პატრონი...);

4) დანიშნულებას (მედიალოგე, მესუფრე-მეპურმარილე =თამადა...);

5) მიუთითებს კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედების ჩამდენზე ანდა ასახელებს მას, ვისაც მოქმედება მიეწერება (მეწამწამე=თვალის ჩამკვრელი (ძვ. ქ.), მეპანაშვიდე=პანაშვიდზე მიმსყელი, მეტაშე=ტაშის დამკვრელი, მედღეობე=ვისი დღეობაცაა...).

6) დიალექტებში, სამწერლობო ქართულისაგან განსხვავებით, დაერთვის არაადამიანთა სახელებსაც და წარმოაჩენს მათს ნიშან-თვისებას (მეყანე საქონელი=რომელსაც ჩვეულად აქვს ყანაში შეპარვა (აჭარ.), მეკვერცხე ძაღლი=კვერცხის მჭამელი (მესხ.), მენაყოფე მიწა, მეწლე=მეწლეური ხე (იმერ.)...).

მე–ე კონფიქსის ფუნქციის ამგვარი სემანტიკური სხვადასხვაობის

საფუძველი უნდა იყოს მ პრეფიქსის თაედაპირველი ფუნქცია — ადამიანის კლასის აღნიშვნა. როცა ქართულში მოიშალა გრამატიკული კლასი, მ პრეფიქსმა (სხვადასხვაგვარად გახმოვანებულმა და სათანადო სუფიქსით გართულებულმა) შეიძინა სადერივაციო ფუნქცია, დაერთო ადამიანთა სახელებს და გამოხატა პიროვნების მოსაქმეობა, დამახასიათებელი თვისება, კუთვნილება და ა.შ. შესაბამისად, ენაში ძველთაგანვე ხელშესახებად წარმოჩნდა მ პრეფიქსით გაფორმებული ერთნაირი სემანტიკის რამდენიმე სტრუქტურული ტიპი (მენაბდე, მოქანდაკე, მეგღვაური, მწიგნობარი...). კიდევ მეტიც: ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს (განსაკუთრებით ცოცხალ მეტყველებაში) მოეპოვება პარალელური ფორმები: მეთევზე—მეთევზური; მეთოფე—მეთოფური—მეთოფოსნე; მექადაგე—მოქადაგე, მოქადარი; მეთავე—მეთაური, მოთავე, მოთაური; მეტაშე—მოტაშე; მეკალმე—მოკალმე; მემიტინგე—მომიტინგე... თუმცა, ზოგ შემთხვევაში ენა ცდილა ამგვარ პარალელურ ფორმებში გარკვეულად მაინც მოეხდინა სემანტიკური დიფერენციაცია (მეევალე=გამსესხებელი, შდრ. მოვალე ვალის ამღები (ქეგლ, V), დროთა განმავლობაში უნდა მომხდარიყო ამ პროცესის უფრო გაღრმავება.

თუ XIX საუკუნემდე, საზოგადოდ, დერივაცია და, კერძოდ, საკვლევი სემანტიკური ჯგუფის სახელთა წარმოება შედარებით ერთფეროვანი (აფიქსური) იყო, XIX და, განსაკუთრებით, XX საუკუნის დასაწყისიდან საზოგადოებრივი ცხოვრების სიახლეებმა ბუნებრივად მოითხოვა ენაში წარმოების ახალ-ახალი მოდელების შექმნა, რის შედეგადაც ტრადიციული სინთეზური ყალიბის გვერდით ფართოდ მკვიდრდება აღწერითი ფორმები, უცხოური აფიქსებით გაფორმებული ნასესხები სიტყვები, უაფიქსო ლექსემები და ა.შ. (მეთვრალე—ლოთი, მემტერე—მტერი, მეშფოთე—შფოთის მოყვარული, მერგოლე—რგოლის ხელმბეჭდველი... ისტორიკოსი, ტელეგრაფისტი, კალატოზი, მეტალურგი...). შესაბამისად, თავს იჩენს პარალელური ფორმები: მემუსიკე—მუსიკოსი, მეტრაქტორე—ტრაქტორისტი, მედახლე—დახლიდარი, მეცხენე—ცხენოსანი და მისთანანი. ამ დროისათვის ხელშესახებად შეიძლება ქაროული ენისათვის დამახასიათებელი მე–ე კონფიქსიანი წარმოება პარალელური ფორმების ზეგავლენით.

თანამედროვე (70-80-იანი წლების) სამწერლობო ქართულში

ენის განვითარების შინაგანი კანონის ძალით კვლავ გამოიკვეთა შე-ე მორფემის ხელახალი გააქტიურების ტენდენცია და უპირატესობა იმავე სემანტიკის მქონე სხვა ტიპის მოდელთან შედარებით (მესტენოგრაფე, მეელექტრონე, მეტელეგრაფე, მეგასტროლე, მესურათე, მეისტორიე, მექაღალდე, მეკროსვორდე, მეცხენე, მესპორტლოტოე, მემთერალე, მემუსიკე, მეკალმე, მემშვილდე...).

ალერსობით-კნინობითი სახელები თანამედროვე ქართულში

შესრულებულია წლიურ საკვლევ თემად ქართული ენის კათედრაზე 1999 წელს. სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილ წაკითხულია მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციებზე. ზოგი მათგანი დაიბეჭდა მოგვიანებით.

1. ალერსობით-კნინობითი სახელების შესწავლის ისტორიისათვის

დაბეჭდილია კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა", IX, ქუთაისი, 2005წ.

ტრადიციულ ქართულ გრამატიკებში დერივაციის ერთ-ერთ შინაარსობლივ ჯგუფად მიჩნეულია ე.წ. კნინობითი სახელები. მათი ცალკე გამოყოფა სათავეს იღებს ანტონ კათალიკოსის გრამატიკიდან, სადაც კნინობითის მაწარმოებლებად დასახელებულია აკი//კი, აგი//გი, ალი (მარცვალ-აკი, გუშ-აგი, ცია-ალი...) (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 113). მას შემდეგ საანალიზო ჯგუფის სახელები ქართულ ლინგვისტიკაში განიხილებოდა მეტ-ნაკლები სისრულით.

ა. შანიძის განმარტებით, „კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული" (ა. შანიძე, 1973, გვ. 120).

ა. შანიძეს ძველი ქართულისათვის კნინობით სახელთა მაწარმოებლად მიაჩნია ერთადერთი სუფიქსი აკ (სახლ-აკ-ი, კნინაკ-ი...); იქვე შენიშნავს, რომ აკ დაბოლოებიან სახელებს ადრევე დასწყებიათ კ-ს მოკვეცა, რის შედეგად მაწარმოებლად დარჩა ა და ასეთი სახელები გადავიდა ხმოვანზე უუძეგათავებულთა რიგებში (ქალა) (ა. შანიძე, 1976, გვ. 51).

უფრო მოგვიანებით, ძველი ქართულის სხვა ტექსტებზე დაყრდნობით, ზ. სარჯველაძემ საანალიზო ჯგუფის მაწარმოებლად

გამოყო რამდენიმე მორფემოიდი: აკ (მცირეაკი), ა (ქალაჯ, კაცაჯ...) (მისიეე დაკვირვებით, ა სუფიქსი დასტურდება IX საუკუნიდან — ჟ ფ.), უკ (ძერძუკი), უც (კეკლუცი), უნა (საკუთარ სახელებში თაგუნა), ოა (მხალოა ფუძეში), აკ+ა (მოკლეაკაჯ), უკ+ა (უბადრუკაჯ): თანეე მიუთითა, რომ ძველ ქართულ წერილობითს ძეგლებში კნინობითი სახელები მეტად იშვიათია (მ. სარჯველაძე, 1997, გვ. 182).

ახალ ქართულში, ა. შანიძის აზრით, კნინობით სახელთა წარმოება არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მეტიც: სალიტერატურო ქართულმა დღეს კნინობითის ფორმები არსებითად დაკარგა (იგულისხმება საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა — ე. ფ.)... შეიძლება ისინი ნაშთის სახით კიდევ არიან შემორჩენილი, მაგრამ მათი კნინობითობის დადგენა ჭირს საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო. გარდა ამისა, კნინობითობის ოდინდელი ფუნქცია შეიძლება გამოიხატოს აღწერითადაც: პატარა წიგნი (შდრ. წიგნაკი) (ა. შანიძე, 1973, გვ. 122).

მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენადაც ახალ ქართულში ე.წ. კნინობითი სახელების სემანტიკა ძველთან შედარებით აშკარად გამრავალფეროვნდა და, შესაბამისად, ტერმინი „კნინობითი" უფრო ფართო ცნებად იქცა, ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში" ამ ჯგუფის მაწარმოებლად ასახელებს ა, აკ, უკ, უნა, ილ, ია სუფიქსებს. სათანადო მაგალითების დამოწმებით აღნიშნავს, რომ კნინობითობის ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ერთი მხრივ, ალერსის გამოსახატავად (ალერსობითი სახელები) და, მეორე მხრივ, დამცირების მიზნით (დამცირებითი სახელები).

ფაქტობრივად ამ საკითხში ა. შანიძის მსჯელობას ეყრდნობა ალ. ღლონტი. იგი სიტყვაწარმოების ანალიზისას განიხილავს ჩვენთვის საინტერესო ჯგუფსაც და იძლევა ასეთ განმარტებას: „მოფერებით-კნინობითი ჰქვია ისეთ წარმოქმნილ სიტყვებს, რომლებიც თავიანთი ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით ან მოფერებით აღნიშნავენ"... ძირეული დედა სიტყვისაგან მიღებულია მოფერებითი საალერსო ფორმა დედილო, ხოლო კაცისგან — დამცირებითი ფორმა კაცუნა. მათს საწარმოებლად იხმარება ილ, ია / იკ, უკ-ა, ულ-ა, ა სუფიქსები (ალ. ღლონტი, 1971, გვ. 115).

ვ. თოფურიას აზრით, საკუთარ სახელთა და მისგან წარმოქ-

მნილ გვართა შესწაცლა შესაძლებლობას იძლევა კნინობითის მეტი ნიშნები გამოვყოთ, ვიდრე ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაჩვენები. ეს სუფიქსებია: ოკ, ულ, ან, ინ, იტ, უტ, უნ, უჭ, იჩ, უჩ– და ამათი შეერთებით წარმომდგარი: ოკი–ნა, უკ–ელა, უც–უნა და სხვა. აღსანიშნავია, რომ მარტივი თუ რთული აფიქსების აბსოლუტური უმრავლესობა სრულდება ა ელემენტით (ვ. თოფურია, 1979, გვ. 109).

ბ. ფოჩხუა კნინობითის სემანტიკურ ჯგუფში აერთიანებს იმ სიტყვებს, რომლებიც ბოლოვდებიან შემდეგი სუფიქსებით: ა, აკ, იკ, უკ, ან, ინ, უნ, ატ, იტ, უტ, ოტ, ალ, ილ, ელ, ულ, უჭ, უც, უჩ და სხვ., ამ მორფემებს ხშირად დართული აქვთ ისევ კნინობითის ა.

საილუსტრაციოდ მოხმობილი ნიმუშები უმრავლეს შემთხვევაში მართლაც მცირე მოცულობის საგნებს აღნიშნავენ. მაგალითად, ჯორაკა (პატარა ჯორი), წიპლიკა (ძალიან პატარა), ჩიჩქიტა (სიმინდის პატარა ტარო), ჭიპლიკა (ტანმორჩილი ადამიანი) და ა.შ. საგულისხმოა, რომ ამასთან დაკავშირებით მკვლევარი მართებულად მიუთითებს: ჩამოთვლილი აფიქსებიანი სახელები სემანტიკურად ერთგვაროვანი მაინც არ არის. თვით კნინობითობის შინაარსი იძლევა საფუძველს — მცირე მოცულობის საგნებს მოფერება-ალერსის ელფერი მივცეთ, ზოგჯერ კიდევ — დამცირებითისა. რა თქმა უნდა, გვხვდება მათ შორის ემოციური ელფერის მიხედვით ნეიტრალური სიტყვებიც: წიგნაკი (პატარა წიგნი), ურატა (პატარა ურო), პარკუჭი (პატარა პარკი).

ბ. ფოჩხუა კნინობით სახელთა სემანტიკურ ჯგუფს მიაკუთვნებს ბევრ ისეთ განსაზღვრებით კომპოზიტსაც, სადაც პირველ ნაწილად ხელ გამოდის: ხელწალდი, ხელჩანთა, ხელეჩო... (პატარა წალდი, პატარა ჩანთა, პატარა ეჩო...), ზოგიერთ ამათგანს კნინობითობის ა სუფიქსიც ერთვის: ხელთოფა (თოფი), ხელცულა (ხელცული) და ა.შ. (ბ. ფოჩხუა, 1974, გვ. 135-137).

სამეცნიერო ლიტერატურაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ თანამედროვე ქართულში ა სუფიქსით ნაწარმოები კნინობითი სახელების სიმცირე უნდა აიხსნას კნინობითობის მაწარმოებელი სხვა გავრცელებული სუფიქსების (იკ, ილ, უნ, უკ) არსებობითა და სალიტერატურო ქართულის ტენდენციით კნინობითობის აღწერითად წარმოებისაკენ (მ. ტუსკია, 1969, გვ. 25).

საანალიზო ჯგუფის სახელთა წარმოების ესა თუ ის საკითხი განხილულია ცალკეულ დიალექტოლოგიურ ნაშრომებსა თუ მონოგრაფიებში; თითოეულ მორფემოიდზე დაწვრილებითაა მსჯელობა ბ. ჯორბენაძის, ც. კვანტალიანისა და მ. ბერიძის „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (თბ., 1988).

თანამედროვე სამწერლობო ენისა და გეპირი მეტყველების მიხედვით ჩვენ გამოწელილვით შევისწავლეთ საკელეი ჯგუფის სახელთა წარმოება და ფუნქციები. გამოვლინდა საგულისხმო თავისებურებანი (მათ შესახებ საუბარი გვექნება სხვა სტატიაში). ამჯერად მხოლოდ ზოგადად შევნიშნავთ:

თანამედროვე ქართულში ე.წ. კნინობითი სახელები ფორმობრივ-ფუნქციურად მეტად მრავალფეროვანია. თუ ძველი ქართულის დონეზე ამ ჯგუფის მაწარმოებელ აფიქსთა რიცხვი ერთ ათეულსაც ვერ აღწევდა, დღეს მათი რაოდენობა 100-ს აჭარბებს. გარდა ამისა, თუკი საანალიზო აფიქსების თავდაპირველი და ერთადერთი ფუნქცია იყო საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა, ახლა ამ აფიქსებით სახელებმა შეიძლება შეიძინონ მოფერება-ალერსის, დაცინვა-დამცირების, ირონიული თუ ფამილარული ელფერის, მსგავსება-ნიშან-თვისებაზე მითითების სემანტიკა; გარდა ამისა, ისინი საგანს წარმოგვიდგენენ შემცირებული ზომით, აწარმოებენ საკუთარ სახელებს, ზოგჯერ კიდევ გამოდიან ნეიტრალური შინაარსის გამომხატველ საშუალებად.

აფიქსთა ფუნქციები და პროდუქტიულობა განსხვავებულია არა მხოლოდ სამწერლობო ენისა და დიალექტების, არამედ თვით მწერლობის ჟანრებისა და კილოების მიხედვითაც.

ტერმინის საკითხი

საკელევი ჯგუფის სახელთა აღსანიშნავად დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში იხმარება რამდენიმე ტერმინი, რომელთა შორის ტრადიციულია „კნინობითი“. იგი მომდინარეობს ანტონ კათალიკოსის გრამატიკიდან.

ტერმინ „კნინობითისათვის“ ამოსავალია ზედსართავი სახელი „კნინი“. ძველ ქართულში „კნინ“ ზმნიზედაა, ნიშნავს „მცირედ-

ღა“, „მცირეს“. მისგანაა მიღებული ნაწილაკი „კნინ-ღა“ (=თით-ქმის) და ზედსართავი სახელი „კნინი“ (=ცოტა, მცირე); აქედან აკ-ის საშუალებით ნაწარმოებია „კნინაკი“ (=უმცირესი), ხოლო „კნინ-კნინ“ ნიშნავს „ცოტ-ცოტას“ (ილ. აბულაძე, 1973, გვ. 200).

ზემოთქმულის მიხედვით, კნინობითად იწოდება ის სახელი, რომელიც საგანს შემცირებული ზომით წარმოგვიდგენს. ასეთი სემანტიკისაა ტერმინი „კნინობითი“ ძველი და ნაწილობრივ ახალი ქართულის დონეზე ა. შანიძის გაგებითაც. თუმცა ახალი სალიტე-რატურო ქართულის ვითარების გათვალისწინებით მეცნიერი მარ-თებულად შენიშნავდა, რომ ა, აკ, ია, უნია, ილ, უკ აფიქსებით გამოხატული კნინობითის ფორმები ენაში არსებითად შემცირდა; გარდა ამისა, ამავე აფიქსებით შეიძლება გადმოიცეს მოფერება-ალერსი და დაცინვა-დამცირება.

და მაინც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ჯგუფის აღმნიშ-ვნელ ზოგად ტერმინად კვლავ რჩებოდა „კნინობითი“.

თანამედროვე სამწერლობო ენასა და ზეპირმეტყველებაში სა-ანალიზო აფიქსები მეტწილად გამოიყენება მოფერება-ალერსის გამოსახატავად; ასევე, აღნიშნავენ დაცინვა-დამცირებას და უფ-რო ნაკლებად საგანს წარმოგვიდგენენ შემცირებული ზომით.

აქედან გამომდინარე, ცხადია, ოდინდელი ტერმინი „კნინობითი“ დღეს ადეკვატურად ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. ვერ წარ-მოაჩენს ამ ჯგუფის აფიქსების ძირითად ფუნქციას, ამიტომ სა-მეცნიერო ლიტერატურაში უფრო მოგვიანებით გამოყენებულ იქ-ნა ტერმინები: „მოფერებით-კნინობითი“ (ალ. ღლონტი), „კნინობით-საალერსო“ (ბ. ჯორბენაძე), „კნინობით-ალერსობითი“ (ზ. სარჯვე-ლაძე). ეს უკანასკნელია შეტანილი V კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში (ავტორები: ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კეაჭაძე).

მართალია, ეს ტერმინებიც ზედმიწევნითი სიზუსტით ვერ მო-იცავენ განსახილველ აფიქსთა სემანტიკურ ნიუანსებს (და ეს ბუნებრივიცაა), მაგრამ აშკარად უპირატესნი ჩანან ოდენ „კნი-ნობითთან“ შედარებით.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ტერმინის სახელდებისას ყოველთვის არ ხერხდება ერთდროულად იქნეს გათვალისწი-ნებული მასში ნაგულისხმევი ყველა ფუნქცია. ასეთ დროს ამოსა-ვალი ხდება ერთ-ერთი მათგანი — ძირითადი, ყველაზე გავრცე-

ლებული (ას ზოჯერ რამდენიმე, მაგრამ არა ყველა).

ჩვენს შემთხვევაში ამ პრინციპის მიხედვით და თანამედროვე ქართულში საკვლევი ჯგუფის აფიქსთა ფუნქციებიდან გამომდინარე, უფრო მართებული იქნება „კნინობითის“ ნაცვლად დამკვიდრდეს „ალერსობითი“ ან „მოფერებით-ალერსობითი“ (დაემყარება ერთ — ძირითად ფუნქციას).

მაგრამ, მეორე მხრივ, ტერმინის სახელდებისას უპრიანია ანგარიში გაეწიოს აფიქსთა ფუნქციის ისტორიასაც. მაშინ უფრო გუსტი იქნება „ალერსობით-კნინობითი“: კომპოზიტის პირველი ნაწილი გახაზავს ძირითად ფუნქციას, მეორე (კნინობითი) კი დღევანდელი გაგებით გარკვეულად ითავსებს როგორც ოდინდელ ფუნქციას (საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა), ისე დაცინვა-დამცირების სემანტიკასაც, რადგან თანამედროვე მეტყველებაში „კნინი“, „დაკნინებული“... უფრო უარყოფითი მუხტის მქონეა — აღიქმება დაკნინება-„დამცირების“ შინაარსით.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, სასურველია საანალიზო ჯგუფის სახელად სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრდეს ტერმინი „ალერსობით-კნინობითი“, რაც გამართლებული ჩანს როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ქართულის მიხედვითაც.

დამოწმებული ლიტერატურა

ილ. აბულაძე, 1973 — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ე. ბაბუნაშვილი, 1970 — ე. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

ვ. თოფურია, 1979 — ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, ტ. III, თბ., 1979.

ზ. სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

მ. ტუსკია, 1969 — მ. ტუსკია, სახელთა წარმომქმნელი მოკიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში, ქელს., 1969, № 1.

ბ. ფოჩხუა, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ალ. ღლონტი, 1971 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.

ა. შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ა. შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ბ. ჯორბენაძე... 1988 — ბ. ჯორბენაძე, ც. კვანტალიანი, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

2. ალერსობით–კნინობითი სახელების წარმოება თანამედროვე სამწერლობო ენასა და დიალექტებში

დაბეჭდილია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომებში, ტ. VII(1), ქუთაისი, 2005.

ალერსობით-კნინობითი სახელები წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფს. მათი ცალკე გამოყოფა სათავეს იღებს ანტონ კათალიკოსის გრამატიკიდან. მასში შეტანილია ხუთი აფიქსი: აკი //კი, აგი//გი, ალი (მარცვალ-აკი, გუშ-აგი, ცი-ალი...) [1,113]. ამ სუფიქსთა ერადერთი ფუნქცია იყო საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა; შესაბამისად, დამკვიდრდა ტერმინი „კნინობითი“ (მისთვის ამოსავალია ზედსართავი სახელი „კნინი“, რაც ნიშნავდა „ცოტას“, „მცირეს“).

სპეციალურ ლიტერატურაში ძველი ქართულის დონეზე კნინობით სახელთა მაწარმოებლად დასახელებულია რამდენიმე მორფემოიდი: ა (ქალაჲ), აკ (დისწულაკი), უკ (ძერძუკი), უც (კეკლუცი), უნა (საკუთარ სახელში „თაგუნა“), ოა (მხალოა ფუძეში), აკა (მოკლეაკაჲ), უკა (უბაღრუკაჲ); თანვე მითითებულია, რომ ძველ წერილობითს ძეგლებში ამგვარი სახელები მეტად იშვიათია [2,51; 3, 182].

ახალ სალიტერატურო ქართულში საანალიზო ჯგუფის სახელების წარმოება უფრო მრავალფეროვანი გახდა: ერთი მხრით, გაიზარდა სუფიქსთა რაოდენობა და, მეორე მხრით, გამოიკვეთა მათი ფუნქციური სხვადასხვაობაც. მაგალითად, ის აფიქსები, რომლებიც ძველად (თავდაპირველად) საგანს წარმოგვიდგენდნენ მხოლოდ შემცირებული ზომით, ახლა სახელს ანიჭებენ აგრეთვე მოფერება-ალერსის, დაცინვა-დამცირების და ა.შ. სემანტიკას. ამგვარი ცვლილების შესახებ აღნიშნულია ა. შანიძის, ვ. თოფურიას, ალ. ღლონტის, ბ. ფოჩხუას, ა. კიზირიასა და სხვათა ნაშრომებში.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე სამწერლობო ენასა და ზეპირმეტყველებაში საკვლევი ჯგუფის აფიქსთა ფორმობრივ-ფუნქციური მრავალფეროვნება კიდევ უფრო ხელშესახები ფაქტია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დიალექტების ჩვენება.

მწერლობის ქანრებისა და თვით კილოთა მიხედვით ჩვენ დაწერილებით შევისწავლეთ აფიქსთა გამოყენების შემთხვევები, შესაბამისად დავაზუსტეთ მათი ფუნქციები და ძართებულად მივიჩნიეთ: ქართულ ლინგვისტიკაში ამ სადერივაციო ჯგუფის სახელად დამკვიდრდეს ტერმინი „ალერსობით-კნინობითი“ (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი „ალერსობით-კნინობითი სახელების შესწავლის ისტორიიდან“: „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. IX).

თანამედროვე სამწერლობო ენასა და დიალექტებში ალერსობით-კნინობითი სახელების მაწარმოებლად დადასტურდა 100-ზე მეტი სუფიქსი, რომლებიც დღეს მოქმედ მორფოლოგიურ ელემენტებს წარმოადგენენ. აფიქსები პირობითად (წინამავალი ხმოვნის მიხედვით) დავყავით ხუთ ჯგუფად:

I. ა, აკ, აკა, აკუნა, ალ, ალა, ან, ანა, არ, არა, აჩ, აჩა, აჩუა, აჩუნა, აც, აცა, აჭ, აჭა, აჭუა, აჭუნა.

II. ელ, ელა, ერ, ერა, ეჭ, ეჭანა, ეჭინა.

III. ია, იკ, იკა, იკო, იკანა, იკალა, იკელა, იკუნა, იკონა, ილ, ილა, ილამ, ილო, ინ, ინა, ინიკა, ირ, ირა, იჩ, იჩა, იც, იცა, იჭ, იტ, იტა.

IV. ო, ოკ, ოკინა, ოლ, ოლია, ონ, ონა, ონიკო, ოტ, ოღ, ოჩ, ოჩინა, ოჩუა, ოჭ, ოჭუა, ოხ.

V. უა, უკ, უკა, უკანა, უკელა, უკინო, უნ, უნია, უნელა, უნცელა, უნჭილა, უნიკა, ურ, ურა, ულ, ულა, უჭ, უჭა, უჩ, უჩა, უჩუნა, უჩელა, უც, უცა, უცანა, უტ, უტა, უტანა, უქანა, უხა, უხანა, უშა.

ამათ გარდა ბ. ფოჩხუა ასახელებს ატ სუფიქსს, როგორც რეალურად არსებულს, ცოცხალს [4, 135], „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ კი შენიშნულია, რომ აშ, ან, იქ, იშ, იხ, ეკ, ექ, ეტ, ეშ, ეხ, ეც, ეჩ, ენ, ოქ, ომ, ოხ, ოც, ორ, უშ აფიქსები სისტემის მიხედვით თეორიულად სავარაუდოა, მაგრამ რეალურად გამოუელინებელია.

კახურ დიალექტში ე.წ. კნინობითის ფუნქციით გამოყოფილია აუჭ [5,117], ხოლო ახალშენის მესხურში — ორგანა სუფიქსი (ბიჭორგანა...) [6, 25].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი აფიქსის (მაგალითად, აჭ, აჩ, უჩ, უცა, უტ) ეტიმოლოგია ძნელი დასადგენია. შესაძლებელია, ისინი მიღებული იყვნენ ბგერწერის

საფუძველზე [7,53-54,403].

საანალიზო ჯგუფის აფიქსია ესოდენი მრავალფეროვნების საფუძვლად მიჩნეულია ის გარემოება, რომ საერთოდ დერივაციული აფიქსებიდან ყველაზე მეტი ფონეტიკური ნაირსახეობებით „დაჩნდება სახელთა კნინობით-საალერსო ფორმების მაწარმოებელი მორფემები", თუმცა იქვე შენიშნულია, რომ „მიუხედავად სიმრავლისა და, ერთი შეხედვით, თავისუფალი მონაცვლეობისა, ამ მორფემათა ფონეტიკური ცვლილება ზუსტ კანონზომიერებას გვიჩვენებს: როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა გადაბგერება კანონზომიერი სისტემურობით ხასიათდება" [8,600].

სტრუქტურულად ეს სუფიქსები არაა ერთგვაროვანი: ზოგი მარტივია (ა, ილ, ელ–), ზოგი წარმოქმნილი — რთული (იკელა, უცა, ულა–), რომელთა ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს ჩვეულებრივ წარმოადგენს კნინობითისვე -ა: ვაჭრ-უკ-ან-ა...

ალერსობით-კნინობითობის აღმნიშვნელი მორფემოიდები მეტი თავისებურებით დიალექტებში გვეძლევა. ბ. ჯორბენაძის აზრით, ეს თავისებურებები მდგომარეობს შემდეგში:

1) შეიძლება გამოყენებულ იქნენ დამოუკიდებლივ (ნაწილ-აკი) და ერთმანეთთან შეუღლებულიც (ყაჩაღანა, მამიკონა...);

2) ერთსა და იმავე სახელთან შესაძლოა დადასტურდეს გადაბგერება როგორც ხმოვნისა, ასევე თანხმოვნისა (ჯორ-აკა//ჯორ-იკ-ა; დუდრ-უქ-ან-ა//დუდრ-უც-ან-ა//დუდრ-უხ-ან-ა...);

3) შეუღლებულმა მორფემებმა შეიძლება რიგი იცვალონ: დათ-იკ-ულ-ა//დათ-ულ-იკ-ა [8, 600].

პირველი ჯგუფის სუფიქსებიდან აკ და ა-ს გარდა ყველა ახალი და თანამედროვე ქართულის კუთვნილებაა, მეტწილად დიალექტებში გამოვლენილი. ზოგი აფიქსი პროდუქტიულია, ზოგიც მხოლოდ თითო-ოროლა ნიმუშით გვეძლევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკ სუფიქსი ოდინდელი კნინობითობის ფუნქციით სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაში არაა პროდუქტიული, მაგრამ იგი ფართოდ გამოიყენება ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ გზით წარმოქმნილი ზოგი სახელი დაცლილია კნინობითობის შინაარსისაგან და ნეიტრალური სემანტიკური ელფერის სიტყვა-ტერმინებადაა ქცეული.

მეორე ჯგუფის აფიქსები არ გაიოირჩევა რაოდენობრივი თვალსაზრისით. ამათგან ყველაზე პროდუქტიული ჩანს ელ / ელა. ოდენ ე არაა ალერსობით-კნინობითობის ძირითადი მორფემოიდი. იგი კნინობითობის ა-ს ფონეტიკურ ნაირსახეობად გვევლინება ქართული ენის ზოგ დიალექტში (ქვეშომერულსა და ზემოგურულში): მელიტონა>მელიტონე>მელიტონე... როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ კილოებში კნინობითის ა (საკუთარ და საზოგადო სახელებზე დართული) იქცევა ე-დ, სახელობითის ი მეტწილად იკარგება.

მესამე ჯგუფის სუფიქსების უმრავლესობა რთულია. აქ ძირითადი წარმოსაქმნელი ელემენტია ა. მოხმარების პროდუქტიულობით ყველაზე მეტად გამოირჩევა ია, იკო, ილ. ხოლო ზოგიერთის პოენიერება თითო-ოროლა ნიმუშითღა განისაზღერება, ისიც მეტწილად დიალექტებში.

ია მორფემოიდი, შეიძლება ითქვას, უფრო ფონეტიკური ცელილების შედეგად მიღებული აფიქსია, ვიდრე დამოუკიდებელი ოდენობა. კერძოდ: მიაჩნიათ, რომ, თუ სახელის ფუძე ა ხმოვნით თავდება, მაშინ ა-ს ნაცვლად ია იჩენს თავს (და — და-ია). გარდა ამისა, ია მიიღება კნინობითის ა სუფიქსისა და სიტყვის ფუძისეული ხმოვნის ურთიერთგავლენის შედეგად, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია იმერულისა და გურულისათვის. ზოჯერ ფონეტიკური პროცესი უფრო შორს მიდის და ია-ს ვარიანტად ვლებულობთ ი-ს. ეს უკანასკნელი ხელშესახებად ვეძლევა დასავლურ დიალექტებში: სამსონია-სამსონიი, ილიი [9,291].

მეოთხე ჯგუფის მაწარმოებლები (მარტივნი თუ შეუღლებულნი) თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია. ზოგი მათგანი (ოლ, ოჩუა, ოჩინა, ოჭინა, ოჭუა...) შეიძლება ერთმანეთის მიმართ ბგერწერულ ნაირსახეობებს წარმოადგენდეს (7, 335, 357).

მეხუთე ჯგუფის აფიქსები თანამედროვე სამწერლობო ენასა და დიალექტებში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით დაჩნდებიან. ამათგან ძველ წერილობით ძეგლებში თითო-ოროლა ნიმუშით დადასტურებულია უკ, უც, უნა (ზ. სარჯველაძე).

აფიქსთა მოხმარების თვალსაზრისით არაერთგვაროვანია სამწერლობო ენისა და დიალექტების ჩვენება. ამ ასპექტით თვით დიალექტებიც განსხვავდებიან. მაგალითად, დასავლურ კილოებში უფრო გამოკვეთილია სუფიქსები: **ელა, იკო, იკა, ია, იკელა** (ფონეტიკური ვარიანტებით: **იე, ე, ი**), აღმოსავლურში — **ა**; რაჭულისათვის ნიშანდობლივია **უკა, უნა, ინა** სუფიქსთა სიუხვე.

სამწერლობო ქართულში ალერსობით-კნინობითობის მაწარმოებლები ყველაზე მრავალფეროვნებით გამოიყენება საბავშვო პოეზიასა და პროზაში, ხელშესახებადაა წარმოდგენილი აგრეთვე თანამედროვე ქართულ მწერლობაში, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარი ვითარება არ დასტურდება, თუმცა მაინც გამოიკვეთა ერთი ენობრივი ტენდენცია — სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა ცდილობს გააფართოოს აკ-ის მოხმარების სფერო.

სამწერლობო ენაში გამოვლენილ ფორმებს, მათს თავისებურებებს, როგორც წესი, ასაზრდოებს შესაბამისი დიალექტები.

თუ სიტყვაწარმოების საერთო ზოგადი ყალიბის მიხედვით და სპეციფიკურობით დასავლური და აღმოსავლური, მთისა და ბარის კილოები აშკარად ავლენენ სხვაობას, ამას ვერ ვიტყვით გარდამავალი ზონის მოსაზღვრე დიალექტებზე. მაგალითად, ზემოიმერულის სოფლებში, რომლებიც ესაზღვრებიან რაჭას, საკმაოდ ხშირად გვხვდება **უკა, უნა**, სამაგიეროდ, განსხვავებით ქვემოიმერულისაგან, **ია** უფრო ნაკლებადაა, ვიდრე **ა**. ეს ფაქტი ქართლურის მოსაზღვრეობით უნდა იყოს შეპირობებული.

დასავლური დიალექტების **ია** დაბოლოებას (განსაკუთრებით საკუთარ სახელებში) აღმოსავლურში ცელის **ა** ან **უა** (შდრ. თამაზია — თამაზა; ვანოია — ვანუა..).

ფშაურისათვის სპეციფიკურად შეიძლება ჩაითვალოს **უნ, უნელა, უნცელა** (კარგუნელა, კარგუნცელა...), ჯავახურისათვის — მოფერებით-თხოვნითი ნაწილაკი **ლე** (ნინოლე), იმერულისათვის დამახასიათებელია აფიქსთა ვარიანტულობა — **ია, იე, ე, ი** (სამსონია, სამსონიე, სამსონე-სამსონიი), მთის კილოებისათვის — **ა**.

ამგვარად, როგორც სამწიგნობრო, ისე ცოცხალი მეტყველების

მიხედვით, საანალიზო ჯგუფის სახელთა წარმოებაში უხვად გამოყენდა მსგავსი თუ განსხვავებული ფორმები სათანადო ფუნქციების გამოსახატავად, რაც, თავის მხრივ, აღასტურებს ქართული ენის გამომსახველობითი ძალის მრავალფეროვან შესაძლებლობებს.

ლიტერატურა

1. ე. ბაბუნაშვილი — ანტონ კათალიკოსი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
2. ა. შანიძე — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
3. მ. სარჯველაძე — ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
4. ბ. ფოჩხუა — ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
5. არ. მარგიროსოვი, გრ. იმნაიშვილი — ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
6. ქ. ფეიქრიშვილი — მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთ., 1992.
7. ბ. ჯორბენაძე, ც. კვანტალიანი, მ. ბერიძე — ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
8. ბ. ჯორბენაძე — ქართული დიალექტოლოგია, 2, თბ., 1998.
9. ქ. ძოწენიძე — ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

3. ალერსობით-კნინობით სახელთა სადერივაციო აფიქსების ფუნქციები

წაკითხულია მოხსენებად XXV რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე 2005 წლის 30 ნოემბერს (იხ. სესიის მასალები).

თანამედროვე ქართულში (სამწერლობო ენასა და ცოცხალ მეტყველებაში) საანალიზო ჯგუფის აფიქსთა ფორმობრივ-ფუნქციური მრავალფეროვნება რეალური—ხელშესახები ფაქტია. თუ ძველი ქართულის დონეზე მათი რიცხვი ერთ ათეულსაც ვერ აღწევდა (და კონკრეტულად განსაზღვრული ფუნქციით გამოიყენებოდა), დღეს მათი რაოდენობის ესოდენი ზრდა (100-მდეა) უდავოდ შეპირობებული უნდა იყოს ახალ-ახალი სემანტიკური ფუნქციების წარმოჩენით და ამ ფუნქციათა გრამატიკული გაფორმების აუცილებლობით.

ჩვენი მასალების მიხედვით ზოგადად თუ ეიმსჯელებთ, ამ ფუნქციათაგან დღეს მაინც ძირითადი ჩანს მოფერება-ალერსის გამოხატვა, რაც თითქმის თანაბრად დასტურდება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებში. ასევე ხელშესახებადაა გამოკვეთილი ისეთი შემთხვევები, სადაც აფიქსი ვერ ანიჭებს სიტყვას კონკრეტულ სემანტიკას და ქცეულია იგი ნეიტრალურ ფორმათმაწარმოებელ მორფემოიდად, თუმცა ზოგ მათგანში შეიძლება ფამილარული ელფერიც იყოს შესამჩნევი.

სტრუქტურულად აფიქსები არაერთგვაროვანია: ზოგი მარტივია და ზოგი შეუღლებული... ზოგიც კიდევ მიღებული ჩანს ერთმანეთის ბგერწერის საფუძველზე (ნიადაგზე) და განსხვავებულ ვარიანტებს იძლევა სამწერლობო ენასა და დიალექტებშიც. გარდა ამისა, ცალკეული აფიქსით ნაწარმოებ სიტყვას შეიძლება ერთდროულად რამდენიმე სემანტიკური ელფერი აღმოაჩნდეს. მაგალითად, საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა მჭიდროდ უკავშირდება მოფერება-ალერსს და ა.შ. ამდენად, ზოგჯერ ძნელდება თითოეული აფიქსის ძირითადი ფუნქციის გამოკვეთა და მათი მიკუთვნება კონკრეტული სემანტიკური ჯგუფისათვის (ამ მხრივ არც სამეცნიერო ლიტერატურაშია ერთგვაროვნება). ამიტო-

მაც ჩვენს მასალებშიც გოგიერთი აფიქსი შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ფუნქციურ ჯგუფში იყოს განხილული.

ნაშრომში წარმოდგენილია საანალიზო მორფემოიდების შემდეგი ფუნქციები:

1) მოფერება-ალერსის გამოხატვა
2) საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა
3) დაცინვა-დამცირების, ირონიული ელფერის მინიჭება
4) მსგავსებისა და ნიშან-თვისების გამოხატვა
5) ნეიტრალური სემანტიკის სიტყვაწარმოება
6) საკუთარ სახელთა წარმოება.

§1. მოფერება-ალერსის გამოხატვა

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში სადერივაციო აფიქსთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მოფერება-ალერსის გამოხატვა. საგულისხმოა, რომ საალერსო სახელთა წარმოების უნარი დღეს ისეთმა აფიქსებმაც გამოამეღავნეს, რომლებიც ტრადიციულად სხვაგვარი სემანტიკური დატვირთვით გვეღინებოდა:

ანა: შე ყაჩაღანა... მენ გენაცვალე (გ. დოჩ., ქართ. ფ., 1988, სექტ.).

ელა: ცეროდენა ცუგრუშელა (მაჭავ., 34). ნაცარა ვარ ყურცქვიტელა (გურგ., 30); აბა დელა ზღაპარელა!... წითელქუდა ჭანჭიკელა (ჭიჭ., 161); რა ქნას კუჭმა კუჭმაჭელამ (ჭიჭ., 144); არ დავიჭერ, ჭიკჭიკელავ, მე იმ ბაეშვებს როდი ეგევარ (ჭიჭ., 1985, 148); ცივციველა წყალი მოგვაქვს პაწაწინა პეშვებით (ჭიჭ., 1985, 125); ჭოკელა, ჭოხელა (ტულ., გურ.).

იკო//იკონა: ჩემ ტაბილ ბებიკოსთან (მაყ. მრეელ., 38); ნუ უწყრები ბებიკონა (იქვე, 49); ლერიკონა ჩემზე უფროსია (მიშვ., ურჩი, 95); მამიკონა, მეც წამიყვანე (ბიჭუნა თავის ღედიკოს მიჰკეროდა) (მიშვ., 177); ელეფთერი იყო თავქეიფა, ლხინიკო, ღვინის ხაპია (ლეონ., ნატერ., 9); მოდის დათვი დანდალიკო (კერეს., 62); დაძმაკაცდნენ მამლაყინწა და მელიკო (შ. ნიშნ., 19); ვინ გაგორდა? — ლაშიკო (ქიტ., 34); ოლიკო, გივიკო, სოფიკო, თინიკო — ჩვენი მეგობრები არიან (ჭილ., I, 93).

უნა/იკუნა: გიორგ-უნა გაიყოლე (ჯაფარ. ტ.II, 349); დედუნა ერქვა გოგონას, მამუნა ერქვა ბიჭუნას (იხან., 295); კატუნა ორნაირია (მარტ., კახ., 57); მე რომ ენახე ზებრუნა, მის მაგივრად შემრცხვა (დი-

ლა, 1986, №9); ბალახები წაიყარეს კიტრუნებმა (შალამბ., 11); ორი კიჭი, კიჭუნა (ტაბატ., 6); ლახტი, ლახტუნა (ჭიჭ., 61.); თაგუნა დასეირნობს ქოლგით (ნიშნ., 7); ეს თაგუნები ძირსა მთხრიანო (დიალექტ. მესხ., 374); სიდედრუნა ასე ეფერებოდა სიძე (ტიკარ., 49).

იკ//იკა//იკელა: აქ საიდან გაჩნდი, ჩემო შარიკა (ლომიძე, 26) ლოლა, ლოლიკელა (ჭელ., 307); ტურიკელა მიიმალა (გურგ., 36); სად ეძინა, შურიკელა? (ჭიჭ., 6); შეაჩერა ზურიკელამ (გურგ., 21).

უკელა: გაიხარებს ჩემი ირმუკელა (ტიკარ., ცისკ. 1987, 1).
ცვარუკელაც, შენთვის დაექრი (ჭიჭ., 79); გიწვევთ მღარბსა ზღარბუკელას (ჭიჭ., 1985, 202); ბაჭუკელა (ბაჭუა) სკოლაში არის (დილა, 1989, №9).

უნ/უნელა: აქ ჩიტუნელა უნდა დამიძახო (გ. დოჩან., 464), კარგუნელა (=კარგი) (ჯორბ., დიალ. ფშ., 249).

უნცელა: რა კარგუნცელა რაიმ არი ჩემი ძაღლი (ცოცან., ფშ., 861, ჯორბ., დიალ. ფშ., 249).

ულა: ბაჭია ბუნჩულა და პაწია (ბერ., 80); ბონდო, გენაცვალოს დედულა (ნიშნ., 237); ბაბულია, ნუ ტეშინია (ელიოშ., 81); სკუპიამ ბაჭულის ხელი ჩასჭიდა (ტოგ., 125); იქვე იწვსენ ლეკეები: კეკულა და ცუნცულა (ჭილაშვ., 16).

უა: შენი დედუა გენაცვალოს (ჭეიშ., 29); ეაი შენ ჩემო ჩიტუა (იმსაიშ., ქართ., 130).

უკა: ბებუკას ტკბილო ბღაპარო, ბაბუკას გულის მალამო (დილა, 1988, №2); დედუკაჯ, ჩემო დედუკაჯ (კალანდ., 408); ბაბუკა დათუკას მოკელიდა (დიალექტ., რაჭ., 516); ფაცუკაჯ, შენ რო გეიზდები (აჭარ. ნოღ., 38); შელუკა, ძურუკა და წიწილა (წერეთ., 35).

უჩა//უჩელა: პაპა, პაპილო, პაპუჩა (მორფ. ლექს., 403); პაპუჩელა მიტიროდა მელორისა კარსა (დიალ., იმერ. თერჯ., 328); დათემა შეჭამა, დათუჩამ (ჭიჭ., 17).

უნია (უნიე): ჩემო გოჭუნია, ჩამომიგდეო (ჯაჯ., გურ., 51). დაინახა ეკუნიამ (ჭანტ., 18).

ილ/ილო/ილა: მე შიო მყაედა ჩემი ძმობილი' (ლეონ., 48); დედობილ უთქვია (ბერ., ჯავახ., 216); რა კალთა აქვს ბებილოს (კერეს., 17); შამილა, ძმაილა (ცოცან., ფშ., 86) პაპა, პაპილო, პაპუჩა (მორფ. ლექს., 403)...

ოია/ოლია: ჩიტოია, ჩიტოლია (მორფ. ლექს., 353).

ონა, ონიკო: მზეონას თოჯინები (ბერ., 5); მზეონიკომ დაინახა (ბერ., 25).

ია: ჩემს დაიას პაწაწინას (მრეველ., 43); რაფერ ხარ, ძამია (დიალექტ., გურ., 419); შოთაია, ძამია, ადე! (ჭანტ., 169); ჩემო პეტრიაჯ, ჩემო პაელევ (ლებან., ლიტ. საქ., 1988, 17/V).

მოფერება-ალერსის სემანტიკაა გამოხატული აგრეთვე ფორმებში:

გოგუცანა (მორფ. ლექს., 403); უნცროსა (ტექ.): ნიკუშა სერიოზული სახით შეაცქერდებოდა კაპიას (მიშვ., 1992, 79); ჩემო სიდედრუკონო (ტიკარ., 49).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა თუ დიალექტების მიხედვით მსგავსი მაგალითების დასახელება უხვად შეიძლება. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია საბავშვო მწერლობა. მაგრამ აქ წარმოდგენილი მაგალითებიც საჩინოს ხდის ჩვენს ენაში მოფერება-ალერსის სემანტიკის გამოხატვას მრავალფეროვანი აფიქსაციის გზით. ამის ნათელი დადასტურებაა ერთი და იმავე სახელის წარმოდგენა პარალელური ფორმებით (წარმოების მოდელი ერთია, აფიქსები — მრავალგვარი):

ჩიტი>ჩიტო, ჩიტუნია, ჩიტოია, ჩიტოლია, ჩიტუნელა.

დედა>დედიკო, დედულა, დედუა, დედუკა, დედუნა.

მამა>მამილო, მამაგულა, მამილა (ჯორბ., დიალ. 249; ცოცან., ფშ., 86), მამიკო, მამიკონა, მამუნა („აღე, მამა, მამილო, მამაგულა: ლეონ. 22).

დათვი>დათუნა, დათუნია, დათუჩა, დათუჩია, დათუკა.

ქართულ დიალექტებში, განსაკუთრებით მთის კილოებში, გამოიყენება საალერსო სემანტიკის ნანათესაობითარი მიმართვის ფორმები: დედაისი, მამაისი, ბიძაისი: წადიღა, ბიძაისი, წყალი გამამიტანე გაღმით (ქავთ., მოხ., 69).

მოფერებით გამოთქმებში გვხვდება ნანათესაობითარი წოდებითის ფორმებიც: ძმისავ, დედისავ: ნუ იტირებთ დიდიასავ, დედათქვენი მალე მუალის (ცოცან., ფშ., 87). მოფერებითი სემანტიკა ივარაუდება ამგვარ ფორმებშიც:

მა, რა გეგონა, შვილოსა (გოთუა. 370); არა, შვილოსან (ციციშ., 270); მე, ძმაოსან, მაგასთან ვიბრძოდი (ციციშვ., 16); ძაან ნუ იქაჩები, შვილონია (ს. ჭეიშვ., 86, 89, 90); ამოდი მაღლა, ძმისავ (ინან., 296); თქვენ იჩიელეთ, შვილოსა (აქვე, 176); აბა სანაცილე, აბა აქეთ გამოიხედე (აქვე, 98); ეს ვინ გიყიდა, ქალობავ, ეს ვინ მოგახვია ასე ლამაზად, დედობავ (ლიტ. საქ., 1987, I).

ჯავახურში მოფერებით-ალერსობითი სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება ლე სუფიქსი საკუთარ სახელებსა და ნათესაობის აღმნიშნელ ზოგიერთ საზოგადო სახელში. მაგალითად: ნინოლე, ვასილე, პაპალე, ძალოლე (ბერ., ჯავახ., 203).

გრ. ბერიძის დაკვირვებით, „ჯავახურში შემორჩენილია მო-

ფერებითობის ნაწილაკი ლე. ქართული კილოებიდან იგი მოეპოვება ქართლურს (აბალე, ისეელე), გურულს (ისეელე), ხევსურულს (აპალე აპა წაიღე), ზემოიმერულს (აპალე, აბალე). ადრე ლე კნინობითობის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო როგორც სახელისა, ისე ზმნისა. მის გამოთქმას უნდა ჰქონოდა თავისი ემოციური იერი და სპეციფიკური მნიშვნელობა. ენის შემდგომი განვითარების პერიოდში დაუკარგავს როგორც ერთი, ისე მეორე. დღეს კი გაქვავებული სახით შემოგვრჩენია რამდენიმე ფორმაში, ძირითად მიმართვის ფორმებში თხოვნა-მოფერებითობისთვისაა გამოყენებული".[3] აჭარულში ნათესაური ურთიერთობის აღმნიშველ საკუთარ სახელებთან ალერსობითი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება ულა სუფიქსი. მაგალითად:

დედულა, ნენულაი (=დედიკო, ბებიკო) (ნიე., აჭარ. 138). ამავე რიგის მოფერებითი მიმართვის სიტყვაა ბავშვებისადმი ტატულაც („ტატულავ, რომლისა ხარ, ბიჭო?" (ნიჭ., აჭარ., 138).

§2. საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა

თანამედროვე ქართულში საანალიზო აფიქსები ზოგჯერ საგანს წარმოგვიდგენენ შემცირებული ზომით (ე.ი. აღნიშნავენ ფიზიკურად პატარა საგანსა თუ პიროვნებას).

აჯ: დგას მშვენიერი სახლაჯი (კალანდ., 354); ქედებს ცელიდა გორაკები (გოთ., 291); მოათრევს თოფრაკს (შ. ნიმნ., 60); გლახაკი კი არა, ჯანმრთელი მეპურე იყო (გ. დოჩან., 136); ღილაკს მოძრაობაში მოჰყავს მანქანა (მათემატ., 63); სითხე გაიელის მილაკში (ქიმია, 18).

უკა: ხორცუკა (ერთი ნაჭერი ხორცი (ბ. ჯორბ., დიალექტ., რაჭ., 439); მელას შვილი მელუკა (ჭიჭ., 1985, 163); გადაშლილი ცნობარ-წიგნუკა შორს გასწია (რ. ჭეიშ., 316); საით გარბიხარ, წყალუკაჯ (კალანდ., (193); ერთ ამბავშია ღელუკა (შალამბ., 24).

უნა: ღერძზე დამაგრებულ კაცუნას მისწედა (მ. წოწკოლაური, ლიტ. საქ., 1988, 17/VI); აბა რა კაცი ხარ, კუჭი-კაცუნა (გ. ლეონ., ნატერ. 27); ყმაწვილმა პატარა შხეცუნა გაუშვა (მელაშვ., 76); ციცინომ ჩაფუნა დერეფანში მიდგა (ს. ჭეიშვ., 11); შემდეგში ასფალტნათხარ ქალაქუნად იქცა (ელიოზ., ქუთაისი, 1990, 25/V); ქვაბუნა[1] ქუდები მოიხადეს (ისან., 304).

ა: მინდორაჯ, ჩემო მინდორაჯ (მარტ., იმნ., კახ., 117); პატარა ძაღლი მოეწონა–ლეკაჯ: თავზე გახეევია თმების ბაწარა (ჭიჭ., 376); ბერიქა–

ლა ვითომც კიდევ ექიმბაშობდა (ლეონ., ნარკ., 23). ნახევარქათამა ქელარ ნახეს (მარტ., კახ., 96, 97).

უცა: დედები თავიანთ შვილებს... აბაზანაში ფეხუცებს ჩაბანენ (ლიტ. საქ., 1985, 30/VIII).

უჭ/უჭანა: ბარკუჭანა კედლიდან ჩამოხსნა (ჭილაშვ., 18) (=პატარა პარკი); (პარკუჭი (პატარა პარკი) (ფოჩხ., 13).

უჭა: კაუჭა (შდრ. კავი) (ფოჩხ., 136).

იკა: წიპლიკა (ძალიან გამხდარი), ჭიპლიკა (ტანმორჩილი) (ფოჩხ., 136).

იკალა: თოფიკალა (სათამაშო თოფი), ურიკალა (←ურმიკალა: სათამაშო ურემი): (ჯორბ., დიალ., რაჭ., 440).

ინა: დათვინა, ლეკვინა, ბაღვინა (ჯორბ., რაჭ., დიალ., 439).

იტა: ციცქიტა (პატარა მშვილდისარი), ჩიჩქიტა (სიმინდის პატარა ტარო) (ფოჩხ., 136).

ინა: ფიჯინა (უდროოდ დამაკებული დეკეული) (ჯორბ., დიალ., აჭარ., 569).

იცა: გორიცა (პატარა გოდორი) (ჯაჯ., გურ., 16).

ულა: ღინწკულა (ხმარებაში დალეული დანა) (ფოჩხ., 136); ყურძნისათვის პატარა გოდრულები და გოგროხებიც იწვნება. გოდრულა ნახევარ გოდორზე ნაკლებია. გოგროხა ისე პატარაა, რომ კრეფის დროს ხელში უჭირავთ. მას საკრეფელსაც ეძახიან (მარტ., კახ., 170).

ურა: წინდურა (უყელო წინდა) (ტუღ., გურ.).

ასევე საინტერესოა ფორმები:

ბიჭაჭუნა (მორფ. ლექს., 39); მოწვერა, ყვავილა, ჩაფა (ტუღ., გურ.); კარდალი დიდია, კარდალა — პატარიკა (ჯორბ., დიალ., რაჭ., 439); მინდორა, ბოსტანა, ხერხა (იქვე, 439-40); ბალღა[1] (ჯორბ., დიალ., ფშ. 249); ერთი ქვევრა[1] ღვინო მაქ (ჯორბ., დიალ., იმერ., 486); სიმიდა, ნაფოტა (ძოწ., 290).

საგანი შემცირებული ზომითაა წარმოდგენილი აგრეთვე შემდეგ ფორმებში:

მორჩილა კონა შეკონე (ძოწ., 124): მოზრდილა იყოს (იქვე); პატარა ჭურს ქვევრა[0] პქვია (დიალ., ზ. იმერ., 442); ურატა (=პატარა ურო: ფოჩხ., 136); პაწაწალა (=პაწაწა) (ნიკ., აჭრ., 138); ჩხიმალა (გამხდარი, მშვლე: ფოჩხ., 136); ამ წვრილალა ხეს ვიყავე მიყრდნობილი (ელიოზ., 77); კუდალა//კუდანა (ტუღ., გურ.), ერაწუნა (პატარა ქვაბი) (ჭინჭ., ხევს., 19); გააკეთა ბარულა (პატარა ბარი) და დაუწყო მიწას თხრა (მარტ., კახ., 117); ჯინურა-პატარა ჯინი (წნელისაგან მოწნული კალათი: მარტ., კახ., 117); წყალზე ორი კოკურა წაიღო (დიალ., კახ., 195); პატარა კოკას ეძახიან კოკურას, დიდს კი — კოკას (მარტ. კახ., 117); პატარა ნეკს ეწოდება ნეკურა თითი (მარტ. კახ., 117); ჯამუკა (ტუღ. გურ.), თუნგულა (ტუღ., გურ.); თუნგულა, ჩაფულა (ჯორბ., დიალ., იმერ., 486); ერთი ბოთლა ღვინო მაქ (მარტ., კახ., 117); ხელსულა ქაჭალა (იქვე); შორს მოჩანდა მოცუცქნული ქოხურა (ჭილაშ., 17).

§3. დაცინვა-დამცირების გამოხატვა

ტრადიციული ტერმინის „კნინობითის“ ფუნქცია დაცინვა-დამცირების გამოხატვაც იყო. თანამედროვე ქართულში საანალიზო აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები ამ სემანტიკითაც გვეელინებიან, ზოგჯერ კიღევ აშკარა დაცინვა-დამცირების პარალელურად ასახავენ ერთგვარ ირონიულ დამოკიდებულებასაც საგნებისა და მოვლენების მიმართ:

შე ცრუპენტელავ, შენა (გელოვ., 26); არც ისე ოტროველა ვარ (მიშვ., მოთხ., 227); ჩაჩლარტანა, ფეხუკა, ხარბულა (ხარბი), ღუნწალა (ძუნწი) (ტყლუშ., გურ.); შუაში ვირზე აღმდგარი „ხონთქარა“ გამოატარა (გოთ., 362); კარებში გამოჩნდა კოკობზიკა მეჩონგურე (ლეონ., ნატვრ., 91); ბავშვობაში მე ერთი წიწლიკანა ვიყავი (ჭილაშვ., I, 64); მამაჩემი ლატლაკუნა (არაფრის მქონე) გლეხი იყო (დიალ., კახ., 221); შენისთანა ლატლაკინა შვილსა მე ქალს არ მივათხუეფო (მარტ., კახ., 117); ყველა გლეხუჭებად მიაჩნდა (ციციშ., 182); გოგონა საყვარელი შტერუკანა იყო (გ. დოჩან., ქართ. ფილმ., 1989, სექტ.); ე ბიჭი შტერუკას ერთია (ფეიქრ., მესხ.); დიდი შტერიკელაა გოგიე (კუბლ., 121); შე ფარცატანავ, რა შეგიძლია, რო დღეები მოკლა? (ძიძ., მესხ., 58); ცრუჩინა, დუდრუჭანა, დუდრუხანა, დუდრუკანა (მორფ. ლექს., 402);

ბებრუხანა, ბებრუკანა (მორფ. ლექს., 404); ბებრუხუნა, ბებრუკუნა (იქვე); ბიჭუკა, ბიჭუკანა (ფორხ., 136); დამრჩა ბიჭუკელას ამარა (ჭანტ., 81);

ვაჭრუკანა//ვაჭრუკუნა (შდრ. ვაჭარი) (მორფ. ლექს., 389);

ვაჭრუკანებმა შეისყიდეს ვენახი (ლეონ., 16);

გეყავდა საბარელი ბელადები და ბელადუკებიც (ახკომი, 1989, 13/VI);

და უსახო მწერლუკას (ჭანტ., 97); გვრიტუკავ, კარგად დამიყდე ეგ ვირის ყურები (გ. დოჩან., მოთხ., 474); ვირიკელაცა ხარ და ჯორიკელაც (იხმარება ადამიანის მიმართ გადატანითი მნიშვნელობით (ჯორბ., დიალ., რაჭ., 440); ბოშუკელე (ჯორბ., დიალ., ლეჩხ., 511); რას დაეძებ? მსუქან დედალს, თუნდ ვარია-ვარიკელას ან ყვინჩილა-ყვინჩიკელას (ჭიჭ., 85).

-ია, -ელა, -იკელა და მისთ. ზოგჯერ სიტყვას ანიჭებენ აშკარა დაცინვა-დამცირების სემანტიკას საკუთარ სახელებთან გამოყენებისას. მსგავსი მაგალითები საკმაოდ ხშირია ზეპირ მეტყველებაში (დიალექტებში), შეიმჩნევა იგი სამწერლობო ენაშიც. მაგალითად:

სონიელა, გოგიელა (ჯორბ., დიალ. იმერ., 486); კოწიელა (ჯორბ., გურ. დიალ., 535); კოლიელა, გივიელა (ძოწ., ქვ. იმერ., 292); ბონდომ მოსამსახურე ლიზიკას თმებს ხელი უშვა (დ. შენგ., 9); შეს-

თან არ დამიძახებეს თინიას[7] (ჩიქოვ., 75): პეტრიკელა, ბიჭიკელა (ჯორბ., დიალ. იმერ., 486; რაჭ., 440).

საანალიზო მასალებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ თანამედროვე სამწერლობო ენაში დაცინვა-დამცირებითი სემანტიკის აღმნიშნელი სიტყვები შედარებით იშვიათია, მაგრამ ისინი ხელშესახებად დაჩნდებიან ზეპირ მეტყველებაში. საგულისხმოა ის გარემოება, რომ წინასაუკუნეებში ამგვარ სახელთა წარმოებას სოციალური დატვირთვაც ჰქონდა. თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს, აგრეთვე საპატივცემულო პირებს ზემოდასახელებული დამამცირებელი ფორმით არ იხსენიებდნენ, მაშინ როცა გლეხებისათვის იგი დასაშვები და საკმაოდ გავრცელებული იყო. შესაბამისად, XIX საუკუნის II ნახევრიდან ქართულ მწერლობაში შესამჩნევად იყო გამოელენილი კაკიელა, გოგიე და მისთანა ფორმები. ვ. თოფურიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „სწორედ დაჩაგრულთა კლასის წარმომადგენლები ატარებენ კნინობით სახელებს, რაც მარჯვედ არის გამოყენებული XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მასში მკაფიოდაა ასახული ენის კლასობრიობაც."[8] მაგალითად, ერთი მხრით იყო: დავით, ლევან, იასონ... მეორე მხრით: დათია//დათიელა// დათიკელაი, იასონაი//იასონე... სხვაობა გვარებშიც იჩენდა თავს: ჭყონია აზნაური იყო, ჭყონიელა — გლეხი (ჯორბ., დიალ., 535, 440).

მართალია, დღეს დავით და დათიკელა — პარალელური ფორმების გამოყენებას ოფიციალურად აღარ გააჩნია სოციალური საფუძველი, მაგრამ ტრადიციულად კიდევ შეიძლება შეგვხვდეს ისინი ემოციური ელფერის განსასხვავებლად და სტილისტური დანიშნულებითაც. მაგ., თუ ახლობელთა ფამილარულ წრეში შეიძლება მიმართება გურამია, ზურიკა და მისთ. ფორმით (და ეს იქნება ამ სიტუაციისათვის ნეიტრალური ელფერის სიტყვა), უცხო საზოგადოებაში მათი გამოყენება აშკარა დაცინვა-დამცირებითი სემანტიკით აღიქმება როგორც ადრესატის, ისე მსმენელთა მხრიდან. გარდა ამისა, ამგვარი ფორმებით გამოიხატება მთქმელის დამოკიდებულებაც ადრესატის მიმართ. ნიმუშისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე ფრაზას:

ო, გურამია, შენა ხარ, ბიჭო? რავა ხარ? სა დეიკარგე ამდენ ხანს?

ო, გურამ (ან: ბატონო გურამ//გურამ ბატონო), თქვენა ხართ?

როგორ ბრძანდებით?

გურამია, ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჩაიწყვიტე ხმა, თვარა მოგკლავ!

პირველ შემთხვევაში გურამია არაა დამამცირებელი მიმართვა, მეორეში გურამია შეუფერებელი ფორმაა. პიროვნება პატივსაცემია, მთქმელის მხრიდან დამცირება შეუძლებელია, პირიქით, იგრძნობა მოწიწება და პატივისცემა. მესამე მაგალითში გურამია დამამცირებელია. მთქმელი ადრესატის მიმართ როდი იჩენს მოწიწებას. პირიქით, გამოკვეთილად ამჟღავნებს, რომ იგი ადრესატზე მაღლა მდგომია (მასზე უფრო მეტი უფლება-ძალის მქონეა) და მისი დაცინვა-დამცირებაც შეუძლია. ამგვარი დიფერენცირება საკუთარ სახელთა ხმარებისას განსაკუთრებით შესამჩნევია დასავლურ კილოებში. აქ გურამია ტიპის ფორმებს მართლაც აკისრიათ საგანგებო სტილური დატვირთვა. რეალური სინამდვილიდან დავიმოწმებთ ერთ ასეთ ეპიზოდს: ერთხელ იმერეთის ერთ სოფელში ყურძენს კრეფდნენ უფროსები. პატარებიც ტრიალებდნენ ვენახში. „ქორა ბიძია (მართლაც დედის ძმა იყო), პატარა კალათა მათხოვე, ყურძენს მოვიტან“, — მიმართა 5 წლის ბიჭუნამ. ქორა ბიძიამ ათხოვა კალათა. ცოტა ხნის შემდეგ: „ქორა ბიძია, მათხოვე დანა, ყურძენს მეც მოვკრეფ“. ქორა ბიძიამ არ ათხოვა დანა, რომ წაიქცე, დანა საშიშიაო. ბავშვი გულმოსული მივიდა დედასთან და უთხრა: „ქორაიამ დანა არ მათხოვა“. ამგვარი შემთხვევები ძალიან ხშირია ზეპირ მეტყველებაში.

საანალიზო ჯგუფის ია სუფიქსიან სახელებთან დაკავშირებით საინტერესოა ქ. ლომთათიძის თვალსაზრისი. მეცნიერის დაკვირვებით, ია სუფიქსი სახელებსა და გვარებში მიღებული უნდა იყოს ინა დაბოლოების გამარტივების გზით (მამინა>მამია, დედინა>დედაინა>დედაია, პაპია, ბედია...). „ია სუფიქსიანი წარმოება (თავისი ნაირნაირობით) არსებითად კნინობითის შინაარსის მქონე არ უნდა ყოფილიყო. იგი ამოსავალში მსგავსობის, განკუთვნილობის ფუნქციის გამომხატველი გამოდის“... ჩნდება კითხვა — ხომ არ გვაქვს გარკვეული ერთიანობა იმ წარმოებასთან, როგორიც არის ნათესაობის ფუძეზე დაყრდნობილი საკუთარი სახელები (და გვარები) — ბედისა, მამისა. შდრ. გვარი მამისაშვილი და მისთანანი, რომელთაც ასევე გარკვეული ალერსობითი შინაარსიც ეგუება[9] (ხაზი ჩვენია — ე. ფ.).

§4. მსგავსებისა და ნიშან-თვისების გამოხატვა

საანალიზო ტექსტებში, განსაკუთრებით დიალექტებში, განსახილველი აფიქსები მსგავსებისა და ნიშან-თვისების აღმნიშვნელადაც გვეელინება, თუმცა იმავდროულად ზოგ შემთხვევაში ირონიული ან დაცინვა-დამცირების ელფერიც იავარაუდება:

გოგოჭუა//გოგოჩუა (ქალური ქცევის ვაჟი) (მორფ. ლექს. 356).
ქალაჭუა//ქალაჩუა//ქალაჩუნა (ქალური ქცევის ვაჟი) (მორფ. ლექს., 53).
ქროლა (=მოყავისფრო ჭრელი) ვარია (მორფ. ლექს., 355).
ქროლანა, გვერდანა (შდრ. გვერდი), კბილანა (მორფ. ლექს., 39); ყაჩალანა ძმებმა არ დაუყენეს არაფერი (ციცმ., 188); ბიჭორგანა (ბიჭური ქცევის გოგონა), გოგორგანა (ქალური ქცევის ბიჭი): „სირცხვილი ბილამაა, რომ ამხელა გოგო სულ ბიჭებთან თამაშობ. ნამდვილი ბიჭორგანაჲ ხარ“ (ფეიქრ., მესხ., 25); გოგო კაი ყაჩალანაა, თავ არავის დააჩაგრინებს (იქვე); ვენერაჲ თლა დედანაია (=დედის მსგავსი), ბიჭიც მამანაჲ გახდა (იქვე, 57); დედანა (=დედის მსგავსი) (მორფ. ლექს., 39); დედაილა (=დედის მსგავსი) (მორფ. ლექსიკ. 234); გურა პაპაილა ბიჭია და ტიმოთე შეარქვეს (ჭილაშვ., I, 4) მუდამ ბიმანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ღორმუცელა ეპისკოპოზები (ეამს., 375). ქინძარა (ქინძის მსგავსი სარეველა ბალახი (მორფ. ლექს., 44); ყრუალა (ყრუ), ყბაჩა/ყბაცა (ყბა) (მორფ. ლექს., 39); გოგორაჭი (გოგორა), გორგოლაჭი (გორგოლა) (იქვე); გონჯალაი (შდრ. გონჯი (ქავთ., მოხ., 69); ყურჭატა (ყურის მსგავსი სოკო (ფოჩხ., 136). ხოკერა (შდრ. ხოკი), ლოპერა (ლოპიანი) (ფოჩხ., 136). დიდითქვია ბიჭი (დიდითქვია =დიდი კაციეით რომ ლაპარაკობს) (ფეიქრ., მესხ.); ამიტომ დაურქმეეათ მთისათვის „საწველელა“ (ბერ., ჭავახ., 249); ფრენია ცხენი წაიყვანა (ბერ., ჯავახ., 83; დიალ. ჯავახ., 344); ტირია და წუსია (წერეთ., 11); ცმუკია ბავშვი ხარ (შალამბ., 24); ბუქნი, ბუქნი-ბუქნელა (კერეს., 48); ბაჯბაჯელა ხომ შეგარქვეს, ძლივს რომ ადგამ ფეხებს (ჭიჭ., 1985, 72); დროა, ყველამ ქაღალდის ჩიტს ქათქათელას დაეულოცოთ ლურჯი სივრცე (ჭიჭ., 1985, 12).
პიპლიკა/პიპლიცა (=1) პატარა ბავშვი; 2) მოზრდილი, რომელიც ბავშვივით იქცევა (ფეიქრ., მესხ., 65); კაპარჩხანა//კაპარჩხელა (კაპასი): ჩვენებს ისეთი კაპარჩხელა რძალი ჰყავთ, რო ხმას არაეის აღებინამს (ფეიქრ., მესხ., 52).

§5. ნეიტრალური სემანტიკის სიტყვაწარმოება

ტრადიციულად სამეცნიერო ლიტერატურაში ა, აკ, უნა- მიჩნე-

ულია ე.წ. კნინობითობის მაწარმოებლად, რომელიც საგანს შემცირებული ზომით წარმოგვიდგენს, მაგრამ თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით დიალექტებში, ამ აფიქსებით წარმოქმნილ სახელებში ამგვარი სემანტიკა არ ჩანს. მაგალითად:

ფოთლებზე პატარა გოგუცანები ჩამოსხდებოდნენ (ტოფ., 3); გაძვრა პაწაწინა ჩიტუნია (ინანიშვ., მოთხ. 80); შე პატარა ციცუნია (ძიძ., მესხ., 107); პატარუკა ესახლა (დიალ., რაჭ., 527); ცოტინა//ცოტინიკა (ჭინჭ., ხევს.); ცოტუნიკა//ცოტუნუკა (ჯორბ., დიალ., რაჭ., 440); პაწაწინა//პაწაწა (მორფ. ლექს., 253); პატარუნა ქალი ვარ (ცოც., ფშ., 86); ჩემი და პატარუკა ამხელუკა იყო (ჯორბ., დიალ., რაჭ. 439); პატარიკა კი იყო დათიკო (ცოც., 86); ერთუნა, ცოტუნა (დიალ., რაჭ., 527); პატარიკა კაცმა დიდი სიზმარი ნახაო (დიალ., ლეჩხ., 487); მოვხვეშვდით ხომე პატარიკას (დიალ., რაჭ., 517, 506). გოჭუნა ჭამს ძუძუს (ძოწ., 103); თიკნუკაების და ხბოუკაების მოელა მევალა (დიალ., რაჭ., 543); თიკნუკები ველარ ვნახე (დიალ., რაჭ., 541). მოურავის ჯორკაი[10] მოვიდა, პურს შჭამს (ქაეთ., მოხ., 69); პატარა ტოპრაკა პქონდა (მარტ., კას., 117); ყმაწვილმა პატარა მხეცუნა გაუშვა (მელაშვ., 76); ჭკუით როგორ მაჯობა ამ ნამცეცა თაგუნამ (ჭიჭ., 35).

სამეცნიერო ლიტერატურაში პაწაწინა, ცოტინა, მარტოკინა და მისთ. ფორმებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ისინი უპირატესად აღმოსავლურ დიალექტებში შეინიშნება სახელის კნინობითი ფორმის საწარმოებლად (იხ. „მორფემების ლექსიკონი“, გვ. 237...).

უნდა შევნიშნოთ: ა) თუკი კნინობითობის ქვეშ იგულისხმება საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა (და ასეა ტრადიციული გაგებით!), მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა: პაწაწა და პაწაწინა, მარტო//მარტოკა და მარტოკინა, ცოტა და ცოტუნა, ცოტუნიკა... უჩვენებს კი რაიმე სხვაობას შინაარსობლივად?

2) გარდა ამისა, თუკი ჩიტუნია, გოგუცანა, ციცუნია თავისთავად აფიქსებით გამოხატული ოდინდელი კნინობითის ფორმაა, მაშინ რატომ ასლავს მსაბღვრელად შემცირებული ზომის აღმნიშვნელი სიტყვები: პაწაწინა ჩიტუნია, პატარა გოგუცანები, პატარა მხეცუნა, ნამცეცა თაგუნა...

ან კიდევ: პატარუნა ქალი, პატარიკა კაცმა...

ვფიქრობთ, პაწაწინა ჩიტუნია-ს ტიპის შესიტყვებაში ჩიტუნია მოფერება-ალერსის გამომხატველია (და არა შემცირებული ზომისა), ხოლო მსაბღვრელს ეკისრება საგნის შემცირებული ზომით

წარმოდგენა, რაც გარკვეულად განსაზღვრავს მოფერებითი სემანტიკის ელფერსაც. პაწაწა-პაწაწინა, მარტო-მარტოკინა... ტიპის ფორმებში საქმე გვაქვს ნეიტრალური სემანტიკის ფორმათწარმოებასთან (სადაც აფიქსებს დაკარგული აქვთ თავდაპირველი კონკრეტული ფუნქცია), რაც განსაკუთრებით მასშტაბურად წარმოდგენილია დიალექტებში (მაგ., რაჭულში, მთის კილოებში).

ასეთებად მიგვაჩნია აგრეთვე:

სკამუკა, ქოხუკა, ცხვარუკა, ქალუკა, დღეუკა[11] (ჯორბ., დიალ., რაჭ., 439); ჩვენ ვიყავით ცოლ-ქმარაი (იქვე); ქუდუნა (ჯორბ., იქვე); თივალაი, ბუშუნა (ქავთ., მოხ., 69); მაღლა ჭრიჭინობელა აჭრიჭინდა (მიშვ. მოთხ., 186); ცური მოჰქონდა ძროხუკას (მ. ლებან., 619); ქალო, ერწამალაჲ ღომინაჲ (სიმინდის ღერღილისაგან დამზადებული ღომი) ჩეგეშუშვებია ბარემ (ნიე., აჭრ., 139). ქალამ თავი დაიმარხა (ქავთ., მოხ., 67); პურა შაეჭამათ; ცხენას ეჭედავდი (იქვე).

ქალაი, სკამაი, ნაბადაი (ჯორბ., დიალ., მთიულ. 286); ბაღლაუჭები შავიკრიბენით (მარტ., კახ., 117); ბაღლაუჭა//ბაღლაუჭი (ჯორბ., დიალ., კახ., 333).

დამიგო ცეცხლა პირა (ძოწ., 85); ველა მიწა (შდრ. ველი), მესერა (შდრ. მესერი) (ტუღ., გურ.); ტიტველა კაცი, ჩარექა ღვინო, ცარიელა[12] პური (ჯორბ., დიალ., ქართლ., 310).

დღეს ქართული ენა (განსაკუთრებით დიალექტები) საანალიზო ჯგუფის სახელთა წარმოების თვალსაზრისით ისეთ ფორმობრივ მრავალფეროვნებას უჩვენებს, რომ ზოგჯერ ძნელდება სემანტიკური კვალიფიკაცია, რამდენადაც მათში დაჩრდილულია კონკრეტული შინაარსი, წარმომაელობა სიტყვისა და აფიქსისა.

კოკროჭინა (შდრ. კოკორი), დონდლოჩინა (შდრ. დონდლო) (მორფ. ლექს., 354); ჭინკოტი (=თონიდან პურის ამოსაღები კაკვიანი შამფური რკინისა (იქვე); წვეროკინა, წოწლოკინა (იქვე); წუხან ხის წვეროკინები (კერეს., 37).

ქერეჭი (ქერქეჭი), ქერაჭი (ინგილ.); ქერეჭო (ზ. იმერ.), ქერქეჭანა (შდრ. ქერქი).

ქერქეჭინა (მორფ. ლექს., 159); ქერეჭინა „ჩვენი ბაბოჲ ერთი ქერეჭინა (=გამხდარი, პატარა) ქალია“ (ფეიქრ., მესხ., 78).

ღოჯულაი (შდრ. ეშვი, ღოჯი) (ჯორბ., დიალ., აჭარ., 568).

კაკუტი (სიმინდის საფშენელი ხელკავი ჯოხი, კაკვის მსგავსი) (ჯორბ., მორფ. ლექს., 402).

კაკუჩა//კაკუჩელა (=1) კაკვიანი ჯოხი, 2) სიმინდის საფშენელი) (ფეიქრ. მესხ., 52); კაკუჩა კინა გამოდეა ამ პარახოთს (ნოღ., აჭარ., 125).

კამეკი (=კამათი) (ფეიქრ.. მესხ., 52).
ხაპუტა (=გადაჭრილი და ამოსუფთავებული ხაპი) (ფოჩხ., 136).
ჯირკუტანა (<შდრ. ჯირკეი) (მორფ. ლექს., 402); ჭრუტი (=ნაპრალი. ჭუჭრუტანა) (შდრ. (ჭრის, ჭრილი) (მორფ. ლექსიკ., 402).
ჯუჯუტანა (შდრ. ჭუჭრუტანა, ჭვრეტს) (ფეიქრ., მესხ.).
ჭვარჭვალიტა (შდრ. ჭვარჭვალი) (მორფ. ლექს., 248).
ეშმაკუნა//ეშმაკი(←ეშმა) (მორფ. ლექს., 27).
კოპიჭი (შდრ. კოპი), კინწიხი (შდრ. კინწი), კინწირა (შდრ. კინწი) (მორფ. ლექს., 253).
კინჭუხი (წეერი, კენწერო-ფშავში გვხვდება) (მორფ. ლექს., 404).
ორტოტია გზასან რო მივიდა (ჯაჯ., გურ., 42).

§6. საკუთარ სახელთა წარმოება

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ქართულში საანალიზო აფიქსები სიტყვას ყოველთვის როდი ანიჭებენ კონკრეტულ სემანტიკას. ასეთ შემთხვევაში აფიქსი მხოლოდ ფორმობრივ მაწარმოებელ ელემენტად გვევლინება. ამ მხრივ მრავალფეროვნებით დაჩნდებიან საკუთარი სახელები, რომელთაც ფამილარული ელფერი ახლავს:

კაკოია გაგნიძე მხოლოდ პრემიერაზე დადის (გ. დოჩან., 214). ეს ის დრო იყო, სოსოია[13] რომ მოკედა (რ. ჭეიშვ., 157); ჯალოია (ვალიკო) ჩამოსულა სოფელში (ფეიქრ., მესხ.); ძმას პაპუა ერქვა (დიალ. მ.იმერ., 461); სერგუნიკა აქანა იყო (დიალ., რაჭ., 538); ჩაჩუმდა მარიამულა (ცხოველის სახელია) (კალანდ., 422); მის ქმარს სანდრიკა ჰქვია (ტიკარ., 50); ივანიკა ბურჭულაძე (ჯაჯ., გურ., 10); ჩვენი სანდრუა[14] უნდა დაგვეხიმშა (ინანიშ., მოთხ., 147).

გეპირსა თუ წერითს მეტყველებაში განსაკუთრებით ხშირია სიმონა (შდრ. სიმონი) ტიპის სახელები. დავიმოწმებთ ორიოდე ნიმუშს:

ვასილა, სიმონა, მოდით აქ! (ძოწ., მ. იმერ., 57); ილარიონა ერქომაიშვილი და ელცაბედა ყოფილიყვნენ (ჯაჯ., გურ., 10); ტარიელა ყრუუ! (დიალ., რაჭ., 543);

ა. შანიძის დაკვირვებით, ა სუფიქსი უფრო ფართოდ არის გავრცელებული მთის დიალექტებში (ფშაურში, მოხეურში...) როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან, თანამედროვე გეპირ მეტყველებაში (და შესაბამისად დიალექტებში) კი ა-ს მოხმარების სფერო საკუთარ სახელებთან გაცილებით ფართოა, ვიდრე საზოგადო სახელებში. აქ ა-ს ფუნქციის ზუსტი განსაზღვრა ადვი-

ლად არ ხერხდება ყოველთვის. თუ დედოფალი—დედოფალა, კაცი—კაცა წყვილში ამკარაა დაპირისპირება სიდიდის (ზომის მიხედვით, სიმონი—სიმონა ფორმებში ამგვარი რამ არ ხდება. ზოგი ა სუფიქსიანი ფორმა ქართული ენის ბუნებრივ ქსოვილს შეერწყა და სრულიადაც არ იგრძნობა, რომ აქ ოდინდელ კნინობითობასთან გვაქვს საქმე. მაგალითად: არსენი—არსენა, ბეჟანი—ბეჟანა... აბსოლუტურად იდენტური სემანტიკით აღიქმება. თითქოს ამათგან განსხვავებულია ე.წ. როლანდა ტიპის საკუთარი სახელები, რომლებიც შედარებით ახალი წარმოქმნილი ჩანს, მაგრამ წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში არც თუ იშვიათად გვევლინება:

არსენას ბეჭება **როლანდა** (მიშვ., მოთხ., 7); **თამაზა** მესხი ესტუმრა (ჯაფარ; მძიმე ჯვ., 107); ვინ არის მანდ ნიკოლოზა? (იქვე).

ამგვარი ა სუფიქსიანი სახელები ძირითადად დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის, სადაც ა სუფიქსს ზოგჯერ ერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი ან ჲ (თამაზაი, როლანდაი, ნიკოლოზაი...), მაშინ როცა დასავლურში ისინი მეტწილად ია დაბოლოებით გვხვდებიან: **კარპეზიას** ახლა ჩოუვარდა ენა პირში (ძოწ., ზ. იმერ., 214); **სამსონია, ქეთოია** (ძოწ., უხუთ., 290); **გრიშაია, ალექსია, თოთარია** (ძიძ., ძიებ. ლეჩხ., 180).

იმერულში, გურულსა და აგრეთვე ლეჩხუმურში ია-თი ნაწარმოები საკუთარი სახელები ხშირად ფონეტიკურად სახეცვლილია: გოგია-გოგიე>გოგიი. ეს მოელენა აიხსნება სრული ასიმილაციით. მაგალითად:

გოგიე მეპურე (დიალ., გურ., 420); **იასონე, ტარიელე, სოლომანე** (ძიძ., ძიებ. ლეჩხ., 179). **ნუცაიეს** უთხრობია (ძოწ., უხუთ., 291); **ბიქტორიი** სულ მამის პეტერეობის სურათია (დიალ., იმერ., 467). **ფილიპიი** რაგმაძის ბრიგადები (ძოწ., უხუთ. 292).

ქართლურში დადასტურებულია ფორმები: პაპია, პაპიაჩემი (=პაპა, პაპაჩემი) (იმნაიშ., ქართლ., 230). ამ შემთხვევაშიც ია დაცლილია კონკრეტული ფუნქციისაგან. ქართლურში ია-ს გაჩენა აღნიშნულ ფორმაში შეიძლება გამოწვეული იყოს ბებია, ბიძია... სიტყვათა ანალოგიით.

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით მთის კილოებში და ნაწილობრივ საბავშვო პოეზიასა და პროზაში, შესამჩნევია ერთი ენობრივი ტენდენციაც: საანალიზო მორფემოიდები ზოგჯერ

წარმოქმნილ სახელებს ახალ სემანტიკურ მნიშვნელობას ვერ ანიჭებენ, მაგრამ საზოგადო სახელთაგან (ან სხვა მეტყველების ნაწილებისაგან) საკუთარი სახელის მიღების საშუალებად გვევლინებიან:

ყუფია მორბოდა (ჭილაშ., 25). დათვია, ხედავ, კიდეც დაღამდა (ჩიქოვ., 17); სკუპიამ სასწორთან მიიყვანა ბაჭია (ტოგ., 185); ამ ძაღლს შგელია ჰქვია (ფეიქრ., მესხ.); ბოჩელას ვეძახდი ჭუჭნიას (ინანიშ., 14);

§7. ცალკეული სემანტიკური ნიუანსები

საანალიზო აფიქსები უმრავლეს შემთხვევაში სიტყვას გარკვეულ სემანტიკურ შინაარსს ანიჭებენ და ამის მიხედვით გამოიყოფა აფიქსთა ფუნქციები, მაგრამ ზოგიერთი აფიქსი სხვადასხვა დიალექტში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობის გამომხატველადაც მოგვევლინოს. მაგალითად:

1) ა სუფიქსს რიცხვით სახელებთან დამატებით უვითარდება მხოლოობის მნიშვნელობა: „ერთაი მიზის ასული“ (ვეფხისტყ.) ერთაი=მხოლოდ ერთადერთი (ბ. ჯორბ.). ამ დანიშნულებით ა ჩვეულებრივია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში: ერთაი ძროხაი (ჯორბ., დიალ., 286); ორანი (მხოლოდ ორი) კაცანი ვართ (მორფ. ლექსიკ., 16).

2) ა, აკ სუფიქსები სიტყვას ანიჭებს ახალ მნიშვნელობას,

გონჯ-ა — ავადმყოფი (შდრ. გონჯი=ცუდი) (ტუღ., გურ.).

ყრუ-ა — ვისაც ცოტათი აკლია ყურს (ტუღ., გურ.).

ღილ-აკ-ი — ელექტროდენის ჩამრთველი (თითის დასაჭერი მოწყობილობა), ელექტროზარის ღილაკი (ქეგლ).

შდრ. ღილი — ფირფიტა ტანსაცმლის შესაკრავად (ქეგლ).

წიგნ-აკ-ი — 1) პატარა წიგნი, ბროშურა

2) პატარა წიგნის სახის ზოგი საბუთი: საწევრო წიგნაკი, შემნახველი სალაროს წიგნაკი (ქეგლ).

შდრ. წიგნი.

3) სამეცნიერო ლიტერატურაში მიაჩნიათ, რომ ოღ და ოხ აფიქსების ფუნქცია დაბნელებულია. ოღა (ოღ+ა) არაპროდუქტიულია, დასტურდება ჭროღა-ში, ოხ სუფიქსის პოვნიერება ივარაუდება სიტყვებში: გოროხი (შდრ. გორი), კორტოხი (კორდ-ოხ-ი შდრ.

კორდი) (ბ. ჯორბ., მორფ. ლექსიკ., 357). ოხ სუფიქსი უნდა გამოიყოს კახურში დადასტურებულ გოგოროხა-შიც. რაც ნიშნავს სულ პატარა გოდორს: „გოდრულები და გოგოროხებიც იწვნება (მარტ., კახ., 117).

4) ელა სუფიქსით გამოხატულია დანიშნულება:

საგველა =1) გრძელ ჯოხზე მიმაგრებული ნაჭერი (ჩვარი) ფურნის გამოსაწმენდად (მარტ., კახ., 117; ფეიქრ. მესხ., 68); 2) ქასრა ბალახი (ფეიქრ., მესხ., 68)

შდრ. დაგვა, გვის.

სარეკელა ჯოხი =ხილის დასაბერტყი გრძელი ჯოხი (ფეიქრ., მესხ.).

შდრ. დარეკვა, რეკავს.

სარეცხელა (ჭურის სარეცხელა) =გრძელტარიანი სპეციალური მსხვილი ჯოხი, რომელზედაც ბოლოში დამაგრებულია ჭურის გასარეცხად ხის ქერქისაგან გაკეთებული დასტა (ფეიქრ., მესხ.).

შდრ. რეცხვა.

5) ფორმობრივ-სემანტიკური თვალსაზრისით საინტერესო ჩვენებას იძლევა უჭ სუფიქსი. თანამედროვე ქართულში უჭ არაა პროდუქტიული მაწარმოებელი. მისი პოვნიერება სალიტერატურო ენაში მხოლოდ რამდენიმე სიტყვითაა შემოფარგლული: თაფლუჭი, კაუჭი//კაუჭა, ნაჭუჭი, პარკუჭი, ტყაპუჭი. ჩვენი მასალებიდან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ბაღლაუჭი, გლეხუჭა, კაკუჭი, კაკუჭელა.

ღვინო სასმელად თაფლუჭზე უმჯობესია (გოთ., 391); ყველა გლეხუჭებად მიაჩნდა (ციციშვ., 182); ბაღლაუჭები შავიკრიბენით (მარტ. კახ., 117); კაუჭა (შდრ. კავი) (ფოჩხ., 136); ამ ტოტისაგან კაი კაკუჭი ჯოხი გაკეთდება (ფეიქრ., მესხ.); ჩვენი კაკუჭელა ქრისტინესთანაა და მოიტანე (ფეიქრ., მესხ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში უჭ სუფიქსის ორი ფუნქციაა დასახელებული. იგი აწარმოებს 1) ნიშან-თვისების გამომხატველ არსებით სახელებს (თაფლუჭი—თაფლისაგან მომზადებული მათრობელა სასმელი) და 2) არსებითი სახელის კნინობით ფორმას (პარკუჭი. შდრ. პარკი).[15]

ჩვენ მიერ დამოწმებულ მაგალითებში უჭ ზემოაღნიშნული ორი ფუნქციის გარდა გამოხატავს აშკარა დაცინვა-დამცირებას (გლეხუჭა), თვისებასთან ერთად მიუთითებს სახელის დანიშნუ-

ლებაზეც (კაუჭი, კაკუჭი — კაკვიანი ჯოხი, რომლითაც რაიმეს გაღმოწევა შეიძლება) და აგრეთვე სიტყვას გარკვეულად საალერსო ელფერსაც ანიჭებს (ბაღლაუჭები).

სპეციალისტთა აზრით, „შესაძლოა უჭ მიღებული იყოს ბგერწერის საფუძველზე (შდრ. უკ, უტ: მორფ. ლექს., 403). მართლაც, თუ გავითვალისწინებთ დიალექტურ ფორმებს, ამგვარი ფონეტიკური ბგერათცვლილება შესაძლებელია. მაგალითად, კაუჭი სიტყვა დიალექტებში გვსვდება კაკუჭი, კაკუჭა, კაკუჭელა, კაკუჩი; კაკუჩა, კაკუჩელა, კაკუტი ვარიანტებით:

კაკუჩა კინა გამოდვა ამ პარახოთ (ნოღ., აჭარ., 125); კაკუტი არის სიმინდის საფშვნელი კაკვის მსგავსი ხელკაეი ჯოხი (მორფ. ლექს., 402); კაკუჩა (კაკუჩელა) შოღუნული კეტია სიმინდის დასაფშვნელი (ფეიქრ., მესხ., 51).

უჭ დაბოლოების ფონეტიკური ცვლილებით მიღება რომ სავარაუდოა, ამას გვაფიქრებინებს მესხურში მარყუჭი სიტყვის არსებობაც. ამოსავალი მარყუკი (=ორწვერად შეკრული ნასკვი: ქეგლ) აქ მარყუჭი და მარყუჯი ფორმას იღებს (მარყუჭი ნა გაუკეთო, რო ადვილათ გახსნა: ფეიქრ., მესხ.) ამ უკანასკნელის ფონეტიკური ვარიანტებია: მარტყოჯი//მარტყოჯა („ბაწარი გავკვანჭე მარტყოჯათ და შიგ გავატარე ხე“: ფეიქრ., მესხ., 57).

მარყუჭი სიტყვაში ძნელი სათქმელია -უჭ (<უკ) აფიქსია თუ ძირეული, რამდენადაც არ ხერხდება ამოსავალი ძირის გამოყოფა (შდრ. გლეხუჭა—გლეხი). მარყუკი არაა დადასტურებული ძველი ქართულის ლექსიკონებში, საბას „სიტყვის კონაში“ კი დამოწმებულია თანამედროვე გაგებით.

§8. წარმოქმნილ სახელთა თავისებური ფორმები

თანამედროვე ქართულის სამწერლობო და დიალექტურ მასალათა შესწავლამ ნათელყო, რომ საანალიზო აფიქსთა ფუნქციური დატვირთვა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ზოგი მათგანი მეტად პროდუქტიულია, ზოგიც მხოლოდ თითო-ოროლა ნიმუშით დასტურდება. სამწერლობო ენაში აფიქსების გამოყენება გარკვეულად განსაზღვრულია მწერლობის ჟანრითაც. მაგ., საბავშვო პროზასა და პოეზიაში უხვადაა წარმოჩენილი ელა, უნა, უნია, ია, იკო, ა სუფიქსები (მეტწილად მოფერება-ალერსის ფუნქციით), რომ-

ლებიც თითქმის ყველა მეტყველების ნაწილისაგან აწარმოებენ ახალ-ახალ ფორმებს: კერკეტი—კერკეტელა, რატომ—რატომელა, ფრენს—ფრენია...

ბოლჯერ ფორმათა წარმოება აშკარა ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვერ თავსდება ქართული ენის ბუნებრივი წარმოების საერთო ყალიბში. მაგალითად:

1. თამო, თამო, თამუნია,

როცა მოვა მამუნია, ატირდება თამუნია... ამუნიას ძლიერ უყვარს საჭმელების ჭამუნია (შალამბ., 6).

2) ფოუნ-დოუნ-დიდ-ულა/ნუ იქნები დიდგულა/შენ ხომ არ აგიზიდავს/ეს ქედები კიდულა, /მდინარე ბეირთულა,/ ცისარტყელა შეილდ'ულა/ ვისთან დიდი იქნები,/ ვისთან ციდა-ციდ-ულა (კერეს., 72).

3) კახუნია კარახუნამ/დაახვაეა ხარახურა (წერ., 16).

4) კატუნა კატუნჭილაო/თაგუნა დაგეჭირაო (ჩარკვ., 19).

5) დადის მარტო ფეხდგომელა/ერთი კაცი შარდომელა/შარდომელა შარიანი (კერეს., 66)

6) კიკნა ელამ რატომელამ/შეგვაწუხა მართლა ყველა (ჩხეტ., 12).

7) კერკეტელა კაკალი (ფეიქრ., მესხ.).

8) ასე უთხრეს კუკუნას (=კუს), რაღას მოდიოდი (დილა, 1986, №3)

9) გააღვიძეს ბეჭუნა (=ბეჭემოტი) (დილა, 1986, №9).

ამგვარი ხელოვნური ფორმების სიჭარბე საბავშვო პოეზიაში შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას პოეტური ენის სპეციფიკურობითაც, მაგრამ, რადგან საბავშვო პროზაც თითქმის პოეზიის თანაბრად ავლენს წარმოების მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს, ცხადია, მაინც გადამწყვეტი ყოფილა მწერლობის ქანრი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ საანალიზო აფიქსთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევა ჟურნალ „დილაში“ გამოქვეყნებული მოთხრობები და ლექსები, სადაც აფიქსებისათვის ძირითადია მოფერება-ალერსის გამოხატვა.

საზოგადოდ, სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საბავშვო მწერლობა მეტ თავისუფლებას იჩენს, რაც ყოველთვის არ უნდა იყოს გამართლებული.

ზოგადი დასკვნები

განხილული ჯგუფის აფიქსთა ფორმობრივი და ფუნქციური მრავალფეროვნება თანამედროვე ქართულში ხელშესახები ფაქტია. ამ მხრივ მაინც განსაკუთრებით საყურადღებოა დიალექტების (ზეპირი მეტყველების) ჩვენება. მართალია, ზოგი აფიქსი არაა პროდუქტიული (თითო-ოროლა სიტყვაში დასტურდება), მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის წარმოების საერთო ზოგადი სურათის საჩვენებლად მათაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ.

აფიქსთა მოხმარების თვალსაზრისით თვით დიალექტებიც არ არიან ერთგვაროვანი. მაგალითად, დასავლურ კილოებში უფრო გამოკვეთილია **ელა, იკო, იკა, ია, იკელა** (თავისი ფონეტიკური ვარიანტებით: **იე, ე, ია**), აღმოსავლურში კი, განსაკუთრებით მთის კილოებში, **-ა**; რაჭულისათვის ნიშანდობლივია **უკა, უნა,** ინა აფიქსთა სიუხვე.

სამწერლობო ქართულში საანალიზო ჯგუფის სახელები ყველაზე მრავალფეროვნებით დაჩნდება საბავშვო პოეზიასა და პროზაში, ხელშესახებადაა წარმოდგენილი აგრეთვე თანამედროვე ქართულ მწერლობაში, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარი ვითარება არ დასტურდება, თუმცა მაინც გამოიკვეთა ერთი ენობრივი ტენდენცია — სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა ცდილობს გააფართოოს აკ-ის მოხმარების სფერო.

სამწერლობო ენაში დადასტურებულ ფორმებს და, საერთოდ, წარმოების თავისებურებებს, როგორც წესი, ასაზრდოებს შესაბამისი დიალექტები. მაგალითად, რ. მიშველაძის, ნ. დუმბაძის, რ. ჭეიშვილისა და სხვათა პროზაშიც დასავლური დიალექტების მსგავსად ნიშანდობლივია **ია** დაბოლოების სიჭარბე, თუმცა, ცხადია, არ გამოირიცხება მწერლის ინდივიდუალური სტილიც.

მრავალფეროვანია საანალიზო აფიქსთა ფუნქციური დატვირთვაც. თუ ტრადიციულად ამ ჯგუფის აფიქსთა ერთადერთი ფუნქცია იყო საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა, თანამედროვე ქართულში წინა პლანზე წამოიწია მოფერება-ალერსის სემანტიკამ. გარდა ამისა, ამავე აფიქსებით შეიძლება სახელებმა

შეიძინონ დაცინვა-დამცირებით-ირონიული ელფერი; ზოგჯერ კიდევ საჩინოა მსგავსება-ნიშან-თვისებაზე მითითება. საკითხის გამოწვლილვითმა ანალიზმა გამოკვეთა აგრეთვე ამ აფიქსთა ფუნქცია ნეიტრალურ სიტყვაწარმოებაში.

რაც შეეხება ოდინდელ კნინობითობის ფუნქციას, მეტ-ნაკლებად მაინცაა იგი შენარჩუნებული, თუმცა ზოგჯერ ჭირს კიდეც ამ ფუნქციათა დიფერენცირება..

საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა უშუალო კავშირშია მოფერება-ალერსის სემანტიკასთან. როგორც სამართლიანად მიუთითებდა ბ. ფოჩხუა, კნინობითობის შინაარსი იძლევა საფუძველს — მცირე მოცულობის საგნებს მივცეთ როგორც მოფერება-ალერსის, ისე დაცინვა-დამცირების ელფერი. სწორედ ამიტომაა ერთი და იგივე აფიქსი ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის მატარებელი[6]. მაგალითად, ანა გამოხატავს ე.წ. კნინობითობას, მსგავსებას, თვისებას, აწარმოებს თამაშობათა სახელებს (ომობანა)... არა აწარმოებს: კნინობითობას, მსგავსებას (ბ. ჯორბ., მორფ. ლექსიკ., 53-59) და ა.შ. ამის გამოა, რომ ზოგჯერ კიდეც ჭირს აფიქსის ფუნქციის ზუსტი განსაზღვრა. ასეთ ვითარებაში სემანტიკა უნდა განსაზღვროს წინადადების საერთო კონტექსტმა და სიტუაციამ (მაგ. დოდოია—ფამილ. მიმართვის დროს და დოდოია-დამცირებითი მნიშვნელობით).

დასავლური დიალექტების ია დაბოლოებას (განსაკუთრებით საკუთარ სახელებში) აღმოსავლურში ცვლის ა ან უა: შდრ. თამაზია-თამაზა; ვანოია, ქეთოია—ვანუა, ქეთუა...

დიალექტები სხვაობას ავლენენ არა მხოლოდ ფუნქციური განაწილების მიხედვით, არამედ მათი სახეობების პროდუქტიულობითა და ფორმობრივი ვარიანტულობით. მაგალითად, ფშაურისათვის შეიძლება სპეციფიკურად ჩაითვალოს უნ, უნელა, უნცელა (კარგუნელა, კარგუნცელა...), რაჭულისათვის — უკა, იკა, იკუნა; ჯავახურისათვის — მოფერებით-თხოვნითი ნაწილაკი ლე (ნინოლე, პაპალე...); იმერულისათვის — ია, იკია, იე, ი (გურამია, გოჭუნია, გოჭუნიე; ბიჭიკია, დათიკია; სამსონია—სამსონიე—სამსონე-სამსონიი; ჩუმათეი—ჩუმათე, ტყულათეი—ტყულათე); მთის კილოებისათვის — ა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ერთი და იმავე სემანტიკის

ვამოსახატავად დიალექტები მასალობრივად განსხვავებულ აუიქსებსაც იყენებენ. შესაბამისად, ვვეძლევა პარალელური ფორმები:

1. ჯორიცა — პატარა ჯოდორი (ჯავ., გურ., 16).

ჯოდრულა — „-“ (მარტ. კახ., 170).

ჯოგროსა — „-“ (მარტ. კახ., 170).

2. მარტოკა ვერას გავხდებოდი (დიალ., ქიზიყ., 2/3; მარტ., კახ., 117).

მარტოკინას უნდოდა საომრად გასულიყო (მარტ., კახ., 130; ფეიქრ., მესხ., 57).

მარტოკანა არ გაბეზრდი სიარულით? (ჯავახ., დიალ., 344).

მარტოკენა გაელა გლეხის ქალს არ შეეძლო (დიალ., ჯავახ., 354).

მარტვანა ის აფრაა დარჩენილი (ძიძიგ., იმერ., 315).

მარტვე იყო სახში (დიალ., ლეჩხ., 485; დიალ., იმერ., 467).

მარტვა ერთი მამალი დარჩა (დიალ., რაჭ., 504).

3. დედიკო // დედილო // დედიკონა // დედულა (ნიმნ., 237) // დედულაჲ (ნიქ., აჭარ., 138) დედუა (ჭეიშ.) // დედუკა (კალანდ., 408).

4. ბებე (დიალ., ჯავახ., 346)//ბებეი (ბერ., ჯავახ., 215) // ბებია // ბებო // ბებიკო // ბებილო // ბებუკა // ბებერაჩემი (ბერ., ჯავახ., 352) //ბაბოჲ (დიალ., აჭარ., 398)//ნენულაჲ (ნიქ., აჭარ.).

ამგვარი პარალელური ფორმების არსებობა მიუთითებს ცოცხალი მეტყველების მრავალფეროვან ენობრივ შესაძლებლობებზე, ქართული ენის უდიდეს გამომსახველობითს ძალაზე.

შემოკლებათა განმარტება

ბერ. — ბერულავა ხ., აჩიტა და გოგიტა, თბ., 1977.

ვამს. — გამსახურდია კ., დიდოსტატის მარჯვენა, თბ., 1989.

გელოვ. — გელოვანი აკ., ყმაწვილი და სიკვდილი, ბათ., 1980.

გურგ. — გურგენიძე ა., მშეო მშეო, ხატულავე, თბ., 1981.

გრიშ. — გრიშაშვილი ი., ქართული პოემია, ტ. 12, თბ., 1982.

გოთ. — გოთუა ლ., გმირთა ვარამი, I, თბ., 1975.

დოჩან. I — დოჩანაშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1987.

დოჩან (2) — დოჩანაშვილი გ., სამოსელი პირველი, თბ., 1980.

დოჩან — ორი მოთხრ. - დოჩანაშვილი გ., ორი მოთხრობა, თბ., 1984.

დუმბ. — დუმბაძე ნ., თხზულებანი I, თბ., 1988.

ელიოშ. — ელიოშვილი გ., განთიადი, 1988, №3.

ინან. — ინანიშვილი რ., მოთხრობები, თბ., 1982.

ინან. (შორი თეთრი მწუერც.) — ინანიშვილი რ., შორი თეთრი მწუერვალი, თბ., 1979.

ქალაბდ. — ქალაბდაძე ა., რჩეული, თბ., 1976.
ლებან. — ლებანიძე მ., ერთტომეული, თბ., 1979.
ლეონ. — ლეონიძე გ., ნატვრის ხე, თბ., 1982.
მაჭავ. — მაჭავარიანი მ., ლექსები, პოემა, თბ., 1983.
მრეელ. — მრეელიშვილი მაყ., მენ ვიგალობ, პატარავ, თბ., 1982.
მიშვ. — მიშველაძე რ., იღბლად გადარჩენილი ნოველები, თბ., 1992.
მიშვ. — მიშველაძე რ., ნოველები, თბ., 1972.
მიშვ. (ურჩი) — მიშველაძე რ., ურჩი, თბ., 1980.
ნიშნ. ნიშნიანიძე შ., გადასახედი, თბ., 1977.
სულაკ. — სულაკაური ა., შემოდგომის მზე, თბ., 1986.
სულაკ. — სულაკაური ა., სალამურას თაეგადასავალი, თბ., 1968.
ტოგ. — ტოგონიძე გ., ლამა მიდის სკოლამი, თბ., 1982.
ტიკარ — ტიკარაძე: ცისკარი, 1987, № 1.
ქიტ. — ქიტიაშვილი ც., წერილები სიმღერეთიდჟნ, თბ., 1983.
შენგ. — შენგელაია დ., სამი რომანი, თბ., 1974.
შალამბ. — შალამბერიძე ოთ., იწილო-ბიწილო, თბ., 1975.
შატბ. — შეტბერაშვილი გ., ქართული პოეზია, ტ. 15, თბ., 1984.
ჩარკ. — ჩარკვიანი ჯ., მშვიდობაში, თბ., 1975.
ჩარკ. — ჩარკვიანი ჯ., რწმენის კედელი, თბ., 1983.
ჩარკ (1) — ჩარკვიანი ჯ., „მე და მე„“, თბ., 1984.
ჩიქოვ. — ჩიქოვანი გ., მეორე ოჯახი, თბ., 1976.
ჩიქოვ. — ჩიქოვანი ს., ქართული პოეზია, ტ. 14, თბ., 1984.

დამოწმებული ლიტერატურა

აბულაძე ი. — ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
ბაბუნაშვილი ე. — ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
ბერიძე გ. — ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
თოფურია ვ. — ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, მრ. ტ. III, 1979.
იმნაიშვილი გ. — ქართლური დიალექტი, თბ., 1974.
კუბლაშვილი კლ. — ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
მარგიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., — ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
ნიჟარაძე შ., — აჭარული დიალექტი, ბათ., 1973.
ნოღაიდელი ჯ. — ნარკვევები და ჩანაწერები, ბათ., 1972.
სარჯველაძე ზ. — ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
ტუსკია მ. — სახელთა წარმომქმნელი ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში: ქელს, 1969, № 1.

იაკელში მ. — კინობითი სახელები ქურელში. X რესპ. დიალ. სამეცნ. სესია. თეზისები, 1988, გვ. 59-60.
ფეიქრიშვილი ე. — მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთ., 1992.
ფუცრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. — ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1973.
ფოჩხუა ბ. — ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
ქავთარაძე ივ. — ქართული ენის მოსეური დიალექტი, თბ., 1985.
ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1960.
ღლონტი ალ. - ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ.. 1971.
შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
ცოცანიძე გ. — ფშაური დიალექტი, თბ., 1979.
ძიძიგური მ. — ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
ძიძიგური შ. — მასალები ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1974.
ძოწენიძე ქ. — ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
ძოწენიძე ქ. — უხუთური მეტყველება: ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
ჯორბენაძე ბ. — ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
ჯორბენაძე ბ. — ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.
ჯორბენაძე ბ., კვანტალიანი ც., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

შენიშვნები

[1] ა. შანიძის აზრით, ილ მარტოოდენ ორი სახელისაგან აწარმოებს კნინობითის ფორმებს, რომელთაც ალერსობითის მნიშვნელობა აქვთ. თანაც დართული აქვს ო (ილ-ო): მამილო, დედილო. როგორც ილ, ისე მისი ტყუპის ცალი ელ წარმოშობით უკავშირდება სვანურ მაკნინებელ ილ სუფიქსს (იხ. გრამატ. საფუძვლები, გვ. 122).

აღსანიშნავია, რომ ილ სუფიქსით იწარმოება აგრეთვე დობილი, ძმობილი... ხოლო დიალექტებში ილ-ის საფუძველზეა მიღებული ილა, ილამ (მეტწილად მთის კილოებში): მამილა, დედილამ... ასეთი ფორმები ძირითადად ფიცილის ფორმულებში იხმარება (ცოცან., ფშ., 86).

[2] გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 96.

[3] აქ მსგავსებაცაა გამოხატული (ქვაბუნა=ქვაბის მსგავსი).

[4] საგულისხმოა, რომ აქ ა-ს ფუნქცია არ უნდა იყოს საგნის

შემცირებული ზომით წარმოდგენა, რაღგან ბალღი თავისთავად ხომ პატარას ნიშნავს.

[5] მიაჩნიათ, რომ ამგვარ სიტყვებში (ქვევრა, ბოთლა...) ა სუფიქსიანი წარმოება ზოგჯერ ცოტაობის ფუნქციითაც გაიაზრება (იხ. ჯორბ., დიალ., იმერ., 486).

[6] ამ ფორმასთან დაკავშირებით საინტერესოა ქ. ძოწენიძის დაკვირვება: „ზემოიმერულში ა სუფიქსს კნინობითობის გამოხატვა საზოგადო სახელებთან ყოველთვის არ ეკისრება. მაგალითად: ერთი ქვევრა ღვინო მაქ... ბოთლა არი ეგერა“ (იხ. ძოწ., ზემოიმერ., გვ. 57).

[7] რეფორმაციამდელი სოფლის ობოლ გოგონას - თინიას დასცინოდნენ, ამცირებდნენ, თინიას ეძახდნენ. ამას აშკარად გრძნობდა გოგონა. სწორედ ამიტომ კითხულობს გაკვირვებით: „შენთან თინიას არ დამიძახებენ?“

[8] ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ტ. III, 1979, გვ. 102.

[9] ქ. ლომთათიძე, ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის ია სუფიქსის საკითხი ქართულში: იკე, XXVI, 1987, გვ. 68-72.

[10] ზოგჯერ ა-თი დაბოლოებულ სახელს ერთეის სახ. ბრ. ნიშანი ი ან ჲ (ჯორაკაჲ). მიუთითებენ, რომ მოხეურში სიტყვა ჯორი ყოველთვის იხმარება კნინ. აკ სუფიქსით იქნებ ჯუარი >ჯორი სიტყვის სადიფერენციაციოდო (იხ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 69).

[11] მაგრამ: ღამეუკა= მხოლოდ ერთი ღამე (ჯორბ. დიალ. რაჭ. 439)

[12] ბ. ჯორბენაძის აზრით, ამგვარ ფორმებში ა მასუბსტანტივებელი მნიშვნელობისაა.

[13] ამგვარ ფორმებში ია რომ დაცინება-დამცირებას არ გამოხატავს, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თვით პერსონაჟი აფორმებს თავის სახელს ია დაბოლოებით: „შოთია ვარ გიორგაძე, ზესტაფონელი“ (რ. ჭეიშ., 132).

[14] მიაჩნიათ, რომ „უა რთული სუფიქსია, ფონეტიკური ნაირსახეობაა ოა-სი, რომელთაგან ო წოდებითის ფორმანტია, გამოყენებული სახელთა ფამილარული ფორმის საწარმოებლად: გიგო, გიგოა, გიგუა... უპირატესად გავრცელებულია აღმოსავლეთ

საქართველოში“ (მორფ. ლექს., 386).

[15] ბ. ჯორბენაძე, მორფემების... ლექსიკონი, გვ. 403. აქვე შენიშნულია: „არსებობს მოსაზრება, რომ ტყაპუჭი <ტყავეუჭი (ჭინჭარაული). არაა გამორიცხული ტყავ-უჭ-ი, ტყავისა >ტყაპუჭი ვ:მ მონაცვლეობით“

[16] სპეციალურ ლიტერატურაშიც ერთსა და იმავე აფიქსს სხვადასხვა კვალიფიკაციას აძლევენ. მაგ. ქვევრა-ში ა ერთგან შემცირებული ზომის გამომხატველადაა მიჩნეული, მაგრამ, სხვათა აზრით, აქ კნინობითობა არ ივარაუდება (იხ. ზემოთ).

სიტყვაწარმოების ერთი ტენდენცია თანამედროვე ქართულში

წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის გრიგოლ ხანძთელის სახ. ხელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე 2002 წლის 29 მაისს (იხ. მუშაობის გეგმა, 2002 წელი. 29-30 მაისი). ნაშრომის ძირითადი დებულებები სათაურით „ეთ სუფიქსის ფუნქციისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში“ დაიბეჭდა XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის (2002 წ. 5-6 ნოემბერი) მასალებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეთ სუფიქსი მიჩნეულია გეოგრაფიულ სახელთა ძირითად მაწარმოებელ აფიქსად; დასახელებულია მისი გამოყენების რამდენიმე შემთხვევა:

1) ეთ-ის საშუალებით ტომობრივი და ეთნიკური სახელებისაგან იწარმოება გეოგრაფიული სახელები (თუშეთი, არაბეთი);

2) ეგევე სუფიქსი წამოდგენილია ქვეყნის მხარეთა სახელებში (აღმოსავლეთი...);

3) ეთ უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელის ფუძეს (ტბეთი, ორბეთი) და ამ გზით მიიღება გეოგრაფიული სახელი, რომლის ეტიმოლოგია ჯერჯერობით ადვილად ხერხდება. ამათ გვერდით შეიძლება დავასახელოთ გვარსახელების მიხედვით ნაწარმოები ადგილის სახელებიც (სიმონეთი);

4) ეთ სუფიქსითაა ნაწარმოები ზოგიერთი დასახლებული პუნქტი, რომელთა ფუძის მნიშვნელობა ამჟამად ნათელი არ არის (ხვედურეთი, სვენეთი...);

5) ეთ სუფიქსია გამოყენებული „საიქიოს“ სახელთა საწარმოებლად (სულეთი, შავეთი, მკვდრეთი). ამავე კატეგორიისაა არსებითად სპარსულიდან შემოსული ჯოჯოხეთიც, სადაც ქართულობას მარტო მისი წარმოება ამჟღავნებს (1,138-139);

6) ეთ ისტორიულად აწარმოებდა კოლექტიური მრავლობითის ფორმებს: პავლე-ეთ-ი=„პაველე და მისი მიმდევარნი“ (კ. კეკელიძე). ეს ძველი მნიშვნელობა შემორჩენილი აქვს ზოგ დიალექტს (მაგ., რაჭულს): ბიძე-ეთ-ი=„ბიძაშვილები“; შეინიშნება თუშურსა

და მოხეურში ენ სუფიქსიანი სახელის ნათესაობით ბრუნვაში: გოჩი-ენი (გოჩას შთამომავლობა) /გოჩი-ეთ-ი (გოჩას შთამომავლობისა); რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში აწარმოებს ოჯახის, შტო-გვარის სახელებს: გიორგი-ეთ ვაჟაები;

7) პოეტურ მეტყველებაში გამოიყენება „ფიქტიური" ტოპონიმების საწარმოებლად: გზ-ეთ-ი („გზიანი აღგილი"), ბნელეთი... (2, 138).

ა შანიძე მსჯელობს კერძოობითი ხასიათის მაგალითებზეც: „ჩვეულებრივია ხმელეთი, მაგრამ ხელოვნურია წყლ-ეთ-ი, ლუდოგ-ეთ-ი, მოუსავლ-ეთ-ი (ვაჟა). ეთ სუფიქსი ზოგჯერ ამგვარ ფორმებშიცაა გართულებული სა პრეფიქსით: სა-რკინ-ეთ-ი... (1, 139).

მიუთითებენ აგრეთვე იმასაც, რომ წყლეთი, ვარდეთი ტიპის ფორმები უპირატესად მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება და საერთო გავრცელება ჯერ არ მოუპოვებია (3,28).

მაშასადამე, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ახალ ქართულში ეთ სუფიქსის ძირითადი ფუნქციაა გეოგრაფიულ სახელთა წარმოება, ისტორიულად იგი გამოიყენებოდა კრებითი მრავლობითის გამოსახატავად, ხოლო წყლეთი და მისთანანი მიჩნეულია ხელოვნურ, მეტწილად მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ, თუმცა ნაკლებად გავრცელებულ ფორმებად.

მაგრამ საგულისხმოა, რომ თანამედროვე ქართულში, წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში, სიტყვაწარმოების ასპექტით აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია ეთ სუფიქსის ფუნქციური სფეროს გაფართოებისა წყლეთი ტიპის ხარჯზე; შესაბამისად, ამგვარი წარმოება შესამჩნევად მკვიდრდება, როგორც პროდუქტიული ენობრივი მოვლენა, და გვეძლევა მრავალფეროვანი სემანტიკური ნიუანსებით.

სწორედ ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ეთ სუფიქსიანი არატრადიციული სახელები. აქვე შევნიშნავთ, რომ ეთ მორფემა საანალიზო ფორმებშიც, ტრადიციული გეოგრაფიული სახელების მსგავსად, შეიძლება გართულებული იყოს სა პრეფიქსით. ამის გამო ერთი და იმავე სემანტიკისათვის გამოიყენება როგორც ოდენ ეთ სუფიქსიანი, ისე სა-ეთ კონფიქსიანი წამოება ცალ-ცალკე (ვარდეთი-საქალეთი), ან კიდევ პარალელური ფორმებით (სულეთი-სასულეთი).

რამდენადაც ამ ტიპის სახელებში ეთ//სა-ეთ-ის ფუნქცია მნიშ-

ენელოვნად განსხვავებულია, გამოვყოფთ რამდენიმე ქვეჯგუფს:

1) ეთ(სა–ეთ) აფიქსიანი ფორმები (მეტწილად მხატვრული ლიტერატურის ენაში, განსაკუთრებით საბავშვო პოეზიასა და პროზაში) კონკრეტული, თუმცა რეალურად არარსებული, გეოგრაფიული ადგილის სახელია. ამდენად ტერმინი „ფიქტიური ტოპონიმები“ (ბ. ჯორბენაძე) მათთვის გამართლებულია. მაგალითად:

შორეულ ქალაქ დათვეთიდან ინჟინერი ჩამოვიდა (მიშვ., 225); მოინათლა ის სოფელი და დაერქვა შარდომეთი (კერეს., 17); იმან ქალაქი ჩიჩორეთი კატასტროფამდე მიიყვანა (ლიტ. საქ., 19887, 30/I); წერილები სიმღერეთიდან (ქიტიაშ., 27); ხეთა მწვანე ქალაქი კოხტა ჩიორეთი (ჭიჭ., 194); სოფელ არავიეთში ელოვა გამოცხადდა (ლიტ. საქ., 1987, 21/VIII); ციდამტკაველა კონდრისკაცების ქალაქში საქონდრეთში შეიყვანეს (ყანჩ., 14,15); ქონდრისკაცების ულამაზესი ქვეყანა — ქონდრეთი (სულაკ., 120); რა ქორწილიც უნდა ყოფილიყო ჰარალეთში, თამადად პარმენ დვალი უნდა მჯდარიყო (გ. დოჩან., 218); დვას „კურტკეთში“ (როგორც ეს ერთმა ბიჭმა შენიშნა), უკაცრავად, თურქეთში წამსვლელების რიგი (თბილისი, 1991, 28/III).

ამგვარი ტოპონიმები თავსდება გეოგრაფიულ სახელთა წარმოების ტრადიციულ ყალიბში. წარმოების პრინციპი აქაც არ შეცვლილა: ტერმინისათვის ამოსავალია ადამიანის, ცხოველის, მცენარის სახელი თუ სხვა ნიშანი... ე.ი. სახელდების მოტივაცია ნათელი და გამჭვირვალეა, ეტიმოლოგიაც — მარტივი. მაგალითად, ტოპონიმი „შარდომეთი“ მიღებულია პირის სახელისაგან - „შარდომელა“, რომელიც შარიანი, შარის მდომელი კაცის მეტსახელია. ასევე: „ჰარალეთი“ არის სოფელი, სადაც მუდამ ქეიფი და დროსტარებაა, მუდამ „ჰარალე“ ისმის...

ამავე ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ „საიქიოს“ აღმნიშვნელი სახელებიც. ა. შანიძის შენიშვნით, „სულეთი“, „შაეთი“ ხალხურ მეტყველებაშია დაცული, „მკვდრეთი“ კი ძველი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა. საგულისხმოა, რომ თანამედროვე სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაში ამგვარ სახელთა რაოდენობა შესამჩნევად იზრდება და მრავალფეროვანი ხდება. მაგალითად, დღეს პოეტურ მეტყველებაში ყველაზე პროდუქტიულია სულეთი//სასულეთი. შაგეთი ძირითადი მნიშვნელობის პარალელურად განსხვავებული სემანტიკითაც გვეელინება, ხოლო სიკვდილეთი და მოუსავლეთი შედარებით ახალი ლექსემებია, მაგრამ

ამკარად იმკვიდრებენ ადგილს საიქიოს აღმნიშვნელ ტერმინთა გვერდით. მაგალითად:

მინდა დაველმშვიდობო სულეთში მიმავალ ბ-ნ გურამს (ახ. ივერიელი, 1990, 11/VIII); სულეთს გვისტუმრებთ ეადამდე (ლიტ. საქ., 2000, №-7/IX); მხმობდა თეთრი სულეთი (ნ. კილას., 97); ნეტარ რომ იმკვიდრეთ სასულეთი (ნ. კილას., 6); სად მოსაგლეთში წაეიდა (ო. ჭილაძ., 85); თუ მიეონებენ სიკვდილეთში ჩემზე ადრე წასული ძმები (ლ. სულაბ., ლიტ. საქ., 1889, 22/IX); ერთ-ერთი მათგანი შავეთში უნდა გადასახლდეს (ს. ჭეიშვ., 95).

2) ეთ (სა-ეთ) სუფიქსით ნაწარმოები ზოგი სახელი, ე.წ. „ფიქტიური ტოპონიმებისაგან“ განსხვავებით, კონკრეტულ ადგილზე არ მიუთითებს; იგი უფრო ზოგადი სემანტიკის მატარებელია სივრცული თვალსაზრისით. მაგალითად:

ხუთი წელი ჩემთან არ იჯექი იმ ყინულეთში? (უქიმერიონი, 2001, იელისი); ადგრიალებულ შავეთს გავცქეროდი (გ. დოჩან(2),15); თუმცა მსოფლიო, სრულიად ადამეთი ვერასოდეს ვერ დაისვენებს მასზე ფიქრით (ლ. სანიკ., გაზ. „საქ. რესპ., 1992, 19/XII); ბნელეთს სერავდა ტყვიების ცეცხლი (ა. ბაქრ., 84); რატომ ვცხოვრობთ ბნელეთში, ნეტა როდის ითქმება (ლიტ. საქ., 2000 1-7 დეკ.); კვლავ აღორძინდება შზისქვეშეთში ყოველივე (რ. ჭეიშ., 215); ამ ცისქვეშეთში ყველას სცივა (ლიტ. საქ., 1986, 26/XI); შორს დარჩა საქართველო და ჯელეთის ველები (ჯ. ჩარკ., 301); ვინც შორეთიდან იწვევდა მერცხლებს (მ. მაჭავ., 353); კაცო, შენ საკრუეთიდან ხარ მოსული, რომ წიგნის ფასი არ იცი? (გაზ. „ქუთაისი“, 1992, 15/VIII); ღამღამ საეჭვო ლანდები შეპარვით უვლიდნენ ირგვლივეთს (გ. დოჩან., (2), 78).

შენიშვნა: საგულისხმოა, რომ ირგვლივეთის გვერდით გამოვლინდა ირგვლივები („არიან ადამიანები, მეტსახელების გამომგონებლობისაკენ უბიძგებენ ირგვლივებს“ (გ. დოჩ., (2)83). ამ უკანასკნელში აშკარად დაკარგულია ის სივრცული შინაარსი, რაც ეთ სუფიქსიან ირგვლივეთ-შია.

3) თანამედროვე ქართულში შესამჩნევად გამოიკვეთა ეთ(საეთ) სუფიქსიან სახელთა ისეთი ფორმები, რომლებშიც დაჩრდილულია გეოგრაფიული ადგილის სემანტიკა, რის გამოც არ ითვლებიან არც რეალურ და არც ფიქტიურ ტოპონიმებად. სამაგიეროდ, მათში წინაა წამოწეული ა) კრებითობა-სიმრავლისა და ბ) მქონეობა-დანიშნულების შინაარსი. მაგალითად:

ა) მოჩანს ჩემი აჭარის ცა... მანდარინეთი, ლიმონეთი (საქ. ქალ., 1990, №4); გვინდა მეტი ხოხობეთი, კაკაბეთი, საირმეთი (ნიშნ., 114); ყვავილე-

თი არის სამოთხე (ლიტ. საქ., 1987, 4/XII); ფარდები, ხალიჩები და, საერთოდ, ქსოვილეთის ეკარის შთამომავალნი დიდ პატივში იყვნენ (ლიტ. საქ., 1988, 17/XI); დიდთოელობა ყოფილა, თოჯლეთი ყოფილა (მ. ჯტუბ., 17); ააღირეს მოჭრილი თაეები ყყარყყარეთის პერსონაჟებმა (თ. კვაჭანტ., ლიტ. საქ., 2000, 3 მარტი); წერილები ციკლიდან „ყყარყყარეთი“ (თ. კვაჭანტ.); ნაგავსაყრელზე ქვეყნის ძალები ირევა; ფერსაც ვერ გაარჩევ ამ სამოლლეთში (ლიტ. საქ., 2000, 15-28 დეკ.); ეს ხომ ქვეყანა არ არი, ეგ სამოლლეთია (გ. ბერ., ჯავახ., 235); რავა მე არ ვწერივარ საქალეთში? (უქიმერ., 2001, იელისი); მთელი საქალეთის სახელით ულოცავდა (ცისკარი, 1987, № 1, გვ. 83); მდიდარი ვიყო, რაღა შენ შემოგაჩერდე, საკაცეთი დაილიაო (ნ. ლორთქ.); მთელი სათაგეთი განგარებდა (ქ. ჭილაშვ., 41); დედულეთში წასვლა ყოველთვის ზეიმი იყო ჩემთვის... ჩემი დედულეთი ყოველთვის მამხნევებდა (ზ. კუხიან., განთიადი, 1988, № 2, გვ. 10); ზაფხულში ქალს მამულეთში მიჰყავდა შვილი (მან. დოიაშვ., ჩვენი მწერლ., 2001, 2-9/XII); გამეთ „სოფლის ცხოვრებას“ დავარქვათ მამულეთი... დაეწეროთ მათზე, ვისაც ქალაქი შეჰყვარებია და თავისი მამულეთი სოფელი დავიწყებია (სოფლ. ცხოვრ., 1990, 18/XI).

ბ) აბა გავუტიოთ ჩვენებურად და სევასტიჩმა ენერგიულად შეაბიჯა სალხინეთში (მოქეიფეებთან, მოქეიფეების ოთახში — ქ. ფ.) (უქიმერ., 2001, იელისი); საძროხეთის ქვეყნელი, კაცი მოეტფურშალო, კახელს... ღვინის მოელას ასწავლის (ლიტ. საქ., 2000, 1-7/IX); მიყვარდა აგარაკის ღლეობა-პაერეთი (ი. გრიშ., 292); უბედურება რად გინდა მეტი-ქვეყანა გახდა გუბეთი ტბეთი (ლიტ. საქ., 1990, 30/VII); ბნელეთში მოდის ვიღაცა (დიალ. აჭარ.), სერეოს სიფაფეთი არ უვარგა (დიალ., მესხ., ფეიქრ.)

„ა“ პუნქტის სახელებთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე შენიშვნა: ღღეს დედულეთი უფრო გავრცელებული ფორმაა ვიდრე მამულეთი. დედულეთი არის „ღედის სამშობლო სოფელი, ღედის სახლი, ღედის ნათესაობა“ (ქეგლ). დასავლურ დიალექტებში (იმერულში, ლეჩხუმურში) ეს სიტყვა გვხვდება დედულის ფორმითაც, სინონიმია აგრეთვე თავისახლი. ფორმობრივად დედულის ანალოგიური წარმოებაა მამული, მაგრამ ჩვენს ენაში იგი უფრო ზოგადი სემანტიკის მატარებელია და არ ნიშნავს ერთ კონკრეტულ ოჯახს.

მამასაღამე, დედულეთი გულისხმობს ღედის ნათესაობას, მათ ერთობლიობას. ამ სიტყვის ანალოგიითაა ნაწარმოები მამულეთი თუმცა არალიტერატურულია. ქართულს ეს ტერმინი არ სჭირ-

დებოდა, რადგან შვილისათვის მამის ანუ საკუთარი ოჯახისა და მის წევრთა ერთობლიობის საგანგებოდ აღნიშვნა არ იყო აუცილებელი (განსხვავებით სხვაგან მცხოვრები დედის ოჯახისაგან). მაგრამ დღეს, ერთი მხრივ, სოციალურ-ყოფითი ვითარების შეცვლის გამო და, მეორე მხრივ, დედულეთის ანალოგიით მამულეთიც მოგვეველინა ზუსტად იმ სემანტიკით, რაც დედულეთს გააჩნია. მაგ. „ქალს ზაფხულში მამულეთში მიჰყავდა შვილი"; „დავწერთ მათზე, ვისაც ქალაქი შეჰყვარებია და თავისი მამულეთი სოფელი დავიწყებია..."

ჯერჯერობით მამულეთი ამგვარ კონსტრუქციაში იშვიათია, მაგრამ, რადგან იგი ენამ მაინც შექმნა კონკრეტული სემანტიკით, მომავალში მისი უფრო გავრცელების ტენდენცია არ გამოირიცხება.

საქალეთი და საკაცეთი ერთნაირი ფორმებია, მაგრამ სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაში პირველი უფრო გავრცელებულია. ამის მიზეზი შეიძლება ნაწილობრივ მაინც იყოს საკაცეთ-ის პარალელური ომონიმური ვარიანტის არსებობა (შდრ. საკაცე—„წაიყვანეს ავადმყოფი საკაცეთი").

მასალებით ირკვევა, რომ ამ ქვეჯგუფის ეთ სუფიქსიანი სახელები გამოიყენება თანამედროვე ქართულში, როგორც სემანტიკურად მეტი გამომსახველობითი ძალის მქონე ენობრივი საშუალება. ამგვარ სახელთა ფორმობრივად მრავალფეროვანი სიტყვათქმნადობა დაკავშირებულია ეთ-ის ახლებურ ფუნქციურ გააზრებასთან; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეთ-ის ძველი ფუნქციის (კრებითობა-სიმრავლის გამოხატვა) აღდგენასთან (შდრ. პაელე-ეთ-ი — ყვარყვარ-ეთ-ი).

მეორე მხრივ, ეთ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, სადაც უფრო გამოკვეთილია მქონეობა-დანიშნულების სემანტიკა. მაგ., ბნელეთი ზოგადად ის ადგილია, რაც ბნელით არის მოცული, სიბნელის მქონეა... საძროხეთის ქვეყნელი — ე.ი. ქვეყანა ძროხებიანი ან ძროხებისათვის განკუთნილი; აგრეთვე საფაფეთი „საფაფეთი (არ უვარგა)" ზუსტად ეტოლება დანიშნულების სახელს, ე.ი. არ უვარგა გემოვნებაში ის ნაწილი, რომელიც ფაფისთვისაა განკუთვნილი. იგივეა, რაც საფაფე (ნაწილი).

ამგვარ ფორმებში მქონეობა-დანიშნულებაზე მითითება არ უნდა იყოს შემთხვევითი და არც ახალი მოვლენა. ამასთან და-

კავშირებით საგულისხმოა არნ. ჩიქობავას მოსაზრება. მეცნიერის დაკვირვებით, ეთ სუფიქსი შეიძლება ჩაითვალოს ედ-ისაგან მომდინარედ. ორივე მათგანის ფუნქცია მქონეობის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო თავდაპირველად: კარვედი=კარვიანი ადგილი, ტბეთი=ტბიანი ადგილი (4,70-74).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართულში ნებისმიერი სახელისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ეთ სუფიქსიანი ფორმა სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვით (დათვეთი, ქსოვილეთი, სიკვდილეთი, ჰაერეთი, საყრუეთი, ირგვლიეეთი, შორეთი...). ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა პარალელური წარმოებითაც დასტურდება: ვარსკვლავეთი—სავარსკვლავეთი, თოვლეთ—სათოვლეთი... ზოგი სიტყვა კიდევ მხოლოდ სა-ეთ კონფიქსითაა გაფორმებული: საძაღლეთი, საქალეთი, საკაცეთი, საგიჟეთი და ა.შ.

ცალკე აღებული **საძაღლე, საქალე, საკაც, საგიჟე** მხოლოდ დანიშნულების სემანტიკის სახელია, ისე როგორც **საჩოხე, საკაბე**... მაგრამ სა-ეთ აფიქსებიან სახელებში დანიშნულებასთან ერთად კრებითი მრავლობითის სემანტიკაც გამოიხატება. ეს კარგად ჩანს **საგიჟე/ /საგიჟეთი** პარალელური ფორმების მაგალითზე.

საგიჟე არის სულით ავადმყოფთა სამკურნალო დაწესებულება, საავადმყოფო (გიჟისათვის განკუთვნილი). ამიტომ სწორი ფორმაა „საგიჟეში წაიყვანეს“ (შდრ. საქათმეში შეიპარა). მაგრამ დღეს ამგვარ კონტექსტებშიც უფრო გავრცელებულია **საგიჟეთი**, რადგან მასში დანიშნულებასთან ერთად კრებითი სიმრავლეცაა გამოხატული (შდრ. სათაგვეთი...)

დღეს ეთ სუფიქსიან სახელთა წარმოება განსაკუთრებით მოჭარბებულია პრესის ენაში და ზოგჯერ ამკარად უმართებულო გამოყენების შემთხვევებთან გვაქვს საქმე. ნიმუშისათვის დავიმოწმებთ ერთ ნაწყვეტს გაზეთიდან „ოლიმპი“ (წერილის სათაურია „**სალიგეთი თუ საგიჟეთი**“):

> „დაისვენეთ? ჰოდა, მორჩა. აღლუმი — მორიგი **საგიჟეთი** იწყება. დღეს, საღამოთი: ლიგა ხურდება, ლიგა. მეორე ეტაპის მეორე ტურია და მეტად მნიშვნელოვანი მატჩები ელით ლიგურ ფეხბურთმე... მოყვარულებს... პირველიდან ბოლო წუთამდე გიჟური ფეხბურთით იქნებიან დამუხტული. ჰოდა, გაგიჟდით, ლიგა დაბრუნდა! (გაზეთ. ოლიმპი, 2001, 4/XII).

ეს ნაწყვეტი ორმხრივადაა საინტერესო (თუმცა მისი სტი-

ლისტური ფორმა ცალკე საკითხია). საგიჟეთი აქ სულაც არ გულისხმობს კონკრეტულ დაწესებულებას, ესაა გიჟური თამაშების ერთობლიობა, კრებული. მეორე მხრივ, სალიგეთი მიღებული ჩანს საგიჟეთის ანალოგიით. ლიგა ჩვენს შემთხვევაში არის ფეხბურთის გუნდების გაერთიანება, კავშირი (შდრ. ლიგური თამაში). სწორედ ამ გუნდების ერთობლიობა-სიმრავლეს ეწოდება სალიგეთი. თუმცა ამგვარი ხელოვნურად შექმნილი ფორმები უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, ძველი და ახალი ქართულის დონეზე ეთ სუფიქსის ფუნქციური დატვირთვა სხვადასხვაგვარია: ეთ(<ეღ)-ის თავდაპირველ ფუნქციად ივარაუდება დანიშნულება-მქონეობის გამოხატვა (არნ. ჩიქობავა); შემდგომში დაემატა კრებითობა-სიმრავლის აღნიშვნა (რაც დასტურდება უძველესი ხანის ტექსტებითა და თანამედროვე დიალექტებში შემონახული შტო-გვარების წარმოებით) და გეოგრაფიულ სახელთა (ტოპონიმების) წარმოება.

ახალი ქართულის სიტყვაწარმოების შინაარსობრივ ჯგუფებში ეთ ყოველთვის გაიაზრებოდა როგორც გეოგრაფიულ სახელთა ძირითადი სადერივაციო აფიქსი და განსხვავებული სემანტიკის მქონე ეთ სუფიქსიანი თითო-ოროლა ფორმა XX საუკუნის შუა ხანებამდე ითვლებოდა ხელოვნურ, ნაკლებ გავრცელებულ წარმოებად (ა. შანიძე) და არ ეძლეოდა სხვაგვარი ენობრივი კვალიფიკაცია. მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, და განსაკუთრებით დღეს, საანალიზო ტიპის სახელები ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში საკმაოდ მომრაველდა არატრადიციული ფუნქციით, რამაც ხელშესახებად გააფართოვა ეთ-ის სემანტიკური არეალი (გეოგრაფიულ სახელთა წარმოება, კრებითობა-სიმრავლისა და დანიშნულება-მქონეობის გამოხატვა, „ფიქტიური ტოპონიმების“ სახელდება).

ჩვენი მასალებითაც ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ დღევანდელ ქართულში ეთ-ის სემანტიკური მრავალფეროვნება ბუნებრივი მოვლენაა, რომ თანამედროვე სიტყვაწარმოებაში ამგვარი ტენდენცია ხელშესახები და რეალური ფაქტია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
2. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
3. მ. ტუსკია, სახელთა წარმომქმნელი ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში: ქელს, 1969, № 1.
4. არნ. ჩიქობავა, აღგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, 1974.

დანართი

სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) ქართველი რომანტიკოსების თხზულებათა მიხედვით) (ალ. ჭაევჭავაძე, ერ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი)

შესრულებულია წლიურ საკელეე თემად ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე 1984 წელს (იბეჭდება შემოკლებით, მასალების სახით).

სიტყვაწარმოება როგორც ენობრივი მოელენა მდიდარი და მრავალფეროვანია ფორმობრივ-სემანტიკურად. სახელთა დერივაციის ძირითადი საშუალებაა აფიქსაცია. ამავე ფუნქციით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრუნვის ნიშნები და თანდებულებიც. ახალი სემანტიკის სიტყვა ზოგჯერ მიიღება აგრეთვე აღწერითი წარმოების გზით, ფუძის გაორკეცებით ანდა კიდევ ცალკეული ლექსიკური ერთეულის ახლებური გააზრიანებით. შესაბამისად, მრავალფეროვანია სახელთა დერივაციის ყალიბიც. ამ მიმართებით სხვაობა საგრძნობია სალიტერატურო ქართულის განვითარების ეტაპების მიხედვითაც.

ფორმათა წარმოების არაერთგვაროვნება და სადერივაციო საშუალებების ფუნქციური ევოლუცია ბუნებრივად განაპირობებს წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივ ჯგუფებში ცვლილებებს — ახალ-ახალი სემანტიკური ნიუანსების პოვნიერებას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, წარმოაჩენს (გამოკვეთს) ენის განვითარების საერთო ტენდენციას სიტყვაწარმოების ასპექტით.

ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული წარმოქმნილ სახელთა ფორმობრივ-სემანტიკური ჯგუფები. წინასწარვე შევნიშნავთ, რომ რომანტიკოსთა თხზულებებში სახელთა წარმოქმნა არ გამოირჩევა სადერივაციო საშუალებათა სიუხვით და, შესაბამისად, ფორმათა მრავალფეროვნებით, სემანტიკური სხვადასხვაობით.

1. ფორმის მიხედვით წარმოქმნილი სახელი მეტწილად არის *სუფიქსიანი*: გული კლდ-ოვან-ი (ორბ., 21);

პრეფიქს-სუფიქსიანი: მე სხვა სი-მდიდრ-ე რად მინდა (ბარათ., 134);

ბრუნვის ნიშნითა და თანდებულით წარმოქმნილი: და გამრეკელი ლომებრ გულ-ად-ი (ორბ., 93) ნაწილაკი მღვთაებრივი (ორბ., 53); ეს საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა (ბარათ., 175); ესე მნათი შვიდთაგანი არს (ჭავჭავ., 9);

აღწერითი წარმოებისა: ძველთ უძველესი არს ესე წესი (ორბ., 70).

ცნობილია, რომ ქართულში სადერივაციო ფუნქციის მატარებელია *უცხო წარმოშობის რამდენიმე აფიქსიც:* **დან, ხან, ანტი, იზმ, ისტ**... ამგვარი წარმოება საანალიზო ტექსტებში ერთი ნიმუშით მაინც გამოელინდა: „აღჩნდნენ მწერლები, ჟურნალ–ისტ–ები (ორბ., 69).

2. წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები.

კნინობით სახელთა ძირითადი მაწარმოებელია **აკ** (გამოელინდა სამიოდე შემთხვევაში); ერთგან **ილ** სუფიქსიც დადასტურდა:

ჭალ-აკ-ი იყი (ორბ., 61); ვერც გლახ-აკ-ი შემოსილი ძონძითა (ორბ., 53); ძმობ-ილ-ად მყავს ბასრი ხანჯალი (ბარათ., 134).

ძველი ქართულის მსგავსად, აკ-ის ფუნქცია არის საგნის შემცირებული ზომით წარმოდგენა.

ქონების სახელთა მაწარმოებლებიდან ძირითადად გამოყენებულია **იან, იერ, ოსან, ოვან:**

მკერდი ღია, ოფლით გასვრილ მტვრ-იან-ი (ორბ., 79); მაგრამა მშვენიერება გაქვს ცის-იერ-ო უხრწნელი (ბარათ., 111); ფრთ-ოსან-თ მხიარული გალობა (ნ. ბარათ., 85); ტანი მალ-ოვან-ი (ჭავჭავ., 11); ჰაერ-ოვან-ი, მრავალშტ-ოვან-ი (ბარათ., 130)...

ედ სუფიქსი დადასტურდა ერთადერთ სიტყვაში — „შარავანდედი".

თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, საანალიზო ტექსტებში **იან** არ გამოირჩევა გამოყენების სიხშირით, სამაგიეროდ, ყველაზე პროდუქტიულია **ოვან** და **იერ**. ეს ვითარება ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ ძალაშია (ტრადიციით გრძელდება), ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოების წესი.

უქონლობის სახელთა მაწარმოებლებია **უ–ო, უ–ურ(ულ)**. ამათგან პროდუქტიულია **უ–ო**:

ესე რა მიქმენ უ-მადლ-ო-ვ (ჭავჭავ., 13); უ-ენ-ო მსხვერპლსა (ბარათ., 25); უ-წმინდ-ურ-ს ანგარებას (ორბ., 101); უ-ფსკრ-ულ-სა იკარგებიან (ორბ., 59).

ხშირ შემთხვევაში აფიქსიანი სახელი ფონეტიკურად სახეცვლილია (და დამცა... უმწედ, უნუგეშ· ორბ., 45), რაც უნდა აიხსნას არქაიზებული სტილითა და ლექსის რიტმით.

გეოგრაფიული სახელები იწარმოება **ეთ(ით)** და **სა–ო** კონფიქსით (ზოჯერ **ეთ** ქვეყნის მხარეთა სახელებში გაუჩინარებულია ან სხვაგვარადაა შეცვლილი):

მთიულ-ეთ–ის პრისტაევი (ორბ., 158); ამოიყაროს ჯავრი სპარს-ეთ-ის (ბარათ., 146); სომხ–ით-ის კედელნი თქვენგან ნგრეულნი (ბარათ., 131). შდრ: მნათი აღმოხდა აღმოსავალს (ბარათ., 109; ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ... (ბარათ., 150); ვაი საბრალოს ჩვენს საქართველ-ო-ს (ორბ., 71).

ამ აფიქსთაგან პროდუქტიულია **ეთ**, როგორც ეს დამახასიათებელია საერთოდ ძველი და თანამედროვე ქართულისათვის.

დანიშნულების სახელთა წარმოება უფრო მრავალფეროვანია (სტატისტიკურადაც შესამჩნევია მათი სიჭარბე სხვა ჯგუფის აფიქსებთან შედარებით). გამოყენებულია აფიქსები: **სა–ე, სა–ო, სა–ურ** (·ულ):

უცხო სა-ყურ-ე ეთამაშება... (ბარათ., 102); სა-მიწ-ო-დ სული მხდება (ჭავჭ.. 26); სა-ამ-ურ-ს სა-ღვ-ურ-ს (ბარათ., 118).

საანალიზო კონფიქსებიდან **სა–ო**-ს მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს, ვიდრე **სა–ე**-ს (ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც: ნ. ბარათაშვილის ნაწერებში **სა–ო**-ს 62 მაგალითი დადასტურდა, **სა–ე** კი მხოლოდ 7-ჯერ შეგვხვდა. დაახლოებით ასეთივე შეფარდებაა ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის ნაწარმოებებშიც).

ხარისხის სახელთა წარმოება შედარებით ერთფეროვანია. აქ მხოლოდ **უ–ეს** კონფიქსიანი უფროობითის ფორმები გამოვლინდა (ზოგი მათგანი ფონეტიკურად სახეცვლილია):

სხივი ·უ-ნათლ-ეს-ი (ორბ., 18); რომელთ უ-მაღლ-ეს არც ვინღა არის (ბარათ., 95); ეეხვევიან ჭირნი ფოთოლთ უ-ხშირნი (ჭავჭ., 25).

საგულისხმოა, რომ უფროობითის სემანტიკის გასაძლიერებლად გამოყენებულია აღწერითი წარმოებაც, რაც ძველი ქართულისთვისაც იყო ნიშანდობლივი:

ძველთ **უძველესი** არს ესე წესი (ორბ., 70); რომ **მის უტკბილეს** არც თ·უ არის სასუფეველი (ბარათ., 122).

საანალიზო ტექსტებშიც, ძველი ქართ·ულის მსგავსად, ოდნაობითი ხარისხის არც ერთი ფორმა არ დადასტურდა. ჩანს, XIX

საუკუნის დასაწყისიდანაც ჯერ კიდევ არ მომხდარა ოდნაობითის (როგორც ხარისხის დამოუკიდებელი ფორმის) ჩართვა სიტყვაწარმოების საერთო ქსელში.

აბსტრაქტული სახელები რომანტიკოსთა თხზულებებში თითქმის იმგვარი რაოდენობითა და თავისებურებებით წარმოჩნდა, როგორც ახასიათებს თანამედროვე ქართულს. მაწარმოებლებია **ება, ობა** სუფიქსები და **სი–ე, სი–ო** კონფიქსები:

მუნ უკვდავ-ებ-ის შარბათი ვინ სვის (ბარათ., 102); ბიჭ-ობა თქვენი ქებულა (ორბ., 132); ეგზომად სწყურიათ სი-ახლ-ე (ჭავჭ., 19); სი-ცოფ-ე მომცემს სამარეს (ორბ., 34); სი-წყდიად-ე (ჭავჭ., 24); სი-ტკბ-ო-ს ფიალი (ორბ., 52).

ჩვენი მასალების მიხედვით, **ობა** უფრო პროდუქტიულია, ვიდრე **ება** (ასეთივე ვითარებაა, საზოგადოდ, თანამედროვე ქართულშიც). ასევე **სი–ე** ჭარბობს **ება**-ს. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში **სი–ე** უფრო ხშირად გამოიყენებოდა, დღეს აქა-იქ მის ადგილს იჭერს **ება** და **ობა**, ამავე დროს შეიმჩნევა საანალიზო აფიქსთა ურთიერთმონაცვლეობაც. სათანადო მაგალითები შეიძლება დავიმოწმოთ რომანტიკოსთა თხზულებებიდანაც:

სულით **მალლობას** (ორბ., 101); ცრემლთა **მრავლობა** (ჭავჭ., 13); არ დაგვაწყნარებს **ამაყობითა** (ბარათ., 144); მთვრალობა (ჭავჭ., 16).

როგორც ირკვევა, განყენებულ სახელთა საწარმოებლად XIX სკ-ის დასაწყისის ქართულში, სამწერლობო ენაში, გარკვეულად ჯერ კიდევ ძალაშია ოდინდელი ტრადიციული წესი — სი-ე კონფიქსის პროდუქტიულობა, თუმცა **ება/ობა**-ს გააქტიურების პროცესის დასაწყისიც შესამჩნევია.

სხვა დანარჩენი შინაარსობრივი ჯგუფის სახელთა წარმოება (აფიქსების ფუნქცია თუ მოხმარების სისშირე) არ ავლენს რაიმე ხელშესახებ თავისებურებას და ამიტომ მათზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

ირკვევა, რომ რომანტიკოსების თხზულებათა ენა ერთგვარი გარდამავალი საფეხურია სახელთა დერივაციის ასპექტით ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის (ამჯერად სწორედ ამით იყო შეპირობებული ამ საკითხის შესწავლაც).

შენიშვნა საანალიზო ტექსტებში გამოყენებული ჩვენთვის საინტერესო ფორმა ან მოვლენა მითითებული და, შესაბამისად, გამოყენებული გვაქვს თანამედროვე ქართულის მასალათა ანალიზისას (ე.ფ., 2008წ.)..

სახელთა აფიქსური წარმოების ზოგიერთი თავისებურება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში

წაკითხულია მოხსენებად 1987 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე.

„დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, — წერდა ი. გოგებაშვილი, — რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილ ილიას, შეიგნებს იმის წმინდა ქართულ ენას, მის მაღალ აზრებს, პროგრესულ იდეალებს“.

მართლაც, ჩვენს ეპოქაში კიდევ უფრო ახლობელი ხდება და მრავალფეროვნად წარმოჩნდება არა მარტო მხატვრული შემოქმედება ი. ჭავჭავაძისა, არამედ მისი ენობრივი სამყაროც. პოეტურ-პროზაული ქმნილებები თუ პუბლიცისტური წერილები გვაოცებენ არა მარტო აზრის სიღრმითა და თემატიკის მრავალმხრიობით, არამედ ენობრივი ინვენტარის (სამოსლის) სიახლითა და ორიგინალობითაც. ამის უპირველესი საფუძველი ისაა, რომ ილიას ჰქონდა ქართული ენის ბუნების შეცნობის უტყუარი ალღო, ქართული სიტყვის სურნელების შეგრძნების განსაცვიფრებელი ძალა.

ი. ჭავჭავაძემ დიდი გემოვნებით შეარჩია, დახვეწა, ლიტერატურაში შემოიტანა და ფართო ხმარებისთვის გზა გაუკაფა მრავალ ისეთ გრამატიკულ ფორმასა თუ ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ქართული ენის საგანძურს, მისი „მარილიანი, მოსწრებული და აზრ-გონებაზე გამოჭრილი ენა“ (ი. გოგებაშვილი) სათავეს იღებდა ხალხური სასაუბრო ენიდან, ძარღვიანი ცოცხალი მეტყველებიდან.

ილია ჭავჭავაძე სათუთად ეპყრობოდა არა თუ მთლიანად ენას, არამედ ყოველ სიტყვასაც კი. ხვეწდა ფრაზას, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მდიდარი ლექსიკური ფონდიდან მოხერხებულად არჩევდა სიტყვებსა და გამოთქმებს.

ი. ჭავჭავაძის ენის პრობლემატიკა ისევე რთული და ამოუწურავია, როგორც მხატვრული შემოქმედებისა. მართალია, მასზე სპეციალური მონოგრაფია და მრავალი ცალკეული წერილი დაიწერა, მაგრამ გამოსაკვლევ-შესასწავლი კიდევ ბევრია, რადგან,

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი მწერლის ენის სათავე ხალხური მეტყველებაა, რაც, თავის მხრივ, ამოუწურავი საგანძურია ენის ისტორიისათვის.

ილია სამართლიანად თვლიდა, რომ ყოველი ენის ლექსიკური მარაგის, მისი სიტყვიერი ფონდის სიმდიდრე ენის სიძლიერის, მისი სრულყოფილების უტყუარი დასტურია. ამიტომ არის მწერლის შემოქმედების ენობრივ სფეროში აშკარად გამოკვეთილი განსაკუთრებული ღვაწლი და ბრუნვა ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის. ამ თვალსაზრისით ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი ენის გრამატიკულ შესაძლებლობებს (თხზვასა და სიტყვაწარმოებას), აგრეთვე, ძველ ქართულ მწერლობას, ცოცხალ მეტყველებასა და სიტყვათა სესხებას.

მწერლის ენაზე დაკვირვება საცნაურს ხდის, რომ ავტორი ხშირად მიმართავს აფიქსაციას. აქვე უნდა შევნიშნოთ, ამ ასპექტით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება მხატვრული ქმნილებებისა და პუბლიცისტური წერილების ჩვენებანი. თუ პირველში შედარებით იშვიათია თავისებური წარმოების შემთხვევები, მეორე, პირიქით, უხვად წარმოაჩენს ამგვარ ფორმებს, რადგან იგი (პუბლიცისტიკა) მოიცავს საქართველოს ისტორიის, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის, ხელოვნების, ესთეტიკის, პედაგოგიკის, სამართლისა და სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მსჯელობისას ავტორს, ბუნებრივია, დასჭირდებოდა უამრავი სპეციფიკური ტერმინის გამოყენება ცალკეული ცნების გადმოსაცემად. ქართული ენა კი, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობდა, იმხანად ღარიბი იყო ასეთი სიტყვა-გამოთქმებით, ტერმინებით.

1) საანალიზო მასალაში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გეეძლევა აბსტრაქტულ სახელთა წარმოება. თუ, ჩვეულებრივ, ქართულში **ება, ობა, სი–ე, სი–ო** მაწარმოებლები არსებითისა და ზედსართავებისაგან წარმოქმნიან ახალ-ახალ სიტყვებს, ი. ჭავჭავაძე დასახელებული აფიქსებით თითქმის ყველა მეტყველების ნაწილისაგან ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს:

> ყველაზე უდიდესი მონაპოვარი არის **მონაობის** მოსპობა ბრაზილიაში; რა ბნე-ჩვეულება ხელთ ჰქონია **მაშინდელობას**; მართალია, ორი სამი ასრულებს, მაგრამ ეგ **ორიოდობა** ცხადი საბუთი არ არის; დ. ერისთავის **ვილაკობა** კიდევ არაფერია; **უკუბობის**

ნახტომი აქ დიდი მოუვიდა; მაგ შეუწყნარებელმა მგონიაობამ ამ ბოლო დროს უფრო გაიდგა ფეხი.

მარტო ცალკეული სიტყვებისაგან კი არა, მსაზღვრელ-საგნობრივისაგანაც ხელეწიფება დიდ მწერალს ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოება აბსტრაქტულობის სემანტიკით:

ძალმომრეობა ჩემნებობაა; ეს მცირე წყალიც არ გამოუმეტებია ჩემთვის და მიუვალღელეობა და პატარაწყაროობა მოუგონია; ეულკაცობა, აქეთ-იქით სიარული, თათარს უფრო მეომარ კაცად ხდის; ამას ხელს უშლის დაუძინებელი მეთუშენაობა; ახლა არჩილი პოპარაობაშია.

ახალი ქართულის მიხედვით, პროდუქტიულობით გამოირჩევა ობა და სი–ე. ი. ჭაეჭავაძის ნაწერებში ნორმირებულ ფორმებთან შედარებით კიდევ უფრო დიდია ობა-ს ხვედრითი წონა.

ხალხი ვენახობას მისდევს; ამბობენ, რომ ვენახიანობა განვითარდესო; უკანონო შვილს მიენიჭება მამეულობის სახელწოდება.

ამათ რიცხვში ჩაითვლება გემოდასახელებული ორიოდობა, ჟილაცობა, მგონიაობა... გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ობა გამოიყენება სი–ე-სა და ება-ს ნაცვლადაც.

სი–ე: მიზეზის მოვლენათა რთულობისა; მეტი ცარიელობა და არარაობა ვნებავთ?; ღმერთი არსობის, ღმერთი ყალბობის.

ება: ჩემის ერთგულობის გამო ბევრს შევსძულდი; ყველაფერი წუთობით სცოდნია უბედურობის მეტი; დავრჩით ამ ქვეყნიერობაზედ მარტო ორნი.

2) ქართულში დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი ძირითადი კონფიქსებია სა–ე, სა–ო, სა–ურ, რომლებიც დასტურდება ჩვენს საკვლევ ტექსტებშიც: საშაქრე, საჯამაგირო, საფეხური. ძველ ქართულში პროდუქტიულობით გამოირჩეოდა სა–ე აფიქსი, ილიას ენაში კი ამ მხრივ უპირატესია სა–ო, რაც იმითაა შეპირობებული, რომ ავტორი მას სშირად იყენებს არა მხოლოდ ნორმირებულ კონსტრუქციაში, არამედ ზოჯერ აკისრებს ურ სუფიქსის ფუნქციასაც:

ძვირფასი საარქეოლოგო და საისტორიო განძი ურევია; საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამით სულდგმულობს; მაშინვე საკოლონიო პოლიტიკას დაადგა; ჩემი გამოსვლა საპედაგოგიო ასპარეზზე ამით დაიწყო; სამათემატიკო და საგრამატიკო ფორმები.

ამგვარი მაგალითების დასახელება ბლომად შეიძლება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურად მცირე რაოდენობით მაინც გვხვდება მათიევ -ურ სუფიქსიანი წარმოებაც.

ეს ანბანი პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებისა ვერ გაუგია; იგი გრძნობდა კავშირს ეკონომიურ მდგომარეობასა და განათლებას შორის.

სა–ო აფიქსითაა წარმოდგენილი ზოგიერთი ზედსართავი სახელიც, რომელიც თანამედროვე ქართულის სიტყვაწარმოების მიხედვით თავისებურად წარმოჩნდება:

საკეთილო ამრი განახორციელეს საქმით; ეს საზარო უბედურება მამინვე იგრძნეს; რაც შეეხება სამსოფლიო ვითარებას; რაც კაცს საუმჯობესოდ მიაჩნია.

მაგრამ ამ წესით ნაწარმოები ფორმები: სადღეისო (საგანი), საცალკეო (საქმე), სამერმისო (საბრუნავი) და მისთანანი დამკვიდრებული და ფართოდ გავრცელებულია ენაში.

გამორიცხული არ არის ის ფაქტი, რომ ი. ჭავჭავაძის ენაში სა–ო აფიქსის ესოდენ მოჭარბებულ ხმარებას გარკვეული წილი ედოს სალიტერატურო ქართულის განვითარების დღევანდელ ტენდენციაში, რომლის მიხედვით დანიშნულების სახელთა ყველაზე პროდუქტიულ მაწარმოებლად უკვე მოგვევლინა სა-ო.

3) ი. ჭავჭავაძემ სიტყვაწარმოებითი ფუნქციით აღჭურვა არ უარყოფითი ნაწილაკი.

არ ნაწილაკი ერთვის საწყისს ან მიმღეობას და ნათქვამს უფრო მეტ გამომსახველობითს ძალას ანიჭებს. ამგვარი ფორმები დამახასიათებელია როგორც პუბლიცისტიკის, ისე მხატვრული შემოქმედების ენისათვის:

სხვას უკიჟინებს კრიტიკის არხმარებას; არგაკეთება საქმისა მაშინ არის, როცა საქმე ჩერდება; ღონისაგან არდაცლა ხომ ბედნიერებაა; სემინარიაში ისე ასწავლიან, რომ არსწავლება სჯობიან; არ დაეფიცებათ ამ საბარელი ჩვეულების არქონა; მისი დაღლილი და არუგონო თვალები სავსენი იყვნენ სიმტკიცითა.

4) უფროობითი ხარისხის სახელთა მაწარმოებლად ქართულში გამოყენებულია უ–ეს კონფიქსი (უმაღლესი). ამგვარი წარმოება ძირითადია ი. ჭავჭავაძის ენაშიც, მაგრამ აქა-იქ უმაღლესი ტიპის ფორმებიც გვეველინება:

ეს უნდა წარმოესთქვათ უმაღლესი მთაერობის წინაშე; ნუთუ მთავრობის უმწიწდეს მოვალეობას არ შეადგენს მგრუნველობა; უმეცნიერეს ანთროპოლოგებსაც მიაჩნიათ.

სპეციალურ ლიტერატურაში საანალიზო წარმოება ხელოვნურადაა მიჩნეული. მას უწოდებენ გაძლიერებითს, ინტენსიურს (ა. შანიძე).

უმაღლესი ტიპის ფორმები პირველად იჩენს თავს საბას „სიტყვის კონაში“ და იქვეა განმარტებაც: უუპატიოსნესი — უფროსად პატიოსანი. ასეთ წარმოებას ანტონ კათალიკოსი და სხვა ძველი გრამატიკოსები მიიჩნევდნენ გედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის გამომხატველად. აღნიშნული ფორმები ვერ დავადასტურეთ რომანტიკოსების ენასა და ი. ჭავჭავაძის მხატერულ შემოქმედებაში. თანამედროვე ქართული მწერლობა კი, განსაკუთრებით პოეზია, უხვად წარმოაჩენს ამგვარ ნიმუშებს. ამის საუკეთესო დასტურია გალაკტიონის, ა. კალანდაძის, მ. ლებანიძისა და სხვათა შემოქმედება. აშკარაა, რომ დღეს უმაღლესი ტიპის წარმოება ხელშესახები ენობრივი ფაქტია და მისი ესოდენი მოჭარბების საფუძველი ამგვარ სიტყვათა ძლიერ ექსპრესიულობაში უნდა ვეძიოთ.

თანამედროვე ქართულში საანალიზო ტიპის ფომათა ხელახალი გაცოცხლება-გაფართოება ი. ჭავჭავაძის ენასთან ჩანს დაკავშირებული. ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილმა მწერალმა, რომელსაც გამუდმებული პოლემიკა ჰქონდა ერის საჭირბოროტო საკითხებზე, პუბლიცისტურ ნაწერებშიც სწორედ ამ მიზნით გამოიყენა მეტი გამომსახველობითი ძალის მქონე ფორმები.

ამრიგად, ამ რამდენიმე თავისებური წარმოების წარმოჩენითაც საცნაური ხდება, რომ ი. ჭავჭავაძე ქართული ენის მორფოლოგიურ საშუალებებს მაქსიმალურად იყენებდა ენის ლექსიკური შედგენილობის გასამდიდრებლად. მისი შემოქმედებითი მუშაობა ამ სფეროში მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ენის ისტორიის, არამედ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის თვალსაზრისითაც.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორის წინათქმა 3

შესავალი 5

სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე ქართული პოეზიის მიხედვით. 7

სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე ქართულ პროზაში 37

სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენის მიხედვით. 61

ხარისხის ფორმათა წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში. 85

1. ხარისხის ფორმათა შესწავლის ისტორია 85

2. ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში. 100

3. უკიდესი ტიპის სახელთა ისტორიისათვის ქართულში. 107

4. ნიშან–თვისების მზარდი სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში და აღმატებითი ხარისხის საკითხი. 115

მქონეობის (ყოლა–ქონების) სახელთა წარმოება და აფიქსთა ფუნქციები თანამედროვე ქართულში. 127

მოსაქმეობის სახელთა წარმოების ზოგადი თავისებურებანი

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში. . .145
მე–ე კონფიქსის ფუნქციური დატვირთვა და
გავრცელებულობა თანამედროვე სალიტერატურო
ქართულსა და დიალექტებში. 149
ალერსობით–კნინობითი სახელები თანამედროვე ქართულში . . .52
1. ალერსობით–კნინობითი სახელების შესწავლის
ისტორიისათვის 152
2. ალერსობით–კნინობითი სახელების წარმოება
თანამედროვე სამწერლობო ენასა და დიალექტებში. 158
3. ალერსობით–კნინობით სახელთა სადერივაციო აფიქსების
ფუნქციები. 164
სიტყვაწარმოების ერთი ტენდენცია თანამედროვე
ქართულში. 189
დ ა ნ ა რ თ ი
სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) ქართველი რომანტიკოსების
მიხედვით 197
სახელთა აფიქსური წარმოების ზოგიერთი თავისებურება
ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. 201

წარმომადგენელი (მბურღაური, მგოგაური...). პროფესიის ტერმინებით მიმღეობის ჯაჭოხატვა ძალიან გავრცელებულია მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციის ეპოქაში [19(186-187)].

ირკვევა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელს მანძილზე მე-ე, მე-ურ კონფიქსების ფუნქცია სხვადასხვაგვარი იყო. თავდაპირველად ისინი კლასკატეგორიას აღნიშნავდნენ [20(034)]. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ მე-ე, მე-ურ აფიქსების ფუნქცია უნდა ყოფილიყო გმნისაგან გასუბსტანტივებული მიმღეობის წარმოება [21(119)]. ხელობის გამოხატვის უნარი მათ მოგვიანებით შეიძინეს და, რადგანაც ეს ფუნქცია მათთვის არ იყო ერთადერთი, ენამ ხელობის (მოსაქმეობის) აღნიშვნა ნაწილობრივ მაინც დააკისრა სხვა მნიშვნელობის აფიქსებსა და მიმღეობის ფორმებს.

§5. დანიშნულების სახელები

დანიშნულების (ანუ განკუთვნილების) სახელებს აწარმოებს კონფიქსები: **სა-ე, სა-ო, სა-ურ, სა-არ.**

სა-ე აფიქსით წარმოქმნილი სახელები მეტწილად არსებითებია (მათში ბედსართავის გაგება დაბნელებულია):

სა-მხეც-ე-ებში თუ დაგვამწყედევენ (ნიშნ., 18); ნიჟარის სა-ფერფლ-ე (ჩიქოვ., 580); ჩემო ტყეებო... სა-ხოხბ-ე-ებო (ფაშალ., 633); პატარა წიგნი სა-უბ-ე (ლეონ., 339); მიწავ სა-ვენახ-ე-ე (ლებან., 39); შენი თვალები სა-ცრემლ-ე-ნია (ხარან., 220); სა-მაჭრ-ე-ს და სა-მურაბ-ე-ს (წერ., 23); სა-ბატ-ე-ს ირგვლივ ეხვივნენ (ტაბატ., 40).

სა-ო კონფიქსით ნაწარმოები სახელები მეტწილად ბედსართავებია. დღეს ამ აფიქსს მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს (ა. შანიძე):

არის სა-ღვთ-ო ბილიკები (გალაკტ., 9); ენდე სა-ნდ-ო-ს, ეძმე სა-ძმ-ო-ს (წერ., 10); სა-ათაბაგ-ო-ს მტკვერი აშალეს (კალანდ., 197); სა-მკურნალ-ო ბალახებივით (ლეონ., 223); სა-ტახტ-ო-ებს მიაფრენს (ლებან., 70); სა-ხელოსნ-ო-დ გადავაქციოთ (აბაშელ., 69); თქვენი მაღალი სა-დადიან-ო (გაფრინ., 193); სა-მზე-ო-ს დაკლებული სულეთში გროვდებიანო (ჩარკ. 312).

სა-ურ (ულ) ახალ ქართულში აღარაა პროდუქტიული მაწარმოებელი. ფაქტობრივად დღეს იგი შემორჩენილია ძველი წარმოების რამდენიმე სახელში:

აჰყევ სხვა სა-ფეხ-ურ-ებს (გალაკტ., 35); სა-კვამ-ურ-იდან ამოდის კვამლი (სულაკ., 77); სა-ცეცხლ-ურ-ი სურნელს აკმევს (აბაშელ.,

მიშვ. „ლიტ. საქ.“ — მიშველაძე რ., „ლიტ. საქართველო“, 1986. 6 ივნისი, 1987. 4 დეკემბერი.

მიშვ. „ახკომი“ — მიშველაძე რ., „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987. 22/VIII.

სულაკ. — სულაკაური ა.. სალამურას თავგადასავალი, 1968.

ტიკარ. — ტიკარაძე ჯ., „ცისკარი“, 1987, № 1.

ფანჯიკ. — ფანჯიკიძე გ., თხზულებანი, ტ. III, 1987.

ფეტველ. — ფეტველაძა გ., „ცისკარი“, 1987, № 1.

ფიროსმან. — ფიროსმანიშვილი დ., „საქართველოს ქალი“, 1987, № 1.

შატაიძე — შატაიძე ნ., „ლიტ. საქართველო“, 1987, 30 იანვარი.

შენგელ. — შენგელაია დ., სამი რომანი, თბ., 1974.

ჩოხელ. — ჩოხელი გ., „ცისკარი“, 1987, № 3.

ჩოხელ. — ჩოხელი გ., „განთიადი“, 1988, № 3.

ჩხეიძე — ჩხეიძე ოთ., „ლიტ. საქართველო“, 1987, 23 იანვარი.

ცისკარ. — ცისკარიშვილი ელ., „ახკომი“, 7 ივლისი.

ციციშვ. — ციციშვილი გ., „სძლიე სიხარბესა შენსა“, 1980.

წოწკოლ. — წოწკოლაური მ., „ლიტ. საქართველო“, 1988, 17 ივლისი.

წულეისკ. — წულეისკირი ნ., „ლიტ. საქართველო“, 1987, 21 აგვისტო.

რ. ჭეიშვ. — ჭეიშვილი რ., ვაიმე ჩემო ვენახო, 1987.

ს. ჭეიშვ. — ჭეიშვილი ს., სოფელში ბალი დამწიფდა, 1986.

დამოწმებული ლიტერატურა

1. შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
2. ტუსკია მ. — სახელთა წარმომქმნელი მოკიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1969, № 1.
3. ფეიქრიშვილი ქ. — სიტყვაწარმოება ქართველი რომანტიკოსების თხზულებების მისედვით: ხელნაწერი, 1984.
4. თოფურია ვ. — ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: თხზ. ტ. III, 1979.

წარმოქმნილ სახელთა მეორე ჯგუფს შეადგენს აღმატებითი სახელები. მაწარმოებლებია პრეფიქსები: უ, უკ და სუფიქსი ეს. მაგალითად, უკლესი, უკლესი. ეს აფიქსები შეიძლება მოსპობისა და დამცირების მიზნით ვიხმაროთ: მცირე, უმცირესი, უკმცირესი[1].

უკდიდესი ტიპის სახელთა სემანტიკის ნათელსაყოფად განვიხილავთ ტერმინებს: „ნამყო უსრულესი“ და „ნამყო უსრულესი“.

ანტონის გრამატიკაში დასახელებულია ოთხი ნამყო: ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი და ნამყო უსრულესი. ანტონის განმარტებით, „ნამყო უსრულესი ჰქვია ამ დროს იმიტომ, რომ ამგვარი ზმნა აღნიშნავს მოქმედისა და ვნებულის არა მარტო დასრულებულსა და შემოსაზღვრულ მოქმედებასა და ვნებას, არამედ დასრულების შემდეგ მომხდარ ნამყო დროსაც (შემიყუარებიეს, შეყუარებულ ვარ...).

ნამყო უსრულესი ჰქვია ამ დროს იმიტომ, რომ აღნიშნავს მოქმედისა და ვნებულის არა მარტო შესრულებულ და შემოსაზღვრულ მოქმედებასა და ვნებას, არამედ შემოსაზღვრის შემდეგ გასულ ბევრ დროსაც (შემეყუარა, შეყუარებულ ვიყავი)“.

მსჯელობიდან ნათელია, რომ, ანტონის გაგებით, უსრულესი შედარებითი ხარისხია, უსრულესი — აღმატებითი.

ანტონიდან მოყოლებული ძველი გრამატიკოსები ძირითადად ასახელებდნენ ხარისხის სამ ფორმას და მეტ-ნაკლები სხვაობით იმეორებდნენ ანტონისეულ კვალიფიკაციას. მაგალითად, სოლომონ დიდაშვილის აზრით, „ზედსესრული სახელი განიყოფის სამთა ზედა ხარისხთა: დადებითსა, შეთანასწორებითსა და აღმატებითსა ზედა.

დადებითი ხარისხი აღნიშნავს ვითარებასა ანუ თჳსებასა საგნისასა მარტივად, შეუსწორებლად სხჳსთან. მაგალითად: გონიერი, ძლიერი და სხუანი.

შეთანასწორებითი ხარისხი აჩუენებს უპირატესობასა ანუ უდარესობასა ერთისა საგნისასა წინაშე სხუათა საცნაურსა თჳსებასა შინა და დაესხმის დადებითსა ხარისხსა თავად უ და ბოლოდ ეს-ი. მაგ.: უ-გონიერ-ეს-ი, უ-ძლიერ-ეს-ი და სხუანი.

აღმატებითი ხარისხი აჩუენებს აღმატებულობასა ერთისა საგნისასა საცნაურსა თჳსებასა შინა ყოველთა სხუათა ზედა და

ლერი ენების მიხედვით მოსაზრაფიულაა შესწავლილი თ. ზურაბიშვილის ნაშრომში „ხარისხი ქართველურ ენებში“, სადაც ერთხელ კიდევ არის დასაბუთებული ა. შანიძის მიერ აღნიშნული თვალსაზრისის მართებულობა და მითითებულია, რომ „ხარისხის ორი - აღწერითი და ორგანული წარმოებიდან აღწერითი წარმოება და მისი სხვადასხვაგვარი სტილისტური საშუალება (ფრიად მალალი, ულმობელზე ულმობელი, ცხელ-ცხელი...), რომლებიც მეტი ოდენობის მხოლოდ შინაარსობრივი გადმომცემია, ხარისხის ფორმებად ვერ ჩაითვლება“[10]. თუმცა მკვლევარი იძულებულია იქვე შენიშნოს, რომ სადავო აღწერითი წარმოება ახალ ქართულსა და თანამედროვე ქართველურ ენებში მეტ გავრცელებას პოულობს.

თ. ზურაბიშვილის დასკვნით, ქართველურ ენებში გამოყოფილია მზარდი ხარისხის შემდეგი ფორმები: ქართულში — უფროობითი (უ-ეს: უდიდესი), მეგრულში — უფროობითი და თანაბრობითი (უ-აშ: უ-დიდ-აშ; მა-ა: მა-მანგარ-ა), სვანურში — უფროობითი და აღმატებითი (ხო-ა: ხოფშირ-ა =„უფრო მრავალი“; მა-ე მა-ფშირ-ე „ყველაზე უმრავლესი“).

ქართველურ ენებში ხარისხის წარმოების წესი ერთნაირია. სახელდობრ, სამივე ენაში ხარისხი იწარმოება აფიქსების დახმარებით. ამ მხრივ ხარისხის წარმოება ცალკე დგას სხვა ენებთან შედარებით[11].

მაშასადამე, დღეს ქართული ენის გრამატიკის ტრადიციულ სახელმძღვანელოებში მზარდი ხარისხი ერთსაფეხურიანია — ერთადერთ ფორმად მიჩნეულია უ-ეს კონფიქსიანი უფროობითი; აღწერითი წარმოება ხარისხის ფორმა არ არის. თუმცა დღეს სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის იქნა შენიშნული ქართულში მზარდი ხარისხის გამოხატვის თავისებურებანი და მისი ორი საფეხურის (შედარებითისა და აღმატებითის) არსებობაც. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე თვალსაზრისი, რომლებიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1) ქართულში არის მზარდი ხარისხის მხოლოდ ერთი ფორმა — უფროობითი, რომლის მაწარმოებელია უ-ეს კონფიქსი (ა. შანიძე, თ. ზურაბიშვილი, ლ. კვაჭაძე, ალ. ღლონტი, ა. კიზირია[12]...)

2) ქართულში უფროობითის მარტივი (ორგანული) წარმოება